

საქართველოს ისტორიის ორიგინალური წყაროები

A. ისტორიკოსები

დავით ბაგონიშვილი

ე ს ე ლ ი ის ტ ო რ ი ა

გაბრიელ ბაგონიშვილი

ე ს ე ლ ი მ ო თ ხ რ ო ბ ა

გ ა მ ო ხ ც ა

თამარ ლომოურაძე

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
პრეზიდიუმის განკარგულებით

რედაქტორი ნ. ბერძენიშვილი

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა	მპ. I—XVI
დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია .	1— 48
ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა .	49—161
საძიებელი დ. ბატონიშვილის ისტორიისა .	163—186
საძიებელი ბ. ბატონიშვილის ისტორიისა .	187—212
შეცდომების გასწორება .	212

ხელმოწერილია დასაბეჭდად 27.10.1941
ანაწყ. ზ. 6×10; ქალაღდის ზ. 60×94
ბეჭდ. ფორმ. რ. 15,5; საავტ. ფ. რ. 15,5
შეკვე. № 364; უფ 41730; ტირაჟი 600

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა
ა. წერეთლის ქ. № 7

წინასიტყვაობა

ჩვენ მიერ გამოსაცემად დამზადებულ ხელნაწერი A № 1766 დატულია საქ. სახ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, სადაც ის შევიდა უნივერსიტეტის სიძველეთა-საცავის ფონდთან ერთად. ხელნაწერი დიდი ტანისაა და შეიცავს 194 ფურცელს ანუ 388 გვერდს. ქალაქი ორი ფერისაა: 84 ფურცელი მოლურჯო, ხოლო 110 ფურცელი თეთრი. ზომა მოლურჯო ქალაქისა 34×21 სმ, თეთრისა 32×20 (55 ფურც.) და 33×21 (55 ფურც.) სმ. ტექსტი დაწერილია გვერდის მარცხენა ან მარჯვენა კიდისაკენ 8--9 სმ სიგანეზე. ირგვლივ დანარჩენი სამი მხრით დატოვებულია ფართო აშიები.

მოლურჯო ქალაქი მთლად ერთნაირი არ არის, ორი ფურცელი ირჩევა დანარჩენებისაგან—უფრო მუქია ფერად. კვირნიშნის თვალსაზრისით ქალაქი იძლევა შემდეგ სურათს: მოლურჯო ქალაქის კვირნიშანია ეგრ. წოდ. Pro patria¹ შეკეცილი ფურცლის ერთ ცალზე და ასოები K L K O G N და 1814 მეორეზე. იმ ორი ფურცლისა კი, რომლებიც ფერით უფრო მუქია დანარჩენებზე—ორთავიანი არწივი რკალში და ასოები Я М Ф. თეთრი ქალაქი მთლად ერთნაირია და იძლევა იმავე Pro patria¹ ერთ ნახევარზე. ხოლო მეორეზე AO 1812. გამონაკლისს წარმოადგენს ერთი ფურცელი (შეკეცილი ფურცლის ერთი ნახევარი), რომელიც ხელნაწერს ჩაწებებული აქვს თავში და რომლის კვირნიშანია AO 1817. მეორე ნახევარზე, ალბათ, იგივე Pro patria იქნებოდა.

ხელნაწერი, სამიოდე გვერდის გარდა, მთლად ერთის ხელით არის დაწერილი. მოხსენებულ სამ გვერდში ერთი, სხვა ქალაქზე შესრულებული, ჩაწებებულია 89 და 90 ფურცლებს შუა და გაგრძელებულია 90 r აშიაზედაც მეორე, ამავე ხელით დაწერილი ტექსტი, მოთავსებულია 89 r და v გვერდების აშიებზე. მესამე—უკანასკნელი გვერდია ჩვენი ხელნაწერისა. ამ გვერდზე მოთავსებული ტექსტი არაავითარ კავშირში არ იმყოფება ჩვენს ხელნაწერთან

¹ იხ. Л и х а ч е в, Палеограф. значение бумажн. водяных знаков, ч. 5 № 3605. СПб, 1899.

(ამიტომ ჩვენს გამოცემაში იგი შეტანილი არც არის) ცალკე უნდა მოვიხსენიოთ ხელნაწერის ორ-სამ გვერდზე, საფიქრებელია დ. ჩუბინაშვილის ხელით, გაკეთებული მოკლე მინაწერები. ყველა ასეთი ადგილი ჩვენ შენიშვნებში გვაქვს ჩატანილი. არის შემთხვევები, როდესაც თვით ავტორი იყენებს აშიებს შეზღოვან ჩამატებათათვის. ასეთია გვერდები:

დავითის ისტ-ში: r 1, r 3, v 14, v 17, r 19, r 27; ბაგრატის ისტ-ში: r 1, v 1, r 2, v 6, v 8, r 11, v 14, r 15, r' 8, r 19, r 22, r 23, v 23, r 24, r 26, r 27, r 62, v 75 და სხ. მრავალი. ზოგიერთ გვერდზე მოცემულია შავი მელნით ან ფერადი საღებავებით შესრულებული ნახატები, რომლებიც ასახავენ სხვადასხვა ასტრონომიულ სხეულთა არაჩვეულებრივ მოვლენებს (მაგ., მთვარის და მზის დაბნელებას, კუდიან ვარსკვლავებს და სხ.). ასეთებია გვერდები ბაგრატის ისტ-ში: r 21, r 66, v 80, v 98, v 109; r 110, v 114, v 115. v 118. ყველა ასეთი ადგილი მითითებულია შენიშვნებში.

რამდენიმე სიტყვა მართლწერის შესახებ. გამოცემაში დაცულია დედნის მართლწერა. შესწორებულია მხოლოდ ზოგიერთი აშკარა შეცდომა, ხოლო დედანში ხმარებული ფორმა მოცემულია შენიშვნაში, მართლწერისათვის აღსანიშნავია ნორმების სრული აღრევა: ასოების ე, ჯ, ჯ-ის ხმარება აღარ ემორჩილება აღარავითარ წესს—ერთსა და იმავე გვერდზე სიტყვა „მხედრობა“ ხან „ჟართ“ იწერება, ხან „ხანით“, ასო ჯ-ს შემდეგ „ინი“-ა მოცემული (მაგ. თვისი და სხ.), ასო ე-ს შემდეგ ან მის წინ „ინი“-ც არის (მაგ. აღრეულობაიე, მხედრობაიე და სხ.). სწორალი მეტად გაურბის (ეს უფრო ხელნაწერის მეორე ნაწილშია შესამჩნევი) ერთი და იმავე ასოს გამეორებას. როდესაც ეს საჭიროა (მაგ. მიწივა--მიიწივა-ს ნაცვლად, გამაგრა--გაამაგრა-ს ნაცვლად, ტფილის--ტფილისს-ის ნაცვლად, როსისა--როსიისა-ს ნაცვლად და სხ. მრავალი). ყველა ასეთი ადგილი უცვლელადაა დატოვებული, როგორც დამახასიათებელი დეტალები ეპოქისა და თვით ავტორის წერის მანერისა.

ხელნაწერი შეიცავს ორ ისტორიულ მოთხრობას. პირველია დავით ბატონიშვილის (გიორგი XII-ის უფროსი ძის) ისტორია, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ „ახალი ისტორია“ (ასეა ეს მოთხრობა სახელდებული მისსავე წინასიტყვაობაში). ეს მოთხრობა მოთავსებულია ხელნაწერის ლურჯ ქაღალდზე და შეიცავს 1--133 გვერდს (134-ზე გადატანილია რამდენიმე სტრიქონი). ამ მოთ-

ბრობას წინ უძღვის რამდენიმე ფურცელი.) პირველი ფურცლის recto სუფთაა, ხოლო verso-ზე მოთავსებულია შემდეგი ტექსტი: „ესე ქართლის ისტორია ახალი აღწერილი არს და გაკეთებული მეფის თეიმურაზისა და მეფის ირაკლისა და¹ ძისა მისისა, მეფის გიორგის პირმშოს ძის მიერ, დავითისაგან², საქართველოს მეგვიდრისა და რუსეთის ღიანარაღ-ლეიტენანტის მიერ და სენატორისა და მქონეთა კავალერთა წმინდისა ალექსანდრე ნევესკისათა და წმინდისა ანნასისა პირველისა ხარისხისა, რომელმანცა აღწერა ყოველივე ქვეშარიტი⁴ და უნაკლულო⁵. აღიწერა წელსა 1814 დეკემბრის 26.) ს. 3. ბ.“

ამ პირველ ფურცელს მოსდევს ორი მოლურჯო, უფრო მუქი ფერის ფურცელი, რომლებზეც მოთავსებულია შემდეგი ტექსტი:

„163. ამ ფურცელში უნდა ჩაიწეროს ვინც დაიკარგნენ ალექსანდრეს დროს თავადნი, აზნაურნი და მღვდელნი წელსა 1812 ბუნტში“.

1. ენდრონიკაშვილი სვიმონ, სიძე მეფის გიორგის.
2. ენდრონიკაშვილი, მინბაში, აბელ.
3. ზურაბისშვილი, მარტყოფის მოურავი, იოვანე.
4. შვილი ამ იოვანესი ზურაბ.
5. ძმა ამისივე რევაზ.
6. ერასტიშვილი დიმიტრი.
7. ერასტიშვილი ერასტი.
8. ენდრონიკაშვილი დავით, მზექაბუკის შვილი.
9. აბაშიძე დავით, იოვანეს ძე.
10. აბაშიძე ნიკოლოზ.
11. ონანაშვილი ასლან.
12. ონანაშვილი ნინია,
13. ბებურისშვილი გურგენის ძე.
14. აგათოშვილი გორჯასპი.

¹ ეს სიტყვა ზემოდანაა ჩამატებული. ² ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: „რუსე“. ³ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: წა. ⁴ ამ სიტყვის შემდეგ საფუძვლიანად წაშლილია ამავე სტრაიკონზე მოთავსებული ორი სიტყვა და შემდგომი ექვსი სტრაიკონი. დიდის გაკირვებით შესაძლებელია ამოკითხულ იქნას: „და რომელიცა აკლდა ამას შეასრულა უმცროსმან ძმამან მისმან, მეფის გიორგის ძემან ბაგრატი ფრიადითა შრომითა და რუდუნებითა. გთხოვთ მკითხველთა...“ დანარჩენი რამდენიმე სიტყვა გაურჩეველია. ⁵ უკანასკნელი ორი სიტყვა სწერია აზნაზე დამოტოვების ნიშნით. ⁶ აქ ჯერ დაწერილი ყოფილა „ციბირს“, შემდეგ ეს სიტყვა წაუშლიათ და ზემოდან წაუწერიათ „ბუნტში“.

15. აგათოშვილი სარიდან.
16. ჩერქეზიშვილი იოვანე, ნიკოლოზის ძე.
17. ჩერქეზიშვილი ნინია, ალადალის შვილი.
18. ჩერქეზიშვილი ბარძიშ.
19. ჩოლაყაშვილი იოსებ, ძე დურმიშხან თუშთ-მოურავისა.
20. ჩოლაყაშვილი ნიკოლოზ.
21. ჩოლაყაშვილი დიმიტრი.
22. იოსებ ჩოლაყაშვილი.
23. ჩოკაშვილი დავით.
24. ქავქაეაძე დიმიტრი.
25. ქავქაეაძე სვიმონ.
26. ბეჟან მდივან-ბეკის შვილი იოსებ.
27. მაყაშვილი ომან.
28. მაყაშვილი იოსებ.
29. მაყაშვილი არსენი.
30. ჯანდიერიშვილი სვიმონ.
31. ჯანდიერიშვილი გრიგოლ.
32. ჯანდიერიშვილი დიმიტრი.

ა ზ ნ ა უ რ ნ ი კ ა ხ ნ ი ს ა ყ დ რ ი ო ნ ე ლ ნ ი :

1. სალთხუცესი პაატა¹ სულხანისშვილი.
2. აბელაშვილი პაპუა.
3. მუშრიბისშვილი გოგია.
4. ევგენიშვილი გლაზა.
5. საგინაშვილი გლაზა.
6. საგინაშვილი გლაზა.
7. საგინაშვილი რევაზ.
8. ნათალიშვილი სვიმონ.
9. ყოდალაშვილი იოსებ.

ქ ლ ა თ უ შ ლ თ თ ა ვ ა დ თ რ ი ც ხ ვ ი :

1. ამილახვარიშვილი ედიშერ, ძე ერასტისა.
2. ავალიშვილი სოლომან.
3. ავალიშვილი პეტრე.

¹ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: მგალობლის.

აზნაურნი:

1. შატბერაშვილი ივანე, კავთისხევის მოურავი.
2. ძმა მისი, ფილიპე მღვდელი და სხვანი აზნაურნი და თავადნიცა მრავალნი, რომელთა სახელი არ ვიცოდით.

კახურნი მღვდელნი:

1. ჩახტაური გიორგი მღვდელი.
2. ქიზიყელი დემეტრაშვილი ზაქარია.
3. მატნელი ეფთვიმე.
4. მთავარ-დიაკონნი: ხირსელიშვილი,
- 5. მეკურკლიშვილი“.

შემდეგ მოდის ერთი ფურცელი თეთრი ქალაღი (ქვირნიშნით AO 1817), რომელიც აღრიცხულია მარცხენა ზედა კუთხეში ციფრი 1-ით და რომელზედაც მოთაესებულია შემდეგი ტექსტი:

„ესე შემდგომად ამბავი იქ უნდა მოებას „ქართლის ცხოვრებას“: მისცა შაჰნადირ მეფობა ქართლისა მეფეს თეიმურაზს და კახეთისა ძესა მისსა ირაკლის. მოვიდნენ ტფილისს წელსა 1744.

მე, საქართველოს მეფის გიორგის ძემან და რუსეთის იმპერატორის კარის კამერლერმან და სხვათა და სხვათა ორდენტა და კავალერთა მექონმან ბაგრატმან ვიგულსმოდგინე და შევჰკრიბნე ესე მოთხრობანი სანატრელის და ღეთისადმი განსვენებულისა, მხნისა და სახელოვანისა მეფისა თეიმურაზისა და ძისა მისისა¹ მეფისა ირაკლისა, პაპისა ჩემისა, რომელიცა დაუშრომელად დღეთა თჳსთა სიყრმითვან ვიდრე სიბერედმდე არა ზოგევდა თავსა თჳსსა ერთგულეებისათჳს და ზრუნვისათჳს ერისა თჳსისა, რომელიცა სახელოვანმან ამან კაცმან მრავალგზის ადიდა სახელი თჳსი ბრძოლისა თეიატრსა ზედან.

ხოლო მე, განღვიძებულმან სიყვარულისა მისისამან, შევჰკრიბნე ესენი რაოდენიცა ვჰპოვნე ქორონიკონი, და წელნი, და მოქმედებანი მისნი ყოველნივე, და შემდგომად მისსა ძისაცა მისისა მეფისა გიორგისა, და შემდგომად მეფისა გიორგისა დაჰყრობისაგან

¹ უკანასკნელი 5 სიტყვა სწერია აშიაზე გამოტოვების ნიშნით.

რუსთა საქართულისა, და რუსეთსა შინაცა მიერთ, რაჲცა შეემთხუა, ყოველივე დიდისა ცითთა და უტყუელითა აღმიწერეს კემმარიტებით, რათა არა დავიწყებულ იყო საქმენი ნეტარკსენებულთა მეფეთანი, ვინაჲთგან ამ ჟამს ჰფლობდნენ რუსნი მამულთა ჩვენთა, და ჩვენ განბნეულ ვიყვენით როსიასა შინა მათ მიერ. აღიწერა წელსა 1819 ქს: ფზ: ს. პ. ბ. თუშსა მარტსა 4. მეფის ძე ბაგრატ“.

და მხოლოდ ამის შემდეგ იწყება თვით მოთხრობა.

ზემოთხსენებული ოთხი ფურცლის დაკვირვებულმა შესწავლამ გამოამჟღავნა შემდეგი: [პირველი ფურცელი (წინასიტყვაობით verso-ზე) არსებითად ეკუთვნის მოთხრობას და წარმოადგენს. მის წინასიტყვაობას. ქალაქი იგივეა, რაც შემდეგი მოთხრობისა. ლმ წინასიტყვაობიდან ჩვენ ვტყობილობთ, რომ პირველი ნაწილი ხელნაწერისა ეკუთვნის დავით ბატონიშვილს, რომელსაც ეს მოთხრობა დაუწერია 1814 წ. ს. პეტერბურგში. წაშლილი ადგილები, სამწუხაროდ, არ გვაძლევენ საშუალებას სჯემის ვითარების სურათი მთლიანად წარმოვიდგინოთ. გაჭირვებით ამოკითხული რამდენიმე სიტყვა და წინასიტყვაობის ხელი შესაძლებლობას იძლევიან დავასკვნათ, რომ დავითის მოთხრობა ამ ხელნაწერში მისი ძმის, ბაგრატ ბატონიშვილის, მიერ არის შეტანილი.]

ამ პირველი ფურცლის მომდევნო სამი ფურცელი—ერთი თეთრი და ორი მოლურჯო—ამ ნაწილში უადგილოდაა შეტანილი შემდეგში, ხელნაწერის ყდის გაკეთებისას. როგორც სრულის უეჭველობით გამოირკვა, ეს [სამი ფურცელი არც ეკუთვნის ამ ხელნაწერს და აქ შეცდომით არის ჩამატებული. მართლაც: თეთრ ქალაღზე მოთავსებული წინასიტყვაობა (იხ. ზევით გვ. VII—VIII) ბაგრატ ბატონიშვილისა აქ უცნაურს შთაბეჭდილებას ახდენს და უნებლიედ იწვევს კითხვას—რა უნდა აქ ბაგრატის წინასიტყვაობას, როდესაც მისი მომდევნო მოთხრობა დავითს ეკუთვნის, წინასიტყვაობაში კი ერთი სიტყვითაც არ არის დავითი მოხსენებული?]

[არც მოლურჯო მუქ ქალაღზე დაწერილი ტექსტია აქ თავის ადგილზე. ეს ორი ფურცელი შეიცავს იმ თავადების, აზნაურებისა და სხვათა სიას, რომლებიც დაკარგულ იქნენ ციმბირს 1812 წლის კახეთის აჯანყების გამო. ლმ ფურცლებს თავში უწერია: „163. ამ ფურცელში უნდა ჩაიწეროს ვინც დაიკარგნენ...“ და სხ. (იხ. ზევით გვ. V—VII). რომ ეს ორი ფურცელი ჩვენს ხელნაწერს არ ეკუთვნის იმითი მტკიცდება სრულიად აშკარად, რომ ნაჩვენებ 163 გვერდზე

მაგისი ჩამატება სრულიად შეუძლებელია. ამ გვერდზე მოთხრობილია ნაპოლეონის მიერ 1812 წელს მოსკოვის აღების ამბავი, სიასკი, როგორც ვთქვით, კავშირი აქვს 1812 წლის კახეთის აჯანყების ამბებთან. ჩვენს ხელნაწერში (ბაგრატიის ისტორიაში) არის ასეთი ადგილი, სადაც შესაძლებელი იყო ამ სიის ჩამატება, მაგრამ, ჯერ ერთი, ეს ადგილი 163 გვერდზე კი არა, v 96 და 97 ფურცელზეა¹ და, მეორეც, ჩვენი ხელნაწერის სათანადო ადგილას თვით ტექსტში უკვე არის ასეთივე სია. ამგვარად, სრულიად შექვევლია, რომ ეს სიაც, თეთრ ფურცელზე მოთავსებული წინასიტყვაობის მსგავსად, არ ეკუთვნის ხელნაწერს №1766 და სხვა ხელნაწერის ნაწილს უნდა წარმოადგენდეს.

წინაარსის თვალსაზრისით დავითის ისტორია შეიცავს საქართველოს ისტორიის მასალას 1744 წლიდან მოყოლებული 1812 წლამდე—რტიშჩევის საქართველოს მთავარმართებლად დანიშვნის მომენტამდე. მოთხრობა აგებულია ქრონიკის წესსზე. შიგა და შიგ—არის ამის ნიშნები—მოთხრობას ეტყობა არა ავტორის ხელი, ამაზე ქვევით. ტექსტი დაყოფილი არ არის პარაგრაფებად. აბზაცები გამოყოფილია წითლით დაწერილი ასოებით.

მეორე ნაწილი ხელნაწერისა სახელწოდებით „ახალი მოთხრობა“ წარმოადგენს თვით ბაგრატ ბატონიშვილის საკუთარ მოთხრობას და მის ავტოგრაფს. ეს მოთხრობა თითქმის მთლიანად თეთრს ქალაღზე სწერია, მხოლოდ უკანასკნელი 23 გვერდი დაწერილია იმავე ფერის და კვირნიშნის ქალაღზე, რომელზედაც დავითის ისტორიაა მოთავსებული. ამ მოთხრობას წინუძღვის შესავალი, რომლიდანაც ეგებულობთ, რომ ბაგრატს თავისი ისტორია დაუწერია 1814 წ. ს. პეტერბურგში. აქვეა აღნიშნული, რომ ამ წლის შემდეგაც, ვიდრე ავტორი ცოცხალია, იგი განაგრძობს წერას და შეიტანს თავის თხზულებაში ყველაფერს, რაც კი მოხდება საქართველოსა, რუსეთსა და ევროპაში ღირსი ყურადღებისა. მართლაც, ბაგრატი ასრულებს დაპირებას და 1819 წლამდე მიჰყავს თავისი თხრობა. უკანასკნელი, მისი ხელით ჩაწერილი ცნობა 1824 წელსაც კი ეკუთვნის. მაგრამ შინაარსის თვალსაზრისით ეს უკანასკნელი ჩანაწერები, ორიოდეს გამოკლებით, არაფერს მნიშვნელოვანს არ წარმოადგენს და უმეტეს შემთხვევაში შეიცავს ბუნების სხვა-

¹ ხელნაწერი AN^o 1766-ს ფურცლები ავტორის მიერ არც არის სრულიად აღრიცხული. წინამდებარე გამოცემაში ორივე მოთხრობის ფურცლების აღრიცხვა ეკუთვნის გამომცემელს.

დასხვა არაჩვეულებრივ მოვლენათა შესახებ რუსული გაზეთებიდან ამოკრებილი ცნობების გადმოქართულებას ტექსტი 180 ვ გვერდამდე დაყოფილია პარაგრაფებად. (სულ არის 115 პარაგრაფი. ამის შემდეგ კი ბოლომდე მოთხრობა პარაგრაფებად აღარ იყოფა: თვითელი ამბავი გამოყოფილია წინა და შემდგომი ამბავისაგან ხაზით ან დიდი ასოთი.)

საქ. სახ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში არის კიდევ სამი ხელნაწერი, რომლებიც თავისი შინაარსით ახლო დგანან № 1766-თან, ესენია: H25, H26 და S3860. ჯერ H26-ის შესახებ. ეს ხელნაწერი განყოფილების კატალოგში მისდევს H25-ს და დახასიათებულია ასე: „იგივე წიგნი მ. საბინინის მიერ გადაწერილი“. H25-ის შესახებ კი ნათქვამია: „მასალები საქართველოს ისტორიიდან დავით ბატონიშვილისა და სხვათა 1744—1840 (გამოსცა მ. ჯანაშვილმა 1906 წ.)“.

ამგვარად, მოსალოდნელი იყო, რომ H26 არაფრით, გარდა ხელისა, არ უნდა განსხვავებულიყო H25-საგან. ასე უფიქრია, ალბათ, პროფ. ა. ბარამიძეს, როდესაც თავის წერილში „ლევან ასათიანი: ვოლტერიანობა საქართველოში“ („მნათობი“ 1934 წ. №№ 7-8, გვ. 344) სწერდა: „ამას (ე. ი. H25-ს) იმეორებს H26-ც“—აო. მაგრამ სინამდვილეში საქმე ცოტა სხვანაირად არის. მ. საბინინს, როგორც ჩანს, ეს ხელნაწერი უმზადებია გამოსაცემად. ძირითად ტექსტში, რომელიც არსებითად იგივეა, რაც H25-სა, მას შეუტანია ჩანართები, მაგ.: 57—67 გვერდამდე ტექსტში შეტანილია წერილები ელევთერ ბერისა, დავით და იოანე ბატონიშვილებისა, დიმიტრი ჩოლაყაშვილისა და სხ. გვერდებსა და გვერდებს შუა ჩართულია სხვადასხვა ოდენობის ტექსტები, რომლებიც გამოცემის დროს, უნდა ვიფიქროთ, შენიშვნების სახით იქნებოდნენ მოთავსებული სხოლიოში. ასეთებია: 2—3 გვერდებს შუა თეიმურაზ II-ის ასულის ქეთევანის შესახებ 1 ფურც.; 8—9 გვერდებს შუა ანტონი კათალიკოზის შესახებ 2 ფ.+3 ფ. ამოღებული „მნათობი“-დან (წერილი ს. გამრეკელისა—ისტორიული მასალები, გვ. 52—55); 12—13 გვერდებს შუა განჩინება 1765 წლის საეკლესიო კრებისა 4 გვერდი; 16—17 გვერდებს შუა განჩინება ანტონი კათალიკოზისა 1769 წ. ზაქარია გაბაშვილის შესახებ 5 ფურც.; 120—121 გვ. შუა სია იმ ქართველთა, რომელნიც დაესწრნენ ნაპოლეონის ომს 1 ფ. დანარჩენში, მკირედ ცვლილებებსა და ხშირ შეცდომებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, ტექსტი იმეორებს ხელნაწერს H25-ს; ხოლო ვინაიდან H25 აეტოგრაფია, H26 კი მე-19 ს-ის მეორე ნახევარში

გადაწერილი პირი, თანაც ერთგვარად დამუშავებული, ამიტომ ეს უკანასკნელი ჩვენთვის ამჟამად სრულიად გამოსადეგი არ არის.

სადავდივარ ხელნაწერ H25-ზე. ეს ის ხელნაწერია, რომელიც მ. ჯანაშვილმა გამოსცა 1905 წ. სათაურით „მასალები საქართველოს ისტორიისა ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მისი ძმებისა“. განსვენებული მკვლევარი თავის მოკლე წინასიტყვაობაში აღნიშნავს, რომ ხელნაწერი ეკუთვნის დავით ბატონიშვილს და მის ძმებსო. ამ ძმებიდან შემდეგ მხოლოდ ბაგრატის სახელი ირკვევა. გამომცემელს არა აქვს გამორკვეული თუ, სახელდობრ, რა ეკუთვნის დავითს და რა ბაგრატს ან სხვა ძმებს. ხელნაწერი მთლად არ ყოფილა დაბეჭდილი. ამავე წინასიტყვაობაში მ. ჯანაშვილი ამბობს: „უმეტესი ნაწილი ამ აღწერილობათა (სახეში აქვს სასწაულების აღწერა) ხელნაწერის მკითხველს წაუხაზია, და ჩვენც აღარ დაბეჭდეთ.“

ხელნაწერი H25 დიდი ტანისაა, სულ შეიცავს 304 გვერდს, და დაწერილია ორი ფერის ქაღალდზე: თეთრზე 2—225 გვ. და ლურჯზე 226—304 გვ. ზომა თეთრი ქაღალდის 2—99 გვერდებისა 34×20 სმ, 100—225 გვ-სა 34×21 სმ, ლურჯისა 34×21 სმ. კვირნიშანი თეთრი ქაღალდისა 2—99 გვ. ერთ ფურცელზე Pro patria (იხ. ზევით გვ. III), მეორეზე AO 1817: 99—159 გვ. ერთ ფურცელზე ორთავა არწივი წრეში, ხოლო მეორეზე Я М Ф; 160—225 გვ. ერთს ფურცელზე Pro patria, მეორეზე AO 1818; ლურჯი ქაღალდისა ორთავა არწივი წრეში ერთს ფურცელზე, ხოლო მეორეზე Я М Ф.

ხელნაწერს არა აქვს არაერთი წინასიტყვაობა. პირველი ფურცელი აღრიცხულია ციფრი 2-ით. ამ ფურცლის ზედა აშიაზე სწერია: „ნანდვილ ისტორია ესე აღწერილი მეფის გიორგის პირმშოს ძისაგან დავითის მიერ. ისტორია ესე ახლად შეძინებული ქართლის ცხოვრებისადა“. ეს ტექსტი, როგორც ჩანს, თავდაპირველად არ უნდა ყოფილიყო დაწერილი, არამედ შემდეგ დაუწერიათ ფურცლის ზედა კიდეზე, უსწორმასწოროდ, თანაც უკანასკნელი ორი სიტყვა არ დატეულა სტრიქონზე და გვერდიდან არის მიწერილი. ხელი ამ ტექსტისა წააგავს ხელნაწერის ხელს. ამას მოსდევს ცოტა ქვევით სათაური: - „მოთხრობა ახალი“. ტექსტი დაწერილია ფურცლის მთელ სიგანეზე, ირგვლივ დატოვებულია ჩვეულებრივი ზომის 3—5 სმ აშეები. აშეები ხელნაწერის დასაწყისში თითქმის სუფთაა, შემდეგ და შემდეგ კი ჩნდება მინაწერები. არის ისეთი ფურცლები, რომლებიც ირგვლივ თითქმის მთლად გავსებულია მინაწერებით. ასეთებია, მაგ.: r და v 42.

r და v 43, r 49, v 62 და სხ. ხელნაწერის ზოგიერთ გვერდზე მოცემულია სხვადასხვა ასტრონომიულ მოვლენის ამსახველი ნახატები, მაგ., კომეტისა, მზის დაბნელებისა და სხ. ასეთებია: r 15, r 97, r 98, v 100, r და v 101, v 103, r 104 და სხ. ხელი ხელნაწერისა ერთია თავიდან ბოლომდე. გამონაკლისს შეადგენს ორიოდე ჩანაწერი ბოლოში, რომლებიც სხვა ხელით არის შესრულებული. ასეთებია ჩანაწერი 1837 და 1840 წლებისა. ტექსტი დაყოფილია 70 პარაგრაფად¹. ამ პარაგრაფის შემდეგ ტექსტი პარაგრაფებად დაყოფილი აღარ არის.

ხელნაწერის AN^o 1766-ის განხილვისას ჩვენ შევჩერდით წინა სამ ფურცელზე და ავღნიშნეთ, რომ ისინი არ ეკუთვნის იმ ხელნაწერს, რომელშიც ამჟამად არიან შეტანილი. H25-ის შესწავლამ და მის ქალაღზე დაკვირვებამ გამოაშკარავა, რომ მოხსენებული სამი ფურცელი სწორედ ამ ხელნაწერს უნდა ეკუთვნოდეს. მართლაც:

ჯერ ლურჯ ქალაღზე მოთავსებული ტექსტის შესახებ. როგორც ნათქვამი იყო, H25-ს ქალაღი ორგვარია—ლურჯი და თეთრი. ლურჯს აქვს კვირნიშნად ორთავა არწივი წრეში და ასოები Я М Ф. სწორედ ასეთივეა ის ორი ფურცელი, რომლებზედაც მოთავსებულია ციმბირში გაგზავნილთა სია და რომლებიც ჩაყრებულია № 1766 ხელნაწერის თავში. ამ გარეგან ნიშანზე მნიშვნელოვანია შინაგანი: H25-ის 163 გვერდზე 67 პარაგრაფის ბოლოში დასმულია 'მენიშვნის ნიშანი და ამავე ნიშნით გვერდის ქვედა აშიაზე სწერია: „ვინც თავადნი ალექსანდრესთან მყოფნი დაიკარგნენ ციბირს ანუ აზნაურნი, მათი სახელი ზემოთ თავის ფურცელში იხილე“². ამ ხელნაწერში კი არც თავში და არც სხვაგან სადმე ამჟამად ეს სია არ არის. ამავე დროს № 1766-ში ჩაყრებულს ორ ლურჯ ფურცელს თავში აღნიშნული აქვს: „163: ამ ფურცელში უნდა ჩაიწეროს ვინც დაიკარგნენ...“ და სხ. (აქვე, გვ. V) და შემდეგ მოსდევს ციმბირს დაკარგულთა სია.

მგონი ეს ნიშნები საეგებით საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ H25-ის კუთვნილი ორი ფურცელი შეცდომით მოხვედრილა № 1766-ში.

¹ ავტორი ითვლის შეცდომით 75 პარაგრაფს იმის გამო, რომ 39 პარაგრაფის შემდეგ ათავსებს 45-ს და ასე მისდევს ბოლომდე. ² 164 გვერდის შემდეგ ავტორი შეცდომით აღრიცხავს გვერდს 147-ით (ნაცვლად 165-სა) და ასე მისდევს ბოლომდე. ამგვარად ხელნაწერში ორჯერ გამეორებულია გვერდები 147—164. ეს მინაწერი აქვს მეორე 163 გვერდს (=სწორად აღრიცხულს 182-ს).

რჩება კიდევ ერთი თეთრი ფურცელი ზედ მოთავსებული წინასიტყვაობით, რომელიც ბაგრატის მიერ არის შესრულებული. ამ ფურცლის ქალაქის ქვირნიშანია AO1817, მეორე ნახევარი წარმოდგენილი არ არის, მაგრამ H25-ის ქალაქის (2—99 გვ.) ანალოგიით აქაც Pro patria-ა მოსალოდნელი. ეს ფურცელი აღრიცხულია ციფრი 1-ით, ხოლო ხელნაწ. H25-ის პირველი ფურცელი აღრიცხულია ციფრი 2-ით. მოხსენებულ ფურცელზე მოთავსებული ტექსტი წარმოადგენს ბაგრატის ხელით დაწერილს წინასიტყვაობას. ამ ხელს სავსებით უდგება H25-ის ხელი. ყველა ამის შემდეგ ბუნებრივია დავასკვნათ, რომ ეს ფურცელიც ამავე H25-ის კუთვნილებაა და შემთხვევით მოხვედრილა № 1766-ში. საფიქრებელია, ეს უნდა მომხდარიყო ყდის გაკეთებისას. თვით ყდა ორივე ამ ხელნაწერს სავსებით ერთგვარი აქვთ. ალბათ, ეს ორი ხელნაწერი ერთსა და იმავე ბიბლიოთეკაში იქნებოდა, და ერთი ხელნაწერის რამდენიმე ამოვარდნილი ფურცელი, ხელის იგივეობის გამო, მეორეში მოუთავსებიათ.

1934 წლის ეურნალ „მნათობი“-ს №№ 7-8 (გვ. 342—347) მოთავსებულია ალ. ბარამიძის წერილი: „ლევან ასათიანი: ვოლტერ-რიანობა საქართველოში“. ამ წერილში ალ. ბარამიძე ჩერდება ჩვენთვის ამჟამად საინტერესო საკითხზედაც, სახელდობრ, დავ. ბატონიშვილის საისტორიო ხასიათის ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე, და ეხება სწორედ იმ ხელნაწერებს, რომლებზედაც ჩვენ ახლა გვაქვს საუბარი — ANe 1766 და H25-ს. პირველ მათგანს პატივცემული ავტორი სამართლიანად მიაწერს დავით და ბაგრატ ბატონიშვილებს¹. ასე იოლად არ წყდება საკითხი H25-ის შესახებ. ლ. ასათიანის წიგნიდან ალ. ბარამიძეს მოჰყავს შემდეგი ადგილი: „პროფ. კ. კეკელიძის აზრით იგი (ე. ი. მ. ჯანაშვილის მიერ გამოცემული „მასალები...“ და სხ., იგივე H25) დავითს... არ უნდა ეკუთვნოდეს, ვინაიდან „დავითი იყო ურწმუნო კაცი, ვოლტერიანელი, წიგნი კი სავსეა სასწაულებით და რელიგიური ელემენტით“. ალ. ბარამიძე შემცდარად აცხადებს ამ აზრს და ამტკიცებს: „დავითი უდავოდ საიტორიო მასალების (იგივე ხელნაწერი H25) შეკრების ინიციატორია და პირადად მის კალამს ეკუთვნის ამ მასალის მომეტებული ნაწილი“-ო (გვ. 345).

¹ ესარგებლობ შემთხვევით, რათა შევასწორო მცირე შეცდომა: ალ. ბარამიძეს წაუეკოზავს დავითის წინასიტყვაობის დასაწყისში: „ესე ქართლის ისტორია ახალი დაწერილი არს ან გაკეთებულ...“ ხაზგასმული სიტყვის ნაცვლად დედანში მოცემულია „და“.

(ხელნაწერ H25-ის კუთვნილი პირველი ფურცლის და მასზე მოთავსებული ბაგრატის წინასიტყვაობის აღმოჩენის შემდეგ, ვფიქრობ, ექვი აღარ უნდა არსებობდეს იმაში, რომ ამ „მასალების შეკრების ინიციატორი“ და ნაწილობრივ ავტორიც ბაგრატ ბატონიშვილია და არა დავითი.)

(რა ურთიერთობა არსებობს შინაარსის თვალსაზრისით ამ სამს—ე. ი. № 1756-ში მოთავსებულს და დავითისა და ბაგრატის და H25-ში მოთავსებულს ბაგრატის—მოთხრობას შორის?) №1766-ში მოთავსებული (ორი ისტორიული მოთხრობის შედარებამ გამოარკვია, რომ მათ შორის ურთიერთი ზეგავლენა არ არსებობს.)

(გავსინჯოთ ახლა ამ მოთხრობების და H25-ში მოთავსებული მოთხრობის ურთიერთობა.) ავიღოთ პირველად H25-ის „მოთხრობა ახალი“ და № 1766-ის ბაგრატის „ახალი მოთხრობა“. წარმოებულმა შედარებამ გამოარკვია:

1) ქრონოლოგიური ფარგლები: H25 იწყებს 1744 წლით და ათავებს 1839 წლით. №1766 ბაგრატის ისტორია იწყება 1753 წლით და თავდება 1824 წლით.) ამგვარად, H25 შეიცავს 24 წლის ამბებით მეტს № 1766-ზე. მაგრამ, მიუხედავად ამისა, H25-ში წარმოდგენილი არ არის მთელი რიგი წლები, რომლებიც მოხსენებულია № 1766-ში, ასეთებია, მაგ., წლები 1753, 1754, 1755 § 3 და სხ. მეორე მხრივ №1766-საც აკლია, მაგ., 1756, 1757, 1759 წლ. და სხ.

2) (ორივე ხელნაწერში წარმოდგენილი მასალა თითქმის ერთგვარია შინაარსის თვალსაზრისით, მაგრამ დამუშავება ამ მასალისა და მოთხრობა ორნაირადაა მოცემული: დასაწყისში ეს ორი ხელნაწერი სხვადასხვანაირად მოგვითხრობს ერთსა და იმავე ამბავს. ზოგიერთ შემთხვევაში განსხვავება არსებითიცაა, მაგრამ დაახლოვებით 1812 წლიდან მოყოლებული ხელნაწერები უფრო და უფრო უახლოვდებიან ერთმანეთს, ზოგჯერ მთლად ერთნაირად აქვთ ესა თუ ის ამბავი მოთხრობილი. ფაქტები, ორივე ხელნაწერში ქრონოლოგიურად ხვდებიან ერთმანეთს.) არის რამდენიმე შემთხვევა ამ საერთო წესის დარღვევისა. მაგ., რაქის ერისთავის როსტომის დასჯა №1766-ით მომხდარა 1768 წ., H25-ით კი 1772 წ.; ანტონი კათალიკოზის სიკვდილი №1766-ით—1790 წ., H25-ით 1788 წ.; შის დაბნელება ამაღლება დღეს №1766-ით—1791 წ., H25-ით 1789 წ.; ხრესილის ომი №1766-ით—1768 წ., H25-ით 1772 წ.

H25-ს შედარება № 1766-ში მოთავსებული დავით ბატონი-შვილეს ისტორიასთან იძლევა სხვა სურათს.

1. ქრონოლოგიური ფარგლები: ორივე იწყება 1744 წლის ამბებში და 1812 წლის ამბებამდე მიმდინარეობს პარალელურად. 1812 წლის ამბებზე დავითის ისტორია წყდება.

2. შინაარსის და მასალის მხრივ ამ ორი მოთხრობის ურთიერთობა უფრო საგულისხმოა. მათ შორის ხშირ შემთხვევაში მკიდრო და არსებითი კავშირია. ზოგიერთი ადგილი სიტყვა-სიტყვით უდგება ერთი მეორეს ასეთებია, მაგ.: § 1 H25-ისა და 1r № 1766-ისა¹; § 8—r 5, v 5; § 13—r 8, v 8; § 14—v 8; § 17—r 10—r 11; § 18—r 11; § 19—r 11, v 11 და სხ. არის მთელი რიგი პარაგრაფები H25-ში, რომლებშიც რამდენიმე აბზაცი იდენტიურია № 1766-ის დავითის ისტორიის შესატყვისი ადგილებისა, სხვა აბზაცები კი ან სულ არ არის ამ უკანასკნელში, ან განსხვავებულადაა წარმოდგენილი. ასეთებია, მაგ., § 26—r 19—r 21; § 28—r 22; § 40—v 34, r 35 და სხ. მომეტებულ შემთხვევებში H25-ის თხრობა უფრო ვრცელია № 1766-ზე, იგი ბევრად უფრო მეტ მასალას შეიცავს.

ამ მოკლე მიმოხილვის შემდგომ შესაძლებელია მოხსენებული სამი მოთხრობის ურთიერთობის შესახებ შემდეგი დასკვნის გამოტანა. № 1766-ში მოთავსებული ორი მოთხრობა ერთი მეორისაგან დამოუკიდებელი არიან. მათ შორის მსგავსება არ არის.

H25-ს აქვს ორივე ამ მოთხრობასთან კავშირი. დავით ბატონიშვილის ისტორია (რომელიც წყდება 1812 წლის ამბებზე) H25-ის შემდგენელს მაქსიმალურად გამოუყენებია: მართალია, იგი სარგებლობს სხვა წყაროებითაც, მაგრამ, დასაწყისში მაინც, მისი სახელმძღვანელო გეზის მიმცემი დაე. ბატონიშვილის ისტორიაა. H25 მისდევს მისი თხრობის წესრიგს კარგა მანძილზე უმეტეს შემთხვევაში უცვლელად, შემოაქვს იქიდან თავის ფურცლებზე მთელი აბზაცები და ზოგჯერ პარაგრაფებიც.

1812 წლის ამბებიდან მოყოლებული H25 უახლოვდება ბაგრატ ბატონიშვილის ისტორიას.

ამგვარად H25 ქრონოლოგიურად ყველაზე უფრო გვიანაა შედგენილი. იგი ემყარება № 1766-ის ორივე ნაწილს და სარგებლობს ამათ გარდა სხვა წყაროებითაც.

¹ ვინაიდან დავით ბატონიშვილის ისტორია პარაგრაფებად დაყოფილი არ არის, აქ მოცემულია დენის გვერდები.

დავით ბატონიშვილის ისტორია, როგორც ჩანს, გავრცელებული ყოფილა პირების სახით. ერთი ასეთი პირი უნდა იყოს შეტანილი საქ. მუზეუმის ხელნაწერ S3860-ში. ეს ხელნაწერი შეიცავს ვახუშტის ისტორია-გეოგრაფიას ჩვეულებრივი გაგრძელებებით. ამას წინ უძღვის 29 გვერდზე მოთავსებული სხვადასხვა შინაარსის და ოდენობის ისტორიული ხასიათის ტექსტები, ამოღებული კლასიკოსთა ნაწარმოებებიდან. ეს ტექსტები შესრულებულია სხვადასხვა ხელით და, როგორც მათი სათაურებიდან ირკვევა, განკუთვნილი ყოფილან „ქართლის ცხოვრების“ შესატყვის ადგილებში შესატანად. ხელნაწერი ჰკუთნებია თეიმურაზ ბატონიშვილს. დასაწყის ფურცელზე სწერია: „ეს ქართლის ცხოვრება თან მქონდა გერმანიაში რომ წაველ, წელსა 1836-სა, მეფის ძე თეიმურაზ“. თეიმურაზის ხელით დაწერილი ტექსტები და მისი ხელწერა ხელნაწერის სხვა ადგილებშიაც მოიპოვება.

დავით ბატონიშვილის ისტორია ამ ხელნაწერში მოთავსებულია 498—567 გვერდებზე. შემდეგ 577 გვერდამდე ამას მოსდევს გაგრძელება ისტორიული თხრობისა 1818 წლამდე. ამ ხელნაწერიდან უნდა იყვეს დაბეჭდილი დ. ჩუბინაშვილის მიერ „შედეგი კახეთის ცხოვრებისა“ (იხ. ქართლის ცხოვრება, ტ. II, 1854 წ., სანკტ-პეტერბურგი. გვ. 501—516) მიყვანილი 1800 წლამდე.

S3860-ში მოთავსებული დავით ბატონიშვილის ისტორია საერთოდ მისდევს. №1766-ში წარმოდგენილ ტექსტს, მაგრამ აქედან არ არის გადაწერილი. ამაზე მიგვითითებს ის გარემოება, რომ მათ შორის სრული იდენტიურობა არ არსებობს. S3860-ს, №1766-თან შედარებით, ზოგიერთ ადგილას დამატებული აქვს ან აკლია რამდენიმე სიტყვა ან წინადადება. ამ სხვაობათა შორის არის ისეთებიც, რომლებთაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭებათ და რომლებიც საშუალებას იძლევიან დავით ბატონიშვილის ისტორიის შესახებ იმ სახით, როგორც იგი მოთავსებულია №1766-ში, ზოგიერთ მოსაზრებათა გამოთქმისათვის.

შევეხოთ ჯერ თარიღების საკითხს. №1766-ში მოცემულია თარიღები ხშირ შემთხვევაში ორნაირი სახით—ქრისტესით და ქართული ქორონიკონით. მომეტებულ ნაწილში ორივე ეს თარიღი ეთანხმება ერთი მეორეს, მაგრამ არის რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ეს შეთანხმება ირღვევა. ასეთებია:

1.	წელი	1748	ქკ	ულგ.	უნდა	იყოს	ულგ	გვ.	r	5
2.	"	1751	"	უმბ.	"	"	ულთ	"	r	8
3.	"	1755	"	უმე.	"	"	უმგ	"	v	8
4.	"	1757	"	უმზ.	"	"	უმე	"	v	9
5.	"	1758	"	უმც.	"	"	უმვ	"	r	11
6.	"	1759	"	უმთ.	"	"	უმზ	"	r	11
7.	"	1760	"	უმთ.	"	"	უმც	"	v	11
8.	"	1767	"	უნგ.	"	"	უნე	"	r	13

მოცემულ რვა შემთხვევაში S3860 ექვს თარიღს, სახელდობრ 1, 4, 5, 6, 7, 8, იძლევა სწორად; ერთი თარიღი, სახელდობრ 3, აქაც მცდარია, მაგრამ ეს შეცდომა არ იმეორებს დავ. ბატონი-შვილის მოთხრობაში მოცემულ შეცდომას¹, და მხოლოდ ერთი შეცდომა, სახელდობრ 2, გამეორებულია აქაც.

ვინაიდან დავითის ისტორია № 1766-ში ავტოგრაფი არ არის, შესაძლებელია ეს შეცდომები თარიღებში მომდინარეობდეს გადამწერისაგან. S3860 რომ ამ ხელნაწერიდან ყოფილიყო გადამწერილი, მასში ყველა ზემოთმოყვანილ შეცდომებსაც ექნებოდა ადგილი.

მეორე ადგილი, რომელიც აგრეთვე მიგვიჩივებს იმაზე, რომ დავითის ისტორია № 1766-ში ხელშეხებულია გადამწერის მიერ, მოთავსებულია ხელნაწერის r 57 გვერდზე. შემდგომ სიტყვებისა: „...ბრძანა ფაშამან განტენა მათ თავთა ბზითა და წარუგზავნა სულთანს“. გადამწერს ჯერ დაუწერია: „და წელსა 1812“, შემდეგ ეს სიტყვები წაუშლია—გადაუხაზავს და მოუთავსებია შემდეგი ტექსტი: „ტორმასოვმან ძლევათათვის (უნდა იყოს—ძლევა თვისი) თურქთაგან მიაწერა კირსა. და შემდგომად ტორმასოვისა სხვათა. მიიღეს თქმაობა ესე ნანდვილად, რომელ ჩვეულებითი საოფლე, რომელიცა არს ჩუენსა ქვეყანასა და რომელიცა იყო, არს და იქნების შერაცხეს ნანდვილად მომსვრელ სენად“. ამის შემდეგ გადამწერს კვლავ დაუწერია „და წელსა 1812“ და განუგრძვია თხრობა. ზემოთმოყვანილი ცნობა მომსვრელი სენის შესახებ S3860-ში ტექსტში არ არის, არამედ მოთავსებულია ამაზე, ისიც შესრულებულია არა ტექსტის ხელით. საფიქრებელია ამისდა მიხედვით, რომ ეს ადგილიც დავით ბატონიშვილის დედანში არ იქნებოდა და შემდეგი დროის დანართს წარმოადგენს.

¹ S3860 იძლევა 1753 წლის (1755 წ. ნაცვლად) პარალელურად ქორთ ნიკონს: უმგ.; ამ წელს კი შეფარდება ქკნი: უმა.

მაგრამ უცელაზე მკერმეტყველურია მუხამე მაგალითი.

ასწერს რა გიორგი XII-ის სიკვდილის შემდგომ ამბებს, ავტორი მოგვითხრობს დავით ბატონიშვილის რეგენტად დანიშვნის შესახებ და ახასიათებს მას შემდეგი სიტყვებით: „იყო ესე აღზრდილი მეცნიერებასა შინა, კინაითგან უწყოდა მან ვითარცა კანონი სამოქალაქოდ და სამხედრო აზიისა, ეგრევე ევროპისაცა“ (გვ. v 37). ეს ადგილი ორივე ხელნაწერში აქამდე ერთნაირადაა მოცემული. ამის შემდეგ S3860-ში ვკითხულობთ: „ამან ანიჭა კვალად ძეთა ქსნის ერისთვისათა მამულივე მათი სრულიად, მიღებული მეფისა ირაკლისაგან, ერთგულებისა გამო მათისა“.

№ 1766-ში შემდგომად სიტყვისა „ევროპისაცა“ გადამწერს თუ რედაქტორს აგრეთვე დაუწერია „ამან ანიჭნა“, მაგრამ შემდეგ ეს სიტყვები წაუშლია—გადაუხაზია და მოუთავსებია ასეთი ტექსტი: „გარნა ვინაითგან იყო ესე დავით ფრიად დედათა მოყვარე, ესე შეატუნა თანააღზდილმან მისთანა მთავარ-დიაკონმან ეგნატემ ონისიმეს ძემან, მარტყოფელმან, რომელიცა იყო ფრიად ფილასოფოს და ესწავათ ერთადცა ამას და დავითსა, რომელიცა იყო ფრიად მისანდო მისი. ამან მოიბირა და შეაუღლა ქალსა სომხისა მოქალაქისასა ალა ტერსიმონაშვილის ასულსა ზედა ელენეს. რომლისა გამო გულნაკლულ იქმნენ ვითარცა ძმანი ეგრეთვე ჩინებულნიცა ქართველთანი. და მხედველი ამისი დავით იქმნა მცირე რაი მწუხარებისა გამო ცნობავენებულ. ამან მიულო ქსანი ძმასა თვისსა ივანეს და ბაგრატს, და ლიახვი და გვერდის-ძირი ბიძასა თვისსა იულონს და მიცა კვალად ქსნის ერისთვიანთა, რომელიცა აქენდათ გამორთმეული ორმეოცსა წელსა მეფისა ირაკლისაგან, ერგულებისა გამო მათისა“ (გვ. I 38—v 38). შემდეგ ორივე ხელნაწერი ერთგვარადაა გაგრძელებული.

მოყვანილი ვრცელი ამონაწერი, ყოველივე ექვს გარეშეა, არ ეკუთვნის დავით ბატონიშვილს, არამედ გადამწერ-რედაქტორს, საფიქრებელია, ბაგრატ ბატონიშვილს. აქ ჩვენ, რასაკვირველია, გვაქვს დავითის საქციელით გამოწვეული გაკიცხვისა და გულისწყრომის გამოთქმა და არა „თვითკრიტიკა“ დავითისა, რომელიც აღიარებს და ინანიებს თავის მიერ ჩადენილ შეცდომას, როგორც ეს ჰგონია ალ. ბარამიძეს¹.

¹ Op. cit. გვ. 345.

ახალი ისტორია *

ხოლო წელსა 1744 (ქართულს ხუთასიანსა) ქკს: ულბ: r 1
ჟამსა ამას იქმნა ესრეთი განსაცდელი, რომელ არასადა შემთ-
ხეულ არს ესევეთარი მით¹, რამეთუ ყოველთა შორის უბო-
როტესმან თაზიშვილმან ტარიელ მოკლა კათალიკოზი ხანჯ-
ლითა ნიკოლაოზ ხერხეულიძე², და იგი გალტოლვილი განიტ-
ვინა ქვემო სატიოისა რიყესა ზედა, და ნაცვლად მისსა ჰყვეს
კათალიკოზად ანტონი მეფის იესეს ძე³.

ხოლო წელსა 1745, ქკს ულგ⁴, განძვინდა გული⁵ ნადი-
რისა ყოველსა სპარსეთსა ზა და წარსწერა არბაბი⁶. წელსა
ამას დასდებდენ ქართუელნი ეპოხად ანუ ქორონიკონად, რო-
ძელსაცა უწოდებენ⁷ არბაბობის წელად. ხუვედრსა ამას ქართ-
ველთაცა შეხვდათ ორმოცდა ათი ათასი თუმანი, რომლისა v 1
გამო მიეცნენ ერნი კმუნეასა და დაიწყეს განბნევედ უცხოთა
ქუეყანათა. მხილველი ამისი მეფე თეიმურაზ წარვიდა იძულე-
ბული წინაშე ყაენისა, რათა განარინოს სამეფო თვისი ესე
ვითარისა სიმძიმისაგან. და ოდეს მიიწვია თავრიზს, მუნ სცნა
სიკვდილი ნადირისა, რომელიცა მოიკლა მაჰმადხან ყაჯარისა⁸,
მუსა ბეგ იარილელისა და ყოჯა ბეგ გუნდუზელისაგან ბირე-

* ტექსტის დასაწყისში დასმულია წითლით შენიშვნის ნიშანი, ხოლო ამავე
ნიშნით კიდევ, ტექსტისავე ხელით მიწერილია: ეს აქ უნდა მოებას ქართლის
ისტორიასა, სადაცა წერილ არს: „ბოლოს მისცაო შაჰ ნადირ ქართლი თეიმურა-
ზს და კახეთი ძესა მისსა ირაკლის. მერმე მოვიდა თეიმურაზ ტფილისსა
ქრისტეს აქეთ წელსა 1744“.

¹ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: რომელ. ² ეს სიტყვა ტექსტისავე ხელით
სწერია კიდევ გამოტოვების ნიშნით. ³ ამ სიტყვის შემდეგ განსხვავებული ხე-
ლით კიდევ მიწერილია: რომელიცა იყო ესე მეფის თეიმურაზის დისწული, და
იყო ესე ანტონი ქუთათლად იმერეთსა შინა. ⁴ ქორონიკონი სწერია კიდევ
ტექსტისავე ხელით, გამოტოვ. ნიშნით. ⁵ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: ნატ.
⁶ ამ სიტყვების გასწვრივ კიდევ განსხვავებული ხელით მიწერილია: მიხეხი-
სათვის ამისსა, ვინათგან ნადირმან აღმოხადნა თვალნი უპირველესსა შემკვიდ-
რესა თვსსა რიზა ყულის უბრალოს შესმენითა. ⁷ ამ სიტყვაში ონის შემდეგ
წაშლილია ოთხი-ხუთი ასო და ზემოდან აწერია: დებენ. ⁸ ამ სიტყვის შემდეგ
განსხვავებული ხელით კიდევ მიწერილია: ერვენელისათა და.

1. ახალი ისტორია.

- ბითა ძმისწულისა მისისა ალი ყული ხანისათა, რომელსაცა შეხედ-
და არბაბსა ამას ურიცხვი ჯურუმში. და იქმნა ალი ყული ხან ყე-
ნად, რომელსაცა უწოდეს ადილ-შაჰად. მაშინ თეიმურაზ მეფე
I 2 არლარა მოიქცა ტფილისს, არამედ წარვიდა წინაშე ყაენისა,
ვინაფთვან იყო სიძე მისი¹. ჟამსა მას ორგულ | ექმნა ადილ-შაჰს ძმა
თვისი იბრაიმ ხანი, რომელიც იყო ბეგლარ-ბეგი ისპანისა. ამან
მოკლა ზოჰრაბ-ხან სააკაძე, ვეზირი ადილ-შაჰისი. ხოლო ესე
იქმნა დასაბამი სიძულელისა ძმათა შორის. მოვიდა ესე ადრი-
ბეჟანსა და მიუწოდა თვისთანა ამირ-ასლან-ხანსა, რომელიცა
იყო ესე დადრგენილ ბეგლარ-ბეგად ნადირისაგან² ადრი-
ბეჟანსა შინა. ესე მივიდა მისთანა. სცნა რა ესე, ადილ-შაჰი,
მოვიდა³ ზანგანს, იკვეთნენ მუნ, იძლივა ადილ-შაჰი. უკანასკ-
ნელ შეიპყრეს, და აღმოხადა⁴ თუალნი იბრეიმ-ხანმან. ხოლო
დაუტევა მუნ ამირ ასლან-ხან განმგედ და თვით წარვიდა
ჰამადანს. ჰსცნეს რა ხორასნელთა, მაშინ გამოიყვანეს ციხით
V 2 შარუხმირზა, ძეი რიზა-ყული მირზასი და ძის ძეი ნადირისა,
რომელიცა ჰყვა⁵ პყრობილად მაშინ ადილ-შაჰს, შემდგომად
მოწყვედისა ძეთა ნადირისათა, რომელიცა მოჰსწყვიტნა მან
და დასვა ესე განძრახებითა ამით, უკეთუ სერანელთა არა
ინებონ მონებად ადილ-შაჰსა და მოითხოვონ მეფედ ძევე ნა-
დირისა, მაშინ გამოიყვანოს ესე და დაცხროს ამით რუდუ-
ნი ერთა ამათ.
- ჟამსა ამას მოვიდა ყილიჯი ალი-ხან განჯით მხედრები-
თა. ესე ალი-ხან⁶, რომელიცა პირველ იმყოფებოდა ტფილის-
სა ხანად. მოიყვანა ამან საამ ვინმე, რომელსაცა უწოდდა სე-
ფაბიათა შთამამავლობათაგან, და შეუგზავნა კაცი მოსრულმან
კუმისს მეფესა ირაკლის, რათა ემონოს, და წარუგზავნა და-
I 3 ბეჰდილი | თეთრიცა სახელსა ზედა⁷ საამისასა. გარნა იძლია
რა მეფისაგან, მსწრაფლ უკუნ იქცა.—ჟამსა ამას ორგულ ექმნა
იბრეიმ-ხანს ამირ-ასლან-ხან, მოვიდა და მოადგა შუშის. ხოლო

¹ ამ სიტყვის შემდეგ განსხვავებული ხელით ტექსტში ჩამატებულია: და ჰყვანდა ქალი მისი ქეთევან ცოლად. ² ამ სიტყვის გასწვრივ კიდევ ტექსტისავე ხელით განმეორებულია „დადრგენილი“. ³ ეს სიტყვა გამეორებულია. ⁴ თავდაპირველად დაწერილი ყოფილა „აღმოხადეს“. შემდეგ „ეს“ წაშლიათ და ზემოდან ტექსტისავე ხელით დაუწერიათ „ა“. ⁵ ეს სიტყვა ტექსტში წაშლილია და ზემოდან სხვა ხელით დაწერილია „იყო“. ⁶ ამ სიტყვის შემდეგ სხვა ხელით ჩამატებულია „იყო“. ⁷ ამ სიტყვის შემდეგ ტექსტში წაშლილია სიტყვა „მისსა“.

ციხეცა ტფილისისა¹ ქალაქისა განამაგრა ღურა-ხან ბეგმან ყაზახელმან¹, რომელიცა იყო დადრგენილი სპარსთაგან მცველად, და ციხესა ამას შეერთდენ ციხელნი თათარნიცა². ჰსცნა რა ესე აბდულა-ბეგმან, ძემან მეფისა იესესმან, რომელიცა ჟამსა მას დადრგენილ იყო განმგედ ბარათიანთა ზედა მეფის თეიმურაზისაგან, ესე ორგულ ექმნა მეფესა ირაკლის და სთხოვა ამირ-ასლან-ხანს მხედრობაჲ; ხოლო მანცა წარმოუგზავნა. მაშინ მოვიდა სოლოლაქსა ზედა უეცრად. განვიდა მეფე ირაკლი მცირედითა | მხედრობითა, ვინაჲთგან მაშინ მცირე v 3 ჰყვა მვედრობაჲ. განვიდნენ ერთისა უკუ მჭრითაცა მოქალაქენიცა, რომელთაცა ბრძოლეს ფრიად მჯნედ: იძლიენენ მვედრობანი სპარსთა და ბარათიანთანი ესრეთ, რომელ ერთი იპყრობდა ათსა. ხოლო ერთმან მებაღემანცა შეიპყრა ცხრაჲ ყიზილბაში, და უკუნი იქცნენ სირცხვილეულნი. და შეიქცა მეფე ქალაქად გამარჯვებული.

მაშინ გამოვიდა ლეკი და მოარბვია ავკალა და მარტყოფი და წარვიდა. ხოლო მეფე განვიდა საყინულესათანა წყალსა ტივებითა, ვინაიდგან არა ძალ იღებოდა კარსა ავლაბრისასა განსვლაი, რომელი მტკიცედ აქვნდათ გამაგრებული ციხელებსა. შთავიდა ქიზიყს, შემოიკრიბა მხედრობანი კახთანი, ეწია ლეკთა დანდიქსა და სძლო. ეჰა საკვირველი, r 4 რომელ დევნასა მას ლეკთასა წარმოიქცა ფლატე ივრისა და მოსწყვიტნა უმეტეს სამასისა ლეკნი ცხენითურთ მოტანითა ქვეშე. და სძლო და უკმოქცეული მოვიდა ღამესა მას და დადგა დედოფლის-წყალსა ზედა. ხოლო ლტოლვილნი იგი ლეკნი, მიიწიენენ რა ალაზანსა, მუნ იხილეს ხოჯახ, ლეკი ვინმე, რომელსაცა ჰყვა შეყრილობაჲ ლეკთა და სწადდა გამოსვლაჲ კახთა ზედა. მაშინ შეერთდენ ესენი ღამესა მას და დაეცნენ განთიად თავსა ზედა მეფესა, გარნა იძლიენენ ლეკნი. —მაშინ შემოიკრიბნა მუნ მეფემან მვედრობანი კახთანი სრულიად და გორიდამაც შთამოატანინა ზარბაზანი იგი დიდი, v 4 ბოქორმისად წოდებული, და აღილეს მეტეზი, ხოლო უკანანკნელ თაბორი, და თაბორით იწყეს რა ცემა ზარბაზნთა მათ, შეჭირვებულთა მათ ერთა მოსცეს ციხე მეფესა.—სცნა რა

¹ ეს სიტყვა მიწერილია კიდევ ტექსტისავე ზელით. ² ამ სიტყვაში ტექსტში ზედმეტად არის გამოვარებული მარცვალი „თა“.

იბრეიმ-ხანმან ორგულებად ამირ-ასლან-ხანისა, წარვიდა მას ზედა, სძლო. ძლეული ამირ-ასლან-ხან შეიპყრეს ყარა-დალს და მიიყვანეს იბრეიმ-ხანისა წინაშე, რომელმანცა წარკვეთა თავი. და იწოდა იბრაიმ-ხან ყეენად (ესე იგი იბრეიმშად) და წარვიდა შარუხსა ზედა, სადაცა მხედრობათა მისთა შეიპყრეს იგი გზასა ზედა და მოიყვანეს შარუხისა წინაშე, და მან წარკვეთა მას თავი. ხოლო შარუხსაცა ქურდთა ხაბუშანისათა აღმოჰხადეს თვალნი და ჰყვეს | მათსა შინა კელმწიფედ. და იქმნა ერანსა შინა ფრიადი აღრეულებად. ხოლო მეფე თეიმურაზ მოვიდა წელსა 1748, :ქკს ულვ:—ჟამსა ამას მოადგა მაჰმად-ხან ყაჯარი, ერთი იგი მკვლელთაგანი ნადირისა, ერევანს და ლამოდა დაპყრობასა მისსა. ევედრნენ ერევნელნი მეფესა თეიმურაზს, და წარვიდა ესე მკვდრებითა, ჰსძლო მაჰმად-ხანსა, აღილო ფრიადი ალაფი¹ მათი და განარინა ერევანი მოგვრებისაგან, გარნა მოჯარკე ჰყო მან ერევნელნი და მოვიდა ტფილისს.

ხოლო მოვიდა წელსავე ამას ფანა-ხან შუშისა განჯას და გარემოერტყა. მსმენელი ამისი წარვიდა მაშინ თეიმურაზ ძითურთ თვისით მეფით ირაკლით შველად განჯისა. სცნა ! რა ფანამან მიმავლობა მათი, დაუტევა განჯისა გარმოდგომა და უკუნ იქცა ყარაბაღად. სცნეს რა ესე მეფეთა, შეუდგნენ უკანა მას და შთავიდნენ ყარაბაღს, ეკვეთნენ ყარა-თათად წოდებულსა ადგილსა. მუნ იძლია ფანა-ხან. მიუღეს ზარბაზანნი და თოფხანანი სრულებით; სადაც მხედრობამან ქართველთამან მოარბივეს ვიდრე ხურდა-ფირინის ხიდადმდე და ესე ოდენი იშოვეს ალაფნი, რომელ ცხვარი იყიდებოდა აბაზად, ხოლო ცხენი, კაბეჩი და ძროხა ხუთ აბაზად. და უკუ მოიქცნენ ალაფითა გამარჯვებულნი და მიხმულნი მისნი ზარბაზანნი მოიღეს და დასდევს თელავს და გორის ციხესა შინა და დაწერეს ესე ძლევაჲ მას ზედა.†

ი 6 ხოლო წელსა 1749 ქკს: ულვ: | შეერთდენ მეფენი აჯი-ჩალაბისა, შაჰის ხანის თანა, სადაცა შემოიკრიბეს მკვდრობანი და წარვიდნენ ქარსა ზედა, და რაოდენ ევედრენ ქარელნი მონებასა, არა უსმინა მეფეთა². და მივიდნენ რა ქარსა ზე-

¹ ამ სიტყვის წინ წაშლილია „ხალათი“. ² ტექსტში სწვრია „მეფემან“, შემდეგ „მან“ წაუნლიათ და ზემოდან ტექსტისავე ხელით დაუწვრიათ „თა“.

დან, მაშინ აჯი-ჩალაბიცა შეერთდა ქარელთა და განტეხა ალთქმა თვისი. იძლივნენ მუნ ფრიალ მეფენი, გარნა მეფენი განერნენ მშვიდობით. ხოლო ალაზნისა შინა, ვინაითგან გაუქირდა მეფესა ერეკლეს გამოსვლა, რომელ ქვევითნი იგი ქართველთანი¹, რომელიცა მოაქენდა წყალსა, ეხვეოდნენ ცხენთა განრინებისათვის, მაშინ თავადმან ზებურიშვილმან პაპამ მოსწყვიტნა კაცნი იგი და განიყვანა მეფე მშვიდობით. ხოლო ვინაითგან ნაპირი მდინარისა | ალაზნისა არს ფლატიანი², ამაღ პაპამან მუნ ვერლარა ალიყვანა ცხენი მეფისა და ვირე მოატარებდა შორს, ვირე ქვევითსა მყოფსა მეფესა შემთხვევა ბოსტაშვილი მაჩხანელი და მთართვა ცხენი, და ესრეთ განერა მეფე.

ხოლო წელსა 1749. ამავე წელსა განძლიერდა აზათ-ხან ავღანი სპარსეთსა შინა, წარმოვიდა ერევანსა ზედა. ევედრენ უკუქ ერევნელნი მეფესა თეიმურაზს, რომელმანცა წარუგზავნა ძე თვისი ერეკლე³ შესაწევნელად სამი ათასითა მკედრებითა. მიიწივნენ რა ყირხბულახსა, იგიცა⁴ მოვიდა, რომელსაცა ჰყვანდა უმეტეს ათვრამეტი ათასისა კაცისა. იკვეთნენ მუნ. იძლიეა აზათ-ხან ქართველთაგან, და განარინეს ერევანი და მოიქცნენ გამარჯვებულნი | ფრიალითა ალაფითა ესრეთ, რომელ მრავალთა მოლაშქრეთა იშოვნეს ყათრობით აქლემი და ჯორი.

მაშინ მეფემან თეიმურაზმაც, მდგომმან მარაბდას, სძლო ლექთა, და მოიკლა ბრძოლასა შინა ქალაქის მოურავი თარხნისშვილი იორამ. ხოლო ჟამსა ამას გარდაიცვალა დედოფალი აბაშიძის ზაალის ასული ანნა. და იქორწინა მეფემან ირაკლიმ დადიანის ასულსა ზედა დარიაზე, რომელი ესე იყო მესამე ცოლი მეფისა ირაკლისა. მხილველთა ხანებთა აღრიბეჟანისათა ძლევისათვის აზატ-ხანისა, სთხოვეს მეფესა თეიმურაზს, რათა წარვიდეს მხედრობითა დასაპყრობელად აღრიბეჟანისა და თანა წარიტანოს ესენიცა. თანვმობილი ამას ზედა მეფე თეიმურაზ შთავიდა რა განჯას ძითურთ ირაკლითა, | მაშინ მოვიდა წინაშე

¹ პირველად წერებულა „ქართველნი“. ² ეს სიტყვა ზემოდანა დაწერილი. სტრიქონში აგრეთვე „ფლატიანი“ დაუწერიათ, მაგრამ მეღნით მოუსვრიათ და ამის გამო წაუშლიათ. ³ ტექსტში „ერკლე“. ⁴ ტექსტში „იგცა“.

მეფისა ხანი განჯისა, შუშისა და ყარადაღისა, გარნა ნებითა მეფისა ირაკლისათა შეიპყრეს ხანნი ესე, თუმცადა არა სადა სწაღდა მეფესა თეიმურაზს ესევეთარი უგვანი საქმის¹ კმნაჲ და ვერცა ლა აღუდგა ძესა თვისსა. სცნა რა ესე ძემან აჯრალაბისამან ალა-ქიშიმ, გამოვიდა მტკვარსა, ეკვეთა მეფეთა, რომელთაცა ამხილა ღმერთმან ესევეთარისა უსამართლოებისა კმნაჲ. და დაყარნეს მუნ პყრობილნიცა იგი და ივლტოდნენ, რომელთაცა მიეცათ ფრიადი ნაკლულევანებაჲ. ზოლო იქნა ესე წელსა 1751, ქკს: ულთ: მაშინ ძლევა შემოსილი ალა-ქიში მიიწივა რა სახლად თვისად, შეკრიბნა მუნ მკედრობანი შაქისა, შირვანისა² და ლეკთა და წარმოვიდა წელსავე ამას, ამოვლო განჯა, თანა წამოიყვანა ხანი განჯისა მხედრებითა თვისითა, ამოვლო შამშადინი და ყაზახი და მოვიდა ბაიღარს. სცნა რა ესე მეფემან თეიმურაზ, წარგზავნა ძე თვისი ირაკლი სტეფანწმინდას და მოუწოდა მხედრობასა ჩერქეზთასა. მაშინ მოვიდნენ მკედრობანი³ ჩერქეზთანი. განვიდნენ რა მეფენი ტფილისით, მცნობმან ალა-ქიშიმ იწყო უკუნ ქცევაჲ. მაშინ მეფენი ეწივნენ შამშადინისა შინა, თულქი-თაფად წოდებულსა ადგილსა, იკვეთნენ მუნ, იძლივა ალა-ქიში, რომელსაცა - მიპყენენ კაფითა შანქორამდინ.

ზოლო წელსა 1751, ქკს: უმა: მოვიდა ნურალიბეგ. ავარელი (ესე იგი ხუნძახის ბატონი მუცალი) | ფრიადითა მხედრებითა და მოადგა მკადის-ჯვარს; გარნა ერთმან მოხუცმან დედათავანმან დაუწვა მათ შვიდი საფარი მიტანილი ციხესა ზედა. სძლეს მუნ მეფეთა მათ და მოსწყვიტნეს ფრიადნი⁴ ლეკნი, და სირცხვილეული უკუნ იქცა სახლადვე თვისად.

ზოლო წელსა 1752, ქკს: უმზ: შეიკრიბნა ამანვე⁵ მკედრობანი ლეკთანი და მოადგა ყვარელსა. მაშინ შეაშველეს მეფეთა დაუთალაბად თავადი⁶ ბებურიშვილი პაპა, მდივანი სოლომონ ქობულის ძე, თაყაშვილი. ფარემუზ, რატიშვილი ბეჟან, ნამორაძე ერასტი და სხუანი კეთილშობილნი და გლეხ-

¹ ტექსტში თავდაპირველად დაუწვრიათ „საქმე“, შემდეგ „ე“ წაუშლიათ და ზევიდან წაუწვრიათ „ის“. ² ტექსტში „შირვანისანი“, შემდეგ „ნი“ წაუშლიათ. ³ ტექსტში „მკედრობანი“. ⁴ ტექსტში ორი „ნ“ ყოფილა. ერთი წაშლილია. ⁵ ტექსტში: შეიკრიბნა ამან, მანვე. ⁶ სიტყვა „თავადი“ ტექსტისავე ხელით ხემოდან არის წაწვრილი.

ნი. და განამაგრეს ციხე ესე, და ლეკთა ვინაითგან ვერარა
 ჰყვეს, უკუნ იქცნენ სირცხვილეულნი. ხოლო წელსა 1755,
 ქკს: უმე: ¹ იქმნა კათალიკოზი ანტონი, | ძმე მეფისა იესესი, r 9
 შეცთომილ და მიიღო სარწმუნოება კათოლიკისა, რომელიცა
 განძებულ იქმნა მეფის თეიმურაზის მიერ რუსეთად; და მიი-
 წია რა იგი რუსეთად, მუნ უწყალობა ელისაბედ პეტროვნამ
 არხიეპისკოპოზობაჲ ვლადიმერისა.

შამსა ამას მოვიდნენ ლეკნი შთამოსრულნი მითთ და
 მოაოხრეს რუის პირი, გარდავლეს გობორი და შთამლენი
 მიიწიენენ დედოფლის-წყალსა. შთასრულთა თოფ-ყარაღაჯსა
 შთაეწიენენ კახნი ქიზიყელითურთ, გარნა იძლიენენ კახნი და
 მოსწყდნენ უმრავლესნი, მუნ რაოდენინმე თავადნიცა. შამსა ამას
 აიყარნენ ბორჩალოელნიცა და დასახლდნენ ყარა-სუსა ზედა v 9
 ერევანს. მაშინ მეფემ ირაკლიმ შეიყარა მკედრობა, მივიდა
 ერევანს და აპყარნა იგინი და გარდმოასახლა ბორჩალოდვე.
 ძვალად შეყრილობანი ლეკთანი მოვიდნენ დართის-კარსა, წარ-
 ტყვენეს ქარავეანი ქართლისა და მოკლეს მუნ მუხრანის ბატონი
 კოსტანტინე მიმავალთა მათ ლეკთა კახეთს. მსმენელმან
 მეფემან ირაკლიმ შეუტრნა მათ ² გზანი და მრსწყვიტნა სრუ-
 ლიად. ძვალად მოვიდნენ ლეკნი და მოაოხრეს ჯუგაანი. მაშინ
 მეფე თეიმურაზ და მეფე ირაკლი იმყოფებოდნენ ქიზიყს, და
 შეუდგნენ მეფენი უკანა, მიეწიენენ მახლობელ დანლისისა და
 მოსწყვიტნეს ლეკნი და მიუღეს ყოველნი იგი ნატყვენავნი.

ხოლო წელსა 1757, ქკს: უმზ: იქმნა ფრიადი სიყმილი,
 ესრეთ რომელ ერნი იზრდებოდნენ მდელითა, და განიბნიენენ r 10
 მრავალნი მცხოვრებნი. მაშინ გამოვიდა მაჰმად ჰასან ყაჯარი,
 რომელმანცა დაიპყრა უმეტეს ნახევარი სპარსეთისა და მოად-
 გა შუშის. ამან იწყო თუსთანა მეფე თეიმურაზ, რომელმანცა
 იწყო მზადებად წარსვლად მისთანა. ხოლო გამოჩნდა რა ში-
 რაზს ქარიმ ხან ზანდი, მაშინ წარვიდა ესე ³ მაჰმად ასან
 ყაჯარი მას ზედა, სადაცა გარმოდგომასა ქალაქისასა დაეთანტეს
 მკედრობანი და თვითცა ლტოლვილი მოიკლა მსახურისა მის-
 გან, რომელმანცა მოჰკვეთა თავი და მიართვა ქარიმ ხანს, და
 ნაცვლად ესეგითარისა ბოროტმოქმედებისათვის ბრძანა ქარიმ
 ხანმან მონისაცა მისისა სიკვდილი.

¹ ტექსტში თავდაპირველად დაუწვრიათ „უმე“, შემდეგ „ა“ წაუშლიათ და მიუმატებიათ „ე“. ² ეს სიტყვა სტრიქონს ზევით არის დაწვრილი. ³ ეს სიტყვა შემდეგ ჩაუშატებიათ იმავე ფელით.

- შამსა ამას განავრცეს ლეკთა კლომეაჲ¹ და გამოხ-
 v 10 და | ჩონჩოლ მუსა. მაშინ ორნივე მეფენი იყვნენ კრცხინვალს. მოვიდნენ ლეკნი ზღუდრს, ხოლო მეფეთა ვერა თავს იდევს პირისპირობაჲ, ვინაითგან არა ჰყვათ მწედრობაჲ მუნ. იქმნა მცირედი კინკლაობა. გატრიალდნენ მუნით ლეკნი, მივიდნენ და აღიღეს ალი და აღვიდნენ ახალციხეს; კვალად მუნით შთამოვიდნენ, სადაცა განიყვნენ ორად: ჩონჩოლ მუსა მოადგა აენევს, ხოლო კოხტა ატოცს. მაშინ მეფეთა იხმეს იმერთა მეფე სოლომან შველად, რომელიცა გარდმოვიდა იმერთა მწედრობითა. მეფემან თეიმურაზ და ირაკლიმ მოიკრიფნენ მწედრობანი ქართლისანი და კახეთისანი, შეერთდენ იმერთა
 r 11 თანა, დაეცნენ ატოცს და მოსწყვიტნეს ფრიად ლეკნი². ჩონჩოლ მუსაჲ მხილველი ამისი განიელტო ღამესა და ესრეთ განერა. მრავალთა ლეკთა იხილეს სასწაული წმიდისა მთავარ-მოწამისა გიორგისა, რომელ ასვენია ატოცსა ხატი³ წმიდისა მთავარ-მოწამისა გიორგისა სასწაულთმოქმედი, და იტყოდნენ ლეკნი მის მიერ ბრძოლასა და დაკვეთებასა. ხოლო ესე იყო წელსა 1758, ქკს : უმძ. : უწინარეს წლისა ამისასა, ოდეს აშენებდა მეფე თეიმურაზ ციხესა პატარძეულისასა, მუნ მოვიდნენ ლეკნი, ხოლო მეფემან ირაკლიმ მოსწყვიტნა აზაბურს უმეტესს სამასისა. მუნ მოიკლა ბრძოლასა შინა საამიშვილი ედიშერ. ხოლო წელსა 1759, ქკს : უმთ : მოვიდნენ ლეკნი ტეზერს. მუნ
 v 11 სძლო მეფემან თეიმურაზ, გარნა ამა | ბრძოლასა შინა მოიკლა ციციშვილი გლახა, გერი მეფისა თეიმურაზისა. ღა წელსა 1760 ქკს : უმთ : წარვიდა მეფე თეიმურაზ რუსეთს. მეფემან ირაკლიმ კვალად სძლო სუყულიანსა შინა ფრიად ლეკთა. ხოლო წელსა 1762 ქკს : უმი : მარდაიცივალა მეფე თეიმურაზ პეტერბურხს. მუნიდამ წარმოიღეს გვამი მისი ქართველთ, ვერ უძლეს გარდმოტანაჲ და დაფლეს ასტრახანს⁴ სობოროში, და ირაკლი ძე მისი იწოდა მეფედ ქართლისადცა. ამან მოიყვანა კათალიკოზი ანტონი რუსეთით, და განაწყევს შკოლა ახლისა ფილასოფოსობისა ბაუმეტითერისა, რომელიცა რუსეთს ყოფასა სთარგმნა კათალიკოზმან რუსულით ქართულად. ღა

¹ ტექსტშია „კლომეაჲ“. ² ეს გვერდი იწყება სიტყვა „ჩონჩოლ“-ით, რომელიც წაშლილია და მის შემდეგ დაწერილია „ლეკნი“, თუმცა საკირო იყო მხოლოდ „კნი“, ვინაიდან წინა მარცვალი „ლუ“ მე-10 გვ. verso-ზეა მოთავსებული. ³ ტექსტში: ხტი. ⁴ ტექსტში: „ასტრახანს“.

განძლიერდა რა ქარიმ ხან ზანდი სპარსეთს შინა, მაშინ ლტოლ-
ვილი და დაცემული აზატ ხან მოვიდა | მეფისა წინაშე და r 12
ვეედრა შეწევნასა. ხოლო ამან შეიპყრა და წარუგზავნა ქარიმ
ჯანს, რომელმანცა ნაცულად სამსახურისა ამის უძღვნა მეფესა
მადლობაჲ საბოძვარიდთურთ.

ჟამსა ამას აღდგა ფათალი ხან ავშარი, მოიკრიბნა მკედ-
რობანი აღრიბეჟანისანი და მოადგა შუშის და სთხოვა მეფესა
შეწევნაჲ. ამან მიაშველა¹ მკედრობაჲ; და ოდეს წარმოემარ-
თა ამას ზედა ქარიმ ხან, მაშინ არღარა წარჰყენენ მკედრობანი
ქართულთანი და მოიქცნენ უკანვე. და შავერდი ხან გან-
ჯისა², რომელიცა ჰყვა პურობილად ფანას და განათავისუფ-
ლა იგი ფათალი ხანმან, მოვიდა მეფისა წინაშე, რომელმანცა
წარატანნა მკედრობანი ქართველთანი. აღიღეს კვალად განჯა
და ჰყვეს ესე ხანად. გარქნა განჯელმან მსახურმან უკუტ შა- v 12
ვერდი ხანისამან მოკლა ხანი, და გამოაძქეს განჯელთა ძენი
მისნი, რომელნიცა მოვიდნენ მეფისა ირაკლისა წინაშე. ხოლო
მან წარატანა მკედრობანი, აღიღეს განჯა და ჰყვეს პირმშო
ძეი შავერდი ხანისა მაჰმად ხან ხანად³. ბარნა სძლო კვალად
მეფემან ყარაიასა ზედა⁴ ლეკთა, რომელთაცა განერყვნათ
გორის გარემონი, და დააყრევინა მუნ ყოველი ნატყვენავი.
ქვალად სძლო ახმეტას ლეკთა და მოსწყვიტნა ფრიად, რომ-
მელნიცა დაეცნენ ახმეტას.

ქვალად შეყრილობანი და სწადლათ ზედა-დასხმაჲ სა-
მაჩაბლოსი. სცნა მეფემან, შეუკრნა კეხვი და მოსწყვიტნა
სრულიად. ქვალად მოვიდნენ შეყრილობანი ლეკთანი და
დაეცნენ ბორჩალოს და მოსტყვევნეს⁵ აღმამადლი, გარნა იძ- r 13
ლივნენ ფრიად ბორჩალოველთაგან. მუნ იყო მკნედ თარხანი გიორ-
გი მოურავი ბორჩალოსა, რომელთაცა მოსწყვიტნეს უმრავ-
ლესნი ლეკნი, და წარვიდნენ სირცხვილეულნი: ხოლო წელსა
1767, ქკს: უნგ: შეითქვენენ მეფესა ზედა თავადი ამილახვარი
შვილი დიმიტრი სახლთუხუცესი, და ესე იყო მძახალი მეფი-
სა, რამეთუ დაჲ მეფისა ელისაბედ ჰყვა ძესა მისსა გიორგის,
და გლახა ციციშვილი, და თაქთაქის შვილი ელისბარ. ამას

¹ ტექსტშია „მიაშველა“. ² სიტყვა „განჯისა“ ზემოდან სწერია. ³ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია „გარნა სძლო კვლად“. ⁴ ეს სიტყვა ტექსტში ამგვარადაა „ზნად“. ⁵ ეს სიტყვა r 12-დან გადატანილია v 13-ზე, მაგრამ ამ უკანასკნელზე კვლავ გამეორებულია „და მოსტყვევნეს“.

მისცეს პირობად პაატას ბატონის შვილსა, რომელიცა იყო ესე არარჯულიერი ძეი მეფისა ვახტანგისა, რომელიცა იმყოფებოდა მეფისა წინაშე დიდითა პატივითა. გარნა იყო v 13 კაცი ესე ფრიად მეცნიერ, რათამცა წარწყმინდონ | მეფე. სცნა რა ესე მეფემან, შეიპყრა ესენი. შეკრბნენ ქართველნი და მოჰკვეთეს პაატას თავი და დაწვეს ცეცხლში თაქთაქიშვილი ელისბარ. და დიმიტრი პატიმარ ჰყვეს¹ და შეურაცხვეს ჰყვეს აღჯდომითა მისითა კარაულსა ზედა, და მოჰკვეთეს ძესა მისსა ალექსანდრეს ცხვირი და გლახა ციციშვილსაცა მოჰკვეთეს ენა.

მოიკრიბნა კვალად მეფემან მკედრობანი და დაეცა. ქურთთა ერევნისათა, წარტყვენა, და მოიქცნენ ქართველნი ალაფითა დიდითა. მაშინ ფაბაკი იყო რა ოხერ, გამოსთხოვა პირმშოპან ძემან მისმან გიორგიმ და აღაშენა. ჰვალად შეიყარნენ ფრიად ლეკნი, დაეცნენ თუშეთს, გარდაეშველნენ ფშაველნი, და აგრეთვე კახეთით გაღმა მხრის მკედრობით მიე- r 14 შველა მოურავი მათი დურმიშხან ჩოლაყაშვილი. სძლეს და მოსწყვიტეს უმეტეს ორიათასისა, და წარივლტნენ სირცხვილეულნი².

ზანძებული იყო რა მეფე იმერთა სოლომან იმერთაგან და ჩაიყვანეს რა მკედრობანი თურქთანი იმერთა, რომელთაცა ჰყვეს თეიმურაზ ბიძა წული მისი მეფედ. თუმცაღა განსდევნა მეფემან სოლომან თურქნი და შეიპყრა თეიმურაზ და შესვა ციხესა, რომელსაცა დაეცა მეხი და მოკუდა, გარნა კვალად თურქთავე ეპყრათ რაოდენიმე ციხენი და ვინაითგან ერისთავი რაჰისა როსტომ არა ერჩდა, რომლისა გამო მეფემან იმერთამან ივმო მკედრობად ლეკთანი და წარტყვენა რა-კა, და ალაფითა სავსენი ლეკნი უკუნ იქცნენ რა თვისად, v 14 მაშინ მცნობმან მეფემან ირაკლიმ | შეუტყრნა იორი, სადაცა მოსწყვიტნა სამასნი და მიულო ყოველივე ნატყვენავი.

ხოლო მეფე სოლომან ევედრა კარსა რუსეთისასა, რათა მოსცენ მხედრობად შესაწვენელად. და მოვიდა გრაფ ტოტელბენი ექვსი ათასითა მხედრებითა რუსთათა. წელსა 1769, ქკს: უნზ: სცნა რა მოსვლად მათი მეფემან ირაკლიმ, მიეგება კოპს; შეითქუნენ მეფე და ტოტელბენი, რომელიცა

¹ ტექსტში „ჰყვეს“. ² ამის შემდეგ ტექსტში წაშლილია „გან“ და შემდეგი სიტყვა „განძებულ“ დაწერილია წითური „გ“.

არლარა წარვიდა იმერეთად, არამედ წარვიდნენ ორივე ახალციხესა ზედა. წარმოიშო რომელთამე ვერაგთა¹ ქართველთაგან შორის მეფისა და გრაფისა სამღურავი, სადაცა აწყურით დაბრუნდა ღრაფი. ხოლო იხილეს რა დაბრუნება რუსისა ქართველთა, იწყეს ლტოლვად, სადაცა გზასა ზედა შეემთხვია მხედრობაჲ დელუბაშისა, რომელსაცა სძლო მეფემან, | მოვი- r 15. და და დაიბანაკა ასპინძას. ჰსცნეს თურქთა უკუნი ქცევად ქართუშლთა და რუსთა, ჰგონეს თურქთაცა, ქართუშელნი შიშისაგან ივლტიან, და შეუდგნენ უკანა მრავალნი მხედრობანი ლეკთა და თურქთანი. ჟამსა ამას მრავალნი ლეკნი იმყოფებოდნენ ახალციხესა. ღამესა მას გამოვიდნენ უკუშ² ნახევარი ხიდსა ასპინძისასა³ და ნახევარიცა ღამოდნენ მეორესა დღესა გამოსვლად. ხოლო ღამესა მას წარგზავნა მეფემან⁴ ალბაბა, სვიმონ მუხრანის ბატონის შვილი ნასახიბაში და ხუდია ბორჩალოელი და მამაცი ყოველსა საქართუშელოსა შინა, და ამცნო მათ, რათა აჰყარონ ჯიდი ასპინძისა, და მათ სრულ ჰყვეს ყოველივე ბრძანებული მეფისა. და დღესა მეორესა, იქმნა რა ბრძოლა! იძლივნენ ლეკნი და თათარნი, ჰგონეს v 15. მათ⁵ ხიდისა მის კვალად გებაჲ, რომელნიცა მიივლტნენ მუნ ესრეთ უკუშ იყვნენ შიშვნეულ, რომელ ერთი მეორესა ჰყრიდა ჯიდისაგან ისრებით მტკვარსა შინა. დღესა მას მოკლა მეფემან ირაკლიმ ჯელითა თვისითა კოხტა ბელადი, რომელიცა იყო ჩინებული მძღვანი ლეკთა, და მოიშთუნენ უმეტეს წყალთა შინა ორისა ათასისა ლეკნი და თათარნი. და მოიქცნენ ქართველნი ალაფითა საესენი სახლად თვისადევე.

შთავიდა რა გრაფი სურამს, გარდავლო მთაჲ საფიჩხისა და შთავიდა იმერეთს. მიეგება მეფე სოლომან, მიუძღვა და აღიღეს ციხე ცუცხუთისა, შორაპანისა და ქუთაისისა, რომელიცა ეპყრათ თურქთა.

ხოლო ჟამსა ამას | იქმნა საშინელი მომსვრელი ჟამი r 16 საქართუშელოსა შინა. და მოადგილედ მოვიდა ამა ღრაფისა წილ მუნ ღიანარალი სუხოტინი⁶, და გრაფი წარვიდა როსიად.

¹ სიტყვები „რომელთამე ვერაგთა“ ჩამატებულია კიდევ. ² ტექსტში ამ სიტყვის წინ წაშლილია შეცდომით დაწერილი ესევე სიტყვა „უკ შუ“. ³ ტექსტშია „ასპინძისასა“. ⁴ ამ სიტყვის შემდეგ ტექსტში წაშლილია „ერის“. ⁵ ამ სიტყვის შემდეგ ტექსტში სწერია „მთ“ და შემდეგ წაშლილია „ჯის“. ⁶ ტექსტში: „სხუტინი“.

ხოლო სუხოტინი შთავიდა ფოტს; გარნა ოდეს ვერ უძლო დაპყრობაჲ¹, უკმოიქცა.

ხოლო ჟამსა ამას წარვიდა კვალად მეფე ირაკლი ქურთთა ზედა, მოარბივნა იგინი და მოვიდნენ ქართველნი ფრიალთა ალაფითა.

ხოლო წილსა ამას 1772, ქკს: უდ: რუსნიცა უკუნ იქცნენ რუსეთადვე, რომლისა გამო მეფემან ირაკლიმ წარგზავნა რუსეთად ძეგ თვისი ლეონ და კათალიკოზი ანტონი, ძე მეფისა იესესი.

მოვიდნენ კვალად შეყრილობანი ლეკთანი ქართლში. მაშინ ქართლისა და კახეთისა მკედრობანი იყვნენ შეყრილნი.
 v 16 გარნა იკუშთნენ უფლისციხეს, იძლივნენ ქართველნი და მოწყდნენ მრავალნი. განვიდნენ ლეკნი გორის ბოლოს ლიახვისა და წარვიდნენ ახალციხესა. და მუხდა ლეკისა შეყრილობაჲ და შევიდა კრცხინვალს, მოაოჯრა გარე ციხისა და მრავალნი ტყვენი წარასხნა.

ხოლო იყვნენ თურქნი განძინებულნი საქართველოსა ზედა. და იყოფოდენ ლეკნი მრავალნი ახალციხესა შინა და სტყვევნიდიან² ქართლსა, გარნა ჩუნიცა მარადის უტდებოდნიან და აოხრებდიან ჯავახეთსა ესრეთ, რომელ ძეთა მელიქისათა გიორგიმ და ავთანდილ შეიპყრეს უმეტეს ხუთასისა ორასითა კაცითა მდედარნი თურქთანი. კვალად უტდებოდის და აოხრებდის ჯავახეთსა და ზედა დასხმასა უყოფდის ლეკთა
 r 17 ხუდია და სხუანი ბორჩალებლნი და სხუანი ელნი ჩვენნი, რომელთაცა მოიყვანეს კერძოდ ახალციხისა და ყარსისა ძრწოლასა.

ხოლო შეკრბნენ ყაზახნი, ბორჩალებლნი და ფაბაკელნი, მოსტყვევნეს ნახჩევანი და სძლეს ხანსა მუნებურსა შუქურალს, რომელიცა ეწივა მდივრად, და მოიქცნენ ალაფითა დიდითა. შემთხვევასა ამას ექმნა ორგულ ფაშასა ახალციხისასა სულეიმანს ათაბაგსა იბრეიმ ბეგ კერთვისისა, რომელმანცა მოსცა ციხე მეფესა, და ვინაითგან შეაყენა მეფემან მუნ მცველნი ტალანი, კვალად მიუღეს ციხე თურქთა და ტალათა მათთაგანი რომელიმე ტყვე ჰყვეს და რომელნიმე განივლტნენ, რომლისათვისცა მეფემან მოუწოდა მეფესა იმერეთსა სოლო-

¹ ამ სიტყვის შემდეგ ტექსტში წაშლილია „უკუ“. ² ტექსტში პირველად დაუწერიათ „სტყვევნიდნენ“.

მანს, და შემოიკრიბნეს ორთავე მეფეთა მკედრობანი ქართველთა | და იმერთანი, მივიდნენ ახალქალაქს და მოერთყნენ v 17 გარს. იქმნა უძლებ მუნ მეფე იმერთა¹ სოლომან, რომლისა გამო უკუ მოიქცნენ. გარნა ქართველთა მოტყვენეს ჯავახეთი. მუნით წარმოსრულნი შთამოვიდა მეფე ირაკლი კრცხინვალს. ოდეს ჯდა სადილათ მეფე, მოვიდა ფრიადი შეყრილობანი ლეკთანი და დაესხნენ ხვითებს. აღმკედრდა თვით მეფე ამალითა თვისითა და სძლო ლეკთა ფრიად და მოსწყვიტნა მრავალნი. მუნ იყო მკნედ ქიზიყის მოურავის პაპუას შვილი იესე ენდრონიკოვი, რომელმანცა მოკლნა ოთხი ლეკი, ხოლო აბაშიძესა იოვანეს მოსწყვიტნა თითნი ლეკმან კლმითა. და იქმნენ, განვრცნა რა ჯდომვად შორის ქართლისა და ახალციხისა², ორნივე კერძონი³ შეპყირეებულ ფრიად. ამას ზედა ზავ ჰყვეს⁴ ურთიერთას. და წარგზავნა მეფემან ირაკლიმ კარქსა r 18 ზედან სულტანისასა სტანბოლს დესპანი თვისი ორგზის მირზა გურგინად ენაკოლოფაშვილი, რომელსაცა მოერთვა სულთან აჰმადისაგან ორგზისვე ქურქი, ვმალნი და აღკაზმული ოქროდთა ჰუნე⁵ და უმეტეს ათორმეტი ათასი ოქროდ. ხოლო ვეზირისაგან სათი ძვირფასი მოვაჰვილი.

ხოლო ახალქალაქსა ყოფასა მეფისასა მოვიდნენ ლეკნი ქარისისა კერძოთი და წარტყვენეს სოფელი ფხოველი და წაიყვანეს ტყვედ მოურავის შვილი პაატას მეულღე, რომელიცა შეირთო უსეინ ხანმან შაქისამან. კვალად შეიყარა ხუნძახის ბატონმან ნურსალი ბეგმან (ესე იგი მუსტალიმ) მკედრობად დიდი ლეკთა და შთავიდა შაქი-შირვანის | კერძო; მუნით v 18 უეცრად წარვიდა და დაესხა ბოდბეს და იავარ ჰყო რაოდენიმე უბანი. მაშინ მხნედ იყვნენ ბალაანნი, რომელთაცა სიმხნითა თვისითა დაიცივეს ბოდბე. ამოვიდა სიღნაღით მოურავი რევაზ ენდრონიკაშვილი მალაროს, სადაცა შემოკრბნენ კიზიყელნი, სძლეს და მოსწყვიტნეს უმეტეს ათასისა ლეკნი; და მუნ ლეკმან ერთმან ჰყო ტყვედ დიაცი ერთი, სწლდა რა დამდაბლება მისი. წაიძრო კანჯალი და მოკლა ლეკი იგი დიაცმან, და ესრეთ განერა დიაცი იგი. და წარვიდა ნურსალი სირცხ-

¹ ეს სიტყვა ჩამატებულია ზემოდან. ² უკანასკნელი შვიდი სიტყვა ტექსტში კიდევია ჩამატებული გამოტოვების ნიშნით. ³ ტექსტში ჯერ დაუწერიათ „მხარენი“, შემდეგ წაუშლიათ და ზემოდან მიუწერიათ „კერძონი“. ⁴ ტექსტში: „ზაჰ ჰყვეს“. ⁵ ტექსტში „უჰნე“.

ვილელუი. ქვალად¹ შთამოვიდა ნურსალი ბეგ და წარვიდა შამახიას, რომელსაცა უსტუმრა ფათალი ხან ყუბელმან, უღალატა და მოკლა იგი. შამსა ამას მოვიდა ფათალი ხან დარბანდისა უსეინ ხან შაქელსა ზედა. ესე ვევედრა შეწვევისათვის მეფესა. ამან მიაშველა მკედრობანი თვისნი და განარი-

r 19 ნა | უსეინ ხან.

იქნა კვალად საკვირველი შემთხვევაჲ ქამსა ამას, რომელ ბირებითა ეშმაკისათა განიელტო დავით-გარესჯის მონასტრით მონოზონი დაყუდებული (ხოლო ესე იყო იმერთაგანი) ლექთა შინა, მოუძღვა ლექთა და, ვინაითგან ციხის კარნი იყვნენ დახშულ, მუნ ვერა შესრულმან აღმოიყვანნა ლეკნი წის ნიკოლაოზის ეკლესის ხერელის დაფარულის გზით და წარსტყვენეს წა ესე მონასტერი. ხოლო შეითქვენენ მეფე ირაკლი და შუშის ხანი იბრაიმ და წელსა 1778, ქკს: უფე: აღიღეს განჯა და შეიპყრეს მაჰმად ხან განჯისა² სახლელუთით, რომელიცა წარიყვანა იბრეიმ ხანმან შუშისამან ტყუშდ. და დადგინეს ორთავე გამგენი თვისნი, რომელიცა

v 19 მეფემან ირაკლიმ | დადგინა ენდრონიკაშვილი ქაიხოსრო მდივან-ბეგი, ხოლო იბრეიმ ხანმან დაადგინა ვეზირი თვისი აზრათ ყული ბეგ მარტყოფელი, რომელიცა³ იპოებოდა ტყვეობითა მცირე აღზრდილი სახლსა იბრეიმ ხანისასა. და ესენი მართვიდნენ განჯას ურთიერთას კითხვითა და ხარკსაცა ჰყოფდნენ საშულ.

ხოლო ქამსა ამას ქართლით მომავალს ქიზიყის მოურავის ასულს, მეფის სძალს ქეთევანს, მეუღლესა პირმშოისა მეფის ძის გიორგისასა, დაუხვდნენ ლეკნი ღართის-კარს ვიდრე ხუთასამდე, და მეფის სძალს ქეთევანს არა ჰყვა თანა უმეტეს სამასისა მხედრობანი მორიგედ წოდებულნი, რომელ-

¹ ტექსტში ეს სიტყვა დაწერილია შავად, შემდეგ წაუშლიათ და დაუწერიათ წითლით. ² ამ სიტყვის შემდეგ კიდევ ტექსტისავე ხელით მიმატებულია: „მიზებისათვის ამისა, ვინათგან შავერდი ხანის სიკვდილის შდ მეფემან მიუბოძა ხანობა განჯისა უფროსსა ძესა მისსა მაჰმად ასან ხანს, ხოლო ესე მოკლულ იქნა ამ მაჰმად ხანის მიერ მოწამლითა. ესე იყო ძმა შამსის და ბიძაცა ჩისი რიზა ყული ხან, რომელიცა იყო მძევლად სპარსეთს ქრამ ხანის თანა და ესე მოკცეული უკან არა უტევა შესვლად განჯასა შინა, რომელსაცა მიუწერა მეფემან ირაკლიმ; რათა მისცეს მცირე სარჩოდ და იყოს მშვიდობით. აღმოქმელი ამისი მაჰმად ხანმან მოუწოდა თვისთანა და ღამესა ერთსა შეიპყრა და აღმოხადა აუღლი ბიძასა თვისსა“. ³ ამ სიტყვის შემდეგ ტექსტში წაშლილია „ჰყეთ“.

ნიცა თანა გამყოლად ახლდენ მას, და არცა ვინ ჰყვა თვის-
 თანა მეცნიერი ბრძოლისა. მაშინ თუით იქმნა თავ მხედრო- r 20
 ბისა თვისისა და განამხნო მორიგენი, ეწყო, და იძლიენენ
 ლეკნი, და მოსწყვიტნეს მორიგეთა მათ¹ უმრავლესნი ლეკნი.
 ხოლო სცნა რა მეფემან ირაკლიმ ესე ვითარი სიმხნეჲ სძლისა
 თვისისა, მხიარულ იქმნა ფრიად და შეიყვანა ტფილისს დი-
 დისა დიდებითა და ზარბაზნისა სროლითა, და ღამესა მას
 ყოველსა ქალაქსა იყო ჩირაღოვანი.

შამსა ამას უკუდგა ყულარ აღასი გიორგი ერისთავი
 ქსნისა. ამას ზედა წარგზავნა მეფემან ძეი თვისი გიორგი და
 ლევან, რომელიცა შეიპყრეს და შთამოიყვანეს პყრობილად.
 თუმცალა მეფემან მიუტევა შეცოდებაჲ, გარნა მიულო ქსანი
 მიზეზითა ამით, რამეთუ ჰყვა მას ლეკთა მწედრობაჲ და არ- v 20
 ბევდა ქართლსა და აოხრებდა სოფლებთა, ვითარცა ავაზაკი.
 და მიუბოძა ქსანი ძესა თვისსა გიორგის, ხოლო ლიახვი
 იულონს.

შინაფთვან ლეკნი მარადის აოხრებდიან ქართლსა, ილო-
 ნისძია მეფემან და განაწყესა ყოველთა სახლთაგან კაცისთავს
 ერთი რაოდენიცა იყვნენ სახლსა მას¹ შინა, რათა მსახურონ
 თვითოსა თვესა მამულსა მორიგედ წოდებული, და ეგრეთვე
 განაწყო თოფხანა მეგრ რუსეთის კანონითა და განასწავლა
 თოფჩები, რომელიცა განაწყო ესენი ქიზიყის მოურავის შვილ-
 მან პაატამ. ესე განსწავლულ იყო მოსკოვს. და თვითცა მე-
 ფეი ძეგბითურთ თვისით დაეწერა მორიგედ და იხდიდა თვი-
 როსა თვესა. უკეთუ გლუბთა დაიყოვნიან, მაშინ იგინი წკეპ-
 ლასა შინა განივლიადიან რაოდენსაცა დღესა დაიყოვნიან, r 21
 ეგოდენ გზის, და უკეთუ თავადთა და აზნაურთა დაიყოვნიან,
 ეგოდენ დღე პატიმარ იქმნებოდინ. ხოლო ესე ექმნა ქართლ-
 სა სარგებელ ფრიად მით, რ^ა თვით მეფემან რაოდენიმე გზის
 აოტნა ლეკნი, ეგრეთვე მეფის ძემ გიორგიმ რაოდენმე ღარ-
 თი-კარსა შინა, ეგრეთვე იორსა ზედა, და ლევანმანცა მისაქ-
 ცეველსა და ქიზიყსა შეიმოსა ფრიად ძლევა ლეკთა ზედა, და
 მგზავსადვე თვით მორიგენიცა აოტებდიან მარადის გამომსე-
 ლელთა ლეკთა. ესრეთ იქმნენ შიშენულ ლეკნი, რომელ ვერ-
 ღარა სადა იკადრეს გამოსვლაჲ, და ესრეთ დამშვიდდა ქვე-

¹ ეს სიტყვა ზევიდანაა ჩამატებული.

ყანად, რომელ ღართის-კარსა შინა ღიაცნი თჳნიერ მამაკაცი-სა ვიდოდნენ.

v 21 **ზოლო წელსა 1772, ქკს: უფხ:** არლარა ინება ხანმან ერევნისამან უსეინ ალიხან ხარკისა | მოცემად ქართველთა, რომლისა გამო წარვიდა მეფე მას ზედა. იქმნა მუნ ბრძოლად, სადაცა მუნ მვნედ აღმოჩნდა მეფის ძე გიორგი. მუნ სძლო მეფემან ერევენელთა მკედრობასა, მოხარკე ჰყო და მსწრაფლ მოიქცა, ამად ვინაითგან იყო სამღურავი მეფისა შორის ირაკლისა და მეფისა შორის იმერთასა სოლომანისა. და ამან სოლომან მოიყვანა ძე ბაქარისა და ძის ძე მეფისა ვახტანგისა, ალექსანდრე, შირაზით. ურჩ ექმნა უკლე ძე თვისი მეფესა იმერთასა სოლომანს, რომელსაცა ეწოდა ალექსანდრე და რომლისა კიდე არა უვიდოდა სხუა ძე, და მოვიდა მეფისა ირაკლისა წინაშე. ამან შეიწყნარა, პატივსცა და დაჯგო კვალად მამასავე თვისსა, რომლისა გამო ზავ ჰყვეს, და მეფემანცა სოლომან განუტევა ძე ბაქარისა ალექსანდრე.

r 22 **წელსა 1781, ქკს: უფთ:** ჟამსა ამას მოვიდა თავრიზით მცბიერი ვინმე. ამან იჩემა გაკეთება ქიმიისა, რომლისა გამო უწოდეს შაჰზადად, და ოდეს ვერა რად აღმოაჩინა მოქმედება თვისი, და სცნეს სიციბილი მისი, ამად შეჰკამა თრიაქი და წარიწყმინდა თავი თვისი. შეედვა მწუხარებად სახლსა მეფისასა სიკვდილისა გამო მეფის ძის ლეონისა. **ზოლო წელსა 1782 ქკს: უო:** გარდაიცვალა მეფე იმერთა სოლომან, და ჰყვეს მეფედ დავით ძეი გიორგისა, ბიძაწული მეფისა სოლომანისა. და მოკუდა ხანი ერევნისა უსეინ ყული, და ჰყო მეფემან ირაკლიმ ძე მასი ყულამანი ხანად; ვინათგან ესე იყო გონება მსუბუქი, მოკლეს ესე ერევენელთა, სადაცა იძულებულ-
v 22 მან მეფემან წარგზავნა | მირზა გურგინა ენაკოლოფაშვილი, და ჰყვეს უმრწემესი ძეი უსეინ ალიხანისა მაჰმად ხან ხანად. და განამტკიცეს ესე ბრძანებითა მეფისათა ხანად ერევნისა.

წელსა 1783, ქკს: უოა: შევიდა მეფე ირაკლი საფარველსა ქვეშე რუსეთისასა, რომელსაცა წარმოუგზავნა იპერატრიცამ ეკატერინამ ნიშნები სამეფო, გრამმატა და ორნი ბატალიონნი მკედრობად, რომელნიცა შეიკრნენ უცვალეზელთა პირობითა. და წარგზავნა კარსა რუსეთისასა ორნი ძენი თვისნი, ანტონი და მირიან. ამას ზედა განძვინდა ფაშა ახალციხისა სულეიმან ათაბაგი. აღუწოდა ლეკთა, და იყო ოჯრება ქართლისა. ჟამსა ამას მოვიდა ღიანარალ-პორუთიკი პოტემკინი. ამან დაუტევა მეფესთან ღიანარალ-მაიორი სამაილოვი და თვით წარვიდა რუსე-

თადე. შეითქვენ უკუშ ესენი | ქარსა ზედა და წარვიდნენ r 23
 საქართველოდსა და რუსთა მკედრობითა. მიიწიენენ რა ურ-
 დოსა, შუნ შეემთხვათ მკირენი მკედრობანი ლეკთანი, სადაცა
 უქმნეს მათ მხედრობათა ქართველთა და რუსთა მკირედი
 რაჟმე ვნებად, და მოკლეს პრინცი ლესსენ-რენიფელსიგისა¹,
 პოდპოლკოვნიკი, ცოლის ძმაი პავლე იპერატორისა, პირვე-
 ლისა ცოლისა მისისა. და მუნით, ვინაჲთგან ვერლარა
 განვიდნენ მდინარესა ალაზნისასა სიდიდისა გამო, უკუ მოიქ-
 ცნენ, და წარვიდა სამილიოვიცა რუსეთად. ზანვრცნა უკუშ
 ტყვენებად ახალციხით ლეკთაგან, სადაცა კვალად შეკრბნენ
 უმეტეს ორი ათასისა მკედრობისა, მოვიდნენ და აღიღეს
 საქაშეთი დღესა დიდ ხუთშაბათსა ვნების კვირიაკისასა და
 ტყვე ჰყვეს სახლეული დიასამიდისა. | სცნეს სურამს მყოფთა v 23
 რუსთა და ქართველთა მყოფთა² მორიგეთა, მოეგებნენ ჰა-
 ლანს. იქმნა მუნ ბრძოლა. მკნედ ბრძვეს ქართველთა, იძღვენენ
 ლეკნი და ესრეთ შიშვნეულ იქმნენ, რომელ მტკვართა შიგან
 შესრულნი მოიშთენენ უმეტეს ათასისა კაცისა. მუნ დიაცმან
 ერთმან ტყვეთაგანმან ქართველმან შეიპყრა შემპყრობი თვისი
 ლეკი და მოიყვანა მკედრობასა შინა ქართველთასა.

კვალად შეკრბნენ ლეკნი და თათარნი და მოვიდნენ
 ფხვენისს და ვინაითგან მუნ ვერა რაჟ³ ჰყვეს, უკუნ იქცნენ,
 სადაცა მოხისს შეემთხვათ რუსნი და ქართველნი, და ძღვეა
 შეინძსეს ფრიად მათ ზედა და უკუნ იქცნენ სირცხვილეულნი.
 ხოლო წელსა 1785, ქკს: უოგ: გამოვიდო ომარ ხან,
 ავარელი ძეი ნურსალი ბეგისა (ესე იგი ომარ ხან ხუნძახის
 ბატონი), გამოვლო იორი და ყარაია, განვიდა მტკვარსა,
 მივიდა და აღიღო ახტალა და მივიდა ახალციხეს. მუნით
 შთამოვიდა, აღიღო | ვახანი და ტყვე ჰყო სახლეულნი აბაში- r 24
 ძისანი. შამსა ამას უკუდგა განჯაცა, და გამოყარნეს მოურ-
 ნენი მეფისა და იბრაჲმ განისანი. განივლტო შუშით ძეჲ შა-
 ვერდი ხანისა რაიმ ხან, რომელიცა მაშინ ჰყუა იბრეიმ ხანს
 პყრობილად, მივიდა და იქმნა ხანად განჯასა შინა. ხოლო მოს-
 რულმან იბრეიმ ხან განჯასა ზედა თხოვა შეწევნა მეფესა.
 აღიღეს კვალად განჯა და ჰყვეს ძეი შავერდიახანისა ჯავად

¹ ამ სიტყვაში „რენიფელ“-სის შემდეგ წაშლილია „იხი“ და მიმბტეუ-
 ლია „სიგისა“. ² ეს სიტყვა ტექსტში ზედახანა ტყვეთაგანთაგან ³ ამ სიტყვის
 შემდეგ ტექსტში წაშლილია „პოეს“.

- ხან, რომელიცა მაშინ ჰყუჳ მას ჰყრობილად. ხოლო ომარ ხან-
 მაცა განვლო გოგჩა, მივიდა, მოაოხრა შამქორი და წარვიდა.
- v 24 **წელსა 1786, ქკს: უოდ: მაშინ ნახევენელთა ჰყუჳს**
შფოთი და გამოაძეს ნახევენით ხანი თვისი ქალბალი. იგი
მივიდა და ევედრა ხანსა ერევენისასა მაჰმადს, და მაჰმად ხან
ევედრა მეფესა, რათა შემწე ექმნას. მაშინ მეფემან წარავლინა
მუხრანის ბატონი, სიძე თვისი იოვანე მკედრებითა და ზარ-
ბაზნებითა. შეერთდენ ესენი ერევენელთა თანა, მივიდნენ
ნახევენს და იკვეთნენ. იძლიენენ ნახევენელნი და ევედრნენ
მკედრობასა ქართუელთასა, უკეთუ უკუნ იქცევიან ნახევენით.
კვალად ჰყოფენ ნახევენელნი ხანად თვისთა ზედა ქალბალის,
და პირობითა ამით მოიქცნენ ერევანს და ერევენით ქართლამ-
დე ძლევა შემოსილნი. აიყარა სრულიად ყაზახი¹ და წარვიდა
შუშის და შამშადილი-განჯასა. შემდგომად ერთისა წლისა
წარვიდა მეფე ირაკლი მკედრობითა რუსითა და ქართუშელი-
თა, რათა აჰყაროს ელნი თვისნი | და ხამსისა მელიქიცი,
რომელთაცა აქუნდათ პირობაჲ მეფესა თანა. მიიწია რა გან-
ჯას, წარგზავნა მკედრებითა ძეი თვისი იულონ. მიიწიენენ რა
ზეიბას, შეემთხუათ მათ მკედრობანი ყარაბაღელთანი. იძლიენენ
ყარაბაღელნი და მოსწყვიტნეს უმრავლესნი ყარაბაღელნი ქარ-
თუელთა. შემთხვევასა ამას მოვიდა ჩათარი განჯას რუსეთით,
სადაცა იხმეს მხედრობანი რუსთანი. არამედ უკუნ იქცა რა
რუსი, არღარა რაცხა მეფემან წარსვლა ყარაბაღსა ზედა და
უკმოიქცა მეფე განჯით. და დაშთა ელნი აუყრელნი. და წარ-
ვიდნენ რუსნი წელსა 1787 ქკს: უოვ: ხოლო წელსა 1788, ქკს:
უოზ: მოკუდა კათალიკოზი ანტონი ძეი იასე მეფისა. ხო-
v 25 ლო მოვიდა რუსეთით ძეი ირაკლი მეფისა | ანტონი, რომე-
ლიცა ჰყვეს მუნ როსიას ეპისკოპოზად. ესე უკუშ გამოირჩიეს
და ჰყვეს კათალიკოზად წელსა 1789 ქკს: უოზ: წარგზავნა
მხედრობანი თვისნი განჯასა ზედა მეფემან. მივიდნენ შან-
ქორს, მოარბივეს ჩინგალი და აჰყარეს შამშადილი და მოიყ-
ვანეს. უკანასკნელ მეფეცა შთავიდა შამქორსა. მუნ მოვიდა
ფათალი ხან დარუბანდისა და მაჰმად ხან შაქისა. დაასკუნეს
წარსულად სამთავე ყარაბაღსა ზედა ამად, ვინაითგან დაი-
ვიწყა იბრეიმ ხანმან კეთილობაჲ მეფისა ირაკლისა, რაოდენ
გზის განარინა იგი კელისაგან ფათალი ხანისა, და ანუ ვითარ

¹ ეს სიტყვა კიდევუა მიწერილი გამოტოვების ნიშნით.

შეიწე ექმნა ოდეს დაიპყრა¹ მან ყარადალი და გილანი. ამით შეიერთეს ჯავათხანცა, როქმელსაცა ეპყრა კერძოიხ იბრეიმ r 26 ხანისა. გარნა ეგანრეზომა განზრახუასა მათსა უძღვებ ჰყოფაი ფათალი ხანისა, და უკუნ იქცნენ თვის თვისად.

ზარნა ძეი არჩილისა, ძმის წული მეფისა სოლომანისა დავით, იპოებოდა მაშინ გამოდევნილი მეფისა დავითისაგან და იზრდებოდა სახლსა შინა მეფისასა, ვინაჲთგან იყო ასულის წული მისი. იქმნა უკუტე სამდურავი ორთავე მეფეთა შორის და შორის მეფისა დავითისა და დადიანისა გრიგოლისა იქმნა შური. და განვიდა მეფე დავით და მოსწევა ოდიში. შემთხუევასა ამას წარატანა მეფემან ირაკლიმ ძის ძესა თვისსა, ძესა გიორგისასა დავითს, ძეი არჩილისა დავით, რათა წარგზავნოს იგი ოდიშსა. და მან წარგზავნა იგი ოდიშს. იხილეს v 26 რა ოდიშელთა ძე არჩილისა, შეკრბნენ მის თანა. სცნა რა ესე მეფემან დავით, ამანცა შეიკრიბნა მხედრობანი იმერთანი და მივიდა ხუნწს. მაშინ ძის ძემანცა დავით ჰყო მოძრაობა² სამძღვართა ზედა. ზემო იმერთა ჰგონეს კვალად ქართველთა რეცა სწადთ გარდასვლაჲ მუნ. ჟამსა ამას შინა სახლიცა წერეთლისა იყო ორგული მეფისა დავითისა. იკვეთნენ ხუნწს, იძლივა მეფე დავით და განივლტო ახალციხეს. შემდგომად შეი არჩილისა ჰყვეს იმერთა მეფედ და უწოდეს სახელი სოლომან მეორედ. და მეფე დავით მოვიდა მეფისა ირაკლისა წინაშე, და ამან დააგო მეფისა იმერთასა წინაშე, და ჰყვეს ზავი. ძვალად მოვიდნენ ახალციხით შეყრილობანი ლეკთანი r 27 და დაეცნენ ძვეერას, გარნა მეფის ძის ძე დავითმან სძლო მათ და განაბნივნა. იყო უკუტე ხდომევა ლეკთაგან ახალციხით, და რყენიდიან ქართლსა და სომხითსა, მით რამეთუ აღვიდნენ ძენი ერისთვისანი ახალციხეს და ზაქარია ციციშვილი სალთხუტესი დედოფლისა, მოვიდნენ და დაეცნენ კელთუბანს და წარტყვევენეს იგი.

ძვალად მოუხდნენ ვიზიყს კარელნი, სძლეს ვიზიყის მოურავს ზაქარიას და მოსწყეიტეს სამასისა ვიზიყელნი. მაშინ შეყრილობანი ლეკთანი ფრიალნი მოვიდნენ და დაეცნენ ყარაღაჯს, და მოკლეს გივი ამილახვრიშვილი³, სადაცა გორს⁴

¹ ამ სიტყვის შემდეგ ტექსტში წაშლილია „ყარაბალი“. ² „მოძრაობა“ უნდა იყოს ალბათ. ³ ეს უკანასკნელი ოთხი სიტყვა კიდევუა დაწერილი გამოტოვების ნიშნით. ⁴ ტექსტში: გრს.

- მყოფნი მეფის ძენი იულონ ირაკლის ძე და ძის ძეი მეფისა
- v 27 იოვანე გიორგისა განვიდნენ. იქმნა უკუჲ ბრძოლა ზედაველასა ზედა. ზუნ მწნედ იყო მეფის ძის ძე იოვანე. იძლიენ ლეკნი და წარვიდნენ სირცხვილეულნი, რომელნიცა იყვნენ მოყვანილ ერისთავის ძის მიხაილისაგან. ძველად მოიყვანა არლუთაშვილმან მიქელამ ლეკნი, მოუძღვა, და წარიღეს გრწანისი; თუმცა ლა განვიდნენ მღვეარნი ქალაქით, არამედ ვერლარა ეწვივნენ. ძველად მოუძღვა არლუთაშვილი მიქელა და მოსტყვენეს ყალაჩა, სადაცა წარიყვანეს უმეტეს ორასისა ტყვენი სომეხთანი. ძველად შეკრბა ლეკთა და თათართა მწედრობა, მოვიდა და აღიღო რუსთავი, და მეფე იძულებული წარვიდა მათზედა, სადაცა წარგზავნა ძის ძეი თვისი დავით, რათა უყოს ზედა დასხმაჲ. ხოლო მან წარგზავნა
- r 28 გატეხილს კიდს ზევითი შეყრილობა თათართა, და მობივეს ჯაფახეთი და მოვიდნენ გამარჯვებულნი ალაფითა დიდითა. და ლეკთა ამათ განელეს ტყითა და წარვიდნენ მშვიდობით ახალციხეს, მით რამეთუ მეფემან არლარა ამჯობინამისვლა ტყეთა შინა ლეკთა ზედა.

წელსავე ამას 1789 ბრძანებითა მეფისათა მიუხდა მეფის ძის ძეი დავით ყარსსა ათასითა კაცითა და მოსტყვენა ინჯადარა, ფალდერევენი და ჯომუშლი, და იალაფეს უმეტეს ათასისა ტყვისა. მაშინ მოეწივათ უკანა მწედრობაჲ დიდი თურქთა მძღვანელობითა აღიბეგისათა და მაჰმად ბეგისა, ძეთა ხათუნისათა. მუნ თვით მეფის ძის ძეი დავით იყო ფრიად მწნეთ, რომელმანცა ჯელითა თვისითა მოკლა თიქნისელი ხანი თო-

v 28 ფითა, რჩეული მწედარი თურქთა შორის. უკანასკნელ მოვიდა მას ზედა იშიყ ბეგ, გამოჩენილი მწედარი ყოველსა ყარსსა და ქურთსა ზედა, სადაც მეფის ძესა სცა მან შვიდი ხმალი, გარნა დაიცუა იგი ჯაჭვმან, ვინაითგან აქვნდა დაფარვით ტანსა ჯაჭვი. უკანასკნელ მოკუდა ესეცა ჯელითა მეფის ძისათა. ესე იყო საკვირველი, რომელ ყრმაჲ წლისა ოცდასამისა და გამოუცდელი ბრძოლისა, ესრეთ იყო დღესა მას მწნედ, რომელ განაკვირნა ვითარცა ქართველნი და ეგრეთვე თურქნი. გარნა ბრძოლასა მას დაეფლა ცხენი ლიასა და გარდმოვარდა, გაექცა ცხენი, რომელიცა შეიპყრა და მოართვა გულ მაჰმადსა სარვანმან, ძემან შარიფისამან, და აღჯდა კვალად-

ჰუნ მოსწყდნენ¹ ბრძოლასა წინაშე | მისსა ორნი ურმანი ბე- r 29
პურის შვილები, რომელნიცა იყვნენ მკნენი მამაცი.--

კვალად მოუძღვა არღუთაშვილი მიქელა ახალციხით
ლეკთა, მოსტყვენა გაურარხი, სადაცა ეკუსთა საბარათიანოს
სარდალი დავით მკედრობითა თვისითა ღურნუკს. მუნ იძლივა
სარდალი, და მოკუდა მუნ უმეტესი ასისა და შეპყრობილ
იქმნენ უმეტეს ასისავე.—ზარნა შემოვიდნენ საგურამოსა შინა
ლეკნი უმეტეს ათასისა კაცისა, რომელნიცა განიყვნენ ორად:
ნახევარმან წარილო ნახირი პირუტყვეთა დედოფლის დარეჯა-
ნისა² ქალაქს მახლობელ, ავლაბრისა ხოჯა მელიქის საყდრის
გვერდიდამ, სადაცა ქიზიუს მყოფმან მეფის ძემან იულონ შეუკ-
რა იორი, განაბნინა ლეკნი იგი და მიულო მათ ნატყუენავნი v 29
მათნი; და ნახევარმან აღილო ფრეზეთი და წარვიდა საგურა-
მოიძთ დალისტანად. მაშინ მეფის ძის ძემან დავითმან, მყოფ-
მან მატანსა შინა, მოიკრიბნა მკედრობანი ახმეტელნი ვიდრე
ას კაცამდე, შეუკრნა გზანი კინკრისა, სძლო მათ და მიულო
ყოველივე ნატყვენავი და ტყვენი. ესრეთ შიშენეულ იქმნენ³
ლეკნი, რომელ ოდეს იწყეს რა ლტოლვაჲ, ერთი მეორესა
ჰყრიდიან ფლატესა ზედა ილტოისასა, ვინ წინა უსწროს ურ-
თი ერთარს, რომელნიცა იყვნენ უმეტეს ხუთასისა. სისხლმან
მათ ლეკთა დახოცილთამან სრულიად შეღება წყალი იგი ილ-
ტოისა წითლად.—

იქმნა კვალად სამღურავი მეფისა სოლომანისა და დავი- r 30
თისა. მაშინ დავითმან შემოიკრიბნა მცირედნი ლეკნი ახალ-
ციხით, წელსა 1790, ქკს: უოშ:; სძლო მეფესა სოლომანს და
დაიპყრა კვალად იმერეთი. შემოკრიბნენ კვალად ოდიშარნი
და აფხაზნი მით, რა მანუჩარს დადიანისა ძესა აქუნდა ამას-
თან შეკრულებად და ორგულ იყო ვითარცა ძმისა თვისისა
დადიანისა გრიგოლისა, ეგრეთვე მეფისა სოლომანისა. მხილ-
ველმან ამისმან მეფემან ირაკლიმ მიაშველა ძის ძე თვისი
იოვანე მეფესა სოლომანს. მაშინ მეფე სოლომან დამაგრებულ
იყო სახლსა წერეთლისასა, ვინამთვან წერეთელი პაპუნა და
ზურაბ იყო ორგულ მეფისა დავითისა. იქმნა ლოსიათხევეს
ბრძოლა. იძლივა მუნ მეფის ძის ძისა იოანესაგან | მეფე ' და- v 30

¹ ამ სიტყვის შემდეგ ტექსტში წაშლილია „ბრძოლნი“. ² ამ სიტყვის შემდეგ ტექსტში წაშლილია „მა“. ³ ამ სიტყვის შემდეგ ტექსტში წაშლილია „რკვენი“.

ვით, რომელსაცა¹ ჰყუანდა უმეტეს ათიათასისა იმერნი, აფ-
ხაზნი და ოდიშარნი, და ქართველნი არა იყვნენ უმეტეს
ხუთასისა მით, რამეთუ ზარბაზანმან დასცა მათ ზარი. ამავე
წელსა მეფის ძემან დავით შემოიკრიბნა ვიზიყელნი, მოუხდა
ბაიამათლოს და ფადარს და მოსტყუენვა. დღესა მას სამჯერ
სძლო გამოსრულთა ლეკთა მღვეართა და მოვიდა გამარჯვე-
ბული და ალაფითა სავსე. ხოლო ვინაითგან აქვნდა შური
ხანსა განჯისასა ჯავადს ალი სულთნისა შამშადილსა ზედა,
რომელიცა არა მორჩილებდა და ძმასა მისსა მაჰმად ხანს
უკუდგა ჰლ ხანობასა მისსა, [აჰყა]რა შამშადილი და მოიყ-
r 31 ვანა შულავერს. ხოლო მუნით მისრულსა შამშადილადვე
დაესხა მაჰმად ხან მხედრობითა, გარნა სძლო მან მაჰმად
ხანს, და გარდა ამისსა მრავალ გზის იძლეა ვა ხანი, ეგ-
რეთვე განჯელნი ალი სულთნისაგან, თუმცა ლა მრავალ
გზის უკუ უბრუნა და მისცა მეფემან განჯელთა შამშადილი,
გარნა არა ემონენ. ამად დაიცა დროჲ და მოუხდა ჯავად ხან
განჯურითა² მელიქებისა³ მკედრობითა და მოსტყვენა შამ-
შადილი, რომელსაცა ჰყვა უმეტეს სამი ათასისა მხედრობანი.
მაშინ გარდაეშველნენ ყაზახნი, სადიცა შეკრბნენ ყაზახნი და
შამშადინელნი უმეტეს არა სამასისა, სძლეს ჯავათ ხანსა და
შეიპყრეს უმეტეს რეაასისა განჯელნი, და დაუშთა ჯავად ხანს
v 31 თვისი ყოველივე ბარგი, ჯორი და აქლემი და განივლტო
სირცხვილეული. ძვალად მოუხდა ბაიამათლოველთავე მეფის
ძე ალექსანდრე და მოსტყვენა ივინი.

ხოლო გარდაიცვალა რა ქარიმ ხან სპარსეთს, და ზაქი
ხანცა, ძმა მისი, მოკლეს სპარსთა ბარბაროზებისა და ტირა-
ნობისათვის, რომლისა შემდგომად დაიპყრა სპარსეთი ალი
მურათხანმან ზანდმან. და ოდეს გარდაიცვალა ესე, მაშინ გამო-
ჩნდა ალა მაჰმად ხანად წოდებული, ძეი მაჰმად ასან ხანისა,
გვართა ყაჯარი, რომელიცა ჰყო საქურისად ალიშამ, ძმის-
წულმან ნადირისამან. ამან სძლო ჯავთარ ხანს ზანდსა და
r 32 დაიპყრა არაყი და მოვიდა აღრიბეყანსა მუშკამბარსა | ზედა.
მუნით აბირა მეფეს ირაკლის მეგობრობასა თვისსა ზედან-
და უკუნეჟცა შირაზად, ამად ვინაითგან შირაზსა შინა იპოე-

¹ ან სიტყვის შემდეგ ტექსტში წაშლილია „ჰყვა“. ² ტექსტში სწერია „განჯულ“, შემდეგ „ულ“ წაუშლიათ და მიუმარებიათ „ურითა“. ³ ამ სიტყვის ბოლო დაუწერიათ „ითა“, შემდეგ წაუშლიათ და ზემოდან დაუწერიათ „სა“.

ბოდა მაშინ ლუთვალე ხან, ძეი ჯათარ ხანისა. ესე გამოვიდა პირისპირ ამისსა, იქმნა¹ აბოხი შორის მხედრობასა ამისსა, რომლისა გამო განიბნიენენ მკედრობანი ლუთვალე ხანისანი, და მივიდა ქირმანს². განვლო ხოჯამან, აღილო შირაზი, წარვიდა და მოადგა ქირმანს და დაიპყრა იგი. განივლტო მუნით ლითვალე ხან, რომელმანცა განარღვია ერთი კერძოი მკედრობისა ხოჯასი, ვინაითგან იყო ესე ლითვლი ხან ჟამსა ამას ესრეთ მკედარი და მენე, რომელ მსგავსი მისი ყოველსა შინა სპარსეთსა არა იპოებოდა. ხოლო მისრული | ბამს, შეიპყრეს v 32 ბამელთა და მოიყვანეს ხოჯისა წინაშე, რომელსაცა აღმოხანდნა თუალნი.

მოიცალა რა საქმისაგან სპარსეთისა ხოჯამან, მოვიდა და მოადგა შუშის, მით რამეთუ არ ერჩდა მას ხანი შუშისა იბრეიმ, გარნა ვერა აღილო ციხე ესე. და მოვიდნენ ელნიცა ქართლისანი განლტოლვილნი შიშისაგან ხოჯასა. მაშინ ძენი მეფისანი იულონ და ალექსანდრე მიუხდნენ განჯას და მოსტყვენეს, რომლისა გამო განძვინებული ხოჯა წარმოემართა ტფილისსა ზედა. ჟამსა ამას ძეი არჩილისა, მეფე იმერთა სოლომან, იმყოფებოდა ტფილისსა შემწვდ პაპისა თვისისა. პირველსა დღესა იკვეთნენ ველსა გრწანისისასა მეწინავენი სპარსთა | და r 33 ქართველთანი, სადაცა მეწინავეთა შორის იმყოფებოდა მეფის ძის ძეი დავით, წერეთელი ზურაბ და ამილახვარი ოთარ, მუხრანის ბატონი იოვანე და ქიზიყის მოურავი ზაქარია. დღესა მას მუნ იყვნენ ქართველნი, რომელთა ძლით იძლიენენ სპარსნი. ხოლო დღესა მეორესა, ვინაითგან იმერთა იწყეს ტყვევნა აყრილთა მათ მცხოვრებთა ტფილისისათა, არღარა უვიდოდა ორთავე მეფეთა მკედრობაჲ უმეტეს ათას ხუთასისა კაცისა. იქმნა ბრძოლა ველსა ზედა კრწანისისასა³. იძლიენენ ქართველნი და იმერნი, განივლტნენ მეფენი, და აღილეს ტფილისი წელსა 1795, ქკს: უპგ.; და მიუღეს ყოველივე თოფხანაჲ მეფესა. დღესა ამას იყო მკენდ მეფის ძის ძეი იოვანე ესრეთ, v 33 უკეთუ იგი არა იპოებოდა მუნ, შეიპყრეს მცა მეფე ირაკლი. ხოლო მეფის ძემ დავითმა შთაყარა კვენსა შინა საგუბრისათა ზარბაზანნი იგი, რომელიცა აქენდა მას თაბორის კერძო, რა-

¹ ამ სიტყვის შენდვდ ტექსტში წაშლილია „ბრძოლა“. ² ამ სიტყვაში ასო „მ“-ს ნაცვლად სწერია „შ“. ³ ტექსტში „კრწანისისისასა“.

თა არა დაუშთეს სპარსთა, და ესრეთ განაჩინა¹. აღიღეს ტფილისი და მოწვეს, და თვით მეფე განივლტო მთიულეთს. დაჰყო უკუშე ხოჯამან რვა დღეი სოღალულს. მუნით აღიყარა და შთავიდა მულანსა და მუნით წარვიდა ხორასანს ზედა. მაშინ მოვიდა ორი ბატალიონი შემწედ რუსეთისა მკედრობათაგანი.

- იხილეს რა² ლეკთა უძლურებაჲ ქართველთა, შიკობნენ უმეტეს ათას ხუთასისა, მივიდნენ ნორიოს, გარნა იძლივნენ
- I 34 ფრიად მოურაქვისაგან მათისა ზაალ ენდრონიკაშვილისაგან, რომელიცა იყო სიმენითა აღმოჩენილ ყოველსა საქართულელოსა შინა. მუნით განვლეს დილომი, ავლეს დიდგორი და მივიდნენ კოთელიას. მუნით წარმოსრულნი მოვიდნენ და დაეცნენ იედიბოლუქსა ზედან დემურჩიასანსა. მაშინ მეფის³ ძის ძეი დავით იმყოფებოდა ბორჩალოსა შინა. სცნა რა მან, მოკრიბნა ბორჩალოველნი ვიდრე ას კაცამდე, ეწია იედიბოლუქსა, სძლო მათ და მიუღო ყოველივე ნატყვენავი. ესრეთ შიშენულ იქმნენ ლეკნი, რომელ მოიშთენენ მტკუარსა შინა უმეტეს სამასისა. და დღესა მეორესა შემოვიდა ტფილისს
- V 34 გამარჯვებული, რომელმანცა შემოიტანა ჯორთა ზედან აღკიდებული საბაღნითა თავნი ლეკთანი. ამას ზედან განზხდნენ ტფილისელნი და იწყეს კვალად აოხრებულისა ქალაქისა შენებად. და იბრეიმ ხან მოვიდა შუშისა განჯასა ზედა, ვინაითგან ხანი განჯისა იყო მიზეზ აოჯრებისა ყარაბაღისა და ტფილისისა. სთხოვა მეფესა ირაკლის შეწევნაჲ, რომელმანცა წარუვლინა ძეი თვისი ალექსანდრე და ძის ძეი დავით. მივიდნენ ესენი განჯასა ზედა, აღიღეს ქალაქი და მოწვეს, და რაოდენ გზის გამოვიდოდნიან ციხით განჯელნი, ეგოდენ იძღვოდნიან, სადაცა ფიცხელად ბრძოდნიან ქართველნი, რომელ სიმენესა მათსა
- I 35 განკვირებულ იყვნენ ყარაბაღელნი და ლეკნი. უკანასკნელ შთავიდა თვით მეფე ირაკლიცა, გამოართვა ყოველნივე ტყვენი საქართველოისანი დროსა ხოჯასასა ტყვექმნილნი უმეტეს ათასისა, ზავ ჰყვეს განჯელთა თანა და უკუნ იქცა.—

შამსა ამას მოვიდა მკედრობაჲ რუსთა მძღვანელობითა უვალერიანე გრაფ ზუბოვისათა. ამათ დაიპყრეს დარბანდი,

¹ ტექსტში „განაჩინეს“. შემდეგ ბოლო „ეს“ წაუშლიათ და ზემოდან დაუწერიათ „ა“. ² ტექსტში უკანასკნელი ორი სიტყვა ორჯერაა გამეორებული. ³ ამ სიტყვის შემდეგ ტექსტში წაშლილია „ძე“.

შამახია, ბაქი და სალიანი წელსა 1796, ქსა: უპდ.: მაშინ ალა მაჰმად ხან ხოჯაჲ იპოებოდა ხოროსანს დაპყრობისათვის მისისა, რომელმანცა აღიღო შამათი და ტყვეჲ ჰყო ძის ძეჲ ნადირისა შარუხ და მიუღო უმრავლესი ნაქონები. უკანასკნელ მოიკლა ესეცა. ზოლო ზუბოვმანცა წარმოგზავნა მვედრობითა ღიანა-რალ-მაიორი კორსიკოვი. ამან | დაიპყრა განჯა; მუნ დაუტევა v 35 მცირედი მვედრობაჲ და მოვიდა თვით ტფილისსა მხედრობითა. წელსა ამას გარდაიცვალა ეკატერინა იპერატრიცა, და იქმნა ძე მისი ჯელმწიფედ პაულე. ამან უკუნ აქცივნა ყოველნი მვედრობანი რუსეთისანი რუსეთადე. ოდეს მოიცალა ალა მაჰმად ხან საქმისაგან ხორასნისა, წარმოემართა და მოვიდა შუშის. სცნა რა იბრემ ხანმან მომავალობა მისი, განივლტო სახლეულითურთ თვისით ბელაქნად, და ალა მაჰმად ხანმან დაიპყრა ციხე. მუნ მოიკლა ესე მონათა თვისთაგან წელსა 1797 ქს: უპე.: და უკუნ იქცნენ სპარსნი თვისთვისად. წელსა ამას იქმნა მეფე ირაკლი უძლებ წყლის მანკიერებითა. შამსა ამას | შთამოვიდა ომარ ხან, მოწევა ველის ციხე და მუ- r 36 კუზანი და უკუნ იქცა და შთავიდა შაქად. და მეფეცა ირაკლი გარდაიცვალა წელსა 1798, ქს: უპე:— ..

და იქმნა მეფედ ძე მისი გიორგი. ჟამსა ამას მოვიდნენ კვალად შეყრილობანი ლეკთანი და დაეცნენ კრცხინვალს და ვერა რაჲმე ჰყვეს. გარნა უკუნ იქცნენ რა, შემთხვათ მეფის გიორგის ძე იოვანე დირბს, და იძლიენენ მათგან. მუნ მოიკლა ბრძოლასა შინა წინამძღვანი ლეკთა ჩინებული ალი ფოლადად წოდებული. წარმოიშვა კვალად სამღურავი შორის ქართლისა და ყარსისა. მაშინ წარგზავნა მეფემან გიორგიმ ძენი თვისნი დავით და იოვანე, მიუხდნენ ყარსსა, მოსტყვენეს გარემონი ყიზილ ჩახჩახისანი, | გარნა გამოვიდა მვედრებითა დიდითა v 36 ალი ბეგ, და იძლიევა ქართველთაგან ოსმალნი ესრეთ, რომელ უმეტეს ორისა ალაჯისა სდევნეს ქართველთა ოსმალთა ჯოცითა და ჭერთა. და შემოიქცნენ ქართველნი ალაფითა დიდითა მძლეველნი თურქთანი. შამსა ამას იყო ყენად ბაბახან, ძმისწული ალა მაჰმად ხანისა, და ვინაითგან ესე აწვევდა¹ მეფესა გიორგის მონებასა, ამაღ იძულებულმან შეიტანა თავი თვისი მონებასა ქვეშე იპერატორისა² პაულე პირველი-

¹ ტექსტში: „აწვევედა“. ² ტექსტში: „იპერატორისასა“. შემდეგ უკანასკნელი „სა“ წაუხლიათ.

სასა, ხოლო ამან წარმოუგზავნა დესპანი და სამეფო ნიშანნი, და ერთი პოლკი იეგირისა, და შემდგომად მოვიდა ერთი პოლკიცა მშკათირისა. კვალად შთამოვიდა ომარხან ავარელი r 37 ბირებითა იბრემ ხანისათა და დაიბანაკა | კიდესა ალაზნი-სასა. მუნ მივიდა მეფის ძე ალექსანდრე, ვინაიფთვან იყო ურჩი მეფისა. წარმოვიდნენ და მოვიდნენ პირისპირ ნიახურისა. მუნ ეკვეთნენ მეფის ძე იოვანე და ბაგრატ კახთა მხედრობითა და ექვსასისა რუსითა, და რაოდენ იყვნენ¹ თვით მკნედ, ეგოდენ მკედრობანი კახთანი. იძლივნენ ლეკნი და მოსწყდნენ უმრავლესნი, რომელიცა შეყრილობა ესე იყო ვიდრე ათი-ათასისა² კაცადმდე. და უკუნ იქცნენ სირცხვილეულნი, შთავ-ლეს იორი, მიუხდნენ განჯას, გარნა მუნცა იძლივნენ. და მეფე გიორგიცა გარდაიცვალა წელსა 1800, ქკს: უპჰ: ღე-კებრისა 28 დღესა, და დაფლეს მცხეთას სამარხოსა მე-ფეთასა. —

ხოლო შემდგომად მისსა ჰყვეს გამგედ და მართებე- v 37 ლად | ქართლისა პირმშო ძე მისი დავით ბრძანებითა იპერა-ტორისათა, ვინაიფთვან ჯერ იყო მებრ ტრაქტატითა, ესე იგი ალექსისა პირობითა, დადებულითა შორის ეკატორინასა იპე-რატრიცისა და მეფისა ირაკლისათა, რათა ბრძანებითა რუ-სეთისა³ კარისათა დაიდრგინებოდეს მეფე. ამან იწყუო მართ-ვად ქართლისა ფრიად გონიერად, ვინაიფთვან იყო ესე აღზრდილი მეცნიერებასა შინა, ვითარცა საღმთოთა და ფი-ლასოფიათა, ეგრეთვე სამკედროსასა შინა, ვინაიფთვან უწყო-და მან ვითარცა კანონი სამოქალაქოიდ და სამკედრო აზიისა, ეგრეთვე ევროპისაცა⁴. გარნა ვინაიფთვან იყო ესე დავით ფრიად დედათა მოყვარე, ესე შეაცთუნა თანა აღზდილმან r 38 მისთანა | მთავარ-დიაკონმან ევანტემ, ონისიმეს ძემან, მარტ-ყოფელმან, რომელიცა იყო ფრიად ფილასოფოს, და ესწავათ ერთადცა ამას და დავითსა, რომელიცა იყო ფრიად მისანდო მისი, ამან მოიბირა და შეაუღლა ქალსა სომხისა მოქალაქი-საა ალა ტერსიმონაშვილის ასულსა ზედა ელენეს, რომლისა გამო გულნაკლულ იქმნენ ვითარცა ძმანი, ეგრეთვე ჩინებულ-ნიცა ქართველთანი. და მხედველი ამისი დავით იქმნა მცირე რაი მწუხარებისა გამო ცნობა ვნებულ. ამან მიუღო ქსანი

¹ ტექსტში: იყვნეთ. ² ტექსტში: ათი თასისა. ³ ტექსტში: „რუსეთისათა“, „თა“ წაშლილია. ⁴ ამ სიტყვის შემდეგ ტექსტში წაშლილია: „ცა. ამან ანიჭნა“.

ძმასა თვისსა ივანეს და ბაგრატს და ლიახვი და გვერდის-ძირი ბიძასა თვისსა იულონს და მიცა კვალად ქსნის ერისთვიანთა, რომელიცა აქვნდათ გამორთმეული ორმეოცსა წელსა მეფისა ირაკლისაგან¹, | ერთგულებისა გამო მათისა, რამეთუ v 33 აქუნდათ ფრიადი შეკრულებად მასთანა და ერთგულება, და მოელოდა მეფობისა დამტკიცებასა როსიით. ამან განაახლა შუა თვალი გატეხილის ხიდისა, რომელიცა შთასქრა ალა მაჰმად ხანმან მოსვლასა თვისსა ტფილისს. გარნა გარდაიცვალა მყის პავლე პეტრეს ძე წელსა 1801 ქკს: . უპთ: . და ვერლარა სრულ იქმნა საწადელი მისი, ვინაითგან იპერატორმან ალექსანდრემ, ძემან პავლესმან, წარმოგზავნა ლიანარალ-ლეიტენანტი კრორინლი. მაშინ მკედრობანიცა რუსთანი უმეტესათის ათასისა შემოსურულ იყვნენ ქართლში. მოვიდა იგი. მაშინ ორგულ ექმნენ მეფის ძეს დავითს რა|ოდენნიმე მახლო- r 39 ბელნი თვისნი ბირებითა კნორინლისათა, რომელმანცა აღუთქვა მათ სასყიდელი დიდი. შ საკვირველი, რომელ თვით მათ იწყეს უკანასკნელ სარჩელად რუსთა ზედა, და ხადოდენ თავსა თვისსა ახლად იუდად, ვინაითგან შესცდნენ იგინი ვერცხლისათვის, გარნა ვერა რად მიიღეს სასყიდელი და იქმნენ საციხველ ყოველთაგან. ამან განაწესა მეგრ კანონისა მათისა, ვითარცა მას სწადდა, ყოველივე კანონი სამოქალაქოდ და უკუნ იქცა რუსეთად. ხოლო წელსა 1802 მოვიდა კვალად კნორინლი, აფუცა ერნი ერთგულებასა ზედა როსიისასა, რომელთა შეკრებულთა სიონსა შინა | შემოახვია მკედრობად. v 39 და ქართველთა შიშვნეულთა ჰყვეს ფიცი მსწრაფლ. და მოასვენა ჯვარი იგი წმინდის ნინასი წელსა 1802, ქკს: უუ:, რომელიცა მოიპარა და წარიღო არშას ციხით რუსეთად მთავარ-ეპისკოპოზმან რომანოზ, არაგვის ერისთვის ძემან. ხოლო აწ კვალად მოსცა იპერატორმან ალექსანდრემ ქართველთავე. დაუტევა მუნ კავალინცკი განმგედ და თვით უკუნ იქცა რუსეთადვე.

ქვალად აღდგნენ ლეკნი და იწყეს ტყუშნვა ქართლისა, დაესხნენ ორგზის ქარელსა და მოსწყვიტნეს მრავალნი მუნებურნი. კვალად მიუხდნენ და წარტყუშნვეს ყელ-ქცეული, ეგრეთვე ქენფერი და მსგავსისავე სახითა კახეთითცა წარიღეს მელაანი. | ქვალად შეკრბნენ ქარელნი, მოვიდნენ და წარიღეს r 40

¹ ეს ორი სიტყვა ტექსტში კიდევუა გატანილი.

ივრით ცხვარი თუშთა ვიდრე ოცდა ათი ათასამდე, რომლისა გამო გამოსცვალეს კნორინლი. და ნაცვლად მისსა¹ განაწესეს ღიანარალ-ლეიტენანტი ციციშვილი პავლე დიმიტრის ძეი, რომლისა მამა დროსა ვახტანგ მეფისასა გარდასრულ იყო რუსეთად. კაცი ესე იყო გონება ვნებულ და ცნობა მიხდილ, ვინაითგან გუართა ამათა შორის ზოგად არა იშვით არს ესე სენი. ესე მოვიდა წელსა 1803 ქკს: უჟა: . ჟამსა ამას იყვნენ ძენი ქართველთ მეფისანი მიწოდებულნი როსიად. იწყეს რა მათ მზადებაჲ, არამედ დაესხა ღამე ვითარცა ავაზაკსა ზედა

v 40 და წარგზავნა რუსეთად. | შემდგომად ამისა შეუსივა მკედრობანი ღიანარალ-მაიორისა² ლაზარევითურთ დედოფალსა ციციშვილის ასულსა მარიამს, მეუღლესა მეფის გიორგისასა, რათა იძულებით და გამოთრევით წარგზავნოს რუსეთსა. იქმნა მუნ შფოთი, სადაცა რუსთა დაკოდეს ფრიად ჳრმლითა ორსა ადგილსა მკლავსა შინა დედოფალი მარიამ, და ამ შფოთსა შინა მოკუდა ღიანარალ-მაიორი ლაზარევი ხანჯლითა, რომლისა არა სადა ცხად იქმნა მკვლელი მისი, და დედოფალი. დაკოდილი ბრალეულ ჰყვეს, რეცა მან მოკლა იგი, და შვილებითურთ თვისით წარიყვანეს რუსეთად, რომლისა ჳვრეტა

r 41 მკვრეტელთათვის იყო საზარო. და დაპატიმრეს მონასტერსა შინა ბელილოროდისასა, ვინაითგან ციციშვილმან დასწამა სიკუდილი³ მისი. ხოლო დედოფალი დარეჯან დადიანის ასული, მეუღლე მეფისა ირაკლისა, დაშთა უძლებობისა გამო ტფილისსა.

ხოლო ამან ციციშვილმან წარგზავნა მკედრობაჲ ბელაქანსა ზედა, და მოწვეეს ბელაქანი, გარნა მაშინ ვერა აღვირ ასხა⁴ ლეკთა კადნიერებასა მათსა, მით რამეთო მოვიდნენ ქარელსა და მოსწყვიტნეს რუსნი უმეტეს ასისა, ეგრეთვე წარიღეს ჩივაძიანთ კარი და წარასხეს უმეტეს ასისა ტყვისა. კვალად ბელაქნის მახლობელ წარიღეს რუსთა ცხენნი უმეტეს ხუთასისა და ეგრეთვე მახლობელ ქალაქისა წარიღეს უმეტეს

v 41 ოთხასისა | ცხენი. და იყო მრავალი ვნება ლეკთაგან. ძეალად სიფიცხითა და ბოროტებითა ციციშვილისათა ვნებულ იქმნენ უმრავლესნი თავადნი და აზნაურნი კახეთისანი და წარვიდნენ

¹ ამ სიტყვის შემდეგ ტექსტში წაშლილია: „ჰყვეს“. ² ამ სიტყვის შემდეგ ტექსტში წაშლილია: „ლაზარევისა“. ³ ტექსტში სიკუდილი. ⁴ ტექსტში დაწერილია ჯერ „ასხეს“, შემდეგ „ეს“ წაშლილია და ზემოდან დაწერილია „ა“.

სპარსეთად; ეგრეთვე მეფის გიორგის ძე თეიმურაზცა, ვნებულ-
ლი ციციშვილისაგან, წარვიდა სპარსეთად. და ჟამსა მას იქმნა
მომსვრელი სენი ყოველსა საქართველოსა შინა, რომლისა გა-
მო შეედვათ ფრიადი სრუად. ხოლო დედოფალი დარეჯანცა¹
წარიყვანეს როსიად. და ოდეს ლეკთაგან იყო ოხრებაჲ ქართ-
ლისა, მის გამო ჯეროვნად რაცხა ციციშვილმან შენობაჲ
წალკისა, რათა ამით აღვირ-ასხას ლეკთა, და დაასახლა მუნ
რაოდენიმე მოსახლენი. ხოლო მოვიდნენ ლეკნი და წარასხეს
ტყვედ ყოველნივე. ამას ზედან განროისხებულმან ციციშვილმან
წარგზავნა | მხედრობაჲ საკირესა, სადაცა იღვნენ ლეკნი. იქმნა r 42.
ბრძოლა მათ შორის, სადაცა იძლიენენ რუსნი, და მოსწყვიტ-
ნეს მრავალნი და დანაშთნი მოვიდნენ ტფილისსა. კვალად
მოვიდნენ ლეკნი და წარტყუშნეს ნიჩბისი. კვალად მოვიდნენ
სოღანლუხს და წარტყვევნეს უმეტეს ორასისა რუსნი. ხოლო
არაოდეს მოიხსენების², და ვერცა დაიტევს ისტორიაჲ ესე,
თუ ვითარი ოხრება იყო ლეკთაგან საქართველოსა შინა.

და წელსა 1804, ქკს: უუბ: შეიკრიბნა ამაჲ მკედრობანი
და მოადგა განჯას. ვერ წინა-აღუდგა ხანი განჯისა ჯავად
ამად, რომელ არღარა იპოებოდა მუნ უმეტეს ხუთასისა მე-
თოფე მომსვრელისა გამო სენისა, ვინაითგან მათცა შეედვათ
სენი, და აღწყვიტნა მრავალნი მუნ მცხოვრებნი | ქირმან. v 42
ამისა გამო აღიღეს უკვე მიტევებითა განჯის ციხეჲ რუსთა,
სადაცა მიტევებასა ზედან მოსწყდნენ უმეტეს ხუთასისა სალ-
დათნი. განძვინებულთა სალდათთა და ტკინვეულთა ქართველ-
თა განჯელთაგან რადცა უსამართლოება იხმარეს თვისითა
მეზობელთა ზედა ჟამსა მოსკელისა ალა მაჰმად ხანისასა, მოს-
წყვიტნეს უმრავლესნი მცხოვრებნი განჯელთანი, მოსრნეს
დედა-წულნი და იავარ ჰყვეს ნაქონები მათი. ეჰა უუსჯულოე-
სი! რომელ ტირანმან³ ციციშვილმან ჰსცა ნება მხედრობათა
შებილწებისათვის ტყვეთასა, ხოლო თვით ექმნა მაგალით უს-
ჯულოსა ამის განზრახუასა, მით რამეთუ პირველმან შეაბილ-
წნა სახლეულნი ხანისანი. | ხოლო ამავე წელსა წარგზავნა ია- r 43.
ნარალი გულაკოვი დასასჯელად ქარელთა. მიიწია რა ზაქა-
თალას, იძლიეა გულაკოვი ქარელთაგან, რომელიცა თვით
დასჩეხეს ხრმლითა, და მოსწყდნენ უმრავლესი მხედრობანი

¹ ეს სიტყვა ტექსტში ზემოდანაა ჩაწერილი. ² ტექსტში: მიხსენების.

³ ტექსტში: ტირიანმან.

მისნი და ესრეთ შიშვნეულ იქმნენ, რომელ უმეტეს ხუთასისა რუსნი გარდასცვიდნენ კლდესა ზაქათალისასა და მოსწყდნენ, გარნა დაშთა უენოდ იანარალი ყაფლანიშვილი დიმიტრი, მეორე მძღვანი ამა რუსთანი შემდგომად გულაკოვისა, რომელ იგიცა გარდავარდა კლდესა მას. ხოლო გაზაფხულსა წილსა ამასვე წარვიდა ციციშვილი ერევანსა ზედა, დასაპყრობელად ქალაქისა მის. მიიწია რა ეჩმიძინსა, მუნ შეემთხვია

v 43 ძე ყეენისა აბაზ მცირედითა | მვედრებითა. თუმცა ლა წარმოიშუა მათ შორის მცირერი ბრძოლად, გარნა უძალო ქმნილნი სპარსნი გაეცალნენ და მივიდნენ გარნისსა, ხოლო ციციშვილიცა განვიდა ზანგისა მდინარესა და მოადგა ციხესა ერევნისასა. მცნობმან ამიამან ყეენმან ბაბახან მოირთო ძალი, მოვიდა გარნისსა ზედა. ჟამსა ამას დაემზა მხედრობა ციციშვილსა, წარგზავნა მან მანტრეზორი მაიორი ორასითა მხედრობითა და ერთითა ზარბაზანითა ბანბაკად, რათა მოართვას მან მუნით აზულად. სცნა რა ყეენმან, შეუყენა უკანა მეფის ძე ალექსანდრე ათასითა მხედრებითა სპარსთათა, რომელიცა ეწია მას მახლობელ დარბაზისა, და მოსწყვიტნა სრულიად მანტრეზორი-მაიორითურთ, მიულო ზარბაზანნი

v 44 და | მივიდა წინაშე ყეენისა. ამად პატივ სცა მას ყეენმან და ანიკნა საბოძვარი დიდი. შემდგომად რაოდენისამე დღისა წარმოიშუა ბრძოლად შორის ციციშვილისა და ბაბახანისა. იძლივა ციციშვილი ესრეთ, რომელ გამოიპარა ღამით მცირედითა მით მხედრებითა, რომელნიცა გარდაურჩნენ სპარსთა ველთაგან ბრძოლასა მას. ხოლო ამათ არღარა შეუდგა უკანა ბაბახან, ვინაითგან სცნა ორგულეზად სპასპეტისა თვისისა სულეიმანისაგან, რომელსაცა სწადდა სიკუდილი მისი იღუმალა და წარვიდა ყეენი თერანად. ხოლო ციციშვილიც მოვიდა თბილისს.

მაშინ ძეი მეფისა იულონ ლტოლვილი რუსთაგან შეიპყრეს ულევის, და ფარნაოზცა კახეთით მისრული ყაზახად

v 44 შეიპყრეს ყაზახელთა და მიიყვანეს წინაშე ციციშვილისა, და მან წარგზავნა იგინი როსიად; პირველი უკლებ დააყენეს ტულსა, ხოლო მეორე ვარონიშს. და შემდგომად თვითცა ციციშვილიცა შთავიდა განჯას.—

ხოლო წელსა 1805 ქკს: უეგ: მოვიდა ბაბახან არღაველს; შიშვნეული მისგან ხანი შუშისა იბრეიმ შევიდა საფარველსა ქვეშე რუსთასა, სთხოვა ციციშვილს მხედრობად და-

საცველად ციხისა თვისისა, რომელმანცა მისცნა ხუთასნი მკედრობანი რუსთანი. მოვიდა ბაბახანცა არეზსა ზედა. მუნით წარგზავნა ძე თვისი აბაზ საქართუშელოსა ზედან არა ძლიერითა მკედრობითა. მოიწიენენ რა თართარსა, წარგზავნა ციციშვილმან ათასნი უკმე რუსნი კარეგინისა პოლკოვნიკისა მძღვანელობითა. შეიმთხვენენ ქურაგსა. იძლია კარეგინი, რომელმან გარდაურჩა ოცდაათითა სალდათითა, და თვითცა დაჰკოლდეს კარეგინიცა. ჰსცნა რა ესე ციციშვილმან, წარვიდა ოთხი ათასითა მხედრებითა მას ზედან, გარნა სპარსთა გარდავლეს ზემო გზად და რუსნი დაუტევეს ქვემოსა გზასა ზედან. მოვიდნენ განჯას და გარდაასახლეს მუნით მცხოვრებნი განჯელნი მახმედიანნი, რომელიცა წარგზავნა თავრიზად, ხოლო თვით მიიწია შამშადილსა. თუმცა და სწადდა მისელა თბილისსა ზედან, გარნა არა იქმნა სრულ საწადელი მისი, მით რამეთუ მოკრთო ბაბახანისაგან, მამისა თვისისა, ბრძანებად უკუნ | ქცევისათვის. შეელო მან აღსტაფად ვიწროსა მას კალ-
 თასა მთისასა. დახვდნენ მუნ ყაზახნი და ფრიად ვნება მისცეს სპარსთა. ხოლო ბაბახან უკუნ იქცა გილანად, ამად რომელ რუსთა მხედრობანი განვიდნენ გილანად მძღვანელობითა ღიანარალ ზავალიშინისათა. გარნა მისულადმდე ბაბახანისა მუნ, იძლიენენ გილანელთაგან რუსნი და ლტოლვილნი მუნით ნავითა მოვიდნენ მახლობელ ბაქუდისა.

ხოლო წელსა 1806, ქკს: უედ: განვიდა ციციშვილი მტკვარსა მხედრობითა, ჩავლო შირვანი და მივიდა ბაქუს. საწადელი მისი იყო ესრეთ, რათა დაიპყრას ბაქუი და მუნით გამოიტანოს აზულად ასტარხნით შესაწვენელად საქართუშელოსა შინა|მყოფთა მხედრობათათვის, ვინამთგან 'ვერ კმა
 უყვეს¹ აზულისა მიცემითა ქართუშელთა რუსთა, და მისრულმან მახლობელ ბაქუისა დაიბანაკა ერთსა ფარსანგსა და მიუწერა² ხანსა ბაქუსასა ჰუსეინს, რათა მან მოართვას კლიტეჟ ქალაქისა. რაოდენ ევედრა ხანი, რათა არა დასდოს ესევეითარი სირცხვილი, რომელიცა სირცხვილად აღუჩნდა ხანსა მორთმეჟა ჯელითა თვისითა კლიტისა, და არა თანხმა ექმნა ციციშვილი, და უკანასკნელ მიუწერა ხანმან: „ვინამთგან ვი-
 შიშვიო და არა ძალ მიცს მოსვლად მხედრობისა თქუშენისა,

¹ ამ სიტყვის შემდეგ ტექსტში წაშლილია: ახლეს. ² ამ სიტყვის შემდეგ ტექსტში წაშლილია: ბაბა.

v 46 ამაღ გთხოვ მოვედ შენ ორითა¹ უკესე კაცითა მახლობელ ციხისა, | და მეცა მოვალ ორითა მონითა ჩემითა, და შემთხვევასა² ურთიერთისასა მოგართვამ კლიტესა“. ვერ სცნა უგუნურმან მცბიერობად ხანისა და მსწრაფელ წარვიდა ორითა ყაზახითა ხანისა კერძ. ხოლო ხანიცა მოვიდა ორითა მონითა. გარდახდნენ ორნივე ცხენითა, უაბორეს ურთიერთსა. მოართვა რა ხანმან კლიტეჲ, მაშინ მათ ორთა ამათ მონათა სტყორცეს თოფი ციციშვილსა და მოკლეს და მისთანა მოკლეს ერისთვის შვილი ელისბარცა ძე აღაბაბასი, და წარკვეთეს თავი და წარუგზავნეს ბაბახანს. ხოლო მხედრობანი რუსთანი, რომელნიცა იყვნენ³ ბაქუსა, განვიდნენ ყიზლარად ზღვითა.

r 47 და შემდგომად ნაცვლად ციციშვილისა წარგზავნეს სართულქელოს მართებელად გრაფ ივან | ვასილიჩი ლუდოვიჩი ფერთმაშალი. ვინაფთვან შორის რუსთა და თურქთა იყო ბრძოლაჲ, ამად გრაფ გუდოვიჩმა მოიკრიფა სრულიად რუსთა და ქართულთა მკედრობაჲ, მივიდა და მოადგა ჯავახეთს ციხესა ახალქალაქისასა. მიუდგეს რუსთა კიბენი და ლამოდნენ გარდასვლასა ციხესა შინა. განმხდნენ თურქნი, აოტნეს რუსნი მეციხოვნეთა და მოსწყვიდნეს ვიდრე ხუთასადმდე, და ოდეს ვერ უძლო დაპყრობად ციხისა გუდოვიჩმან, უკუმოქცეული მოვიდა ალგეთად. და ამავე წელსა 1807 მოერთა ანბავი ნესვეტაევისა ღიანარალ-მაიორისაგან ყარსით, რომელიცა წარგზავნა გუდოვიჩს ოთხითა ათასითა მხედრებითა ყარსსა ზედან, ვითარმედ იძლივა იგი უსუფ-ფაშისაგან, და

v 47 ძლეული მისგან | შეივლტომცირედითა გარდარჩომილითა მხედრობითა ციხესა გუმრისასა, და სთხოვა შეწევნაჲ. წარვიდა ლუდოვიჩი; მიიწია რა ართაჩაჲს, მუნ წარმოიშვა ბრძოლაჲ შორის თურქთა და რუსთა. იძლივნენ თურქნი და უსუფ ფაშაჲ და მივიდნენ ყარსს. ხოლო ლუდოვიჩი მოვიდა ტფილისსა, თუმცალა თურქთა სწადდათ კვალად ბრძოლაჲ, მაგრამ მოერთვა უკუსე ამბავი უსუფ ფაშასა აღრეულეებისათვის კოსტანტინეპოლისა ენგიჩართაგან, რომელთაცა მოკლეს სულთან სელიმ მესამე და ნაცულად მისსა ჰყვეს სულთანად ბიძაწული მისი მუსტაფა ძეი ჰამადისა. და შემდგომად ექუსისათვისა მოკლეს იგიცა და ჰყვეს სულთანად მაჰმუდ.

¹ ამ სიტყვის შემდეგ ტექსტში წაშლილია: მონითა. ² ტექსტში: შემთხვევასა. ³ ეს სიტყვა ტექსტში ზემოდანა ჩაწერილი.

და წელსა 1808 გუდოვიჩმან მოიკრიბნა მხედრობანი | რუსთანი და ქართუელთანი, და წარვიდა და მოადგა ციხესა r 48
 ერევნისასა, მიუდგა კიბენი და უბრძანა სალდათთა, რათამცა
 აღვიდნენ. ხოლო სალდათნი რა აღვიდნენ კიბესა ზედან, იწ-
 ყებს ყიზილბაშთა წარმოებად მათ ზედან ფიცხელად თოფითა
 და ზარბაზნითა. იძლიენენ რუსნი და მოსწყდნენ უმეტეს¹
 ორისა ათასისა. და ვინათგან ლუდოვიჩი ვერლარა დადგა მუნ,
 წამოვიდა აბარანისა გზითა, და ოდეს ყინელი იყო მძაფრი,
 უმეტეს ათასისა. სალდათთა მოსძრათ ჯელი და ფეხი; ეწიენ
 სპარსნი და მიუღეს ყოველნივე ურმები და ავადმყოფნიცა
 მრავალნი ტყვედ შეიპყრეს. გამოსცვალეს ამად ლუდოვიჩი.
 და ჰყვეს ნაცვლად მისსა იანარაღ-შეფი ტორმასოვი. ხოლო v 48
 მანცა დაიწყო მართვაჲ ვითარცა მოსაყდრეთა თვისთა. გარნა
 მანცა ვერ ძალიდუა აღვირ სხმად მტაცებლობასა ლექთასა,
 რომელნიცა მარადის რყუენიდიან დაბნებსა და სოფლებსა
 საქართუშელოსასა და მარადის სტაცებდიან რუსთა და მათ-
 თა ყაზახთა ცხენთა პოლკებთასა; და იყო ფრიად განუსვენებ-
 ლობაჲ და ოხრება მათგან, თუქცა და ზოგად რუსნიცა
 ამარცხებდიან, მაგრამ ივინი არაოდეს განეყენებოდიან ჩვეუ-
 ლებათა თვისთა, ვითარცა მგელნი მტაცებლობისაგან ცხო-
 ვართასა. ესევეითარსა უბედურსა შემთხუშვასა ზედა დაერთო
 ესეცა, რომელ წელსა 1810 ქკს: უქმ: მოვიდა ძეი ყეენისა
 ბაბახანისა მაჰმად ალიხან. ამან გარდაასახლა სრულიად ფან-
 ბაკი ერევნად. მუნიით მოვიდა აღჯაყალასა, მოსტყუენვა დმა-
 ნისადმდე და კოლადმდე და | უქუნ იქცა; თუმცა ლა რუსთა მხედ- r 49
 რობაჲ იდგა გატეხილსა ხილისთ თანა, გარნა არა წარმოიშუა
 მათ შორის ბრძოლაჲ, მით რამეთუ სპარსთა ვერა იკადრეს
 რუსთა ქვევითთა ბრძოლაჲ, და ეგრეთვე რუსთაცა შიშითა
 სპარსთათა ვერა წარგზავნეს მათ ზედან ცხენოსანნი თვისნი
 მით, რამეთუ ფრიად არიან უხმარ ცხენოსანნი რუსთანი.

წელსავე ამას მოინდო ფიცითა ტორმასოვმან შეფუ იმურ-
 თა სოლომან, რომელიცა შეიპყრა და რეცა ბრალეულ ჰყო
 მან ესევეითართთა ოღალობითა: ოდეს აღიღეს რუსთა ფოთის
 ციხე, მაშინ რუსთა მიაქუნდათ ფოთის მხედრობისათვის ტყვი-
 წამალი და მცირედი ხაზინაჲ. მიიწიენენ რა ლელოვანსა, დახე-
 დათ მათ გზასა ზედან მცირედითა ლექთა მხედრებითა აბა-

¹ ამ სიტყვის შემდეგ ტექსტში წაშლილია: ორასისა.

- v 49 შიძე | ლეონ, რომელიც განლტოლვილ იყო ახალციხესა, მით რამეთუ მოკლა მან ბიძაწული თვისი დავით, და კიკნაძენიცა იყვნენ მონაწილენი მათნი. მათ მოსრნეს უმეტეს ორასისა რუსნი და წარიღეს რააცა აქუნდათ რუსთა. ამას ზედა ბრალეულ ჰყვეს. მეფე, რეცა ნებითა მისითა ქმნეს მათ იგი. და სწადდა რუსეთად წარგზავნაჲ მეფისა, რომელიცა ჰყუა ჭატიმრად სახლსა მეითრიანთასა ტფილისს. გარნა განივლტო შემწეობითა იმერლისა ვისმე წერეთლის ყმისაგან, რომელიცა იყო ტფილისს კერკეტონად, და იყო იგი მიჩენილი ტოლმჩად მეფისა, რომელმანცა უწყოდა ენა რუსული. მან შთააცუა მას ტანისამოსი თვისი ღამე, და რუსთა დარაჯთა ჰგონეს იგი კერკეტონად, მით რამეთუ ჟამსა მას ტფილისსა ყოველ-
- r 50 ნივე კერკეტონნი | იყუნენ იმერთაგანნი. ხოლო კერკეტონმან ამან¹ კელოვნებითა ამით ღამე გაიყვანა ტფილისით მეფე და ავიდა ახალციხესა. ჟამსა ამას ტორმასოვი არა იმყოფებოდა ტფილისს, არამედ წარსრულ იყო ყარაბაღად ზავყოფისათვის სპარსთა თანა. გარნა სპარსეთის კერძოით მოვიდა მას თანა ყენისაგან ნებითა სრულითა მირზა ბუზურგ. შეიმთხუნენ მუნ, მაგრა არა მოუხდათ მათ ზავყოფაჲ. მირზა უკუნ იქცა სპარსეთადვე, ხოლო ტორმასოვი მოვიდა ტფილისად. სცნა რა ლტოლვაჲ მეფისა ტორმაზოვმან, განძინდა ფრიად, ვინათგან კაცი ესე იყო მძვინვარე, ამპარტავან და უწყალო. ამან დახვრიტნა თოფითა ოთხნი კერკეტონნი, კაცნი უბრალონი, ამაღ რომელ, ვინათგან იგინი იყუნენ დღისა მორიგენი ქალაქისანი
- v 50 კერეტისათვის კარგისა რიგისა ქუჩათა შინა, რომელიცა დაუღდა მათ ბრალად, რომელ თანამდებობაჲ იყო მათი ქურეტაცა მეფისა. კვალად მოაშთო რაოდენნიმე უბრალონი ოვსნი, რომელნიცა ერისთვიანთა შეასმინეს, ვინათგან სწადდათ გახრეკაჲ ოვსთა მათ მსგავსად ჩვეულებისა მათისა. და კვალად მოაშთო რაოდენნიმე თათარნი, კაცნი უბრალონი, რომელთაცა შესწამეს არამართლად ქურდობაჲ. კვალად შეიპყრა ამან ჯავახიშვილი და თარხნისშვილები და წარგზავნა პყრობილად ორსიასა შინა, რომელნიცა ესენი შემპირებულნი რუსთა ბეგართაგან, განივლტნენ უცხოთა ქვეყანათა, გარნა შეინანეს და უკუ მოიქცნენ მამულადვე თვისად, დარწმუნებულნი. ფიცითა რუსთაგან არა რაჲსა საყვედურობისათვის.

¹ ტექსტში: ამაჲ.

ხოლო ჟამსა ამას | შარიფ ფაშამან მოიკრიბნა უმეტეს r 51
სამიათასისა კაცისა, შთამოვლო ბედენი, მოვიდა და მოადგა
ბორბალას. მუნ გაუმაგრდნენ სოლაღაანი და მხნედ ბრძოლეს.
მაგრა სცნა რა ფაშამან ტფილისით მიშველებამ რუსთა, აიყა-
რა მუნით და უკურ იქცა. სცნეს რა იმერთა. მეფისა აღსვლა
ახალციხესა, შეიქმნა მათ შორის აღრეულებამ და აღვილ-
ადვილ აბოხი, უმეტეს ზემო მხარსა შინა, რომლისა აბოხისა
თავი იქმნა ქაქუჩელა აბაშიძე საქარელი. მაშინ სიმონოვიჩმა
იანარალმან, ვინადგან იგი მართებდა იმერეთსა შემდგომად
შეპყრობისა იმერთა მეფისა, წარმოგზავნა მას ზედან მაიორი
კალატოზისშვილი ორასითა მხედრებითა. მოვიდა იგი საქარას.
მუნ წარმოიშუა შორის მათსა ბრძოლამ; იძლივნენ რუსნი და v 51
მოკლეს მაიორი იგი. მას ჟამსა შინა მეფემანცა სოლომან
მოიკრიბნა რაოდენნიმე ახალციხესა მყოფნი ლეკნი და შთა-
ვიდა იმერეთს და ავალიშვილებში. მუნ მოერთვნენ სრულიად
იმერნი, და განძლიერდა შფოთი. იანარალ სიმონოვიჩი, შიშ-
ვნიული იმერთაგან, დამავრდა ქუთაისსა და იხმო შემწედ
თვისად დადიანი ლეონ, მით რამეთუ დადიანსა და მეფესა
შორის იყო ფრიადი მტერობამ ამაღ, რომელ მეფემან უწინა-
რეს რუსთა შთასვლისა მოწვა სრულიად ოდიში და სწადლა
აღწყვეტამ¹ დადიანთა სახლისა, რომლისა გამო იძულებუ-
ლი და შიშვნიული სახლი დადიანისა შევიდა სათარველსა
ქვეშე რუსეთისასა.) | სცნა რა ესე ტორმაზომან, წარგზავნა r 52
საშველად სვიმონოვიჩისა ღიანარალ-მაიორი დიმიტრი ყაფლა-
ნიშვილი. ავიდა რა სურამს, მუნ განჰყო მკედრობამ თვისი; ნა-
ხევარი წარგზავნა კორტოხისა მთის კერძო საშველად წერეთ-
ლის ზურაბ, უპირველესისა გვამისა იმერთასა და სახლთ-
უხუცესისა მეფისასა, რომელიცა ესე ზურაბ ორგულ ექმნა
მეფესა და მივიდა რუსთა თანა. და თვით დიმიტრი ყაფლა-
ნისშვილი მივიდა ზედა-უბანსა. ხოლო ნახევარი ესე მივიდნენ
რა კორტოხსა, დახვდა მუნ ანდრონიკეშვილი მელქისადეკ,
სიძე მეფისა, და წერეთელი როსტომ, ძეი პაპუნასი, იმერთა
მხედრებითა. იქმნა მუნ ბრძოლამ ძლიერი. იძლივნენ რუსნი
და მოსწყდნენ უმეტეს ხუთასისა რუსნი, და დანაშთნი და- v 52
მაგრდნენ სიმაგრესა შინა, და მოადგნენ გარს იმერნი. სცნა
რა ყაფლანისშვილმან, წარვიდა ზედა უბნითა საშველად მათ-

¹ ამის შემდეგ წაშლილია: წყვეტა. ² ტექსტში: წყვეტად.

და და, მივიდა რა, გაეცალნენ იმერნი. მოიკრიბნა ყაფლანის-
შვილმან დანაშთნი მხედრობანი რუსთანი, მოვიდა სურამს
და მუნით წარვიდა საფიჩხეს გზითა. იმერთა უკუჴე ჩაეხერგათ
საფიჩხე, განვლო სროლითა და მივიდა ნებოს-ძირსა. მუნით
აიყარა, შთავლო სროლითა და მივიდა ზედა-უბანსა: მუნ
სცნა იმერთაგან გარმოდგომაჲ ჩხერის ციხისა, მაშინ რომე-
ლიცა ეპყრა რუსთა, ვინაითგან მეფესა ჟამსა პატიმრობისასა

r 53 გამოართვიეს ყოველნივე ციხენი. წარვიდა საშველად მათდა
წითელ-კლდის გზითა, ჩავლო დიდისა გაჭირებითა, ვინაითგან
იმერნი მარადის ბრძოლიან, და მივიდა ჩხერსა. მუნ მოვიდა
ბარონ როზინი, ლიანარალ-ლეიტენანტი, მთავრად დიმიტრისა
მხედრობასა ზედან, მით რამეთუ დიმიტრი ყაფლანისშვილი
ვინაითგან იყო კაცი უმეცარი და მსგავსი პირუტყვთა, და
ვერ უძლოდა მხედრობასა მას კარგითა მძღვანელობითა. იქმნა
მახლობელ ჩხერისა ომი ფრიადი. იძლიენენ იმერნი. მუნ მოკ-
ლეს მძღვანი იმერთა დიმიტრი აბაშიძე, რომელიცა იყო გან-
ლტოლვილ, მით რამეთუ მოკლა მან ძმითურთ თვისით. ლეონით

v 53 ბიძაწულნი თვისნი დავით და | იოსებ¹. ბარონმან² მუნ
მოიბირნა რაოდენიმე კიკნაძენი და მოვიდა მუნით ლომსიად-
ქვეადვე. გზასა ზედან დასწევს რუსთა ჩხეიძენი. მუნით შთავ-
ლეს ზესთა-ფონსა და მივიდნენ ცხრა-წყაროს. მუნცა იქმნა
ბრძოლა, და ოდეს რუსთა ვერლარა იშოვეს გზა მისვლად
ქუთაისსა, მივიდნენ მუნით ბურღნალსა და მუნით კიშურას.
იქმნა მუნ ბრძოლაჲ ძლიერი, გარნა იძლიენენ იმერნი.

მაშინ მუჴე იმყოფებოდა ვაკეში და იდგა მალლაკს პი-
რისპირ დადიანისა, ვინაითგან იგი მოვიდოდა შველად რუს-
თა. ხოლო დადიანიცა მოვიდა ჯიხაიშს. მუნ მოერთვა აფ-
ხაზთა მხედრობა და მუნით მოვიდა კვახსა-წყალსა და მუნით

r 54 ნამაშვესა. მუნ შთავიდა დადიანისა თანა ხუთასი რუსი პი-
რისპირ მეფისა. წარმოიშვა მუნ ბრძოლაჲ შორის იმერთა და
ოდიშართა. მუნ იძლიენენ ოდიშარნი. მუნით დადიანი და
წერეთელი ამოვიდნენ ქუთაისს. მუნ მოვიდა ბარონიცა სიმო-
ნოვიჩთანა. მაშინ წარუძღვა დადიანი და წერეთელი რუსთა
მეფესა ზედან, სცნა რა მეფემან, უღონო ქმნილი, ვინაითგან
ვერ ძალედვა ბრძოლაჲ, წარვიდა ხანისა მთით ახალციხედ.
ხოლო ოდიშართა მოსწვეს სრულიად ვაკეჲ და მოსტყუშნენს,

¹ ამ სიტყვის წინ გამეორებულია: და. ² ტექსტში: ბრაონმან.

და სახლიცა აგიაშვილისა, ყოველთა იმერთა შორის წარჩინებული, დასწუტეს. მაშინ დედოფალი მარიამ, ასული დადიანისა და ცოლი მეფისა სოლომანისა, ხანით ქინათგან ეერა v 54
 ქალედვა წარსვლად ახალიციხეს, მივიდა სახლთა დადიანისთა. მაშინ ტორმასოვმან წარგზავნა ბრძანებად, და გარდაიყვანეს ტფალისს დითურთ მეფისა მარიამით, რომელიცა ესე მეუღლე იყო მელქისადეკ ენდრონიკაშვილისა, და მუნით ორნივე წარგზავნეს რუსეთად და დააყენეს ქალაქსა შინა ვარონიჟს. ხოლო ოდეს მეფე შთავიდა იმერთს, თანა შთაიყვანა მეფის ძის იულონის ძე ლეონ და შეგზავნა რაჭით მათთა ლიახვისათა, რათა მან აღძრას ოვსნი პირისპირ რუსთა. ესე აღვიდა და შემოიყარნა ოვსნი და მოვიდა მახლობელ ცხინვალისა. სცნა რა ესე ახვერდოვმან, გუბერნატორმან ქართლისამან, აღვიდა ცხინვალს რუსთა მხედრებითა, და ოდეს ვერ უძლო ბრძოლად ოვსთა, დამაგრდა ციხესა ცხინვალისასა. მაშინ ოვსთა მოწვეს და r 55
 მოარბიეს გარემონი ცხინვალისანი და თვით ცხინვალი და უკუნ იქცნენ. მაშინ ტორმასოვმა შეგზავნა ჰერიეს ფრიადი მხედრობად რუსთა, და მათ მოწვეს ჰერიევი, და ვერღარა დადგა ლეონ კოშქსა და აღვიდა ნარას. ნარელთა სცეს მათ პატრივი ვითარცა პატრონსა თვისსა.

შემდგომად შეიპყრეს რუსთა მაჩაბელი ლუარსაბ და ბადურ ბორტიშვილი. მაჩაბელი ლუარსაბ წარგზავნეს პეროპილად რუსეთსა შინა, და ბადურ მოკუდა ციხესა ტფილისისასა¹ პეროპილად. და შთამოართვეს თავიანთი კერძი ყმა და მამული და დადვეს სახელმწიფოდ, ვითარცა ჯავახისშვილისა და თარხნისშვილებისა ძეთა დიმიტრისათა. ხოლო ლეონ ვინათგან ვერღარა დადგა ოვსეთს, წარვიდა ახალიციხეს. v 55
 შიიწივა რა ხეობას, მოკლეს ლეკებთა მომავალთა ქართლს სადავლოდ მინდობითა. სცნა რა ფაშამან ახალიციხისამან შარიფ, მოაშთენა კაცნი იგინი.

და ამავე წელსა 1811 წარმოვიდა სპარსეთით მთავარი ერევნისა ჰუსეინ ორი ათასითა მხედრებითა სპარსთათა და მოვიდა ახალქალაქს ჯავახეთს. მუნ მოელოდა ფაშასა ახალიციხისასა შარიფს მხედრებითა თვისითა და მეფის ძესაცა აღექსანდრეს, და სწადდა ზედა დასხმად სომხითისა. წარვიდა ტორმასოვი რუსთა მხედრობითა და მივიდა წალკას. მუნით

¹ ტექსტში: ტფილისისასას.

- წარგზავნა იანარალი მაიორი იტალიანელი, მარკიზად სახელ-
- r 56 დებული, რომელიცა ჰყვა დეჟურნად | იანარალად, ათასითა სალდათითა და ხუთასითა ქართველითა. მივიდნენ ღამით და დაეცნენ ახალქალაქს ღამე თავსა და განაზბიენეს სპარსნი. მხილველი ამისი ფაშა ვერლარა მოვიდა სარდლისა თანა, და
- v 56 სარდალიცა უკუნ იქცა ერეენადვე. მაშინ ძე ყეენისა იდგა გარნისს. მუნით განიელტო მეფის ძეგ თეიმურაზ, რომელიცა იმყოფებოდა ძესა ყეენისასა აბას მირზასთანა დიდითა პატივითა თავად რვა ათასთა მხედრობათა რეგულთა ზედან სპარსთასა, და მივიდა ტორმასოვთან, რომელსაცა იღუმალ ტორმასოვი ეზრახოდა და შეუჩინა განზღელი ლალა მისი პეტრე ლარაძე აზნაური, რომელმანცა მოაცუთუნა და მოიყვანა მუნით. ხოლო მოვიდა რა ტფილისს, | წარგზავნა როსიად. ხოლო წელსა 1811 მოიკრიბნა ტორმასოვმან ამერ-იმერნი და მხედრობანი რუსთანი, თევსა ნოებერსა აღვიდა და მოადგა ახალციხესა. გარმოდგომილ იყო იგი თვე ერთ ოდენ, და აწარმოეს ციხეთა ზედან ყუბარისა სროლაჲ. განზბდნენ თურქნი, და იძლიენენ რუსნი და ამერ-იმერნი, და მიუღეს თურქთა ორი ზარბაზანი და ბავრაცი დავით აღმაშენებელისა, რომელიცა თანა აქუნდათ იმერთა, მით რამეთუ კერძოსა ძლით იმერთასა¹ იძლიენენ რუსნი. უკუმოქცეულთა რუსთა ვერლარა დევნა უყვეს² თურქთა. მაშინ ქართველნი რუისით და ქარელით და სხვით წარსრულ იყვნენ ასაყრელად კოთელიისა, ვინათგან კოთელიელთა სწადდათ გარდმოქსახლებად ქართლად. სცნეს რა მათ უკუნქცევაჲ ტორმასოვისა, დაუტევეს კოთელია და უკუ მოიქცნენ. ამცნეს კოთელიელთა ფაშასა უკუნ ქცევაჲ მუნ მყოფთა ქართველთა მიზეზითა ამით, რათამცა განიმართლონ თავნი თვისნი თურქთა წინაშე. ბრძანა ფაშამან შედგომიდა უკანა. ეწივნენ მათ თურქნი და მოსრნეს სრულიად ვიდრე სამას³ კაცადმდე ქართველნი, ხოლო თავნი მათნი და რუსთა მხედრობათაცა თავნი რაოდენიცა მოსრნეს ახალციხეს, ბრძანა ფაშამან განტენა მათ თავთა ბზითა და წარუგზავნა სულთანსა⁴. ტორმასოვმან ძლევა თვისი თურქთაგან⁵ მიაწერა კირსა. და შემდგომად ტორმასოვისა სხვათა-
- v 57 ცა მიიღეს თქმაობა | ესე ნანდვილად, რომელ ჩვეულე-

¹ ტექსტში: იმერთასა. ² ამ სიტყვის შემდეგ ტექსტში წაშლილია: რუსთა. ³ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: კაცამდე. ⁴ ამ სიტყვის შემდეგ ტექსტში წაშლილია: და წელსა 1812. ⁵ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: მიწვა.

ლებითი საოფლეი, რომელიც არს ჩუენსა ქვეყანასა და რომელიცა იყო, არს და იქნების¹, შერაცხეს ნანდელიად მომსვრელ სენად.—

და წელსა 1812 გამოსცვალეს ტორმასოვი და წარგზავნეს ნაცვლად მისსა ზემოხსენებული მარკიზი პავლუჩი, კაცი ელამი რა გვარადაც თვალითა, ეგრეთვე სულითა და მოქმედებითა, ვინათგან აქუნდა მას სული იტალიანური, რამეთუ კაცი ესე იყო ავებული ბოროტად ბუნებისაგან. და იწყო ამან მართვად საქართუშელოსი. ამან წარგზავნა მხედრობანი რუსთანი ზამთარს ახალქალაქსა ზედა, და თანა წარიღეს კიბენი გორით, მიებარნენ ახალქალაქსა, მიუდგეს კიბენი და აღიღეს ციხედ | ახალქალაქისა, ვინათგან ზამთრისა გამო დაემინებულ r 58 (sic) იყვნენ თურქნი. და შეაყენეს მხედრობა თვისი ციხესა მას. შემდგომად აღებისა ახალქალაქისა, მარკიზი ეზრახა იღუმალ ბეგლარ-ბეგსა ერეენისასა ჰუსეინს, რომელსაცა რწმუნებოდა ერევანი მიცემასა ჰუსეინისათვის ყმად, რათა მისცეს ციხედ. აღუთქვა ჰუსეინ მიცემაჲ. ხოლო ვერ სცნა უგუნურმან იტალიელმან სიციბილი მისი და წარგზავნა იანარალ-მაიორი ლისანოვიჩი ორი ათასითა მხედრობითა. მაშინ უსეინ მოიკრიბნა მუნ გარემოისა მხედრობაჲ და დამალა ეჩმიადინსა. მიიწიენენ რა რუსნი, ეკვეთნენ სპარსნი და აოტნეს² რუსნი, და სირცხვილელუ იქმნა მარკიზი ესევეითარისა უგუნური-სა | შეცთომისათვის. v 58

გარნა იყო ფრიად შემკირებულ საქართველოჲ რუსთაგან, რომელ ძვირათ და დაშთა ვარი საქართუშელოსა შინა რუსის ბეგარისა ზიდუვისა ძლით, და მსგავსად ხარკითაცა იქმნენ დამძიმებულ, და ოდეს აზუხასა მოიყიდიდენ, ნაცულად³ კოდისა ერთისა იწონდიან კოდნახეგარსა და ფასსა აძლედიან კოდში ხუთ აბაზსა, ოდეს კოდი იყო ექვს მინათულათ მით, რამეთუ წელსა 1812 იქმნა ფრიად სიყმილი საქართველოსა შინა, და ქირიცა ფრიად განძლიერებულ იყო, რომელიცა ტორმაზოვმან შთამოიტანა ახალციხით. და ოდეს არღარა აქუნდათ პური მცხოვრებთა და ვერ ძალიდგეს მისყიდვად, ნაცვლად პურისა ევედრებოდნენ მცხოვრებნი, რათა⁴ | მიიღონ r 59 წულნი მათნი. მაშინ ტირანმან მარკიზმან ჩაუყენა ყოველსა

¹ ტექსტში: იიქნების. ² ტექსტში: ააოტნეს. ³ ტექსტში: ნაუცლად. ⁴ ტექსტში: რათ.

- სოფელსა ეკზიკუცია, ესე იგი იასაულად სალდათნი. და იყო კირეება და ვაება ერთა ზედან. თვით წარვიდა ყარაბალს და, რა მივიდა მუნ, მოეგება მეითი ხან მუნებური და მიაართვა ძღვენი დიდი, ვინათგან ყარაბალიცა ეპყრა რუსთა, და მართებდა თავისავე ხანი. ხოლო ბირებითა მეჭითისათა შეიპყრა მარკიზმან ძმისწული მისი, ძეი მაჰმად ასანისა, ჯაფარ ყული-ალა, ვინათგან ბიძა მისი იყო მისა მტერ, ოდეს იგი ცდილობდა მეძვედრეობასა ზედან, ვინათგან იყო იგი უფროსისა
- v 59 ძმისა შვილი. ხოლო იგი განიელტო საპყრობილით და მივიდა წინაშე აბაზ-აბაზ მირზისა თავრიზს. და მარკიზიცა განვიდა მტკვარსა მოსახილველად შაქისა, შირვანისა, დარბანდისა და ბაქუისა, მით რამეთუ დაეპყრათ ყოველნივე ესე ადგილნი რუსთა. მაშინ მახლობელ შუშისა იდგა ასკარან წოდებულსა ადგილსა რეაასი რუსი, დასაცველად ყარაბალისა. წარმოუძღუა აბაზ-მირზასა ზემოხსენებული ჯაფარ ყული. მოვიდა აბაზ, დაესხა¹ თავსა რუსთა. იქნა მუნ ბრძოლა. იძლიენენ რუსნი სპარსთა რეგულთა სალდათთაგან (სარბასტად სპარსებ წოდებულად), რომელიცა თანა ჰყვა აბაზ მირზასა, მით რამეთუ შემოიღეს სპარსთა განსწავლება ფრანგთა მსგავ-
- r 60 სად მხედრობისა. მუნ იძლიენენ რუსნი, ოთხასნი უკვე მოსწყვიდნეს², ხოლო ოთხასნი შეიპყრეს ტყვედ და წარიყვანეს თავრიზად და ჰყვეს თვისად სალდათათ, მით რამეთუ სხუაცა მრავალი ჰყვა აბაზ-მირზასა რუსნი, რომელნიცა მარადის განიელტოდიან ქართლით და მივიდოდიან წინაშე მისსა, რომელიცა ფრიადსა პატივისა უყოფდა მათ. ხოლო მისვლადმდე მარკიზისა ყუბას წარმოიშვა მცირედი ბრძოლაჲ შორის ხან ბუთაისა, ფათალი ხანის შვილის-შვილისა, დარბანდის ხანისა და რუსთა. ხოლო ესე შინალი იყო ხანი დარბანდისა, რომელსაცა რუსთა მიუღეს ყოველივე ადგილნი, გარნა იძლიენენ მცირედ რუსნი, და იგინიცა უკუნ იქცნენ დალისტანადმდე.—
- v 60 მაშინ იყო შემკირეებაჲ დიდი ქართველთა ზედან მარკიზისაგან, ესრეთ ართმევიდიან ხშირად ურემთა და ვართა სახმარად მხედრებისა, რომელ კნინდა დაშთათ ვარი სოფელთა შინა. ეგრეთვე სადაცა განვლიდიან რუსნი, ამკირეებდიან სოფელთა ცემითა, ტაცებითა და რთმევითა თუნიერ თეთრისა.

¹ ტექსტში: დაეხა. ² ტექსტშია: „მოსწყვიდეს“ და შემდეგ შესწორებული: მოსწყვიდნეს.

და იყო ესრეთიცა სიყმილი, რომელ კოდი პური იყო ექვს მინანთულად თეთრ ფულად. მაშინ მარკიზმან უბრძანა წარსრულისა ორისა წლისა პურისა მოკრეფაჲ სურსათისა კახთაგან; ვინათგან სიმცრისა გამო მოსაეღისა ვერ ძალედვათ მიცემაჲ, და ბრძანა ყოველსავე სოფელსა ეგზეკუციისა შთაყენებაჲ (ესე იგი იასაულთა), ორასისა და სამასისა თეითეულთა | სოფელთა, და სადაცა მივიდოდინან, იყო ვაებაჲ მათ ზედა r 61 მით, რამეთუ სცემდინან დედაკაცთაცა, და ჳელითა ჳკიდიან და ართმევიდინან პურთა ძალითა, თუმცა და კახნი ვევედრებოდინან, რომელ მიიღონ ნაცვლად პურისა ექვსი მინანთული კოდში, და რომელთაცა არა აქენდათ თეთრი, მაშინ ძეთა და ასულთა თვისთა აძლევდინან, გარნა უქმ იყვის ვედრებაჲ მათი. და იყო ვალალება ერცაა შორის. გარნა სხუაცა ბოროტმოქმედებათა შორის ესეცა ჳქმნეს, რომელ თიანეთს შთვრალთა აფიცართა შეიპყრეს დედაკაცი და საშოსა შთაასხეს ძაბრითა ღვინოჲ.

ვერღარა მოითმინეს თიანელთა ესევეითარი სარცხვილი, და იქმნა შფოთი¹ შორის რუსთა და ქართულთა². ხოლო r 61 პირველად მისცეს მიზეზი შფოთისა რუსთა მით, რამეთუ დაკოდეს თიანეთს აბოხსა ამას თიანელნი რაოდენნიმე. იხილეს რა ესე თიანელთა, მოსწყვიტნეს ყოველნივე რუსნი ვიდრე ას ორმეოცდა ათადმდე და მუნით შთავიდნენ მატანს. მაშინ r არაგვისპირმანცა აღადგინა შფოთი პირისპირ რუსთა³. შთაეხმარნენ ფშაველნი და მოსწყვიტნეს ყოველნივე მუნ მყოფნი რუსნი ფასანაურსა და ანანურსა. და კამანდენტი ანანურისა გამაგრდა ციხეთა შინა. მაშინ ბარონ კლოტმან იანარაღმან, რომელიცა იყო მოადგილე მარკიზისა ტფილისსა, ვინაითგან მარკიზი ჟამსა მას იმყოფებოდა ბაქუს, წარავლინა არაგვიანთა ზედა პოლკოვნიკი | უშაკოვი ათასითა მხედრებითა და r 62 მუხრან-ბატონის შვილი კოსტანტინე წარატანა თანა, რამეთუ ესე კოსტანტინე იყო ფრიალი ერთგული რუსთა და არაკეთილობასა მოსურნე საპყართა ქართულელთა. და მოვიდა კობიანთ-კარსა და დაესხა კობიანთა თავსა. იქმნა მუნ ბრძოლა ძლიერი. იძლივნენ რუსნი, და მოკლეს რუსნი⁴ ას-

¹ ეს სიტყვა გამოტოვების ნიშნით კიდებუა მიწერილი. ² ტექსტში: ქართულთა. ³ ტექსტში: „რუსეთისა“, დაბოლოვება „ისა“ წაშლილია და ზემოდან დაწერილია „ა“. ⁴ ტექსტში: რუსთი.

ორმოცდა ათი კაცი, და¹ სილამემან გაჰყარნა. მაშინ კოსტანტინემ დაუწყო ტკბილი საუბარი, მოიტყუა ფიცით სამოცდა ათნი კაცი არაგვის პირისანი. ზი, უსჯულო სვინიდისი! მოასერევიან იგინი რუსთა და მოწვა კობიანთ-კარი

v 62 და | დუშეთი. მუნით გარდავიდა რუსთა მხედრობითა, მოწვა ანანური, პავლეური და ციხის-ძირი.

ჟამსა ამას მოვიდა ბულაჩაურზედ სხუა ახალი სამასი კაცი რუსთა მხედრობა. იქმნა მუნ ბრძოლა. იძლიენენ რუსნი ბულაჩაუელრთაგან. მოკლეს წინამძღვარი მათი მალალაშვილი სოლომან და დაჰკოდეს კაპიტანი საგინაშვილი ზურაბ. სცნა რა კოსტანტინემან, გარდაუძღვა ანანურით რუსთა და მოაწვევინა ბულაჩაური სრულიად. ხოლო ოდეს შთავიდნენ თინელნი მატანს, შემოეყარნენ მათ მატნელნი და ახმეტელნი,

r 63 სრულიად მუნ მყოფნი რუსნი და რაოდენნიმე | ტუსისშვილებიცა დახოცეს მით, რამეთუ ეპყრათ მათ კერძო რუსთა. სცნეს რა ესე ყოველივე კახთა, აღდგა შფოთი დიდი სრულიად კახეთსა შინა, და იწყეს სვრა ყოველთა სოფელთა რუსთა², რომელიცა იდგა მათ შორის იასაულად, ეგზეკუცია წოდებულად. მივიდნენ და მოადგნენ თელავსა. მაშინ გარდაიყვანეს მეფის ძის იოვანეს შვილი გრიგოლ ქართლით კახთა. და მოკრბნენ ლეკიცა ვიდრე ოთხი ათასამდე შეველად კახთა, და ჰყვეს თვის ზედან კახთა თავადი ქობულოვი ოთარ. სცნა რა ესე პარტევიმან იანარალმან, რომელიცა იმყოფებოდა საგარეჯოს, გარდააშველა თელავს მყოფთა რუს-

v 63 თა სამასი სალდათი. მივიდნენ | რა რუის-პირს, იქმნა ლუნ ბრძოლა. მოისრნენ რუსნი კახთაგან, და რუსთა მძღვანიცა მათი მაიორი ესიპოვი მოკლეს და ერთი სხუა მაიორი და ორნი აფიცარნი, და მცირედნი დანაშთნი შევიდნენ ციხესა თელავისასა. მაშინ ქიზიყელთაცა მოსწყეიტნეს რუსნი, და დანაშთნი დამაგრდნენ. ციხესა სილნალისასა ორდღე. შემდგომად ორისა დღისა აღიღეს სილნალიცა, მოკლეს კამენდანტი და სულთაები (ესე იგი მდივან-ბეგნი რუსთანი) და ისპრაენიკი. აიკლეს ხაზინაჲ რუსთა, ტყვია-წაშალი და პური, რომელიცა აქუნდათ ამბართა მხედრობისათვის. მუნით შთავიდნენ ყარახანს მძღვანველობითა მამაცისა სვიმონ ბებურისშვილისათა და

r 64 მოადგნენ ყარახანს და ლამოდნენ გამოყვანასა მათსა, გარნა

¹ ტექსტში ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: სიმღლ. ² ტექსტში: რუსთი.

მოუსწრო ყაფლანმა ყაფლანისშვილმა მაიორმან ვაკით ათასითა მხედრებითა და დაუწყო ტკბილი საუბარი და ვედრებად, და ვედრებითა მისითა განერა ყარახაჩს მყოფნი რუსნი. მუნ მოკლეს სიმონ ბებურისშვილი. ჟამსა ამას გარდვიდნენ კახნი საგარეჯოს, მოკრბნენ საგარეჯოელნი, ჰბრძვეს პარტნეგინსა. იძლივა პარტნეგინი და მივიდა ხაშმსა, და კახთა მოსწვეს სადგურნი და თივანი რუსთანი და მიუხდნენ ხაშმზედ. იქმნა მუნ ბრძოლა შორის მიშველებულთა მხედრობათა რუსთასა, რომელსაცა მიაშველა პარტნაგინსა იანარაღ კლოტმან ხუთასნი უკე მხედრობანი | რუსთანი. მაშინ იძლივნენ რუსნი და მოსწყდნენ მრავალნი და დანაშთნი წარვიდნენ ტფილისად, და კახნიცა აღვიდნენ სამებას.

მაშინ მარკიზი მოსრულ იყო ტფილის ბაქოით. სცნა რა ესე, შოიკრიფნა ყოველსა ადგილსა რუსნი, წარემართა და მივიდა ხაშმსა, შეესივა ხაშმს, და მოასერევირა უბრალონი ქრისტიანენი მარკიზმან ვიდრე ასამდე ჩვილითურთ მსგავსად იროდისა. და მუნ მოკლეს ხიშტითა მონოზონი იბაშიძის ასული მარიამ, ოთხმოცისა წლისა დედაკაცი. სცნეს რა კახთა სამებას მყოფთა ძალისა მორთვა მარკიზისა, გარდვიდნენ მთასა და მიიქცნენ თვისთვისად, და მარკიზი მივიდა პატარძეულსა. მოერთვა პატარძეული. გარდავიდა საგარეჯოსა, მოერთვა საგარეჯო, მანავი და კაკაბეთი. მუნით შთავიდა ქიზიყს წინამძღვანელობითა ანდრონიკაანთათა, ვინათგან მათ ეპყრათ კერძო რუსთა, და ონანანთაცა ეპყრათ კერძო რუსთა. ვინათგან გლესთა სცნეს რა სიცხილი თავედთა, მოსწვეს სახლი სვიმონ ანდრონიკაშვილისა და მოკლეს ონანაშვილი ოთარცა და მოსტყვევნეს სახლი სოლომან ანდრონიკაშვილისა. მუნ მიერთვნენ ქიზიყელნი. და წარვიდა კახეთისა კერძ. მივიდა რა ჩუმლაყისა კერძ, იქმნა ბრძოლა, იძლივნენ რუსნი. მუნ მოკლეს კახთა ყაფლანისშვილი ვახტანგ, სიძე მეფისა ირაკლისა, და დასკრეს მუხლსა მამუჩიშვილი ალექსანდრე, ძე გარსევანისა, ვინათგან მათ ეპყრათ კერძოი რუსთა და პირისპირ მამულისა თვისისა იყვნენ მტერ. მაშინ დაქმუნდა ამას ზედან მარკიზი. წარდგა ზურაბიშვილი ნინია, მოურავი მარტყოფისა, და უთხრა მარკიზსა: „გვიჩვენო მე გზად ვაკე, უკეთუ მომცე ნიქი რაემეო“. ამას ზედა მხიარულ იქმნა მარკიზი. გაუძღვა მინდვრისა გზითა და მიიყვანა ჩუმლაყს. მივიდა რა ჩუმლაყს, მუნ

- სოფელსა შინა შეიპყრნა კაცნი ხუთნი და დამოჰკიდა ხეთა ზედან. იხილეს რა კახთა ტირანული საქმე ესე, შეიპყრეს მათცა ხუთი სალდათი და ერთი აფიცარი, და მათცა მოჰკიდეს ძელთა ზედან პირისპირ მარკიზისა, რომელსაცა სჰვერეტდა
- r 66 თვით თვალითა თვისითა. მაშინ ზაზაცა, ძმაი | ნინიასი, შეუჩინეს გრიგოლს. და გრიგოლ მოაცთუნა ზაზამა ანდრონიკაშვილმან და მივიდა მარკიზისა წინაშე. იხილეს რა გლახთა ლალატი თავადთაგან, განრისხნენ და დაეცნენ თავთა რუსთა ჩუმლაყისა ბოლოსა. კვალად იძლივა მარკიზი, ხოლო გლახნი შეეცალნენ ჩუმლაყისა სოფელსა. დღესა მეორესა მივიდა მარკიზი ჩუმლაყს. იქმნა სოფელსა შინა ბრძოლა ძლიერი, და მოწვეს რუსთა ჩუმლაყი. გარნა იხილა რა მარკიზმან, ვინათგან ვერ ძალუცს პირისპირობაჲ კახთა, ევედრა ზავსა და აუთჰუა კახთა, რომელ მოგვერიო მეფის ძეთა თქუენთა¹ რუსეთით. ამას ზედან მხიარულ იქმნენ კახნი და ჰყვეს ზავი, და მოგე-
- v 66 რეს გა'ღმა მხრელთ უმეტეს სამასისა სალდათნი შეპყრობილნი აფიცირებითურთ, რომელნიცა შეიპყრეს აბოხსა ამას² აღპარსულნი თმათანი მით, რამეთუ კახთა აღპარსნეს პყრობილთა მათ თავნი კიცხვევისათვის, ვინათგან გრძელისა თმისა ქონება რუსთა ჩუქულება არს. და მოყვანასა ზედა მეფის ძეთასა არწმუნა რა გული მარკიზმან კახთა, და დამყუდროვდენ კახნი, მომლოდენი აღთქმისა მისისანი, რომელ³ განერინებთან კელთაგან მოსამართლეთა და კაპიტან-ისპრავნიკთა რუსთასა. ჟამსა ამას გამოსცვალეს მარკიზი და ნაცვლად მისსა წარგზავნეს ლიანარალ-ლეიტენანტი რტიშჩევი, და მას თანა
- r 67 წარატანეს შემწედ ლიანარალ-მაიორი ახვერდოვი. პირველ ყოფილი ტფილისის გუბერნატორად, გვართა პუპულაშვილი, ქრცხინვალელი მოსახლე სომეხი.

¹ ტექსტში: თქუენთა. ² ამ სიტყვის შემდეგ ტექსტში წაშლილია: აღპარსნეს. ³ ამ სიტყვის შემდეგ ტექსტში წაშლილია: გარ.

ბაკრატ ბატონიშვილი

ახალი მეთოდები

ბაბრატ ბატონიშვილი

ეს ზემო აღწერილი ჩემის ძმის დავითისაგან არის r 1
აღწერილი და ეს ახალი მოთხრობა ჩემგან მეფის ძის ბაგ-
რატიისა.

ძალითა ღეთისათა მე საქართველოს¹ მეფის გიორგის
13 ძემან ბაგრატმა აღეწერე ახალი მოთხრობა ესე, რომელ-
მანცა მრავლისა ღონისძიებითა ვჰპოვე წლისა რიცხვები და
ეგრეთვე² მოხუცთა კაცთა მიერ მსმენოდა დიდისა პაპისა ჩე-
მისა ცხებულის მეფის თეიმურაზისა ცხოვრება და მოქმედება,
რომელიც აღეწერა 6 ვახტანგ მეფის ბუშს ვახუშტის, რომე-
ლიც მოუთხრობს ესრეთ, ვითარმედ მოვიდაო მეფე თეიმურაზ
და დაჯდა ტფილისსაო³ აქამომდე წელსა 1745. ხოლო ძე
მისიო ირაკლი იქმნაო კახეთს მეფედა და ოკდობრის 1 აკურ-
თხაო მცხეთას დისწულმან მისმან ანტონიმ კათალიკოზმანო.
ამას აქამომდე ბახუშტი აღწერს მეფის თეიმურაზის ცხოვრე-
ბას⁴. ხოლო წელსა 1751 თეიმურაზ-ერეკლესაო ქარში მის-
რულთ დაუმარცხდათო, და ალაზანმა მრავალი სული მოაშ-
თოო. ქვალად წელსა ამასეგო ერეკლეს გაემარჯვაო აზათ
ხანზედ ერევანსაო. ამას ანტონი კათალიკოზი აღწერს და
სხვასა არარისას. | ხოლო ანტონი კათალიკოზი დასწერს, ვ⁵ 1
წელსა 1752 თეიმურაზ-ერეკლესა, ქართველთა და კახთ დაუ-
მარცხდათო განჯას აჯიჩალაბისაგანო და მრავალნი სულნი
მოწყვეტნაო. კ⁶დ იმერთა მეფემ აღექსანდრემანო განძრცვა
ხატიო ხახულის მღვთისმშობლისაო, და ამის ძლით ამა დიდ-
მარხვაში მოკვდაო აღექსანდრე და დაჯდაო ძე მისი სოლო-
მან. კ⁷დ ამავე წელსაო თეიმურაზ წარგზავნაო რუსეთს ელჩად⁸
ტფილელი ათანასი ამილახვარის შვილი და თავადი მაყაშვი-

¹ ეს სიტყვა კიდევ სწერია გამოტოვების ნიშნით. ² ამ სიტყვის შემდეგ
წაშლილია „მუ“. ³ ეს სიტყვა კიდევ სწერია გამოტოვების ნიშნით. ⁴ აქედან
მოყოლებული სიტყვებამდე: „ხოლო ანტონი კათალიკოზი“ მოთავსებულია კი-
დევ გამოტოვების ნიშნით. ⁵ ეს სიტყვა ზემოდან არის ჩაწერილი.

ლი სვიმონ. კ'დ მეფე სოლომან იმერთა გადაადგდესო; მან ფაშა ჩამოიყვანა და დასვო. ხოლო ვინათაგან ამაზე მეტი და ამის შემდგომნი არღარა მოიპოებოდეს საქართველოს შინა ცხოვრებანი მეფეთანი, ამისთვის ვიგულმოდგინე და შეეპკრიბე ერთათ და აღვწერე რაცა გამეგონა ანუ წერილთა შინა მენახა წინაპართა ჩემთა ანუ თვით პაპისა ჩემისა მეფის ირაკლისაგან¹ და ანუ მამისა ჩემისა მეფის გიორგისაგან მსმენოდა, ანუ თვით მეცა მოვესწარ და ნახული ჩემი მახსოვდა და ანუ ვიხილე ეს ყოველი²ვე უნაკლულოდ შევაწყე, ვიშრომე და აღვწერე და შემდგომათაც მეფისა გიორგისა 13 რა იქმნა ანუ ქართლსა ანუ იმერეთსა ანუ ევროპაში და ანუ სპარსეთს შინა, ეს ყოველივე რიცხვით, თვით და დღით აღმიწერია და კ'დ ვიდრე ვცოცხლვარ ამისა შედეგსა ვსწერ. გთხოვო მკითხველთა ამისთა, რათა არა მწყევდეთ, არამედ შენდობას ბრძანებდეთ. აღიწერა წელსა 1814 თვესა დეკებერსა 11 სკთ პეტერბუხსა შინა, დროსა მწირობისა ჩემისასა. საქართველოს მეფის გიორგის ძე ბაგრატ.

¹ აქედან მოყოლებული სიტყვებამდე: „მეფის გიორგისაგან მსმენოდა“ მოთავსებულია კიდევ გამოტოვების ნიშნით. ² აქედან აბზაცის ბოლომდე ტექსტი მოთავსებულია კიდევ გამოტოვების ნიშნით.

§ 1

ხოლო წელსა 1753 აჯი ჩალაბმა გამოსრულმან¹ შაქელმან ქეთხუდამან², რომელმანცა აღამალლა თავი თვისი შირვანსა შინა, ამან დაიპყრა ნუხი და შამახია. ამან შეჰყარნა მხედრობანი შაქისა, შირვანისა, განჯისა და ყარაბაღისა და დალისტნიისა³ და წარმოემართა ქართლისა დასაპყრობელად. მოვიდა და დაიპყრა კერძონი მამულნი საქართველოსანი შამშადინიდან ვიდრე ალგეთამდე. მხილველმან მეფემან თეიმურაზ II წარგზავნა ძე თვისი ირაკლი კავკასიად⁴ ჩერქეზთა მოსაყვანებლად. ერეკლემ თავაურ-ქურთაულნი და ჩერქეზნი შეიკრიბნა და მოვიდა ქართლსა. მეფემან თეიმურაზ შეკრიბნა კახნი და ქართველნი, მდგომსა აჯი ჩალაბსა მიუჰდა ბაიდარსა შიგან მდგომსა. მხილველი აჯი ჩალაბი აიყარა და უკუნ იქცა შიშენული. ქართველნი უკან შეუდგნენ, ეწივნენ ზაგმის წყალზე შამშადინში, შეიბნენ, მოსცა ძლევა ღმერთმან ჩვენთა მეფეთა, აოტეს აჯი ჩალაბი მხედრობითა, მოსწყვიტნეს უკრიცხენი ლეკნი და ტყვე ჰყვეს და ალაფი მათი აღიღეს და დევნა უყვეს ვიდრე განჯამდე, რომელნიცა მცირედნილა განერნეს ლეკნი, და შემოიქცეს მეფენი გამარჯვებულნი.

§ 2

წელსა 1754 მეფე თეიმურაზ და მეფე ირაკლი წარვიდნენ მხედრობითა თვისითა ყარაბაღისა მოსატყვევად. მისრულთ განჯა მოარბივეს, ყარაბაღს მიუხდნენ, ყარაბაღი სრულებით მოაოხრეს. მუნ ყარაბაღისავე ხანი ფანა შემოება. სძლიეს ფანასა, დიდათ დააქმარცხეს, თოფხანა სრულებით მიუღეს, დიდძალი იალაფეს და შემოიქცნენ გამარჯვებულნი. ხოლო ზარბაზანი მისნი მიხმულნი არიან თელავის ციხესა შინა. ესე

¹ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: „დალისტნიით“. ² ეს ორი სიტყვა გამოტოვების ნიშნით მოთავსებულია კიდევუ. ³ ეს ორი სიტყვა ზემოდან არის ჩაწერილი. ⁴ ეს სიტყვა გამოტოვების ნიშნით სწერია კიდევუ.

ბრძოლა იყო მარტის 12, რომელზედაცა წერილ არს ზარბაზნთა მათ ზედა.

§ 3

წელსა 1755 ხუნძახის ერისთავი მუცალი ჩამოვიდა შეკრებული სრულის დაღისტინის რჩეულის ჯარით, შიგნით კახეთი შემოვლო, თიანეთზედ გარდავიდა და მკადის-ჯვარს შემოადგა. მეფემან თეიმურაზ და ირაკლიმან მცირედის სპითა მიუჯდნენ მკადის-ჯვარს მუცალის. შეიბნენ. მოსცა ძლევა ღმერთმან მეფეთა ჩვენთა, აოტნეს ლეკნი, მოსწყვიტნეს

v 3 ურიცხენი და ტყვე ჰყვეს უმრავლესნი და | შემოვიდნენ გამარჯვებულნი. ში საკვირველი! ერთმა მოხუცმა დედათაგანმან მკადის-ჯვარელმა იხმარა სული მამაცობისა, გამოვიდა ციხით, რაოდენიმე ლეკი მოკლა თვისითა ხელითა და რაოდენიმე დაუწვა საფარი ხისა ლეკთა, ხოლო უკანასკნელ მოკლეს იგიცა, რომელსაც დღესა ქებასა მისსა მოუთხრობენ შაირითა მესტირენი.

§ 4

წელსა 1755 მეფის იასეს ძეს ანტონის კათალიკოზსა შეამჩნივეს მცირე რაიმე განდრეკა მართლმადიდებელისა სარწმუნოებისაგან და მიქცევა ლათინთა სარწმუნოებისად. ჰქმნეს კრება სულიერი¹ მეფეთა ქალაქსა ტფილის, მიუღეს კათალიკოზობა; მის მოადგილედ რუსთველი იოსებ ჯანდიერისშვილი კათალიკოზად დადგინეს, კაცი ღირსი და სასწაულთ მოქმედი. ანტონი | ექსორია ჰყვეს როსიასა შინა. მისრულს ანტონის პეტერბურხს დახვდა მუნ ბიძაშვილი თვისი ალექსანდრე ბაქარის ძე. ამის პატივისათვის იმპერატრიცამ ელისაბედ პეტროვნამ შეიწყალა და უბოძა ეპარხიად ვლადიმერი და იარაპოლი. კ'დ შემწეობითვე ბიძაშვილისა მისისა ალექსანდრეს გამო არა აპყარა უწმინდესმან სინოდმან შუბლსა ზედა ჯვარი და ბარტყულასა ზედა სერაფინნი და არცა მოაკლეს ტიტულასა კათალიკოზობისასა, რომელსაცა ჰქონდა კვალადვე ჯვარი მიტრასაცა ზედა, და უწოდეს რუსთა არხიეპისკოპოზი ვლადიმერისა და იარაპოლისა.

¹ ეს სიტყვა ჩამატებულია ზევიდან.

§ 5

ხოლო წელსა 1756 კდ ხუნძახის ერისთავი ჩამოვიდა მუკალი თვისისა სპითა ძლიერითა და მოადგა ყვარელის ციხესა. ხოლო ყვარელნი დადგნენ მყარად. | მეფემან¹ თეიმურაზ მყოფმან ქიზიყს აღარჩივა რაოდენიმე ძაღვულნი თავადნი, აზნაურნი და გლეხნი, უთავა ამათ ბებურიშვილი პაპა, კაცი მხნე და სხუანი და შეგზავნა ყვარელისა ციხეში, რომლისა გამო ყვარელნი გამაგრდენ 4 თვე, ხოლო მუკალი მიქცა უქმი სახიდ თვისად.

v 4

§ 6

ქვალად წელსა ამასვე 1756 ეწვიათ მეფეთა ესე უბედურებაი, რომელ მეფის ერეკლეს პირშო ძე მისი ვახტანგ გარდაიცვალა ყვავილითა და არა დაშთა ამა ვახტანგსა ძე, გარნაკოლი მისი იყო ქალი მუხრანის-ბატონის კოსტანტინესი.

§ 7

ხოლო წელსა 1760, აპრილის 1² წარვიდა მეფე თეიმურაზ რუსეთს. მისრული პეტერბურხს იპერატრიცამ | ელისაბედ პეტროვნამ დიდის პატივით მილო, აღუთქვა შეწევნა და ჯარის ბოძება. ამჟამად იპერატრიცა ელისაბედ გარდაიცვალა წელსა 1761, რომლისა გამო მეფე თეიმურაზ დაშთა როსიასა შინა, მწუხარებითა ამით მიეცა სნეულებასა.

r 5

§ 8

წელსა 1762 ზარდაიცვალა მეფე თეიმურაზ პეტერბურხს იანერის 8. წარმოიღეს გვამი მისი მუნ მყოფთ ქართველთ თავადთა და ვერ უძღეს ქართლს გადმოტანად და დაფლეს ასტარხანს სოპოროსა შინა.

§ 9

კდ ამავე წელსა 1762 ე მეფემან კახთამან ირაკლიმ II, ძემან მისმან, შემდგომად მამისა თვისისა მეფისა თეიმურაზისა მილო ქართლიცა სამეფოდ და შეაერთა ქართლი და | კახეთი ერთ სამეფოდ, განყოფილი სამასის წლისა, და იმეფა წელი 54 ბედნიერად და სახელოვნად ყოველსა აზიასა შინა.

v 5

¹ პირველად დაწერილი ყოფილა „მეფეთა“, შემდეგ შეუსწორებიათ.

² ეს ორი სიტყვა გამოტოვების ნიშნით სწერია კიდევ.

§ 10

მეფე ირაკლი წარემართა წელსა 1764 ქურთების ასაყრელად ალაგაზისა კერძო. ქურთთა აღარ ინებეს მონება ნექფისა ირაკლისა, ამის გამო მოსტყვევნა¹ ქურთნი და აჰყარნას მრავალნიცა და მოიყვანნა ქართლსა და დასადგურა. ხოლო ნატყვენავი დიდძალი² ქურთთა განუყო მხედრობასა თვისსა.

§ 11

კდ წელსა ამასვე 1764 მეფემან ირაკლიმ მოიყვანა მამიდაშვილი თვისი მეფის იასეს ძე ანტონი პირველყოფილი. კათალიკოზი როსიდამა, მიულო კათალიკოზობა იოსებს და დადგინა კდ ანტონივე კათალიკოზად.

r 6

§ 12

წელსა 1765 გამოჩნდა სპარსეთს ქარიმ ხან ზანდი. ამან დაიპყრა სპარსეთი და ამანვე უწოდა თავსა თვისსა ვეკილი სპარსეთისა და არა ჳემწიფე. ამან გამოაგდო აზად ხან, რომელსაცა ეპყრა სპარსეთი. ლტოლვილი აზად ხან მოვიდა ქართლსა მეფეს ირაკლის თანა. ხოლო კდ თხოვნითვე ქარიმ ხანისათა შეიპყრა მეფეზან აზად ხან და წარუვლინა ქარიმ ხანსა. ამის გამო მეგობარ იქმნენ მეფე ირაკლი და ქარიმ ხან. ხოლო მისრულსა აზათ ხანს პატიესცა ქარიმ ხან შესაფერითა პატივითა.

§ 13

წელსა 1765 მეფემან ირაკლიმ გააშვებინა სულიერის კრებითა დაი თვისი ელისაბედ მითხოვილი ამილახვარის შვილს სალთხუცის დიმიტრის ძეს გიორგის ბუნებით საჭურისობისა გამო³ და | აქორწინა დადიანს კაციასა ზედა ნოებრის 16.

v 6

§ 14

კდ წელსა ამასვე 1765 შეითქვენნ რამოდენიმე ქართველნი თავადნი და აზნაურნი და აბირეს ბუშსა ვახტანგ მეფისასა პაატას, რომელიცა მოსრულ იყო სპარსეთით მას ჟამსა

¹ ტექსტში: „მოსტყვევნანა“. ² ეს სიტყვა ტექსტში ზემოდანაა ჩამატებული. ³ ტექსტში თავდაპირველად დაწერილი ყოფილა: „დიმიტრის ძეს გიორგის ვერ შეუფისათვის საჭურისობისა გამო“, შემდეგ ამგვარად შეუსწორებიათ.

შინა და იყოფოდა მეფის ირაკლისა თანა¹, და ბიძაშვილსა მისსა აბდულა ბეგის შვილს დავითს, რათამცა წარეწყმინდათ მეფე ირაკლი და დაეპყრათ თვით მეფობაიჲ ქართლისა. მსმენელმან მეფემან ირაკლიმ შეიპყრნა ესენი და პატიმარპყო მეტეხის ციხესა შინა. ხოლო საზოგადოებამ საქართველოსამან თანხმობითა სულიერთა კრებათამან განაწესეს დასჯა მათი სიკვდილითა, რომელნიცა მოსწყვიტნეს. ხოლო შემდგომთა მათთა თავადთა და აზნაურთა და გლეხთა განუწესეს რომელთამე ნასალითა განპატიჟება და რომელთამე ექსორიაობა. ხოლო თავადთაგანნი ესენი იყვნეს: თაქთაქიშვილი ივანე, ამილახვრისშვილი ალექსანდრე დიმიტრის ძე და აზნაურნი სხვანი.

§ 15

რ 7

კდ წელსა 1765 წარვიდა ალექსანდრე, მეფის ბაქარის შვილი, როსიდამა სპარსეთს, შერისხული იპერატრიცა ეკატერინას მიერ, და მივიდა ქარიმ ხანთანა. მან პატივსცა არა ჯეროვნად, რომლსათვისცა დაშთა სპარსეთში შვიდსა წელსა და ესეცა ლამდა დაპყრობასა ქართლისასა, რომლისა გამო ეგო მუნ ჟამ რაოდენმე.

§ 16

წელსა 1767 იქნა იმერეთსა შინა აღრეულებაი ესრეთ². იმერთა მეფე სოლომან გარდააგდეს, ბიძაშვილი მისი თეიმურაზ გაიმეფეს აბაშიძე ლეონმა და რაქის ერითაგმან როსტომმან, ოსმალნი ჩამოიყვანეს, ქუთაისს ციხეში შეაყენეს და ეგრეთვე შორაპანი და ბაღდადის ციხენიც მათ მისცნეს. | მეფე სოლომან ლტოლვილი მივიდა ნიკოლოზ წერეთელთან. მან შეიწყნარა და დამალა მოდანახისა ციხეშია. ნიკოლოზ წერეთელი ლეკში წარვიდა, ლეკის ჯარი მოჰგვარა მეფე სოლომანს; ჩავიდა კვალად იმერეთს და მრავალნი იმერნიც მოერთენენ. შებნენ ბაღდადს თეიმურაზს. ნეიმურაზ დაამარცხეს. ამა ბრძოლაში ლევან აბაშიძე მოკლეს, თეიმურაზ შეიპყრეს. მეფემან სოლომან მუხურის ციხეში დააპატიმრა. თეიმურაზ მუნ მოკვდა. იმერეთი სოლომანმა დაიპყრა, გარნა ოსმალთა მიხ-

ვ 7

¹ უკანასკნელი დამოკიდებული წინადადება სიტყვიდან „რომელიცა“ აქამდე მოთავსებულია ტექსტში კიდევ გამოტოვების ნიშნით. ² ტექსტში ეს სიტყვა ჩაწერილია ზევიდან

მულნი ციხენი ვერ აართვა. რუსთა იპერატრიცას ეკატერინას შემწეობა ჰსთხოვა. იპერატრიცამ 4 პოლკი ჯარი მოახმარა წინაძღომითა ღიანარალ ტოტელბელისათა. ჩასრულს რუსთ იმერეთს აღიღეს ბრძოლითა¹ ციხე ქუთაისისა, ბაღდადისა და

† 8 შორაპანისა და ცუცხუთის ციხე, | გააყარნეს ოსმალნი და დაიპყრა იმერეთი მტკიცედ თვისითა საზღვრითა.

§ 17

ხოლო წელსა 1768 კვალად აღადგინა შფოთი რაქის ერისთავმან როსტომმან, მოიბირნა რაოდენიმე იმერნი და ეგრეთვე ახალციხის ფაშაცა და ენება კვალად გარდაგდებავე მეფისა სოლომანისა. ამისმა მსმენელმან მეფემან მოიკრიბნა იმერნი, წარვიდა რაქას, თუმცა და ბრძოა როსტომმა, გარნა უქმ იქმნა ბრძოლა იმისი. იძლივა როსტომ. შეიპყრეს რაქველთა როსტომ და მოართვეს მეფესა სოლომანს, რომელმანცა შეიპტნა ყოველნივე დედაწულნი და სახლეულნი მისნი² და აღმონადნა როსტომს თვალი შვილებითურთ თვისით. ხოლო უფროსსა ძესა მისსა გიორგის შეარჩინა ერთი თვალი ჯალათმან, რომელიცა განიპარა | და წარვიდა სტაბოლს და იყო მუნ ჟამ რაოდენმე. ხოლო მამულნი მისნი მიულო მეფემან სოლომან და განუყო ყოველთავე იმერთა კეთილშობილთა, რომელთაც მსახურეს მეფესა და მამულსა თვისსა სისხლითა.

▽ 8

§ 18

წელსა 1768 მეფე ირაკლი და იმერთა მეფე სოლომან რუსეთის მხედრობითა და თვისითა სპითა წარვიდნენ ახალციხის დასაპყრობელად. მისრულთა ასპინძას მრავალნი გარემონი სოფელნი დაიპყრეს. მსმენელმან ახალციხის ფაშამ შეიკრიბნა სპანი დიდძალნი და წარმოემართა მეფეთა ზედა, გამოვლო მდინარე³ მტკვარი. მეფემან სოლომანმან მსმენელმან ამისმან უღალატა მეფესა ირაკლის, უკუნ იქცა თვითცა და უკუნ აქცივა რუსეთის მხედრობაცა, რომელნიცა წარვიდნენ მხედრობანი რუსთანი რუსეთსავე⁴. დაშთა თვისითა მხედრო-

¹ ტექსტში ეს სიტყვა ჩაწერილია ზევდან. ² ტექსტში: მისნი. ³ ეს სიტყვა ტექსტში სწორია კიდევ, გამოტოვების ნიშნით. ⁴ ეს 5 უკანასკელი სიტყვა მოთავსებულია ტექსტში კიდევ, გამოტოვების ნიშნით.

ბითა მეფე ირაკლი, წარმოემართნენ ოსმალნი მეფეს | ირაკ- r 9
ლიზედ. მხილველმან მეფემან წარავლინა ღამესა მას სვიმონ
მუხრანის ბატონისშვილი და თანა წარატანნა. ხუდია ბორჩა-
ლოველი რამეთვისამე კაციტა. მისრულთა ამათ ჩააქციევს
ხიდი მტკვრისა, რომელიცა განდიდებულ იყო მდინარე იგი
ფრიად. მეორესა დღესა შებნენ ოსმალნი მეფესა ირაკლის.
მოსცა ღმერთმან ძლევა ირაკლის, აოტნა ოსმალნი და მიყვა
ვიდრე მტკვრის კიდემდე, რომლისა გამო ოსმალნი შიშვნეულ-
ნი შესცვივნენ მტკვარს და მოიშთენენ მრავალნი, მოსწყვიტ-
ნეს უმრავლესნი და ტყვე ჰყვეს. მხნედ იყო მეფე ირაკლი
ვითარცა ლომი, რომელმანცა მოკლა თვისითა ხელითა და-
ლისტნიდამ გამოსრული დიდსახელოვანი გოლიათი მალაჩინ
სარდალი მათი. მხნედ იყვნენ კახნი თავადნი და აზნაურნი v 9
ქართველთანი და ეგრეთვე მთისა კავკასისა ქვესურნი, და
შემოიქცა გამარჯვებული.

§ 19

ქდ წელსა 1768 ლტოლვილმა იმერეთით ქაიხოსრო
ლევანიშვილმა აბაშიძემ აბირა აზრუმისა სარასკარსა და ჩაიყ-
ვანა იმერეთს დიდისა სპითა. მსმენელმან მეფემან სოლომან
შეიკრიბნა იმერთა მხედრობანი. ეწყო მეფე ოსმალთა ხრე-
სილზედ. იძლიენენ ოსმალნი, მოსწყვიტნა ეგოდენნ, რომელ
რიცხვი არ შეიგებოდა, აღილო ბანაკი მათი, და მოკვდა თვით სა-
რასკარიცა ანა ბრძოლასა შინა. ქდ ამავე წელსა 1768 შეიკრიბა
ქაიხოსრომ აბაშიძემ ლტოლვილმან მეორედ რაოდენიმე ლეკნი
და ოსმალნი და ჩამოვიდა იმერეთს. მეფე სოლომან მიეგება
წინა თვისითა სპითა, შეიბნენ ჩიხორს, გაემარჯვა მეფეს სო-
ლომანს. მოსწყვიტნეს იმერთა უმრავლესნი ლეკნი და ოს-
მალნი.

§ 20

r 10

წელსა 1769 გამოჩნდა ჟამი მომსვრელი ტფილის და
მრავალნი სულნი მოსწყვიტნა ქართლს, კახეთს და იმერეთს
და იყო მთელს წელს, რომელიცა განდევნა წმიდამან ლახ-
ვარმან უფლისა ჩვენისა 14 17, რომელიცა მოასვენეს სო-
მეხთა მონასტრიდამ ეჩმიადინიდამ, სადაცა ასვენია წმიდა
იგი ლახვარი.

§ 21

ხოლო წელსა 1770 ძსნის ერისთავმა ყულარალასმა გიორგიმ აღადგინა შფოთი, განამაგრა ქსანი და პატარა ლიახვი, თვით დადგა სიათას ციხეში, მოიკრიბნა მუნებურნი მკედრობანი, იხმო დაღისტნით ლეკოა მხედრობანი, ენება მისმა მეფობისა და დაპყრობა თვისად. მსმენელმან მეფემან v 10 ირაკლიმ წარუვლინა კაცნი და | აბირა, რათა დასცხრეს შფოთისაგან და ეგოს მამულსა თვისსა მშვიდობით, რომლისა გამო არამნებებელმან გიორგი ყულარალასმან დასძინა უმეტესი შფოთი და აბოხი¹ და ტყვენვა გარემოთა სოფელთა ქართლისათა. ამისმა მხილველმან მეფემან ირაკლიმ წარგზავნა პირმშო ძე თვისი გიორგი და უმრწემესი ჰე თვისი ლეონ ზემო ქართლის მხედრობითა. მისრულთა მეფის ძეთა აღიდეს ლიახვი და ქსანი გამაგრებული მის მიერ და ეგრეთვე ციხეცა ლიახვისა სიათა და შეიპყრეს ყულარალასიცა სახლეულით თვისით და მოართვეს მეფესა. ხოლო მეფემან დამყუდროებისათვის ქვეყანისა თვისისა მიუხვნა მამულნი სრულიად—ქსანი, ლიახვი და გვერდის-ძირი და ჰყო სამეფოდ და აღუთქვა r 11 ხალხთა ფიცითა და წერილითა, რათა არღარა მიექცენ | ყმად, არამედ დაშთნენ მარადის მფლობელობასა ქვეშე მეფისასა, რომელიცა არს მოდღენდელად დღემდე.

§ 22

წელსა 1778 მეფემან ირაკლიმ ინება წარსვლა ერევანს ზედა დასაპყრობელად. შეიკრიბნა თვისნი მხედრობანი, წარემართა და მოადგა ერევნის ციხესა 4 თვე². ერევნის ხანი უსეინ ალი მრავალჯერ შემოება, გარნა ძღვეულისა იწყო ციხეთა მაგრობაი. შეამკირვა ფდ ციხე ერევნისა, კინილა ლამოდა დაპყრობასა, რომლისა გამო მეფემან სოლომან იმერთამან უბრკმა მეფესა ირაკლის³, მოიყვანა ბაქარიშვილი ალექსანდრე სპარსეთით და აღუდგინა შფოთი ქართლსა შინა. v 11 ამისი მსმენელი მეფე ირაკლი და უსეინ ალი ხან დაზავდნენ. მეფემან ირაკლიმ დასდვა ხარკი ერევანს წელიწადში ექვსი

¹ ტექსტშია: „დაბოხი“. ² ტექსტში ეს ორი სიტყვა კიდევხა მოთავსებული გამოტოვების ნიშნით. ³ ტექსტში ეს სამი უკანასკნელი სიტყვა მოთავსებულია კიდევ გამოტოვების ნიშნით.

ათასი თუმანი, რომელსაც იღებდენ ვიდრე დროდმდე მეფის გიორგის ძისა მისისაცა. ხოლო მეფემ ირაკლიმ აპყარნა ხალხნი მუნებურნი სომეხნი და დასახლა ყარაისა და ავლაბარსა და შემოიქცა გამარჯვებული. მსმენელი ალექსანდრე ბაქარის ძე უკუნ იქცა იმერეთით უქმი, განვლო ჩერქეზი და მივიდა დარბანდს ფათალი ხანთანა, რომელიცა დროსა მას ეპყრათ დარბანდი რუსთა. ამისმა მსმენელმა მეფემან ირაკლიმ სთხოვა იპერატორიკას ეკატერინას, რათა წარიყვანოს ალექსანდრე რუსეთს და დაცხროს შფოთი ქართლსა შინა. ამისმა მსმენელმა იპერატორიკამ მიუწერა ბრძანება მუნ მყოფსა ღიანარაღსა, რათა შეიპყრას ალექსანდრე ბაქარის ძე და ალექსანდრე ამილახვარიშვილი, რომელიცა იპოვებოდა მას ყამს ნისთანა, და ესე r 12 აბირებდა დაპყრობასა ქართლისასა, რათამცა შურ ეგო მეფისა ირაკლისად, რომელიცა იყო მოკლებულ ნასადითა დროს პაატა ვახტანგ მეფის ძისათანა შეთემულეებისა გამო. მაშინ მიუვიდა ბრძანება ხანსა დარბანდისასა ფათალის, და შეიპყრეს ალექსანდრე დარბანდს და წარაელინეს როსიას. მისრული მოსკოვს ალექსანდრე ბაქარის ძე წარგზავნეს პატიმრად სმოლენცკის ციხესა შინა, ხოლო ალექსანდრე ამილახვარიშვილი ციხესა შინა ვიბურღს, რომელიცა ეგო წელსა 17 პატიმრად. ხოლო ალექსანდრე ბაქარის ძე მოკვდა ციხესა შინა სმოლენცკისასა, და ალექსანდრე ამილახვარიშვილი განთავისუფლებული იპერატორის ალექსანდრესაგან წელსა 1802 მოკვდა ასტრხანსა შინა¹, რომელმანცა ვერ უძლო გარდასვლა საქართველოსა შინა.

§ 23

v 12

ხოლო წელსა 1779 იქმნა ესეცა უბედურებაჲ საქართველოსა შინა, რომელ უსწორო იგი ქაბუკი მეფის ირაკლის ძე ლეონ გარდაიცვალა საოფლითა კახეთს ვეჯინის სოფელს თვესა ფებერვალსა 5, და იქმნა გლოვა დიდი წელსა ერთსა მთელს საქართველოსა შინა.

§ 24

წელსა 1780 კვალად გარდაიცვალა იენის² 3 მეფის ირაკლის პირმშოს ძისა გიორგის მეუღლე ქეთევან ენდრონი-

¹ ამ სიტყვის შემდეგ ტექსტში წაშლილია „რომელსაცა“. ² ტექსტში ეს სიტყვა კიდებოდა მოთავსებული გამოტოვების ნიშნით.

კაშვილის პაპუას ასული, დედაკაცი სახელოვანი და გონიერი, რომლისა გამო მეფე ირაკლი იყო გულმოწყულულ ეამ რაოდენმე, და დაფლეს დავით გარეჯის მონასტერშია.

§ 25

- წელსა 1783 მეფემან ირაკლიმ სთხოვა მფარველობაი
- r 13 იპერატრიცა ეკატერინას. მან ფარველობის ტრაქტატი უბოძა მეფისავე თანხმობითა. იპერატრიცამ უბოძა მეფესა სამეფო ნიშანი, ესე იგი: გვირგვინი, სკიპტრა, პორფირი და დროშა. ხოლო კავალერია ანდრია პირველწოდებულისა აქვნდა მიღებულ დროსა ღიანარალ ტოტელბელისათა, რომელიცა მიუბოძა მაშინ სამსახურისა გამო იპერატრიცამ, ოდეს მისცა გზად არაგვისა მხედრობასა როსისასა და შემწეობა ყოველივე, რომელთაცა გარდავლეს მთად და შთავიდნენ იმერეთსა შინა. კვლად ამავე ნიშნებთან უბოძა იპერატრიცამ დედოფალს დარეჯანს დადიანის ასულს კავალერია წისა ეკატერინასი ბრილიანტისა¹ და ძვირფასი ტანისამოსი, და პირმშოსა ძესა მისსა გიორგის ალექსანდრე ნევეცკისა კავალერია და ეგრეთვე
- v 13 ანტონი კათალიკოზსა, მეფის იასეს ძეს, შუბლსა² ზედა | ჯვარი ბრილიანტისა და პანალია ძვირფასი, და ეგრეთვე ჩინებულთა კარის-კაცთა ქართველთა თავადთა და აზნაურთა შესაფერნი ნიშანი მიუბოძა იპერატრიცამ, რომელთამე ბურნუთის კოლოფი, რომელთამე ბეჭედნი აღმასისანი და რომელთამე სათნი და ეგევითარნი. ესე³ ყოველნივე მილო მეფემან სამეფოსა ქალაქსა ტფილის, რომელიცა იდღესასწაულა დღესაწაულობითა დიდითა სიონის ეკლესიასა შინა და გარდაიხადა დღესაწაული ესე კათალიკოზმან ანტონი³, და იქმნა სიხარული დიდი საქართველოსა შინა შერთებისათვის რუსთა და ქართველთა.

§ 26

- ძდ წელსა 1782 მეფე იმერთა სოლომან წარვიდა მხედ-
- r 14 რობითა თვისითა გურიასა ზედა. | მისრულს ჩაგვსა შემოებნენ ოსმალნი, და ულაღატეს გურელთ ხალხმაც. იძლია მეფე სოლომან. მოსწყვიტნეს იმერნი ურიცხვნი. კნილა განერა მეფე

¹ ტექსტში ეს სიტყვა კიდებუა მოთავსებული გამოტოვების ნიშნით.

² ტექსტში: შუბლსა. ³ ტექსტში: სე.

სიკვდილსა. ძლეული მეფე სოლომან მოვიდა ქუთაის, რომლისა მწუხარებითა გარდაიცვალა აპრილის 23, და დასვეს იმერთა მეფედ დავით გიორგის ძე, მიზეზითა ამით, რომელ მეფესა სოლომანს არა დაშთა შვილი, და ძმისწულნი მისნი იყვნენ მცირე ყრმანი. ამის მიზეზისათვის დასვეს იმერთა ბიძაშვილი მისი დავით არა მეფედ, არამედ ნაიბად, ვიდრე აღზდადმდე არჩილის ძისა დავითისა, რომელს ეწოდა შემდგომად სოლომანცა, რომელიცა იყო ესე რჯულიერი შემკვიდრე მეფისა სოლომანისა, ნადვილ ძმისწული მისი.

§ 27

v 14.

წელსა 1784 წარავლინა მეფემან ირაკლიმ როსიად ძენი თვისნი ანტონი შემონოზნებული მთავარ-დიაკონი და შირიან, რომელსაც უბოძა იპერატრიცამ პოლკოვნიკობა ცხენოსანს ჯარში. წელსა ამასვე მიცვალა დედის ნაცვალნი მეფისა ირაკლისა დედოფალი ანახანუმ ბარათაშვილის ბეჟანის ასული შემონოზნებული, მეუღლე ცხებულის მეფის თეიმურაზისა, რომელიცა დაფლეს ნათლიცემელის მონასტერში¹.

§ 28

ხოლო წელსა 1785 ზუნძახის ერისთავმა ომარ ძემან მუცალისამან მოიკრიბნა დალისტნისა მხედრობა ვიდრე ოცი ათასამდე, წარმოემართა საქართველოსა ზედა, ჩამოსრული მით დადგა ალაზნისა კიდესა. მეფემან ირაკლიმ შეიკრიბნა მხედრობანი თვისნი და ეგრე | თვე რუსთა მხედრობითა, რომელიცა ჰყვანდა დროსა მას მეფესა ირაკლის ორი ბატალიონი იეგრისა წინაძლომითა პოლკოვნიკის სტეფან დანილიჩის ბრწე-
შოვისათა, მივიდა და დასდგა ქიზიყსა. ომარ ხან ალაზანს გამოვიდა. მეფესა მისი შებმა ენება. ყორჩიბაშიშვილმა ივანე ნაზირმან მეფე არ შეაბა მას ეამსა. ეს იყო მეფისა დიდათ მისანდო. ომარ ხან წარემართა იედიბოლუქზე, ყარაიას მტკვარს გავიდა, აღჯაყალას მოადგა და ვერ აღილო, ვინათგან განამაგრა ციხე იგი მოურაევან ბორჩალისმან მაჩაბელმან დავითმან, ძემან გოგია მაჩაბლისამან². მეფე უკანა შეუდგა.

r 15.

¹ ტექსტში უკანასკნელი 4 სიტყვა მოთავსებულია კიდევ, გამოტოვების ნიშნით. ² უკანასკნელი დამოკიდებული წინადადება სიტყვიდგან „ვინათგან განამაგრა“ და სხ. მოთავსებულია კიდევ გამოტოვების ნიშნით.

- მისრული მეფე ბორჩალოში, ომარ ხან აიყარა, ვერცხლის მადანს შემოადგა, ვერცხლის მადანი აღიღო, მრავალნი სულნი
- v 15 ბერძენნი მუნ მსახლობელნი მოსწყვიტნა და ტყვე ჰყო, უზულარის ხევზედ შეიარა, ლორეს მოადგა. ლორე ვერ აღიღო, რომელიცა აქენდა გამაგრებული მოურავსა მისსა მალაქია გლურჯიძეს. ლორიდან წარსრული ახალციხეს მივიდა. ახალციხიდან ჩამოვიდა, ვახანს მოადგა და ოცის დღის შემდგომ აღიღო ციხე ვახანისა. ევგენ აბაშიძის ქალები დაატყვევა, მრავალნი სულნი ქრისტიანენი მოსწყვიტნა და ტყვე ჰყო, ისევ ახალციხეს მიქცა და მუნ დაიხამორა. გაზაფხულს წარვიდა, ყარაბაღს ჩავიდა იბრემ ხანთანა, ერთი ევგენის ქალი მას მისცა ცოლად და მეორე თვით შეირთო. მეფე ირაკლის
- r 16 დაეზავა. მეფემან მისცა ჯამაგირად წელიწადში ხუთასი | თუმანი. ხოლო წელსა ამასვე მეფემან იმერთამან დავით მოიყვანა სიძე თვისი რაქის ერისთვის ძე გიორგი სტანბოლიდამ და მისცა რაქის ერისთობად. მისრული რაქას, შევიდა ოსების დასაპყრობელად. მისრული ღებს მოიკლა ოსთა მიერ.

§ 29

- წელსა 1786 მეფე ირაკლი წარვიდა განჯის დასაპყრობელად თვისითა მხედრობითა და ეგრეთვე რუსეთის მხედრობითაცა, რომელნიცა იპოებოდნენ მას ჟამს ორი ბატალიონი იეგრისა. განჯის ციხეს მოადგა. შეამკირვა განჯა. განჯის ხანმა ჯავადმა შემპირებულმა ევედრა მეფეს და აღუთქვა
- v 16 ხარიკისა მოცემა ყოველს წელს სამი ათასი თუმანისა. და | ეგრეთვე მოვიდნენ წინაშე მეფისა ყარაბაღელნი მელიქნი სომეხნი, რომელთაცა ენება აყრა და დასახლება საქართველოსა შინა თვისითა ელითა. მეფემან ირაკლიმ წარავლინა მათ ასაყრელად ძე თვისი იულონ და თანა წარატანნა რაოდენნიმე მხედრობანი საქართველოსანი. მუნ ყარაბაღის ხანი იბრემ შემოება ზება წოდებულს ადგილსა. იძლივა ხანი ყარაბაღისა იბრემ. მოსწყვიტნეს მრავალნი ყარაბაღელნი, ესრეთ შეშინდნენ რომელ შიშვნიელნი ერთმანეთს სოცდენ და იპყრობდნენ. ში მოწყალება ღვთის, რომელ არცა ერთი კაცი არა მოკვდა ქართველთაგანი, რომლისა გამო ქართველთა ვერღარა უსწყ-
- r 17 რეს აყრა და მათი | მიზეზის გამო, რომელ მუნ მყოფთ მხედრობათა როსისათა მიუვიდათ ბრძანება უკუნ ქცევა და როსიად, რომელნიცა აიყარნენ და წარვიდნენ. ამისმა მხილველ-

მან მეფემან ირაკლიმ მიუწერა ძესა თვისსა იულონს, რათა უკუნ იქცეს ბანაკადე. მყის უკუნ ქცეული მოვიდა გამარჯვებული მამისა თვისისა თანა, გარნა მეფეცა ირაკლი აღიყარა და მოვიდა ტფილისსა.

§ 30

წელსა 1787 მოერთვა უკუე ანბავი როსით იპერატრიცას მიერ, ვ¹დ ძე შენი ანტონიო ვაკურთხეთ მიტროპოლიტად ნინო-წმინდისა, რომლისა გამო მეფე ირაკლი იქმნა მხიარულ და მიუბოძა ძესა თვისსა ანტონის ალავერ²ლობად და v 17³ მიუწერა, რათა უკუნ იქცეს საქართველოდმდე, რომელიცა დაშთა შემდგომად წელი ორი როსიასა შინა.

§ 31¹

წელსა 1789 იქმნა სასწაული წ²ის ნიკოლაოზისა ესრეთ: კახეთს სოფელსა არტოზანსა ინება არხიმანდრიტმან შუამთისამან მოძღვართ-მოძღვარმან ნიკოლოზ ქობულ მდივნის ძემან აღშენება ეკლესისა წ³ისა ნიკოლაოზისა, და ოდეს ჩადგეს საკირე ქვისა ღიდი, შეგზავენს კაცი ერთი, რათა აღაგზნას ცეცხლი; მსწრაფლ ჩამოიქცა საკირე იგი და დაიტანა კაცი იგი. მივიდნენ სოფელნი და მოჰყარეს ქვანი იგი, ჰგონებდენ კაცისა მის სიკედილსა. |. ზი საკვირველი! ჰპოვეს კაცი r 18⁴ იგი მრთელი და უვნებელი. ჰკითხვიდეს კაცსა მას: „ვითარ დაშთი მთლათ?“ ხოლო მან ჰრქვა მათ: „ოდეს საკირე იგი დამექცა, მაშინ მოვიდა ბერი ერთი მოხუცი და გარდამეფარა და დაეშთი მშვიდობით“. ესე ქეშმარიტია, საცილის ნურავინ ჰგონებთ.

ხოლო წელსა 1788 მოკვდა დადიანი კაცია, და დაჯდა ძე მისი გრიგოლ. ხოლო წელსა 1791² აქორწინა დადიანი გრიგოლ მეფის ირაკლის პირმშო ძემან გიორგიმ ასულსა თვისსა ზედა ნინას, და წარიყვანა იგი ღიდი³ მზითვითა ოდიშს⁴.

¹ ამ პარაგრაფის დასაწყისში წაშლილია: „ხოლო წელსა 1790 გარდაიცვალა კათა“. ² პირველად დაუწერიათ 1789, შემდეგ წაუშლიათ და ზემოდან ტექტისავე ხელით გაუსწორებიათ 1791. ³ ტექსტში ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: პატივითა. ⁴ უკანასკნელი აბზაცი ტექსტში კიდევბა მოთავსებული გამოტოვების ნიშნით.

§ 32

ხოლო წელსა 1790 გარდაიცვალა მეფის იესეს ძე ანტონი კათალიკოზი ტფილისს მარტის 19, და დაფლეს მცხეთას. ხოლო მეფემან ირაკლიმ მიუწერა ძესა თვისსა ანტონის რუსეთს და მოიწვია იგი მუნით, რომელიცა მოვიდა როსით 1 სექტემბერს, და დადგინა იგი კათალიკოზად, რომელიცა აკურთხეს მცხეთას და იდღესასწაულეს დღესასწაულობითა დიდითა.

r 18

§ 33¹

წელსა 1791 მაისის 22 დღესა, ამაღლებას, მზე დაბნელდა, და ესე იყო მომასწავებელი ტფილისის უბედურებისა, რომელ წელსა ამას გამოჩნდა ხოჯა ასტარაბათელი ყაჯარი ალა მაჰმად ხან, ძე მაჰმადასა ხანისა, და დაიპყრა სრულიად სპარსეთი და უწოდა თავსა თვისსა ხელმწიფედ ჰერანისად.

§ 34

ძღ წელსა 1791 მეფე დავით გარდააგდეს იმერთა და დასვეს არჩილის შვილი დავით მეფედ; ხოლო მეფე დავით მივიდა ახალციხეს, მუნ ძალი მოირთო ლეკთაგან, ჩამოვიდა იმერეთს, არჩილის შვილი გარდააგდო და თვით დაჯდა მეფედვე. ლტოლვილი² არჩილის შვილი წერეთელმან პაპუნამ r 19 შეიწყნარა, | მეფე ირაკლის შემწეობა სთხოვა. მეფემან ირაკლიმ თვისისა ქალის შვილობის მიერ შემწეობა აღუთქვა³ და წარაგლინა შვილიშვილი თვისი იოვანე, კაცი მხნე და გოლიათი, და ეგრეთვე ქიზიყის მოურავი ზაქარია ენდრონიკას შვილი⁴ და ქალაქის მოურავი დავით ციციშვილი წარატანა სპითა თვისითა და ეგრეთვე თავაურ-ქურთაულნი და ორი ზარბაზანი საქართველოს არტირელისა. მისრულთა ამათ მოეგება არჩილის შვილი; წარემართნენ დავით მეფესა ზედა. ხოლო დავით მეფემანცა მოიკრიბნა მხედრობანი იმერთანი და ჰყვა ლეკთაცა მხედრობაჲ. მოსრულთა ურთიერთსაზედა,

¹ ტექსტში კიდევხა მოთავსებული. ² ეს სიტყვა ტექსტში კიდევხა მოთავსებული გამოტოვების ნიშნით. ³ ორი უკანასკნელი წინადადების გასწვრივ კიდევ მოთავსებულია: ამა შლილობასა შინა მოკვდა წერეთელი პაპუნა, კაცი ძლიერი, რომელსა ფრიად ესვიდნენ იმერნი, და ჰყო გლოვა დიდი მეფემან დავით არჩილის ძემან. ⁴ ეს ორი სიტყვა სწერია კიდევუ.

ეწივნენ წყევრის ციხეს. იქმნა ბრძოლა ძლიერი ნოებრის 24¹, იძლია დავით მეფე, ლტოლვილი² მივიდა ახალციხეს. მრავალნი სულნი იმერნი მოსწყვიტნეს და ტყვე ჰყვეს და დას-
 ვეს დავითვე მეფედ იმერეთისად, არჩილის ძე; ბრძანებითა მეფის ირაკლისათა და აქორწინეს დადიანის კაციას ქალს მარიამზე. ხოლო მხედრობანი საქართველოსანი მოვიდნენ გამარჯვებულნი.

§ 35

წელსა 1792 კ¹ დავით მეფემ მოირთო ძალი ახალციხის ფაშიდამ, ჩამოვიდა იმერეთს. იმერნიც მიერთვნენ რაოდენინმე ჩინებულნი. მეფემან ირაკლიმ წარავლინა კ¹ დე თვისი ალექსანდრე ქართველითა და ლეკის ჯარითა. მისრულნი ეწყვნენ დავითს და დაამარცხეს³ ზორეთს. ლტოლვილი დავით მეფე მივიდა ახალციხეს. ახალციხიდან ჩამოვიდა ქართლს მეფეს ირაკლის თანა. მან პატივსცა | დიდათ. მეფეს ირაკლის
 შუამდგომლობა სთხოვა, რათა დააზაოს მეფე დავითს, არჩილის შვილსა. მეფემან ირაკლიმ წარატანა თანა ძე თვისი ანტონი კათალიკოზი, რომელიცა მისრულმან დააზაენა ესენი თანახმობითა იმერთა სამღვდელთა და ჩინებულთათა. მეფეს დავითს არჩილის ძეს დაუმტკიცეს მეჭობა იმერეთისა და უწოდეს ტიტულად სახელად მეფე სოლომან, დიდის მეფის სოლომანის გამო, რომელმანცა იხსნა იმერეთი მახმედთანობისაგან ძალითა ქ¹ესითა. ხოლო დავითს გიორგის ძესა მისცეს სარჩოდ სოფლებნი შესაფერნი და აფუცეს, რათა არღარა განიზრახოს მეფობად თვისი და იყოს მორჩილ მეფისა სოლომანისა, რომლისა | გამო მეფემან სოლომან გამოართვა დავითს ძე თვისი
 კოსტანტინე და ჰყო პატიმრად მუხურის ციხესა შინა რაჰვას ყრმა წლისა 3, რომელიცა არა ესვა მასგან კიდე სხვაად ძე ვაჟი.

§ 36

ხოლო წელსა 1792 სექტემბრის 20 იქმნა სასწაული ერთაწის ეკლესიასა შინა, თვით დღესასწაულსა წისა დიდისა მოწამისა ევსტატისასა, რომელსაცა დღესასწაულობენ ერნი საქართ-

¹ უკანასკნელი წინადადება სწერია კიდევ გამოტოვების ნიშნით. ² ეს სიტყვა ტექსტში მოთავსებულია კიდევ. ³ ტექსტში: და აამარცხეს.

ველოისანი დღესასწაულსა ამა წმინდისასა, რომელიცა ვიყავ
 მას ჟამსა მუნ. იქმნა ესრეთ: საყდრისა საშუალ აღმართულ იყო
 სვეტი ერთი ქვისა მაღალი, რომლისა სიმაღლე იქნებოდა 5 ადლი
 ქართული, ხოლო სიმსხო მისი ერთს ადლზედ მეტი განითა,
 r 21 რომელსაცა ზედა მთავარ დიაკონი ალვიდოდა დღესასწაულში
 და წარიკითხევდა წმინდასა სახარებასა. ესე სვეტი გარ-
 დაიქცა წირვაზედ მდგომს ხალხში, რომლისა ქდევა არა იყო
 ხალხისა გამო, ეგოდენ იდგენენ ხალხნი. ჭი, საკვირველი! არცა
 ერთსა ხალხთაგანსა ევნო რაიმე, არამედ უვნებელად დაეცა
 მიწასა ზედა. ესე ქეშმარიტად ჩემის თვალთ მინახავს იმ
 დღესასწაულს მყოფს.

§ 37

წელსა 1792 გამოჩნდა კუდიანი ვარსკვლავი აღმოსავლეთის
 მხარეს, დღისით, თებერვლის 6. ყაჯარმა აღა მაჰმათ ხანმან
 v 21 დაიპყრანა დაშთომილნიცა ნაწილნი სპარსეთისანი და | უწოდა
 თავსა თვისსა ყენი და განძლიერდა ფრიად. ხოლო წელსა ამას-
 ვე ოდიშელთ გარდაგდეს დადიანი გრიგოლ გელოვანმან ქაიხოს-
 რომან, მობირებულმან მეფის სოლომანისაგან, და დასვა დადი-
 ნად ძმა მისი მანუჩარ. ხოლო წელსა ამასვე წარვიდა დავით
 მეფე იმერთა ახალციხეს კდ დასაპყრობელად იმერეთისა და
 მოკვდა მუნ ყვავილითა. ხოლო წელსა ამასვე ლტოლვილმან
 დადიანმან გრიგოლ მოირთო ძალი აფხაზთა და სევანთაგან,
 მივიდა, გარდაავდო მანუჩარ და დაიპყრა კდ ოდიში. ლტოლ-
 ვილი მანუჩარ მივიდა მეფეს სოლომანთანა. მეფე სოლომანმა
 შეიკრიბნა თვისნი მხედრობანი, მიუხდა გრიგოლს. შეებნენ
 r 12 გრიგოლს. დაუმარცხდა, | გრიგოლ ლტოლვილი ჩავიდა ფოტს
 სახლელუღით თვისით და იყო ჟამ რაოდენმე. კდ დასვესვე
 მანუჩარ დადიანად. ხოლო წელსა 1794 მეფემან სოლომან
 გარდავდო გურიელი ვახტანგ¹ და დასო მამია გურიელად.
 წელსა ამას განუყო მეფემან ირაკლიმ მამულნი ძეთა თვისთა
 საბატონისშვილოდ, რომლისა გამო აღდგა შფოთი მეფისა
 ირაკლის სახლში ძმათა შორის².

¹ ამ სიტყვის შემდეგ ტექსტში ზის გამოტოვების ნიშანი, ხოლო კიდევ
 ამავე ნიშნით სწერია: „და მოვიდა მეფეს ირაკლისთან, რომელმანცა პატივსცა“.

² ამ პარაგრაფის დასაწყისის გასწვრივ, კიდევ, მოთავსებულია კუდიანი ვარსკ-
 ვლავის გამოსახულება—ადამიანის თავი მარჯვნივ წარხიდული კუდით.

§ 38

ხოლო წელსა 1795 ხოჯა ალა მაჰმათ ხან ყაჯარი მოვიდა სპითა თვისითა, მაისში, ყარაბაღის ციხეს შუშის მოადგა. 4 თვე ადგა, შუში ვერ აღიღო. დიდათ გამაგრდა იბრეიმ ხანი შუშისა. ენება უკუნ ქცევა, გარნა განჯის | ხანმა ჯავად- v 22
მა, რომელმანც იძულებულმან მოიყვანა ტფილისსა ზედა წინააღმდეგომობისა გამო მეფისა, რომელიცა მტერობდა მეფესა ირაკლის. მეფე არ მომლოდნე მოსვლისა მისისა, რომელიცა იყო მას ეამსა უთადარიკოდ და ეგრეთვე წარავლინაცა კაცი რუსეთად, რათა ტრაქტატისა გამო შათისა¹ მიეცათ მფარველობად და სთხოვა ჯარი შესაწევნელად, რომელთაც აღუთქვეს მოცემად და ვერ ჰყვეს აღნათქვამი თვისი. ამისმა მხილველმან მეფემან ირაკლიმ მოუწოდა იმერთა მეფესა სოლომანს მხედრობითა თვისითა და მოვიდაცა მცირითა სპითა თვისითა. ხოლო ალა მამათ ხანმან აბირა მეფე მორჩილქებასა² და ზავსა r 23 ზედა და აღუთქვაცა მიცემა განჯისა, ერევნისა, ყარაბაღისა, შაქისა, შირვანისა და მართებლობაცა ადრიბეჯანისა³. თუმცა და სწადდა მეფესა ესევეითარნი სასარგებლონი თვისისა ქვეყნისანი, გარნა ვინაითგან იყო ფიცითა ქრისტიანულითა შეკრულ იპერატრიცა ეკატერინესადმი⁴, არა ინება ტეხა ფიცისა, არამედ განემზადა ბრძოლისადმი მისისა. წარმომართებული ალა მაჰმად ხან მოვიდა და დაიბანაკა 30000 კაცითა⁵ სოღალულსა შინა. ხოლო დღესა მეორესა განვიდნენ მეფე ირაკლი და სოლომან ბრძოლად მისდა, რომელთაცა არა ჰყვათ⁶ სპანი უფროს ორი ათასისა კაცისა. იბრძოლეს დღე იგი. ხოლო დღესა სამშაბათსა, | სექტემბერსა 11 კლ შეიბნენ v 23 შავნაბადაზე, და⁷ იძლიენენ მეფენი სპარსთაგან. აღიღეს ქალაქი ტფილისი, მოაოხრნეს წმინდანი ეკლესიანი, იავარ ჰყვეს ხალხნი; აოტნეს, მოსწყვიტნეს და ტყვე ჰყვენეს. მოწვეს ტფილისი⁸ და ეგრეთვე საუნჯეცა მეფისა ხელთიგდეს. მაშინ

¹ ტექსტში: მორჩილე მორჩილებასა. ² ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: „გარნა“. ³ ტექსტში: ეკატერინესადმი. ⁴ ტექსტში ორი უკანასკნელი სიტყვა მოთავსებულია კიდევუ გამოტოვების ნიშნით. ⁵ ტექსტში: ჰყვთ. ⁶ ტექსტში 4 უკანასკნელი სიტყვა მოთავსებულია კიდევუ. ⁷ ტექსტში ეს ორი სიტყვა მოთავსებულია კიდევუ. შემდეგ ტექსტისავე ხელით, მაგრამ სხვა მელნით მიწერილია: „და სხუათა გარემოთა ვერარაჲ ავნო, თუმცალა არაგუსა ზედა გაგზავნა რაოდენიმე მხედრობანი შესაპყრობელად მეფისა, გარნა იძლიენენ ბულაჩაურში არაგუსელთა, ფშაველთა და შამშადანელთაგან და უკუნ იქცნენ ვერარის მყოფელნი“.

დაიკარგა წმინდა იგი მკლავი ევსტატის მოწამისა დიდის ერთაწმინდისა¹, რომელიცა ჰკურნებდა პირად-პირადთა სნეულთა, და ხატი მეტეხისა ღვთისმშობელისა. ალა მაჰმად ხანმა დაჰყო დღენი 8 და უკუნ იქცა სპარსეთადვე. მისრული სპარსეთს, წარემართა ხორასანსა ზედა და მისრულმან აღილო ქალაქიცა მაშათი ხორასნისა. კდ ამავე წელსა მსმენელმან

r 24 იპერატრიცამ მოუბოძა მეფესა ირაკლის | შემწედ ორი ბატალიონი—ერთი გარნადირისა და მეორე იეგირისა და არტირელია. და იწყო მეფემან შენობა მოხრებულისა ტფილისისა², და განამზადაცა იპერატრიცამ რუსთა მხედრობაჲ საბრძოლველად ალა მამად ხანისად, რათა ეზღვია სისხლი ქართველთა.

§ 39

ხოლო წელსა 1796 მეფე ირაკლიმ მოიკრიფნა მხედრობანი თვისნი და წარვიდა განჯის დასაპყრობელად, რომელიცა ჟამსა მას შერთდა იბრეიმ ხანსა ყარაბაღისა. და მოადგნენ განჯას. ხოლო ჟამსა მას მოერთო ანბავი, მაისის 3, დარუბანდით მეფესა ირაკლის ღრაფის ზუბოვის დიანარალ-შეფისაგან, ედ იპერატრიცამაო წარმომავლინაო სპარსეთისა დასაპყრობელად ოცდა ათი ათასითა მხედრობითაო, რათა ვაზღვიო სისხლი ტფილისისა და უპატოება შენი სპარსთა³, რომ-

v 24 ლისა გამო მეფე ირაკლი იქმნა | მხიარულ უზომოდ და მადლობელი ღვთისა. ხოლო ზუბოვმან გამოსრულმან დარუბანდით დაიპყრნა სრულიად შაქი, შირვანი ვიდრე თალიშადმდე და დადგა ქოინა-შამახიად წოდებულსა ალაგსა. ხოლო მეფემანცა ირაკლიმ დაჰყო ხანი განჯას გარემოდგომა მისი სამი თვე, რომლისა გამო შემქირეებული ჯავად ხან ევედრე იბრეიმ ხანსა, რათა დააზაოს მეფესა და მისცეს ხარკი დადებული თვისი ყოველსა წელსა. მსმენელმან იბრეიმ ხანმან იურვა მეფესთან მახმადიანობისა გამო ჯავად ხანისა და დაზავა მეფესა, და მოსცა მეფესა წარსხმულნი ტყვენი ტფილისისანი შვიდასნი სულნი მუნ მცხოვრებითა ტფილისის მოქალაქეთა თათრითა, რომელიც

r 25 ჰყვა მას ციხეს შინა განჯისასა ტყვედ. და | მოიქცა მეფე ირაკლი

¹ ტექსტში ეს ორი სიტყვა კიდევება მოთავსებული. ² უკანასკნელი 6 სიტყვა სწორია კიდევ. ³ უკანასკნელი დამოკიდ. წინადადება სიტყვებიდან: „რათა ვაზღვიო...“ ტექსტში მოთავსებულია კიდევ გამოტოვების ნიშნით.

ვამარჯვებული ქართლსა | ხოლო წელსა ამასვე იქმნა იმერეთ-
სა შინა აღრეულებაჲ: ენებათ რომელთამე ჩინებულთა იმერთა
გარდაგდება მეფისა სოლომანისა თანახმობითა გრიგოლ და-
დიანისათა, რომელიცა იყო მას ჟამსა განძებულ დადიანობი-
საგან, და დასმადი მეფის სოლომანის შვილისშვილის გიორ-
გისა¹, ძისა ალექსანდრესი, გამეფებაჲ. ამისმა მსმენელმან მე-
ფემან სოლომან შეიპყრა გიორგი ალექსანდრეს ძე და პატი-
მარ ჰყო ციხესა შინა მუხურისასა. ხოლო წელსა ამასვე მო-
ვიდა ლტოლვილი დადიანი გრიგოლ მეფისა ირაკლის თანა
თელავს, რომელმანცა პატივ ჰსცა ფრიად და აღუთქვაცა
დაზავება მეფე სოლომანთანა. და იყო | თვე სამი მეფესა თანა. v 25
ხოლო მეფემან ირაკლიმ წარაელინა დადიანი გრიგოლ მეფისა
სოლომანისათა და მიუწერაცა, რათა აგოს კვალად დადი-
ანადვე, რომლისა გამო მისრული გრიგოლ შეიწყნარა მეფემან
სოლომან და ენება რათა ჰყოს დადიანად, გარნა არმნებებელ-
მან წერეთელმან ქაიხოსრო პაპუნას ძემან არა აუფლა მეფე,
რათა ჰყოს დადიანად გრიგოლვე. მაშინ მიუწერა დადიანმა
გრიგოლ ოდიშართა და აბირნა ერთგულებასა თვისა, რომელ-
თაცა ოდიშელთა მისცეს პირი მტკიცე, გამოვიდნენ ჩინებულ-
ნი ოდიშელნი და წარიყვანეს გრიგოლ ქუთაისილამ და ჰყვეს
დადიანად. თუმცალ მეფემ იწყინა საქმე ესე და შეიკრიბნა
მხედრობანი და წარემართა ოდიშსა ზედა, გარნა ვერა-
რის | მყოფელი მიიქცა უკუნ². მაშინ ოდიშელთა ფიცეს r 26
ერთგულებასა ზედა გრიგოლისასა, დაშთნენ მიერ ჟამითგან
მყუდროდ. ხოლო დადიანს მანუჩარს მისცეს. მამულნი სარ-
ჩოდ³ კმად საყოფელად.

§ 40

ხოლო წელსა 1796 წარმოავლინა ზუბოვმან მხედრობანი
ექვსნი ათასნი დასაყენებლად ქართლს, წინაძღომითა. ლიანა-
რალ კორსიკოვისითა, რომელსა ეწოდა ალექსანდრე მიხაი-
ლიჩი. მოსრულმან აღიღო განჯა უომრად სეკდებრის 26 და
დაუტევა პოლკი ერთი იეგრისა და არტერელია, და დანაშო-
მითა სპითა მოვიდა ტფილისს და დადგა მუნ. ხოლო წელსა

¹ ამ სიტყვის შემდეგ ტექსტში წაშლილია „გამ“. ² ამ სიტყვის შემდეგ ტექსტში წაშლილია „მამა“. ³ ამ სიტყვის შემდეგ ტექსტში წაშლილია „დამ“.

v 26 ამასვე გარდაიცვალა იპერატრიცა ეკატერინა ნოენბრის 6, | და დაჯდა ძე მისი პავლე იპერატორად. ამან უკუნ აქციენა მხედრობანი რუსეთისანი დარუბანდით და ქართლით. ხოლო წელსა ამასვე იქმნა სიყმილი ფედ ქართლსა, განჯა-ყარაბაღსა და შაქი-შირვანში, ესრეთ რომელ კოდი პური ძლივლა იპოებოდა და იყიდებოდა ერთს თუმნად.

ხოლო წელსა ამასვე 1796 გამოჩნდა სპარსეთის მხარესა დიღასა განთიადსა ზედა ვარსკვლავი ერთი ცეცხლის ფერი და კულდგრძელი მფრინავი, მსგავსი შუშხუნისა. წარმოსრულმან მუნით ვარსკვლავმან ამან გამოვლო ზღვა კასპიისა, შუას დღისას იხილეს მოფრინვალე ესე ვარსკვლავი ქალაქსა ასტრხნისასა, ხოლო სამხრობისა ეამსა იხილეს ქალაქსა მოსკოვს და საღამოსა ეამსა¹, დროსა ჩასვლისა მზისასა, იხილეს ქალაქსა პეტერბურხსა, რომელმანცა გარდავლო თავსა სახემწიფო სასახლისასა, მივიდა ციხესა პეტერბურხისასა, სასაფლოსა რუსთა იპერატორთასა, და უჩინო იქმნა მუნ. ესე იყო თვესა აგვისტოსა რიცხესა². ხოლო შემდგომად ამავე წელსა თვესა მესამესა ამის ხილვისასა³ ეკატერინა კელმწიფე გარდაიცვალა ნოებრის 6, და ძე მისი პავლე გახელმწიფდა⁴.

§ 41

წელსა 1797 კდ ალა მაჰმად ხან მსმენელი რუსთა უკუნ ქეცევისა წარმოემართა საქართველოსა ზედა ძლიერისა სპითა-შუშის მოვიდა. შუშის ხანი იბრეიმ შეუშინდა, განივლტო და მივიდა ქარში. ხოლო ალა მაჰმად ხანმან აღილო შუში და
r 27 და|დგა, განზადანა მხედრობანი თვისნი და გაჰყო ორად, ენება, რათა ერთი კერძო წარმოველინა ქართლზე და ერთი კახეთს ზედა, რომელსაცა ენება მოოხრება სრულიად⁵. ხოლო ღმერთან უქმ ჰყო განზრახვა მისი, რომელიცა ღამესა მას ივნისის თვეს 12 მოკლა ალა მაჰმად ხან ციხესა შინა შუშის ყარაბაღში ფარეშმან თვისმან მძინარე მობირებიტა საღუხ

¹ ამ სიტყვის შემდეგ ტექსტში წაშლილია „შთასვლისა“. ² რიცხვი ტექსტში მოყვანილი არ არის. ³ უკანასკნელი სამი სიტყვა ტექსტში ზემოდანაა ჩაწერილი. ⁴ უკანასკნელი აბზაცი ტექსტში მოთავსებულია კუდიანი ვარსკვლავის გაზოსახულებასთან ერთად r 26 გვერდზე, კიდებზე. ⁵ უკანასკნელი 4 სიტყვა ტექსტში. მოთავსებულია კიდებზე გამოტოვ. ნიშნით. ⁶ უკანასკნელი 7 სიტყვა ტექსტში მოთავსებულია კიდებზე გამოტოვ. ნიშნით.

ხან შალალისათა, და განარინა ლმერთან ქართლი და კახეთი
ოხრებისაგან.

სასწაული წისა დიდისა მთავარ მოწამისა გიორგისა ხატისა
ალავერდისა მიერ.

მნება წისა მის ხატისა დამალვა მეფის ირაკლის ძეს
კათალიკოზს და ალავერდელს ანტონის, რომელიცა მას ეამს ესე
ორნივე ეპარხიანი მას ეპყრეს, და არა ინება ხატმან მან და-
მალვა თავისა თვისისა, და რაოდენიცა შეუქმნეს ლუსკუმა
ჩასასვენებლად, რაოდენიცა დიდი უქმნეს, ეგოდენ პატარა მოუ- v 27
ჟიდა ხატსა მას, ხოლო ყოფასა ამას ეკლესიასა შინა მისვე ალა-
ვერდს განკვირებამან მოიცვნა ყოველნი კრებულნი ამისნი და
თვით კათალიკოზი ანტონიცა. მყის თანდვე მყოფსა ეკლესიასა
შინა მიუვიდა მახარობელი დიმიტრი გურამისშვილი მილახვარი
მეფისა ირაკლისა გაგზავნილი მის მიერ და აუწყა სიკვდილი
ალა მაჰმად ხანისა. ხოლო მსმენელი კათალიკოზი დავარდა
ხატისა მის წინა და ჰმადლობდა² ლმერთსა³, და აღივსნეს სი-
ბარულითა გამოუთქმელითა. ხოლო ზურგი ხატისა მის მოს-
კედა ვეცხლითა და დააწერა ყოველი ესე სასწაული და დახს-
ნა საქართველოსა მის მიერ მეფის ძემ კათალიკოზმან ანტო- r 28
ნიმ. ხოლო წელსა ამასვე | 1797 დასვეს სპარსთა ყენად ძმის-
წული⁴ ალა მაჰმად ხანისა ბაბახან, რომელიცა ჰყვა მას მემე-
ვიდრედ თვისად. ხოლო ამას ჰყვა ყაზმინს ყოველნივე მძევალ-
ნი სპარსეთისანი, და მის ძლით ვერლარა იუფლეს სპარსთა
წინააღმდგომობაიდ მისი და აღიარეს ხელმწიფედ. ხოლო
წელსა ამასვე იქმნა ესეცა უბედურებაჲ ქართლისა, რომელ
გაჩნდა ჟამი მომსერელი ტფილის, ქართლს და კახეთს და
მოსწყვიტნა მრავალნი სულნი, და იყო თვე ოცი ესე ქირი.

§ 42

წელსა 1798 მეფე ირაკლი დასნეულდა მოხუცებულებისა
გამო წყლის მანკიერებით და იყოფოდა | თელავს და მიცვალა v 28
მუნ წლისა 80, რომელმანცა იმეთა წელი 54⁵, იანვრის 11.

¹ ეს სიტყვა მოთავსებულია კიდევ გამოტ. ნიშნით. ² ტექსტში „მაჰდ-
ლობდა“. ³ ეს სიტყვა ტექსტში ზემოდანაა ჩაწერილი. ⁴ ტექსტში ამ სიტყვის
შემდეგ ზემოდან ჩაწერილია „მისი“. ⁵ უკანასკნელი 7 სიტყვა ტექსტში კიდევჲა
მოთავსებული გამოტ. ნიშნით.

ხოლო ძემან მისმან პირშომან გიორგიმ მილო მეფობა მამისა თვისისა შემდგომად, მყოფმან მას ქამსა ყაზახსა შინა, იანვრის 14, დღესასწაულსა წისა მოციქულისა ნინა ქართველთ განმანათლებელისა დღესა, და დალოცეს ქართველთა მეფედ თვისად და ჰფუცეს ერთგულებასა მისსა ზედა. მოსრულმან¹ ყაზახით გაგზავნა გვამი მეფისა ირაკლისა და დაფლა მცხეთას სამარხოსა მეფეთასა. ზოლო წელსა ამასვე განძლიერდნენ ფრანცუცნი, წარგზავნეს რესპუბლიკამან სარდალი თვისი დიანარალი მონაპარტე დოსკანელი მხედრობითა ოცი ათასითა. მივიდა, ეგიპტე აღილო. მუნ ვეზირი უსუფ ფაშა დაამარცხა, იერუსალიმიც აღილო და მოილოცნა წმინდანი ადგილნი, რამეთუ იყო ესე სარწმუნოებით ლათინი, და მიართო შესაწირაენიცა² და უკუნ იქცა ეგიპტედვე, აღილო სიმდიდრე ეგიპტისა და უკუნ იქცა ფრანციადვე. მისრულმან ფრანციად კდ განახვნა ეკლესიანი და აღმართნა ხატნი და ჯვარნი, როდეს ფრანცელთ მოეკლათ მეფე თვისი ლუდოვიკ 16 ბორბონი, მიერ დღითგან დაეხშოთ ეკლესიანი და მოეწყვიტათ ეკლესის მოწყენი და გამდგარიყვნენ ქრისტიანობისაგან. ამან მონაპარტემ კდ აგო პირველსავე სარწმუნოებასა ზედა და აღიდა ამით სახელი თვისი ყოველსა ევროპასა შორის.

§ 43

ხოლო წელსა 1798 ბაბახან ყენმან წარმოუვლინა ელჩი
 v 29 მეფესა გიორგის, ზავი და | შვილი სთხოვა მძევლად. მეფემან გიორგიმ წარუვლინა ძღვენნი და სიმამრი თვისი გიორგი ციციშვილი სარდალი, რათამცა ზავ ჰყოს მისთანა. ხოლო ოდეს მივიდა გიორგი ციციშვილი ელჩითა მაჰმად ხან ყაჯართურთ ფანბაკს, მუნ ესმათ ანბავი სპარსთა აღრეულებისა, რამეთუ ბაბახანს მოსრულსა აღრიბეჯანსა შინა ხოის ესმა განდგომილება ძმისა მისისა უსეინ ყული ხანისა, რომელიცა მყოფობდა მაშინ არაყსა შინა. და ამა აღრეულების გამო ბაბახან მიქცა არაყადვე. მსმენელი ამისი ციციშვილი სარდალი გიორგი უკუ მოიქცა ერევნის სამზღვრით, ხოლო მაჰმად ხან მუნითგან განუტევა ბაბახანისა თანა მშვიდობით. შემდგომად
 r 20 მეფემან გიორგიმ | წარგზავნა როსიად ავალიშვილი გიორგი

¹ ტექსტში: მუსრულმან, ² უკანასკნელი 3 სიტყვა ტექსტში მოთავსებულია კიდევუ გამოტ. ნიშნით.

ივანე მეითრის ძე და წარატანა თანა წიგნი მისართმეველად იპერატორ პავლეს თანა, და მიუწერა მუნ მყოფს დესპანსა თავადსა მანდატერსა თვისსა¹ ქავჭავაძე გარსევანს, რომელიცა იპოებოდა მუნ კარსა ზედა წარგზავნილი მეფის ირაკლისაგან დესპანად, რათა იყოს კ'დ დესპანადვე კარსა ზედა, და ამცნო რათა ითხოვოს მეფისათვის შშიდლობით დაცვა და მფარველობა, ვითარცა წერილ იყო ტრაქტატსა შინა მეფის ირაკლისასა და იპერატრიცა ეკატერინესანსა. შიმართმევთა ამით რუსისა კარსა ზედა თხოვისამებრ მეფისა² უბოძა იპერატორ-მან პავლე მეფესა ტახტი, გვირგვინი, სკიპტრა, წმალი, | დრო- v 30 შა და ლურჯი კავალერია ანდრია პირველწოდებულისა და ეგრეთვე მეუღლესა მეფისასა დედოფალს მარიამს ციციშვილის ასულს უბოძა იპერატრიცამ მარიამმა კავალერია წ'ისა ეკატერინასი, კაბა და ჯილა, ხოლო პირშმოსა ძესა მეფის გიორგისასა და ვითს უბოძა მემკვიდრეობა³ საქართველოსა⁴ მამის შემდგომად და ანას კავალერია, რომელიცა მას უამსა იყო სამსახურსა შინა იპერატორისასა და იყო ღიანარალ-მაიორი, რომელიც ახლად⁵ მოსული რუსეთიდან იპოებოდა მამისა წინაშე, და ეგრეთვე უბოძა⁶ მცველად მეფესა ერთი პოლკი იგარისა 17 წინაძლომითა ღიანარალ ლაზარევისათა და დესპანად! დეისტიტველნი სტატკის სოვეტნიკი კავალინცკი. r 31 ესენი წარმოემართნენ და მოვიდნენ ტფილის თავადის⁶ გარსევან ქავჭავაძითურთ წელს 1799, აგვისტოს 2. მომშენელნან მეფემან იღღესასწაულა⁷ დღე იგი. მაშინ მოსრულ იყო ელჩიცა სპარსეთისა და აბირებდა მეფესა თვის კერძო, რომლისა გამო მეფემან გიორგიმ აღირჩივა რუსეთის იპერატორისა საფარველი ერთსარწმუნოებისა გამო, ვიდრე შეერდომომა მახმედთანთა ქვეშე. ხოლო მოსრულმან ელჩმან დაჰყო რვა თვე ტფილის და უკუნ იქცა. ხოლო წელსა ამასვე, დეკებრის 5, იღღესასწაულა⁷ დღე იგი მეფემან დღესასწაულებითა დიდითა და მიღო ნიშანი იგი ბოძებულნი იპერატორისაგან და გარდაიხადა დღესასწაული | იგი ეკლესიასა შინა v 31

¹ უკანასკნელი სამი სიტყვა მოთავსებულია კიდევ გამოტ. ნიშნით.

² ამ სიტყვის შემდეგ ტექსტში წაშლილია: უბოძა მეფემა. ³ ამ სიტყვის შემდეგ ტექსტში წაშლილია: კართლისა. ⁴ ეს სიტყვა ტექსტში ზემოდანაა ჩაწერილი.

⁵ ტექსტში: ახლად. ⁶ ეს სიტყვა გამოტ. ნიშნით სწერია კიდევ. ⁷ ტექსტში: იღღესასწაულ.

ანჩისხატისასა, სადაცა ასვენია ხატი იგი საკვირველი ხელით უქმნელისა მაცხოვრისა¹, და გარდაიხადა ძმამან მისმან ანტონი კათალიკოზმან. ხოლო დღესასწაული² ესე იყო მოქალაქეთა შორის 8 დღესა. და მიუბოძესცა წყალობა იპერატორისა სხვათაცა ძეთა მეფისათა და ჩინებულთა თავადთა კარის კაცთა მეფისათა. მსმენელთა ძმათა მეფისა გიორგისათა აღადგინეს შფოთი მემკვიდრე ჰყოფისათვის დაეთისა, ვინაითგან მეფესა ირაკლის განეწესებინა უჯგეროდ, რათა ძმათა ზედა ჩამოსულიყო მეფობაჲ ბირებითა დედისა მათისა დარეჯან დედოფლის გამო, რომელი იყო დედის ნაცვალი მეფისა გიორგისა და

† 32 სძულობდა გერსა თვისსა და სდევნიდა მიმდგომთა მისსათა თავადთა და აზნაურთა, და იყო მარადის³ შფოთსა და შეწუხებას შინა დროსვე ბატონისშვილობაშივე, ბირებითა⁴ ძისა⁵ მისისა ვახტანგისათა, რომელიცა უყვარდა მას ფ⁶დ, და სდევნიდა ძმასა თვისსა გიორგის ფრიად⁷. ხოლო ეს ვახტანგ იყო მეშფოთე⁸ რომელიც ექმნა მიზეზ შფოთი ამისი უბედურებად ოჯახსა საქართველოს მეფისასა დამაქცეველად. ხოლო წელსა ამასვე შეიკრიბნა მეფემან სოლომან მხედრობანი თვისნი იმერნი და არა დასცხრა ესეც ბოროტებისაგან, ა⁹დ მივიდა ოდიშს და მოწვა სრულიად, გარნა დადიანს გრიგოლს⁹ ვერა რაა აენო.

† 32

§ 44¹⁰

ხოლო წელსა 1800 ბაბახან ყეენმან¹¹ თვისი სარდალი წარმოავლინა, მოვიდა ნახჩევანს. მეფეს გიორგის ძმამან თვისმან ალექსანდრემ ულალატა, წარვიდა და მივიდა ნახჩევანს სარდლისა წინაშე. მას ეამსა კ¹²დ უკუნ იქცა სარდალი სპარსეთადვე, ხოლო ალექსანდრე დაშთა მუნ ვერა რაჲსამე

¹ ეს სიტყვა ტექსტში კიდევბა მოთავსებული გამოტ. ნიშნით. ² ტექსტში დღესასწაული. ³ ტექსტში: მარადისი. ⁴ ამ სიტყვის შემდეგ ტექსტში წაშლილია: ძმისა. ⁵ ეს სიტყვა კიდევბა მოთავსებული გამოტ. ნიშნით. ⁶ ეს სიტყვა ტექსტში ზემოდანაა ჩაწერილი. ⁷ უკანასკნელი 6 სიტყვა კიდევბა მოთავსებული გამოტ. ნიშნით. ⁸ ამ სიტყვის შემდეგ ტექსტში წაშლილია: „აპარტავანი, ყოფაქცევითა დედათაგანი და იყო საჭურისიცა“, შემდეგ კიდევბ: „ხოლო მე ვდღუმებ სხვათაცა აუგთა მისთა, რომელიცა არა აღიწერების კაცობრობის მიერ“. ⁹ ტექსტში ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: არა რაჲ აენო. ¹⁰ მოთავსებულია კიდევბ. ¹¹ ტექსტში: ყენმან.

მყოფელი. ალექსანდრე ნახჩევანიდამ უკუნქცეული მივიდა ყარაბაღის ხანთან იბრემთანა. ხოლო მას ჟამსა ბუნძახის ერისთავიცა ომარ¹ ჩამოვიდა ქარსა თორმეტი ათასითა მხედრობითა. მსმენელი ამისი ალექსანდრე წარვიდა ყარაბაღით² ქარში და მივიდა მისთანა, აბირა და აღუთქვა მრავლისა მიცემაჲ ტყვისა და საქონლისა. ხოლო წელსა ამას 1800³ გამოჩნდა ნაწილი წისა მთავარ მოწამისა გიორგისა მკლავი. ხოლო წელსა ამას 1800⁴ ინება მეფემან გიორგიმ მოქედა ხატისა წისა მთავარმოწამისა გიორგისა, ბოკორმად წოდებულისა, რომელიცა ასვენია თელავს წმიდის მოწამის ქეთევან დედოფლის ეკლესიაში, რომელიცა იყო ძველად მოქედილ, გარნა სიძველისა გამო არღვის ახსოვდა ნაწილი მის შორის. და ჰკურნებდა მრავალთა სნეულთა და უძღურთა და სულთა უკეთურთა. ხოლო აჰყარეს რა ვერცხლი იგი, ჰპოვს მკერდსა მას შინა დაფარული მკლავი წმინდისა, რომელიცა მოსქედა მეფემან ძვირფასად და | შთაასვენა კდ ნაწილივე ხატსა მას შინა, რომლისა ძლითა და სასწაულითა იძლიეა ომარ ხან, რომელსაცა დღესასწაულობენ⁵ დღესასწაულსა მისსა ერნი კახეთისანი ნოებრის 10⁶. ხოლო მისრულმან მეფის ძემან ალექსანდრემ წარმოიყვანა ომარ ხან და განვიდა ალაზნსა, ენება რათა შემოადგეს ტფილისსა და აღიღოს ტფილისი და წარსწყმინდოს ძმა თვისი გიორგი, რომელიცა მას ჟამს სნეულობდა და მდებარე იყო წყლის მანკიერებით. მეფე გიორგიმ მსმენელმან ამისმან მეფემან მიუწერა ძესა თვისსა ბაგრატს, ზანიშინსა კახეთისასა, რათა შეკრიბოს კახთა მხედრობაჲ და შერთდეს უფროსსა ძმასა თვისსა იოვანეს ფელციხმესტრსა, ესე იგი თოფჩიბაშსა⁷, რომელსაცა⁸ წარატანა თანა ტფილისით ორნი ბატალიონნი რუსთა მხედრობისა და ორნი ზარბაზანიცა საქართველოს არტირელისა წინაძღომითა ღიანარაღ ლაზაროვისა და ღიანარაღ გულაკოვისთა. ამათ მისრულს ქიზიყს შეეყარა⁹ მეფის ძე ბაგრატცა მხედრობითა თვისითა

¹ ეს სიტყვა ტექსტში სწერია კიდევუ გამოტ. ნიშნით. ² ეს სიტყვა ტექსტში სწერია კიდევუ. ³ უკანასკნელი სამი სიტყვა და ციფრი მოთავსებულია კიდევუ გამოტ. ნიშნით. ⁴ ტექსტში: დღესასწაულობენ. ⁵ უკანასკნელი დამოკიდ. წინადადება მოთავსებულია კიდევუ გამოტ. ნიშნით. ⁶ უკანასკნელი სამი სიტყვა სწერია კიდევუ გამოტ. ნიშნით. ⁷ ამ სიტყვის შემდეგ გამოტოვების ნიშანია, ხოლო კიდევუ ამავე ნიშნით სწერია: წარგზავნა კიზიყს. ⁸ ტექსტში: შეყრა.

ზემო კახითა, თუშ-ფშავ-ხეესურითა. წარემართნენ და მივიდ-
 ნენ წინა მხარს, ძველს ანაგად წოდებულსა ადგილსა¹, რომე-
 ლიცა შორავს ქიზიყსა ორითა უკმე ფარსანგითა. ხოლო ომარ
 ხანცა გამოსრულმან დაიბანაკა ყარაღაჯ წოდებულსა ადგილ-
 სა, რომელიცა შორავს ძველს ანაგასა ერთითა უკმე ფარსან-
 გითა. ენებათ უკმე ადგილსა მას ომი, გარნა არამნებელი ომარ
 ხან ალიყარა ლამესა მას² და წარემართა უკანა მხრისა გზით
 v 34 დაქსაპურობელად საგარეჯოისა და გარემოთა სოფლებთა,
 რათა ჰყონ³ იგი სადგურად თვისად და ეოხრებინა გარემონი
 სოფლებნი. მსმენელნი მეფის ძენი შეუდგნენ უკანა რუს-
 ქართველთა, ეწივნენ იორსა ზედა ნიახურად წოდებულსა⁴
 ადგილსა. მუნ შეიბნენ; იქმნა ბრძოლა ძლიერი ვიდრე სამ
 საათადმდე. იძლივნენ ლეკნი ომარ ხანითურთ და ეგოდენი
 მოსწყვიტნეს, რომე რიცხვი არ შეიგებოდა. რუსნი უკმე
 იყვნენ ხუთასნი კაცი, ხოლო ქართველნი და კახნი ათას
 ხუთასნი, და ზარბაზანი აქვნდათ ექვსნი⁵, რომელნიცა ძალ
 გულისა თვისისა და მინდობილნი ღვთისანი კახნი თავად-
 ნი და გლეხნი იყვნენ მას ღღესა შინა მხნედ ვითარცა ლომნი-
 r 35 ეჭა, მოწყალეებასა მღვთისასა, რომელ არცა ერთი კახთა
 თავადთაგანი იქმნა დაკლებულ სიკვდილითა, თვინიერ ოცდა-
 ათისა კაცისა გლეხისა და მთის კაცისა და ეგრეთვე რუსთი-
 ცა⁶ თვინიერ ორისა სალდათისა. ესე ბრძოლა იყო ნოებრის 7,
 საღამოს, ღღესა ოთხშაბათსა, რომელი განთენდებოდა ღღე-
 სასწაული მთავარანგელოზთა მიხაილ და გაბრილის კარებას-
 ამან მოსცა შეწევნა კახთა და მფარველობა და ძლევა მტერ-
 თა⁷, თუცა ლა ლამემან უსწრო, ლამით გარდიხვეწნენ
 ლეკნი, თეარ ვჰკონებ ვერცა ლა ერთი განერებოდა. იალაფეს
 ბანაკი მათი და ტყვე ჰყვეს მრავალნი, გარნა თუშნი უმეტეს
 იყვნენ მხნედ და მეწინავედ მბრძოლნი, რომლისა ქება კაც-
 თაგან შეუძლებელ არს. ხოლო ომარ ხან ძლეული მივიდა
 განჯას; მუნ ჯავათ ხან შემოება და დაამარცხა. ხოლო მუ-

¹ ეს სიტყვა სწერია კიდებე გამოტ. ნიშ. ² ეს ორი სიტყვა სწერია კიდებე გამოტ. ნიშ. ³ ამ სიტყვის ნაცვლად ჯერ დაუწერიათ „ჰქონოდა“, რომელიც შემდეგ წაშლილია „მუ“. ⁴ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია „მუ“. ⁵ ამ სიტყვის შემდეგ გამოტოვების ნიშანია, ხოლო კიდებე სწერია: „ხოლო ლეკნი იყვნენ თორმეტი ათასნი“. ⁶ ამ სიტყვის შემდეგ ტექსტში წაშლილია: „იქმნა“. ⁷ სიტყვებიდან: „რომელი განთენდებოდა...“ მოთავსებულია კიდებე გამოტოვ. ნიშნით.

ნითგან მივიდა ყარაბაღს, სიძისა თვისთანა იბრეიმ ხანისა, და არცალა მან | ისტუმრა. მხილველი ამისი ომარ ხან უკუნ იქცა v 35 და მივიდა ჭარს, რომლისა მწუხარებისა გამო მოკვდა მუნ¹. მაშინ წარავლინეს მახარობელი წინაშე მეფისა და აუწყეს ესე-ვითარი ბედ-შემთხვევაჲ და გამარჯვებაჲ², რომლისა გამო მეფე გიორგი იქმნა მხიარულ და მადლობელი ღვთისა. გარნა ვინაითგან იყო მეფე გიორგი ფ'დ ღვთის მოყვარე და მლოცავი, დღესა მას იხილა ჩვენება, რომელსაცა იყო ბრძოლა, და აუწყა თვისთა მახლობელთა: | „გიხაროდენ³ ყოველთა, r 36 რომელ ძალითა ღვთისათა სძლეს ჩვენთა მხედრობათა⁴ მტერსა ომარ ხანს და დაკეთეს ფ'დ“. შ' საკვირველი! დღესა მეორესა მიუვიდა მახარობელიცა და აუწყა ესე ყოველი, რომლისა გამო განჰკვირდნენ მახლობელნი იგი მეფისანი. ხოლო მეფის ძენი მოვიდნენ ტფილის მამისა თვისისა თანა გამარჯვებულნი და მოართვეს ურიცხვი დროშანი მტერთანი, რომელნიცა წარგზავნა რუსეთისა კარსა ზედა და აუწყა ყოველი ესე. ყოფილი იპერატორსა პავლეს, რომლისა ჯილდოდ მოუზღვა იპერატორმან წყალობად მეფის ძეთა იოვანეს და ბაგრატს კავალერია მალთისა წ'ისა იოვანე ნათლისმცემლისა, ხოლო რუსთაცა ღიანარაღთა და მხედრობათა მოუბოძა ყოველთავე კავალერია მუნ მყოფთა ოფიცერთა. | და პოლკთა v 36 მათ უბოძა ბაირახნი ძღვევისანი, რომელსა ზედა წერილ იყო ესე: „ძღვევისათვის ავარელისა ომარ ხანისა“.

§ 45

ხოლო წელსა 1800 კვალად აღადგინეს შფოთი ძმათა მეფისათა იულონმა, ვახტანგმა და თარნაოზმა და მოიკრიბნეს რაოდენნიმე მთის კაცნი არაგველნი და⁵ ღიახველნი⁶ და ქართველთაჲდნი, და მოვიდნენ ავქალას და დაუწყეს კირთება სნეულსა ძმასა თვისსა გიორგის. გარნა მეფემან მსმენელმან ამისმან ინება დამყუდროება მათი და ვერ უძლო. ამისმან მხილველმან მეფემან გიორგიმ განიზრახა, რათა არა იქმნას უმეტესი სისხლის ღვრაჲ

¹ ამ სიტყვის შემდეგ ტექსტში წაშლილია: „მსმენელმან იპერატორმან პავლემ უბოძა ნიშანი მეფის ძეთა იოვანეს და ბაგრატს კავალერია იოვანე ნათლის მცემლისა მალთისაისა და ეგრეთვე რუსთა ღიანარაღთა და ჯარის მოხელეთა ყოველთავე კავალერიაჲ. მსმე“. ² ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: „გარნა“. ³ ამ სიტყვის წინ გამეორებულია: „თვისთა“. ⁴ ეს ორი სიტყვა სწორია კიდევ გამოტ. ნიშნ. ⁵ ამ სიტყვის შემდეგ ტექსტში წაშლილია: ქსნის ჯველნი. ⁶ ეს სიტყვა გამოტ. ნიშნით სწორია კიდევ.

- და შფოთი ძმათა და ძეთა თვისთა შორის. იძულებულმან
 r 37 ამისმან მიუწერა მინისტრსა | თვისსა ქავქავაძე გარსევანს
 კარსა ზედა როსისასა, რათა ითხოვოს იპერატორისაგან¹
 სიცოცხლესავე თვისა მეფისასა მისცეს მეფობა ძესა ზისსა
 დავითს და დაცხროს შფოთიცა ძმათა შორის თვისთა და
 ჰყვეს ჯარიცა როსეთისა დავითს, რომელი იმყოფებოდა
 ქართლს შინა მფარველად მისსა. მსმენელმან ქავქავაძემ ამის-
 მა იძმაცვა და დამალა წერილი ესე მეფისა შურითა დავი-
 თისათა, რომელიცა სძულობდა და მტერობდა დავითს, ვიდრე
 სიკვდილადმდე მეფისა გიორგისა, რამეთუ ასმიოდა სნეულე-
 ბა მისი.² ხოლო წელსა ამას 1800, დეკებრის 28 გარდაიცვა-
 ლა მეფე გიორგი ტფილის და დაფლეს მცხეთას და დასვეს
 ძე მისი³ დავით მეფედ ქართველთა თანახმობითა რუსთა
 v 37 ღიანარალთათ, რომელნიცა მყოფ იყვნენ | მუნ.

§ 46³

- ხოლო წელსა 1801⁴ მაშინ ძენი მეფისანი იულონ და
 ვახტანგ წარემართნენ ქიზიყისა კერძ დასაპყრობელად ქიზი-
 ყისა⁵, რათა დაიპყრან თვით მეფობაჲ. რაოდენისამე ზემო-
 ქართლისა თავადითა მისრულთა ქიზიყს მოსცეს რომელთამე
 ქიზიყელთაცა ფიცი და ეგრეთვე ყაზახთაცა, რამეთუ მას
 ეამს მოსრულ იყო ყარაბადით ალექსანდრეცა და იყო ყა-
 ზახსა შინა⁶. მსმენელმან დავით წარავლინა ძმა თვისი იოვანე
 სპითა რუსეთისათა და ეგრეთვე ქართველ-კახითა, რომელნიცა
 მასთანა იყვნენ. მისულთა მალაროს ჰსცნეს მეფის ძეთა მისე-
 ლა იმათი და ივლტოდნენ უკანა ქართლადვ. ხოლო დავითმან
 გაუსიეა ძენი ქსნის ერისთვისანი ღიახვსა ზედა, რათა⁷
 r 38. ეამსა ეპყრა პატარა ღიახვი მეფის ძეს იულონის საუფლის-
 წულოდ, რომელთაცა განამაგრეს ღიახვი. მისრულმან იულონ
 ვერა რასმე მყოფმან აღიყარა დედაწულითა თვისითა და
 წარვიდა იმერეთს დისწულისა თვისისა თანა მეფის სოლოჰანისა

¹ ეს ორი სიტყვა გამოტ. ნიშნით სწერია კიდევ. ² ეს ორი სიტყვა ტექსტში სწერია კიდევ გამოტ. ნიშნით. ³ მოთავსებულია კიდევ. ⁴ ეს ორი სიტყვა და ციფრი მოთავსებულია კიდევ და შემდეგ უნდა იყოს მიმატებული. ⁵ ეს სიტყვა სწერია კიდევ გამოტ. ნიშნით. ⁶ ტექსტი სიტყვებიდან: „რამეთუ მას ეამსა“... მოთავსებულია კიდევ გამოტ. ნიშნით. ⁷ ტექსტში: რათ. ⁸ ტექსტში: ძენა.

და ეგრეთვე ფარნაოზცა ძმა მისი და ალექსანდრე ახლად მოსრული ყარაბალით, რომელსაცა სმენოდა სიკვდილი ძმისათვისისა გიორგისა და წარმომართებულიყო ძმასა თვისსა თანა იულონთან:*) ხოლო ვახტანგ და მირიან დაშთნენ არაგვსა ზედა. ამისმა მსმენელმენ ჭავეჭავაძე გარსევანმან იცა ეამი მტერობისა დავითისა და მიაართვა წიგნი იპერატორს პავლეს¹ თვით გაკეთებული სახელსა ზედა მეფისასა², რეცა აღება მეფობისა საქართველოდამ და გახსნა ლუბერნისა და ესეცა დაქურთო თვით ზედა: „უკე თუ არა აღმოფხვრი მეფობასა v 38: საქართველოსასა და არა გარდმოასახლებ სრულებით როსიასა შინა მეფის სქესთა, არა ეგების მშვიდობა საქართველოსა შინა და სახლსა სამეფოსა“, რომლისა არა მთნებელი იპერატორი პავლე იძულებულ ჰყო, რთ აქვნდა ფიცითა და ღრამატითა დამტკიცებული მის მიერ მეფობა დავითს—ამის გამო არა ენება, გარნა ჭავეჭავაძე არა დასცხრა შურითა, არამედ წარავლინა ქართლსა ცოლის ძმა თვისი გიორგი, კაცი დრკუ და მცბიერი, და მოიბირნაცა რაოდენნიმე თვისნი მოყვარენი და მელიქი ტფილისისა დარჩია ბებუთოვი და სამღდელონიცა რაოდენნიმე, და ჰქმნეს მუჯალამაი თანახმობითა სარდლის იოვანეს ყაფლანიშვილისათა, რომელიცა იყო | მ- r 39: მიდაშვილი დავითისი და მოასაკე მისი, და ჰყვარობდა დავით ვითარცა ძმასა თვისსა და იყვნენ ერთათ აღზრდილნიცა და იყო მისანდო დავითისი ფდ და სალთხუცესიცა, რომელიცა მოატყუა ჭავეჭავაძემან და აღუთქვა მრავლისა მიცემა ხელმწიფისაგან. გარნა აღრევე ეთხოვა ჭავეჭავაძესა ქალი ამა იოვანესი ძისა თვისისათვის ალექსანდრესთვის ცოლად, და ამის გამო მეგობარ იყვნენ. ხოლო ეს ჭავეჭავაძე იყო კახი თავადი, რომელსა მამუჩიშვილად უხმობდენ, და აღეზარდა ობოლი მეფესა ირაკლის ნითარცა ძე და განადიდა ესე, რომელ ეპყრა სამოურაოდ³ ყაზახი და მისცა სოფლები კახეთსა შინა ნათარეული, ზეგანი და ელი მულალნო იერისა, v 39: რომელიცა იყო მანდატურიცა მეფისა (ესე იგი) ეშკალაბაშიცა, გარნა სიხარბითა და გაუშინჯობითა ეგონაცა თვით დაპყრობა ქართლისა და კახეთისა, რომელიცა მართლმსა-

¹ ეს ორი სიტყვა ტექსტში მოთავსებულია კიდევ გამოტ. ნიშნით. ² ეს სამი სიტყვა ტექსტში მოთავსებულია კიდევ. ³ ტექსტში: მიაშიდაშვილი. ⁴ ამ სიტყვის შემდეგ ტექსტში წაშლილია: კახეთი.

- ჯულმა ღმერთიან უქმ ჰყო განზრახვა მისი, და ვერარაჲ მიი-
ლო ჯილდოიჲ რუსთაგან თვინიერ ათასის ოქროსი, და მიუ-
ღესცა ყაზახის მოურაობა და მისცეს სარდალსა იოვანეს
ყაფლანიშვილსა. ხოლო კვალად ზემოსავე ვიტყოდეთ. მსმე-
ნელმან ამისმან იპერატორმან პავლემ დაამტკიცა თხოვილი
მისი და მიულო მეფობა დავითს და მიუწერა უპირველეს
მართველს კავკასისასა, ღიანარალ-ლეიტანტსა კნორინგს,
კარლი ფეოდორიჩსა, რათა გახსნას საქართველოსა შინა
r 40 მართველობა რუსეთისა და | დაიპყრან თვისად და ამცნოს
ყოველთავე მეფის ძეთა, რათა წარვიდნენ რუსეთად, კარსა
ზედა იპერატორისასა. მსმენელთა მეფის ძეთა ბრძანებისათა
წარემართნეს როსიად მეფის ძენი იოვანე, ბაგრატი და მი-
ხაილ წელსა 1801 მარტის, და თანა ახლდნენ თავადნი:
1. ჩოლოყაშვილი იოსებ, თუშთ მოურავის დურმიშხანის ძე. 2. ენ-
დრონიკაშვილი ზაალ მარტყოფის მოურავისა ძე, ზაზა სალთხუ-
ცესი მეფის ძის იოვანესი. 3. კახთ მდივანი იოვანე ქობულის
ძე. 4. რატიშვილი გაბრიელ ბეჟანის ძე, ეშკალაბაში მეფის
ძის იოვანესი. ხოლო აზნაურნი: გარაყანიძე ნიკოლაოზ, ექიმი
i 40 იოვანე ყარაშვილი და ქარუაშვილი პეტრე, ბანტურიშვილი
რე და მღვდელი დეკანოზი ზაქარია ლალიხანის ძე, და პრის-
ტავი მათი (ესე იგი შემანდარი) ქილაძე ვასილი მათეს ძე, აზ-
ნაური¹, ძველათვე მოსრული ქართლიდამა და მცხოვრები
მოზდოკის ქალაქსა, კაცი კეთილი და დიდათ მეცნიერი
რუსულისა და ქართულისა ენასა ზედა. ამათ წარსრულთა
ეწივათ კურიელი კავკასის ლინიაზედ და აუწყა სიკვდილი
პავლე იპერატორისა, რომელიცა გარდაცვლილიყო წელს
1811, მარტის 12². ესენი წარემართნენ და მივიდნენ სკთ
პეტერბურხს მაისის 13, რომელნიცა მისრულთა დიდათ პა-
ტიესცა ალექსანდრე იპერატორმან და ისტუმრნა, და დაშთა³
r 41 ჯერეთ საქმენი საქართველოსანი განუმართელ რუსთაგან¹.
ამან იპერატორმან მიუწერა მართველსა კავკასისა კნორილს,
რათა გარდვიდეს და ჰკითხოს ქართველთა უკეთუ ნებავისთ

¹ ამ სიტყვის შემდეგ ტექსტში წაშლილია: „მცხოვრები“. ² ამის შემდეგ ტექსტში წაშლილია: „ან მიხეზითა რომლითამე მოკლულ იყო, ხოლო მე ვღუ-
მავ“... ³ აქ ჯერ დაუწერიათ „იყო“, შემდეგ წაუშლიათ და ზემოდან დაუწერიათ
„დაშთა“. ⁴ ეს ორი სიტყვა ტექსტში მოთავსებულია კიდევხე გამოტ. ნიშნით.

კვალად მეფეი თვისი, ჰყოს მეფედ დავით, ხოლო უკეთუ არა ნებადეს ხალხსა, აღილოს მეფობა და ჰყოს ლუბერნიად. კნორინგმა გარდასრულმან ქართლს, იხმო რაოდენიმე ჩინებულნი გვამნი და აუწყა ესე. ხოლო მას ჟამსა ღიანარაღს ლაზაროვს მუნ მყოფსა¹ ებირნა რაოდენიმე გვამნი მეფისა ორგულნი² და განდიდებისათვის სახელისა თვისისა. ამათ ათქმევინა უარჰყოფა მეფისა და გახსნა რუსეთისა მართებულობისა, რომლისა მსმენელმა კნორინგმა³ მიუღო დავითს მეფობაჲ, და დასხნა თვისნი | მსაჯულნი ვიდრე გახსნადმდე ლუბერნისა. v 41 ხოლო ამისა შემდგომად უკუნ იქცა კნორინდი⁴ და აუწყა იპერატორსა ყოველი ესე ყოფილი. მაშინ დაამტკიცა იპერატორმან, რათა ჰყონ ტფილისი ლუბერნიად და⁵ გაყვნა ქართლი, კახეთი და სომხითი⁶ ექვს მაზრად, რომელნიცა იყვნენ ესენი: 1. ტფილისი, 2. ლორე, 3. თელავი, 4. სიღნაღი, 5. გორი, 6. დუშეთი. ესენი იყვნენ უპირველესნი ქალაქნი მაზრათანი.

§ 47

ხოლო წელსა 1801, სექტემბრის⁷ 15, ეკურთხა იპერატორი ალექსანდრე მოსკოვს. მაშინ გამოსცა მანიფესტი თვისი და დაპყრობაჲ საქართველოსა და ჰყო ლუბერნატორად ტფილისისა დესტიტელნი⁸ სატკის სოვეტნიკი კავალნიკი პეტრე ივანიჩი, პირველ ყოფილი მინისტრი საქართველოსა შინა, r 42 და ეგრეთვე უპირატეს მართველათ განაწესა კნორინდივე საქართველოსა. ამათ მისრულთა ტფილისი შეჰყარეს ხალხნი ჩინებულნი სიონისა ეკლესიაში⁹ საფიცრად სამღვდლო-

¹ ეს ორი სიტყვა მოთავსებულია კიდევ გამოტ. ნიშნ. ² ამ სიტყვის შემდეგ ტექსტში დასმულია გამოტყვების ნიშანი, ხოლო კიდევ ამავე ნიშნით სწერია: და ეგრეთვე ცოლიცა ჭავჭავაძისი, მარიამ ავალიშვილის ასული უფრორე მცდელი დამზობისათვის თვისისა მეფის სახელისასა აბირებდა მრავალსა თავადსა და სამღვდლოთაცა, რათა უარ ჰყონ მეფე და აღიარონ რუსეთის ხელმწიფობაჲ. ³ ამ სიტყვის შემდეგ ტექსტში წაშლილია „გარნა მი...“. ⁴ ეს სიტყვა მოთავსებულია კიდევ გამოტ. ნიშნ. ⁵ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: „გაჰყონ“. ⁶ წაშლილია „ხუთ“ და ზემოდან აწერია: „ექვს“. ⁷ ტექსტში „სექტემბრის“. ⁸ ეს სიტყვა მოთავსებულია კიდევ გამოტ. ნიშნ. ⁹ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: „რომელთაცა არა ენებათ აღება მეფობისა თვისისა, სამღვდლოთა და ქათალიკოზითა. და მოარტყეს სიონისა ეკლესიასა გარს რუსეთისა მხედრობა ხარბაზნებითურთ და აუწყეს: „უკეთუ არა ჰყოფთ ფიცსა ერთგულებასა ზედა რუსეთისასა, მოგწყვიტნიცა“. შიშვეულთა ქართველთა.

თურთ¹. იძულებულთა იწყეს ფიცი და აღუთქვეცა მორჩი-
ლებაჲ. მაშინ გახსნეს ლუბერნია ტფილისისა და დამტკიცეს
მართებელობაჲ თვისი, ვითარცა წესი არს როსიასა შინა, ეგრე
განაწესეს ხარკიცა.

v 42

§ 48

ხოლო წელსა 1812² კ'დ მეფე სოლომან მიუხდა და-
დიანს გრიგოლს ოდიშს. დადიანი გრიგოლ შემოება, დამარც-
ხდა დადიანი გრიგოლ და დამარცხებული ლეჩხუმს მივიდა.
მეფე ლეჩხუმს მიუხდა, ლეჩხუმის ციხენი აღილო დეხვირი და
კყვიში. დადიანი გრიგოლ მურის ციხეში გამაგრდა. მეფე სამი
თვე გარს ადგა, მურის ციხე ვერ აღილო. მეფე უკუნ იქცა.
ოდიშში დასო უნცროსი ძმა მისი ტარიელ დადიანად და

v 43 ხოლო კ'დ გამოსრულქმან დადიანმან გრიგოლმან მურის ცი-
ხითა შეკრიბნა ოდიშელ-ლეჩხუმელნი, მიუხდა ძმასა თვისსა
ტიას, და გარდაადგო და დაიპყრა თვით³ ოდიში. მხილველმან
დადიანმან გრიგოლ ესევეთარისა უბედურებისა და ხდომის
გამო⁴ აღირჩივა მფარველობაჲ⁵ რუსეთის იპერატორისა და
მიუწერაცა უპირველესს მართებელს საქართველოისასა ღია-
ნარალს⁶ კნორინლს, რათა შეყვანოს მფარველობასა შინა
როსიასა და აღუთქვეცა მიცემა საუკუნოდ შავისა ზღვის
პირი, რომელიცა მას ეპყრათ, რათა ჰქონდესთ რუსთა ციხენი
მუნ, და იღგნენ მხედრობანი მათნი. მსმენელმან ამისმან უპირვე-

v 43 ლესმან მართებელმან საქართველოისამან აღუთქვა დადიანსა
ესე ყოველივე ყოფად, გარნა კნორინლმა ვერ შეასრულა თხო-
ვილი მისი და გამოცვლილ იქმნა მას ეამსა კარისაგან რუსე-
თისა, რომლისა მოადგილედ განიწესა ღიანარალ-ლეიტენანტი
თავადი ციციშვილი პავლე დიმიტრის ძე.

¹ ეს ორი სიტყვა მოთავსებულია კიდევჲ გამოტ. ნიშნ. ² უნდა იყოს
,1802". ³ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია „იმერე“. ⁴ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია:
„ინება“. ⁵ ტექსტში: მფარველობაჲ. ⁶ ეს სიტყვა სწერია კიდევჲ.

§ 49

ხოლო წელსა 1802 იპერატორმა ალექსანდრემ მიუღო ჯვარი წისა ნინასი, მიცემული ღვთის მშობლისა მიერ და ახვიაცა ჯვარსა მას თმა დედისა მღვთისა პირველ ჟამსავ მოსვლისა წისა ნინასასა, რომელმანცა მოაქცევა სრულიად საქართველოჲ ქრისტიანედ იმა ჯვარისა მიერ¹, რომელი გარდმოეტანა მეფესა ვახტანგს საქართველოისასა მეექვსესა და აქვნდა ჯვარი მისი შვილის შვილსა მისსა გიორგი ალექსანდრეს ძესა და წარუვლინა კდ საქართველოსავე, რომელიცა ნიასვენეს და დასვენეს დედასა ეკლესიას შინა ტფილისისასა სიონად წოდებულსა ადგილსა.

r 44

§ 50

ხოლო წელსა 1802 ახალციხის ფაშა საბუთ გარდაგდო სულეიმან ფაშას შვილმან შარიფმან, მიუღო ახალციხე და გარემონი მისნი ყოველნივე. მისრული საბუთ ფაშა ქართლს, იყო მცირესა ხანსა, ხოლო ქართლითგან წარვიდა იმერეთს და ენება მუნითგან წარსვლა სტაბოლად. ისტუმრა მეფემან სოლომან და აღუთქვაცა შეწევნა. მსმენელმან² ფაშამან შარიფ აღუთქვა მეფესა სოლომანს მრავლისა მიცემა, რათა მოჰკვეთოს თავი საბუთ ფაშასა და წარუვლინოს მას. ამისმა მსმენელმა მეფემან მოჰკვეთა თავი საბუთ ფაშასა და წარუვლინა^v 44 შარიფ ფაშასა ახალციხეს. მხილველმან ფაშამან შარიფ არღარა მოსცა აღუთქმული იგი მეფესა და განჰკიცხაცა შეხვეწილისა კაცისა სიკვდილითა და დაუნდობელობაცა აყვედრა და სიყვარული ვერცხლისაცა და არა პატიოსნებისა, რომელიცა უკუნ აქცევა კაცი მისი სირცხვილელუი.

§ 51

ხოლო წელსა 1802 იმერთა³ მეფის დავითის ცოლი ანნა, ყაფლანიშვილის მამუკას ასული, დედოფალი, წარვიდა როსიად იპერატორს ალექსანდრეს წინაშე. მისრული დიდისა პატივითა მიღო, და ევედრა დედოფალი, რათა შუამდგომელ

¹ ტექსტი სიტყვებიდან: „მიცემული ღვთის მშობლისა მიერ“... მოთავსებულია კიდევზე გამოტოვ. ნიშნით. ² ამ სიტყვის შემდეგ ტექსტში წაშლილია: მეფემ. ³ ეს სიტყვა ტექსტში ზემოდანაა ჩამატებული.

ექმნეს მეფესა თანა და განატყვებინოს ძე მისი კოსტანტინე
 r 45 პურობილებსაგან, რომელიცა ჰყვა მეფესა მუხურის | ციხესა
 შინა: მსძენელმან იპერატორმა წარუვლინა კაცნი მეფესა
 და სხთოვა განთავისუფლება კოსტანტინესი, რომლისა არა-
 მნებებელმან მეფემან სოლომან უკუნ აქციენა კაცი იგი
 ცალიერნი.

§ 52¹

ხოლო წელსა 1802 წარიგზავნა ციციშვილი პავლე უპირ-
 ველეს² მართებელად საქართველოდსა. ამას უბრძანა იპერა-
 ტორმან და არწმუნა ფიცხელად, რათა დანაშთომნი მეფის
 ძენი საქართველოსანი³ წარგზავნოს რუსეთად დედა-წულითა
 მათითა და ეგრეთვე აწვიოს მყოფთა იმერეთსა შინა მეფის
 ძეთა იულონს და ფარნაზოსაცა⁴ და წარავლინოს როსიად,
 რა ვინაითგან ჟამსა მას ჰყვათ რუსთა მისანდოთ და ერთგულად
 v 45 თვისად მეფის ირაკლის ძე ვახტანგ, რომელსაცა ეპყრა არაგვი-
 ცა და მსახურებდა რუსთა მხედრობასა, რომლისა ძლით შე-
 მოსრულნი რუსთა მხედრობანი მადრიელ იყვნენ მისსა.
 მსძენელი იპერატორი ამისი იყო ფედ მადრიელ და ნიჭიდა
 ნიჭითა დიდითა და მიუბოძა კავალერიაცა წისა ანნასი
 ბრილიანტისა ძვირფასი. გარნა ვინაითგან ვახტანგ იყო მცბიე-
 რი და დრკუ, არა მომხსენებელმან წყალობისა მისსამან განი-
 დიდა თავი თვისი და ენება დაპყრობა საქართველოსა და
 მეფედ ყოფა თავისა თვისისა. ამან აბირნა კახნი და ალაღვინა
 შფოთი კახეთსა შინა და ეგრეთვე არაგვსაცა ზედა, რომელ-
 საცა რუსნი თუმცალა ამშვიდებდენ, გარნა ვერ უძღეს. და
 r 46 განივლტო ვახტანგცა | დუშეთითა და აღვიდა გუდა-მაყარსა
 და იწყო მუნ მაგრება. მაშინ რუსთა თხოვითა მთის კაცთათა
 არა მისცეს ვახტანგს პირი მტკიცე; და იყო ვახტანგ თვე ორი
 გუდა-მაყარსა შინა ვერარაგვსა მყოფელი. ამისი მხილველი კდ
 ევედრა რუსთა დაზავებასა, რომელთაცა აღუთქვეს უფნებე-
 ლობაჲ, და იძულებული ვახტანგ მივიდა რუსთა თანა დუ-
 შეთს. ხოლო რუსთა მოიყვანეს ტფილისს და დაყენეს დედისა
 თვისთანა დედოფალს დარეჯანთან ავლაბრის სასახლესა⁵

¹ მოთავსებულია კიდევ. ² ეს სიტყვა მოთავსებულია კიდევ გამოტოვ. ნიშნით. ³ ამ სიტყვის შემდეგ ტექსტში წაშლილია: გარდ. ⁴ უნდა იყოს: ფარნაზოსაცა. ⁵ ტექსტში: სახლესა.

შინა და დაუყენეს ყარაული, რათა არლარ განვლტოს ვახტანგ. მსმენელმან იპერატორმან ესევეთარისა აღრეულეებისამან, მიუწერა ბრძანება თავადს ციციანოვს უპირველეს მართებელსა | რათა წარუვლინოს ყოველნივე ძენი საქართველოს მეფისანი როსიად. მსმენელი ამისი ციციშვილი წარმოემართა კავკასიის ლუბერნით და მოვიდა ქართლსა.

§ 53

ხოლო წელსა 1803, თებერვლის 6 მოვიდა ციციანოვი პავლე ტფილის მართებელად საქართველოდისა. ხოლო ამან ბრძანებითა ხელმწიფისათა წარავლინნა როსიად მემკვიდრე საქართველოდისა მეფის გიორგის ძე დავით და ბიძა მისი მეფის ირაკლის ძე ვახტანგ თებერვლის 18, რომლისა შიშვნეული ძმა დავითისი, მეფის ძე თეიმურაზ, განივლტო ლამესა ზას და წარვიდა ქარში და მივიდა ბიძისა თვისისა თანა ალექსანდრესთან, მეფის ირაკლის ძესთან, რომელიცა მას ჟამსა წარსრული იმერეთით | და იყოფოდა ქარსა შინა, რომელიცა მისრული ძმის წული თვისი შეიტკბო ალექსანდრემან და პატივს უყოფდა ვა ძეს. ძედ წელსა ამასევე 1803 წარავლინნა ციციანოვმან მხედრობანი თვისნი როსისა პოლკი ერთი მუშკათირისა, რომელსა კაბარდინცკის პოლკად უხმობდენ, წინაძღომითა ღიანარალ გულაკოვისათა, რომელიცა იყო ფედ მხნე და მამაცი და მიუწერაცა კახთა, რათა შერთდენ¹ იგინი რუსეთის მხედრობასა და წარემართნენ ქარსა ზედა და მოაოხრონ ძირობა იგი სრულებით. მსმენელთა კახთა მოკრბენ ყოველნივე ზემორ-ქვემონი ქიზიყით ვალმამზრელითურთ და წარემართნენ ქარსა ზედა. მისრულთა ბელაქნისა ბოლოსა ზედა თუმცა და ჰქონდათ ლეკთა² გზანი გამაგრებულნი და მინდობილ იყვნენ სიმაგრეთა მათ, რომელიცა აქვს ბოლოსა ბელაქნისასა, შესავალი არს ვიწრო და ჰანქრობი და ქაცვიერი და ტყიანი, რომლის გზისაგან კიდევ არა შეიძლებს მუნ ვლა მხედრობისა. ამისმა არ მკვრეტთა რუსთა მხედრობამან უყო ზედა დასხმა მხედრობასა ლეკთასა და სიმაგრესა მათსა, აოტნეს³ სრულებით და მიუღეს სანგალებიცა იგი, წარემართნენ და აღიღეს ქარი და ბელაქნი კატეხითურთ, რომელიცა

¹ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: ესე. ² ეს სიტყვა მოთავსებულია კიდევუ გამოტ. ნიშნით. ³ ტექსტში: აოტნელს.

მოსწვეს და მოაოხრეს; აღიღეს ალაფი მათი და ტყვენი და მოვიდნენ გამარჯვებულნი. მაშინ ძენი მეფისანი მუნ მყოფნი, ალექსანდრე და თეიმურაზ, ლტოლვილნი მუნით წარემართნენ r 48 სპარსეთისა კერძ და მივიდნენ თავრიზს. ესე აღწყა ყენსა ბაბა ხანს ბეგლარ-ბეგმან თავრიზისამან მისვლად მუნ მეფის ძეთა, რომლისა გამო ებრძანა ყენსა, რათა წარავლინოს მისთანა. მაშინ ბეგლარ-ბეგმან თავრიზისამან მისცნა ყოველთა საჭირობაი მათი და წარავლინა თერანს წინაშე ყენისა. მისრულთა მეფის ძეთა პატივისცა ყენმან და ანიქნა ხალათნი და ცხენნი ოქროდთა აკაზმულნი, და ეგრეთვე თან მყოფთაცა მისთა თავადთა და აზნაურთა უბოძა საბოძარი და დაიმპირნა თვისთანა ჟამ რაოდენმე და აღუთქვა შეწევნა და განთავისუფლება საქართველოსა რუსთავან.

§ 54

v 48 წელსა 1803 დედოფალს მარიამს მოუვიდა ბრძანება იმპერატორისაგან, რათა წარვიდეს როსიად შვილებითურთ თვისით, რომლისა გამო დედოფალი მარიამ მიეცა ფქდსა მწუხარებასა და არა ენება წარსვლა როსიად. მას ჟამსა შინა იყო მეფისა გიორგისა მუშრიბი აზნაური¹ კალატოზისშვილი იოსებ ანდრიას ძე, რომელიცა მეფესა გიორგის აღებარდა თვისსა სახლსა შინა და სწყალობდაცა. ამან განდიდებისათვის თავისა თვისისა აბირა მოქალაქესა გიქდავაშვილსა ზურაბს. და მოიყიდა იგი თეთრითა, რა ამა ზურაბას აქენდა ვაქრობაჲ ფშავსა და ხევსურსსა შინა. და შეითქვენენ ესენი და მივიდნენ წინაშე ციციანოვისა და შესწამეს დედოფალს რეცა განპარვაჲ ტფილისით და წარსვლა ფშავსა შინა, რომელიცა r 49 არცად თუ განვლოდა | დედოფალს მარიამს საქმე ესე გულსა ხოლო ვინაძთგან იყო ციციშვილი პავლე ფქდ გულ-²-ფიცხი და განუნახველი საქმისა, სიფიცხისა გამო, არა გამოიკითხა საქმე ესე ნამდვილი, არამედ მიუწერა ღიანარალსა ლაზაროვს, რათა აღიყვანოს პოლკი თვისი და³ დაესხას დედოფალს და იძულებული წარგზავნოს რუსეთად. მისრულმან ლაზაროვმან შეუსია ჯარი შინა მძინარეთა დედა-წულთა და თვითცა შეკუხდა შინა მაგინებელი დედოფლისა და ენება გარდმოგდება ტახტით და განთრევა გარეთ. ამისმა მხილველმან ყუღუტხჩმან მისმან თავადმან ხიმშიაშვილ-

¹ ეს სიტყვა მოთავსებულია კიდევ. ² ეს სიტყვა ტექსტში ზემოდანაა ჩაწერილი. ³ ამ სიტყვის შემდეგ ტექსტში წაშლილია: მიუხდეს.

მან ნიკოლაოზ ალენთო სულითა ერთგულქებისათა, ვა არს ჩვეუ- v 49
ლება კახთა ერთგულებათა მეფისა თვისისა. ვერ მომთმენმან
ამისმან დასცა ხანჯალი ღიანარალს ლაზარევს და მოკლა იგი
აპრილის 8¹. ჰგონეს მისთანა მყოფთა ნაცვალმან ტფილისისა-
მან² მოქალაქემან მკირტუმა სულგუნაშვილმან და პრეოქიკმან
გორელმან კაქაშვილმან სიკვდილი მისი დედოფლისა მარია-
მის მიერ, რომელნიცა მიეტყვენენ ხლმითა და დაპკოდეს დე-
დოფალი მარიამ დიდად მხარსა და ხელსა შინა და აუწყეს
ციციანოვსა რეცა სიკვდილი ლაზაროვისა მის მიერ, რომლი-
სა გამო ალენთო შურითა და განუსინჯაობითა და აუწყა იპე-
რატორსა ალექსანდრეს ესე ყოველი. ხოლო ხელმწიფემან
ბრძანა დაპატიმრება | დედოფლისა მარიამისა მალაროსიასა r 50
შინა ბელიგოროდად წოდებულსა ქალაქსა, დედათა მონას-
ტერსა შინა, და იყო წელი 8 ამა პატიმრობასა შინა ფ³ლითა
მწუხარებითა და ნაკლულეევანებითა.

ხოლო წელსა 1803 ციციანოვმა მოიწვია³ მეფე სოლო-
მან იმერთა⁴ ყორნის, რათა შეაერთოს რუსთა იპერატორსა.
მოსრულსმა მეფემ შეპფიცა რუსთა ერთგულებასა ზედა, და
რუსთაცა აღუთქვეს მეფესა, რათა იყოს მეფედ იმერეთისა
სიცოცხლესავე თვისსა თავისუფლად და სთხოვეს, რათა
იღგეს მკირე მხედრობაჲ ქუთაის შინა და დაითხოვოსცა მე-
ფის ძენი იულონ და ფარნაოზ. ესე ყოველი აღუსრულა მე-
ფემან. მისცეს მეფესა სოლომანს⁵ ნემცკის კავალერია ბრი-
ლიანტისა, და იყო მეფე მშვიდობით ჟამ რაოდენმე. ხოლო
მეფემან წარავლინნა დესპანად როსისა კარსა ზედა სოლომან
ლიონის ძე თავადი⁶, გარნა გამოგდებული იქმნა მკირესა
ხანს უკან დესპანი მეფისა კართგან როსისა, რომელ მეფემან
უარპყო ფიცი თვისი და შეერთდა ოსმალთა. და იქმნა რუსთა
და იმერთა შორის აღრეულებაჲ და განხეთქილებაჲ მიერ
დღითგან⁷.

¹ თარიღი კიდებდა დაწერილი გამოტ. ნიშნით. ² ეს სიტყვა ტექსტში
კიდებდა მოთავსებული გამოტ. ნიშნით. ³ ტექსტში: მოიწვია. ⁴ ეს სიტყვა
ტექსტში ზემოდანაა ჩაწერილი. ⁵ ამ სახელის ნაცვალად ტექსტში შეცდომით
სწერია: „ალექსანდრე“ ზემოდან კი არატექსტის ხელით ფრჩხილებში ჩასმული:
„სოლომან“. ⁶ ამ სიტყვის შემდეგ ტექსტში წაშლილია რალაცა სიტყვა. ⁷ მთელი
ეს უკანასკნელი აბზაცი დაწყებული სიტყვებით: „ხოლო წელსა 1803...“ მოთავ-
სებულია კიდებე გამოტოვ. ნიშნით.

§ 55

წელსა 1804 წარავლინა რუსეთს დადიანოვის ასული დედოფალი დარეჯან, მეუღლე მეფისა ირაკლისა, ფ'დ მოხოუ-
 ცებული, რომელი იყო მას ჟამს წლისა 70. მისრულსა პეტერ-
 ბუხს პატივ ჰსცა იპერატორმან ფ'დ და ანიჰნა ნიჰნი მრავალნი, და იყოფოდა პეტერბურხსა შინა წელი 44 ხოლო წელსა 1803 იძულებულმან ქირისა გამო მეფისა სოლომანის მიერ დადიანმან გრიგოლ¹ კ'დ განუახლა ციციანოვსა თხოვილო
 v 50 თვისი და მფარველობაჲ როსისა. ამისმა მსმენელმან ციციანოვმა პავლემ აღუსრულა დადიანს ყოველივე თხოვილი თვისი. და მოსცა იპერატორმან დასაცველად მისისა ქვეყანისა ჯარი პოლკი ერთი ბელეცკისა, რომელნიცა წარმოსრულნი ესენი ყირიმით განვიდნენ ოდიშსა შინა შავის ზღვით და ჰქმნეს ციხე ყულევს. და დადგნენ მუნ და მისცეს დადიანსა გრიგოლს ტრაკტატი მტკიცე ესრეთ, რათა კერძონი შავისა ზღვისანი, რომელიცა ეპყრათ ოსმალთა გურიდამ ვიდრე ფოტადმდე დაშთათ რუსთა. ხოლო ოდიში, ლეჩხუმი და რაეცა ეპყრა დაშთა დადიანსა და იყო მფარველობასა ქვეშე მათსა, და განთავისუფლდა ოდიში ტყვეებისაგან იმერთა მეფისა.

51

§ 56¹

ხოლო წელსა 1803 იქმნა გურიასა შინა აღრეულებაჲ. რომელ გურიელმან მამიამ მოიბირნა რაოდენნიმე ჩინებულნი თვისნი, მივიდა, შეიპყრა გურიელი ვახტანგ და პატიმარ ჰყო ჩაგვსა. ხოლო ესე ვახტანგ იყო კაცი ვერ მხნე და მამაცი, არამედ უფრორე მიდრეკილ დედათა ზნეთა მიერ. ესე ვახტანგ გაპარეს ჩაგვიდგან გურიელთა, და წარვიდა ახალციხეს. მისრულს მუნ პატივ ჰსცა ფაშამ სელმმა ახალციხისამან აქარელმა ხიმშიაშვილმან, რ' მას ჟამსა დაეპყრა ზორბითა ახალ-
 v 51 ციხე და გარდაეგდო სულეიმან ფაშის შვილი შარიფ და ეპყრა თვით. ამისმა მსმენელმან გურიელმან მამიამ მისცა ქრთამი ფაშასა და შეაპყრობინა ვახტანგ, რომელმანცა დაპატიმრა ახალციხისა ციხესა შინა, და იყო თვე ოთხი ფ'დ მწუხარებასა შინა. ამისმა მხილველმან მუნებურმან მღვდელ-

¹ ეს ორი სიტყვა ტექსტში მოთავსებულია კიდევ გამოტ. ნიშნით. ² ამ პარაგრაფის ზევით წაშლილია: § ხოლო წელსა 1803 მეფემან იმერთამან სოლომან მიულ გურიელობა ვახტანგს.

თავარმან ეგნატიმ, კაცმან ღირსმან და ღმერთშემოსილმან ბერძენმან, და მღვდელმან ერთმან იქაურმან მოიყიდეს ციხისა მცველნი და გამოაპარეს ვახტანგ ციხით.

მსმენელმან მეორესა დღესა ფაშამან¹ შეუყენა უკანა² მხედრობაჲ თვისნი, რათა შეიპყრან გზასა ზედა ვახტანგ. ეწივნენ მხედრობანი თურქთანი, შეიპყრეს ვახტანგ და მიგვარეს ფაშასა. მაშინ ფაშამან ათქმევინა ვის მიერ გაპარებაჲ, რომელიცა³ შიშენეულმან აუწყა ყოველივე ფაშასა. r 52 მაშინ ფაშამან⁴ შეპყრა მღვდელ-მთავარი იგი ეგნატი და მღვდელი იგი და უთქმიდა უარის ყოფასა ქესსა. ხოლო მათ არა თავს იდევს უარის ყოფაჲ ქესი. ამისთვისცა აწამნა იგინი და მოაშთო ძელთა ზედა. ჰ საკვირველი! ღამესა მას დაბნელდა მთოვარე და დადგათ ნათელი და შეირცხნენ წრიდით. მღვდელ-მოწამეთა შორის. ხოლო მუნ მყოფთა ლათინთა მცხოვრებთა მოქალაქეთა⁵ მხილველთა ამისთა მოიყიდეს ფასითა⁶ წანი გვამნი მათნი ფაშისაგან და დაფლეს მუნვე. ხოლო ამისა შემდგომად განათავისუფლა ფაშამან გურელი ვახტანგ, და მივიდა ქართლსა რუსთა თანა.

§ 57

ხოლო წელსა 1804 გარდაიცვალა დადიანი გრიგოლ, და იპერატორმა ალექსანდრემ მოიყვანა ძე გრიგოლისა ლეონ, v 52 რომელიცა ჰყვა აფხაზსა ქელეშ ბეგს მძევლად დროსა ოდიშთა აღრეულებისასა, და დასო დადიანად წლისა 14 და უბოძა ღიანარალ-მაიორობა, ხმალი, დროშა და ანნას კავალერია. ხოლო წელსა ამასვე 1804 ჩავიდნენ რუსნი იმერეთს და ქუთაის და დგნენ მცირენი, გარნა მეფობა ვერ მიუღეს მეფესა და წარვიდნენ ყულევს და დადგნენ მუნ. ხოლო წელსა ამას 1804 ფრანციელთა აკურთხეს იპერატორად მონაპარტე პარიჟსა შინა. ამან დაიპყრა სრულებით ევროპაჲ.

¹ ამ სიტყვის შემდეგ ტექსტში წაშლილია: გაუსია. ² ეს ორი სიტყვა ტექსტში სწვრია კიდევ გამოტ. ნიშნით. ³ ამ სიტყვის შემდეგ დასმულია გამოტ. ნიშანი წითელი მელნით და კიდევ სწვრია წითელივე მელნით: წამება წისა მღვდელ მოწამისა ეგნატისი და მისთანა მღვდლისაცა ერთისა, რომელნი იწამეს სამცხეს, ქალაქსა ახალიციხესა, წელსა 1804. ⁴ უკანასკნელი ექვსი სიტყვა ტექსტში მოთავსებულია კიდევ გამოტ. ნიშნით. ⁵ ეს სიტყვა სწვრია კიდევ. ⁶ ეს სიტყვა სწვრია კიდევ.

§ 58

წელსა 1804 შეიპყრეს რუსთა ტფილის ქართველნი¹ თავადნი, აზნაურნი და გლეხნი რიცხვით 30 რომლისამე მიზეზითა
 r 53 და ჰყვათ ჰყრობილად | ტფილისის ციხესა შინა, რომელსა
 ნარიყალად უხმობენ, ფ'დ მაგარსა და შეუალსა. ხოლო ამა
 პყრობილთა შორის იყო დავეითის შვილი თავადი სოლომან,
 შანშე მილახერის ძე. ამან ხელთ იგდო ლურსმანი ერთი დი-
 დი, რომელსა ყადაღად უხმობენ. ამან ღამესა ერთსა განათ-
 ხარა კედელი იგი ქალაქის მხარესა და გამოაპარა ყოველნივე
 პყრობილნი თვესა აპრილსა 15², გარდაიყვანა შაიდ ტახტის
 მხარესა და წარვიდნენ სპარსეთსა. ხოლო ამისა შემდგომად
 ჟამ რაოდენიმე³ კ'დ ჰყვათ შვილნი კაცნი გავაზელნი პყრო-
 ბილად. ამათ წართენეს თოფნი დღესა ერთსა ყარაულთა
 თვისთა რუსთა სალდათთა, დამტვრიეს ციხის კარნი და
 გამოვიდნენ. თუმცალა შეუდგნენ რუსნი შესაპყრობელად,
 გარნა ვერლარა ეწივნენ, და წარვიდნენ მშვიდობით.

v 53

§ 59

წელსა 1804⁴ წარვიდა ციციანოვი ოკდობრის 6 გან-
 ჯისა დასაპყრობელად. მისრული განჯას შემოება განჯის ხანი
 ჯავად ქალაქის მახლობელ ჯებირის პირთანა, გარნა იძლივა
 და შევიდა ციხესა შინა და განამაგრა ციხეიდა. ხოლო მისრულ-
 თა რუსთა დაიპყრეს ქალაქი განჯისა და დადგნენ მუნ. თუმცა
 ლა დღე ყოველ აწვევდის ციციანოვი ჯავად ხანსა ერთგუ-
 ლებასა ზედა ხელმწიფისისა და აღუთქმიდის, რათა მისცეს
 ციხე რუსთა მხედრობასა, რომელსაცა სწადდა დაყენებად
 მუნ მხედრობისა რუსთასა, და იყოს ჯავად ხან მშვიდობით და
 ეპყრას მამულნი თვისნი და მსახურებდეს რუსთა, გარნა არა
 r 54 მსმენელი ჯავად ხან | ესევეთარისა და იმედული ყენისაგან.
 რომელიცა აღუთქმიდა შეწევნასა, არა მისცა ციხეი რუსთა,
 არამედ იწყო მაგრება. ამისმა მხილველმან ციციანოვმა პავ-
 ლემ უბრძანა მხედრობათა თვისთა, რათა ჰქმნან კიბენი და
 აღიღონ⁵ ციხე იერიშითა.

¹ ტექსტში: ქართველნი. ² თარიღი მოთავსებულია კიდევზე გამოტ. ნიშ-
 ნით. ³ უკანასკნელი 4 სიტყვა სწორია კიდევზე. ⁴ პირველად წარებულა 1805,
 შემდეგ 5 წაუშლიათ და დაუწერიათ 4. ⁵ ტექსტში: დალიღონ.

§ 60¹

ხოლო წელსა 1805, იანვრის 3 მოდგენენ ციხესა მას და აღვიდნენ ზღუდეთა ზედა და აღილეს² ციხე განჯისა³. თუმცაღა იბრძოდა მხნედ ჯაეად ხან, გარნა მოკლული იქმნა იგიცა. იავარ ჰყვეს ყოველნივე ციხესა შინა და მოსწყვიტნეს მრავალნი სულნი მუნ მცხოვრებნი. ხოლო რუსთაგანიცა მოკვდა და დაიკოდა ვიდრე ოთხასნი. ამისა შემდგომად კვალად იწყო ციციანოვმან შენობა განჯისა. ჰქმნა უეზდად ესე იგი მაზრის ქალაქად⁴ ტფილისისა და უწოდა | ელვისაბედპოლი. ესე ყოველივე აუწყა v 54 იმპერატორსა ალექსანდრეს, რომლისა ჯილდოდ მიუბოძა ხელმწიფემან ციციანოვსა ღიანარალ შეფობაჲ და ეგრეთვე სხვათაცა ჩინებულთა რუსთა მხედრობისათა ანიჭნა ყოველთავე ღირსებისამებრ თვისისა სახელონი და ნიშანი.

§ 61

წელსა 1805 ციციანოვმა აწვია ერევნის ხანსა მაჰმადს ერთგულებასა ზედა როსისასა და სთხოვა ციხეცა ერევნისა, რათა დააყენოს მხედრობაჲ თვისი მუნ, ხოლო ერევანი ეპყრას მას და მისცეს ხარკი ვა იყო დროთა მეფეთასა. ამისმა არა მსმენელმა მაჰმად ხან აუწყა ესე ყენსა ბაბახანს, რომლისა გამო წარმოუვლინა ყენმა ელჩი | ციციანოვსა და მოუწერა r 55 ესრეთ, რათა დასცბრეს თხოვნისაგან ერევანისა და ანუ ბრძოს ყენსა. ამისმა მსმენელმა ციციანოვმა მოიკრიბნა მხედრობანი თვისნი და ეგრეთვე თავადნი და აზნაურნი საქართველოიჲსანი და მოქალაქენი ტფილისისანი და წარვიდა ერევანსა ზედა. მისრული ერევანს, მუნ მოვიდა შას ზადა აბაზ მირზა, შვილი ბაბახანისა, ათი ათასითა მხედრობითა საშველად ერევანისა. შეება მას ციციშვილი, და იქმნა ბრძოლა ძლიერი. თუმცაღა ბრძვეს ყიზილბაშთა, გარნა ღიანარალ დუჩკოვმა სერგი ალექსივიჩმან არა რიდა სიმაგრესა მათსა, რომელ ერევნისა გარემონი არიან ქვიანნი ფრიად და გორიანნი, რომელმანცა აღიყვანა გორასა მას ზედა მხედრობაი თვისი | პოლკი ერთი კავკასი- v 55 სის გარნადირისა და აღვიდა მათათა მათ ზედა, სადაცა იყ-

¹ სწერია კიდევ. ² ტექსტში: დალილეს. ³ ამ სიტყვას უხის შენიშვნის ნიშანი და კიდევჲ ამავე ნიშნით სწერია: დღესასწაულსა მათსა, რომელიცა განთენდებოდა ბაირამი ორუჯისა (ესე იგი) მარზუისა მათისა. ⁴ უკანასკნელი ოთხი სიტყვა სწერია კიდევ.

ნენ ყიზილბაშნი განმაგრებული ფ'დ. მიულო ადგილნი იგი, და იელტოდნენ ყიზილბაშნი რუსთაგან და დევნა უყვეს ვიდრე ბანაკადმდე მათდა და აღიღეს¹ ბანაკიცა მათი მძლეველთა. ხოლო ბრძოლასა ამას მოკლეს ქაიხოსრო აბაშიძე, ლეონის შვილი, ახალი მოსრული ახალციხიდამ, რომელიცა იყო რუსთათანა. ხოლო მისრულთა რუსთა მიუღეს მონასტერიცა ეჩმიაძინისა ყიზილბაშთა და მისრულთა აღიღეს ქალაქი ერევნისა და დადგნენ შინა. ხოლო ხანი და ხალხი განმაგრდნენ ციხესა შინა, რ' ციხე² ერევნისა არს ფ'დ მაგარი და შეუალი მტერი 56 თაგან. ესე ყოველივე აუწყა | ძემან ყეენისამან მამასა თვისსა, რომლისა მსმენელი ყენი წარმოემართა ასი ათასითა კაცითა ერევნისა კერძ და მოვიდა ერევანსა და მოადგა ციციშვილსა. და იყო ბრძოლა ყოველსა დღესა, რომელ ციციანოვს უვიდოდა მცირე მხედრობაი რუსთანი, რომელნიცა სიციხისა გამო და ჰავისა გამო იქმნენ მრავალნი სნეულად და დაიხოცნენცა მრავალნი, რომელსაცა დაშთა ორი ათას ექვსასი მხედრობაჲ რუსთა. მხილველთა ამისთა მუნ მყოფთა ქართველთა თავადთა და მოქალაქეთა იწყეს ლტოლვა რუსთაგან და წარემართნენ ტფილისისა კერძ. მაშინ ბაბახანს ყეენსა ესრეთ აქვდა 56 გზანი მოცქულნი გარემონი ერევნისანი, რომელ არა შეძლოთ მუნ³ განვლად რომელსამე მხედრობასა. წარსრულთა ქართველთა. გზასა ზედან ემთხვიათ ყიზილბაშთა მხედრობანი. რომელნიმე მოსწყვიტნეს და სხვანი შეიპყრეს სრულებით მოქალაქითურთ, რომელთა შორის იყო თავადი ორბელიანი იოვანე დავითის ძე, სარდალი საბარათიანოსი, და ესეცა შეპყრობილ იქმნა სამითა ბიძაშვილითა თვისითა და მიართვეს ტყვედ ყეენსა. მაშინ ყეენმან წარავლინნა ესენი ყოველნი პატიმრად თავრიზს და ურუმისა შინა და რომელნიმე მათგანი თერანს და შესხნა იგინი ვირებსა და რომენიმე ქვევითა, და ამითი პატივსცა იოვანესა სარდალსა ყაენმან, რომელ შესოიგი ვირს და წარუმძღვარა წინა თავადთა⁴. ხოლო ფაბაკსაცა წარაგზავნა ყეენმან ფირ ყული ხან სარდალი თვისი, და თანა წარატანნა რვა ათასნი კაცინი, რათა აღიღოს ციხე ყარაქილისისა, რომელი აქვდათ რუსთა გამაგრებული და აქვდათ

¹ ტექსტში: და აღიღეს. ² ტექსტში: ციხე. ³ ტექსტში: მუ. ⁴ ტექსტი სიტყვებიდან: „და მიართვეს ტყვედ ყეენსა...“. მოთავსებულია კიდევ გამოტანილნი.

მას შინა სურსათი, ტყვია და წამალი. მისრული ფირ ყული ხან ფაბაკს თუმცაღა ბრძოლა ციხესა ყარაქილისისასა, გარნა r 57 ვერ შეუძლო აღებაჲ, რამეთუ აქვნდათ გამაგრებული რუსთა ორასსა კაცსა, გარნა გზანი ტფილისამდინ ესრეთ შეჰკრეს, რომელ ყიზილბაშთა რომელ ვიდრე უკუნ ქცევადმდე ციციანოვისა ვერა რა სცნეს მისი ანბავი. იყო ციციანოვი ერევნისა ქალაქსა შინა შემქირვებული და მაგრდებოდაცა, გარნა მოაკლდა წამალი და ტყვია. მაშინ წარავლინა ფანბაკს, რათა მოიღოს მუნით წამალი და ტყვია და სურსათი¹, მაიორი ერთი მანტრიზორი გვარად ას ოთხმოცითა კაცითა, და თანა წარატანა ყარაბაღელი მელიქ აპოს შვილი როსტომ სამოცითა სომხითა ყარაბაღელითაჲ და წარატანაცა ზარბაზანნი ორნი. ამათ ჩუმათ წარსრულთა ერევნით მივიდნენ ფაბაკსა. ესე სცნა ზუნ მყოფმან სარდალმან ფირ ყული ხანმან, წარე- v 57 მართა და შეუკრა გზაჲ ჰამამლუს, მოსრულნი რუსნი თუმცაღა შეებნენ, გარნა იძლივნენ სპარსთაგან, და მოსწყვიტნეს სრულებით და რომელნიმე ტყვედ ჰყვეს სომხებითურთ. და წარუგზავნა ყენესა ზარბაზანნი მათნი, და ტყვენი ერევანს მდგომსა, რომლისათვისცა მიუზლო ყენმან დიდი მადლობაჲ და ანიჰნა ხალათიცა.

§ 62³

ხოლო წელსა 1805 ჰყოფასა ციციანოვისასა ერევანს შინა³ მხილველთა ხალხთა საქართველოისათა, ესევითარის აღრეულების გამო, რეცა ჰგონეს წარწყმენდაცა ციციანოვისა ერევანს. ამისთვის მიუწერეს რომელთამე გვამთა ქართველთა თავადთა მეფის ძეს იულონს და ფარნაოზს, რათა მოქვიდნენ r 58 ქართლსა და ეპატრონნენ. ამათმა მსმენელმან მეფის ძეთა აუწყეს ესე მეფესა სოლომანს. ხოლო მეფესა აღრევე დაეთხოვნა ესენი იმერეთიდაჲ თხოვითა ციციანოვისთა, და ჩასრულ იყო ჯარიცა როტა ერთი დიანარალ ლითვინოვითა, რომელი იყო წარგზავნილ კარით რუსეთით და იყოფოდა

¹ უკანასკნელი 9 სიტყვა მოთავსებულია კიდევ გამოტ. ნიშნით. ² ამ პარაგრაფის დასაწყისის გასწვრივ კიდევ მიწერილია: "ხოლო წელს ამას 1805 შეიძრა ფ²დ ჰვეყანა ესრეთ, რომელ ავღაბრისა ციხის კედელი აბოს წინ სრულიად გარდაიქცა და მრავალნი სახლნიცა დაიქცნენ". ³ უკანასკნელი ოთხი სიტყვა მოთავსებულია კიდევ გამოტ. ნიშნით.

- დესპანად მეფისა წინაშე¹ ქუთაის შინა. ხოლო ამისა შემდგომად წარმოსრულნი მეფის ძენი მოვიდნენ სურამის სიახლოვესა. ეგონათ მისვლად მუნ ქართველთ თავადთა, და არვინ მივიდა მათ თანა. ამათ ინებეს მტკვარს გასვლა და მისვლა ფაბაკს ფირ ყული ხანთან და ვერ უძღეს, რამეთუ მტკვარი განდიდებულ იყო ფ.დ. კ.დ წარვიდნენ და აღვიდნენ ოსებში
- v 58 სამაჩაბლოსა და ვერცა მუნ დადგნენ | შიშისა² გამო ოვსთასა, რამეთუ აქვნიდათ პირი მტკიცე მას ჟამსა შინა ოვსთა რუსთათანა. მუნიდამ უკუნ იქცნენ და მოვიდნენ ძალინას საფალავანდიშვილოში, რომელთაცა ფალავანდიანთ არა შეუშენეს ესენი შიშისათვის რუსთასა. მუნითგან უკუნ იქცნენ და მივიდნენ იმერეთს³ ულევის ეწერა და დადგნენ მუნ. ესე სცნეს რუსთა მდგომთა სურამსა შინა. ამის გამო აბირნეს მრავალთა თავადთა, აზნაურთა და გლეხთა, რათა წარუძღვნენ წინა ეტიკად და დასხან თავთა მეფის ძეთა. ამისმა მსმენელმან ქართველთა არა ინებეს ესე ყოფა, არაწედ აუწყეს გზისა უცნობელობა. მას ჟამსა იყო ამირეჯიბი ერთი თავადი გოგია⁴ რამინის ძე. ეს აღზრდილ იყო მეფის ირაკლისაგან
- r 59 და მრავალ გზის ევლო | მას გზასა ზედა იმერეთისასა. ამან თავს იღვა წინ ძღმობა მათი, და აღუთქვესცა რუსთა ნიქი და პატივი ხელმწიფისა მიერ. მაშინ გოგია ამირეჯიბი რამინის ძე წარუძღვა წინა რუსთა და მიყვანა ულევის ეწერსა შინა, დაესხნენ თავსა რუსნი ორი როტად იენისის 29, დღესა პეტრე-პავლობისასა მძინარეთა. მაშინ მცნობელთა ამათ ენებათ სილტოლვაჲ, გარნა ვერ უძღეს. და მოკლეს თავადი თარხნის ძე ბეციასი დიმიტრი და აზნაური ჩერქეზიშვილი ფირან, რომელთაცა შესწირეს თავი თვისი პატრონისა ერთგულებასა ზედა, და ეგრეთვე აზნაური კეხელი დავით და შვილი მისი. ხოლო მხილველმან ამისმან⁵ მეფის ძემან იულონ იწყოლტოლვად ქვევითად, და ეწივნენ რუსნი, ენებათ სიკვდილი
- v 59 მისი შუბითა, გარნა | აზნაური დავით აბაზაძე ფარეშთ-ხუცესი მისი გარდააწვა თავსა მეფის ძეს იულონს, და ასცდა შუბი

¹ უკანასკნელი სამი სიტყვა მოთავსებულია კიდევუ გამოტ. ნიშნით.

² ტექსტში: შიშითა. ³ ეს სიტყვა ტექსტში ზემოდანაა ჩაწერილი. ⁴ ეს სიტყვა ტექსტში სწორია კიდევუ გამოტ. ნიშნით. ⁵ ეს სიტყვა ტექსტში ზემოდანაა ჩაწერილი.

თოფისა სალდათისა იულონს და მოხვდა დავითს აბაზაძესა და დაიკოდა მძიმედ თავსა შინა, და ამით განარინა ბატონი თვისი იულონ სიკვდილსა. მსმენელთა რუსთა შეიპყრეს იულონ, ხოლო ფარნაოზ, ძმა მისი¹, და ლევან და ლუარსაბ², ძენი იულონისანი, ივლტოდნენ ტყეთა შინა რაოდენითაჲმე კაცითა და დაშთნენ მშვიდობით. მაშინ იულონ წარიყვანეს ტფილის. ხოლო ფარნაოზ და ლეონ წარვიდნენ ხეობაშია ლექთა თანა, და ამათ წარიყვანეს ესენი ფამბაკს³ და მიყვანეს სარდლისა წინაშე, სადაცა დახვდა მუნ ძმა თვისი ალექსანდრე და ძმის წული თვისი თეიმურაზ. ხოლო ლუარსაბ | დაშთა იმერეთსა შინა ზურაბ წერეთლისა⁴ თანა და r 60. იყო ჟამ რაოდენმე. ესე აუწყა სარდალმან ფირ ყული ხანმან ყეენსა მისვლაჲ მუნ მეფის ძეთა⁵ მისთანა, მაშინ მიუწერა ყენმან და მიუბოძა ხალათიცა მეფის ძეს ფარნაოზს, რათა წარავლინოს არაგვსა ზედა და შეუკრას რუსთა გზა არაგვისა. ამისი მსმენელი მეფის ძე ფარნაოზ წარვიდა ფაბაკით და გარდაიარა თრიალეთი, ჩავიდა კავთის ხევზე და აღვიდა⁶ არაგვსა ზედა და იწყო მუნ მაგრება. მაშინ მოკრბნენ ყოველნივე არაგველნი, ფშავ-ხევსურნი და კახნი თავადნიცა მისთანა და იყვნენ მაგრებასა შინა, რამეთუ დროსა მას ჰყვა ყეენსა შემწყვდეული ერევანს ციციანოვი | მხედრობითა v 60 თვისითა. მსმენელთა ამისთა დანაშთთა რუსთა ტფილის რომელიცა იყო მოადგილედ ციციშვილისა თავადი ვალზონცკი ღიანარალი, ამან წარგზავნა პოლკი ერთი და წარატანნა ზარბაზნები ოთხი წინაძლომითა ღიანარალ ტალიზინისათა. მისრულნი ქსანსა ზედა შეერთდენ ქსნის ერისთვის ძენიცა შანშე და სხვანი და გარდაიყვანეს ლომისასასა ზედა. მაშინ⁷ ჩასრულთა რუსთა ლუდისა ხევთა შინა ეწყვენენ არაგველნი ძლიერად, მოსწყვიტნეს რუსნი და მიუხვნეს ზარბაზანნიცა. ამათი მხილველი თავაურ-ქურთაულთაცა მოსცეს პირი მტკიცე და შეკრეს გზად დარიელისა და არლარა უტევეს რუსნი მუნ გზასა ზედა. მას ჟამსა მოერთვა ყეენსა ბაბახანს ერევანს აღრეულეზაჲ სპარსეთისა, რომლისა გამო წარვიდა უკანა | და r 61.

¹ ეს ორი სიტყვა ტექსტში ზემოდანაა ჩაწერილი. ² უკანასკნელი ორი სიტყვა სწორია კიდევ. ³ ამ სიტყვაში მანი ზემოდანაა ჩაწერილი. ⁴ ამ სიტყვის შემდეგ ტექსტში წაშლილია: „სალთა თანა“. ⁵ ამ სიტყვის შემდეგ ტექსტში წაშლილია: ამან. ⁶ ტექსტში: დაღვიდა. ⁷ ტექსტში: მაში.

- დაშთა ციციანოვი მშვიდობით ერევანსა შინა, რომელიცა აღიყარა და წარმოვიდა ტფილის. ამისმა მსმენელმა ყაზბეგიშვილმა გაბრიელმა მოიბირნა თეთრითა თაგაურ-ქურთაულნი, მისცეს რუსთა გზა დარიელისა და შემოვიდა პოლკი ერთი ტროიკის მუშკათირისა წინაძლომითა ღიანარალ ნესვეტევისათა. ხოლო მოსრული ციციშვილიცა ტფილის აღვიდა მხედრობითა თვისითა დუშეთს დაცხრომისათვის აბოხისა. მსმენელთა კახთა თავადთა იწყეს ლტოლვადი ფარნაოზისაგან და მისვლა მის თანა და ეგრეთვე ზოგმა ერთმა არაგველთაცა. ამისმა მხილველმან ფარნაოზ დანაშითთა¹ მის თანა თავადითა
- v 61 და აზნაურითა იწყო ლტოლვად არაგვით და | წარსვლა კდ სპარსეთადე. მსმენელმან ამისმან ციციანოვმან პავლემ მიუწერა ყოელთა გარემოთა, რათა შეიპყრან ფარნაოზ და მიგვარონ მას. მაშინ ფარნაოზ წარსრულმან არაგვით განვლო მტკვარი და ვშიდა ყაზახში, აღვიდა მთის სოფელთა შინა აღდანად წოდებულსა, სადაცა სახლობენ მუნ სომეხნი. არღარა შიშენულმან ფარნაოზ იწყო მუნ განცხრობად. მსმენელმან ამისმან კახმა ავალიშვილმა სოლომან, რომელი იყო მას ჟამ მოურავად ყაზახისა, შემოიკრიბნა ყაზახნი ვიდრე სამასადმდე კაცითა და მივიდა ღამესა ერთსა, დაესხა მძინარეს თავსა და შეიპყრა ფარნაოზ და მისთანა მყოფნიცა² სრულიად და მოჰგვარა ციციანოვსა, რომლისა გამო იქმნა ციციანოვი
- r 62 მადლობელ მისა. და მისცეს ჯილდოდ ამასა სოლომაქს მაიორობად და ჯამაგირი ოცდაათი თუმანი. ესენი პატიმარ ჰყო თბილის და აუწყა ყოველივ ყოფილი იპერატორს. მაშინ წარემართა ციციანოვი სამაჩაბლოს ოვსთა ზედა, რამეთუ დროსა მას აღრეულეებისასა წარმოეყვანა პოლკი სამი³ ყაზახისა კავკასიის ლინით ტფილისის ნაცვალსა მიკირტუმე სულგუნოვს და ენება მუნით გარდმოყვანა ქართლსა შინა. ამისმა მხილველთა ოვსთა იწყინეს გზისა მის გახსნად და შემოყვანება ჯარისა. მოკრბნენ ოვსნი და სრულიად შეიპყრეს იგინი. მისრულმან მუნ ციციანოვმა განათავისუფლნა იგინი, გარნა ენება ოვსთაცა ენებად და აყრად, რომლისა გამო იწყეს ოვს-

¹ ამ სიტყვის შემდეგ ტექსტში წაშლილია: მათთ. ² უკანასკნელი ოთხი სიტყვა მოთავსებულია კიდევუ გამოტ. ნიშნით. ³ პირველად დაუწერიათ „ერთი“, რომელიც წაუშლიათ და ზემოდან წაუწერიათ „სამი“.

თა სიმაგრე. მხილველი ამისი ციციანოვი ვერარას მყოფელი მუნ, უკუნ იქცა და მოვიდა ტფილისსა წელს 1805.

§ 63¹

ხოლო წელსა 1799 მოკვდა რა ორქივატერი ლუკაზ ეჩმიადინსა, მაშინ სომეხთა ინებეს სტაბოლიდამ მოყვანა მუნებურისა პატრიარქისა დანელისა და დასმა მისი ორქივატერად ეჩმიადინსა. ამისმა მსმენელმან მეფემან გიორგიმ ითხოვა იპერატორისაგან პავლეს მიერ, რათა წარმოავლინოს როსით თავადი არლუთოვი ოსეფ, მღვდელ-მთავარი რუსეთის სომეხთა, და ჰყოს ორქივატერად ეჩმიადინსა შინა. მსმენელმან იპერატორმან აღუსრულა ესე ყოველი მეფესა თხოვილი მისი. მაშინ შპთავარდა შური სომეხთა შორის: რომელთამე ინებეს ოსეფ და რომელთამე დანილ, რომელსაცა დიდათ ესვიდენ სომეხნი. მსმენელმან ამისმან ოსეფ ითხოვა იპერატორისაგან, რათა მისწეროს ელჩსა სტაბოლსა შინა, რათა არა წარმოავლინონ დანიელ ეჩმიადინსა. მაშინ მიუწერა იპერატორმან ელჩსა თვისსა, და ჰყო ყოველივე ბრძანებული, შეაპყრობინა დანიელ და წარგზავნა პატიმრად ბოხჩა-ადასა და იყო ეამ რაოდენმე. ხოლო წელსა 1801 მოვიდა ესე ოსეფ როსით ტფილის ორქივატერად და ვერლარა მოუსწრო ცოცხალსა მეფესა გიორგის; ამის გამო იქმნა ფდ მწუხარე, რამეთუ შიეცა პირი მტკიცე რუსთა იპერატორისათვის ოსეფსა, რათამცა შეერთებინა ეკლესიანი და რჯულნი სომეხთანი რუსთა თანა. ამისთა მცნობელთა სამღვდელთა სომეხთა მოჰსწამლეს ოსეფ არქივატერი, და მოკვდა ტფილისსავე თვესა მარტსა 10 და ვერ ეკურთხა ორქივატორად. კდ ინებეს დანიელისვე მოყვანა. ხოლო ეამსა მას იყო ვართაპეტი ერთი საქართველოს სოფლიდამ ენაგეთელი დავით. ამან აბირა საქართველოს მეფის ძეს დავითს და ერეგნის ხანსა მაჰმადს, და ჰყვეს ესე ქათალიკოზად სომეხთა ეჩმიადინის კრებამან, და აკურთხეს იგი. ამისმა მსმენელმან არაჯნურთმა როსისამან ეფრემმა აბირა სომეხნი როსისანი და ეგრეთვე სტაბოლელნიცა და სთხოვეს იპერატორსა აღექსანდრეს, რათა გარდაგდოს დავით და დასოს დანიელ. მას ეამს გამოეყვანათ დანიელ სომეხთა პყრო-

¹ ეს პარაგრაფი მთლად მოთავსებულია r 62-ის და ნაწილობრივ v 61-ის ჰვერდების კიდებზე.

ბილობისაგან. მსმენელმა ამისმა ხელმწიფემან აღუსრულა თხოვილი მათი და მიუწერა მართებელსა საქართველომსასა, რათა ჰყოს დანიელ და გარდაგდოს დავით. მოსრული სტაბოლიდან დანიელმა გარდააგდო დავით და ეკურთხა თვითწელსა 1804. წარსრული დავით მივიდა ყვენთან ბაბახანთან. მან პატივ სცა. შესძღვნა დავითმა ძღვენი და კ'დვე მოსცეს მასვე ორქივატერობად წელს 1805; მოსრულმან დავით შეიპყრა დანიელ, მოჰპარსა წვერი, შესო ვირზედა და ესრეთ განკიცხა და დაპატიმრა ერთსა სენაკსა შინა, გარნა დანიელ მწუხარებითა ამით მოკვდა მუნ. გარნა დავით ვერ ეწია საგანსა თვისსა, რომელ არა ერჩდენ სომეხნი. ხოლო წელსა 1809 დასო იპერატორმან აღექსანდრე ორქივატერად ეფრემ, რუსთა სომეხთა არქიერი. ესე მისრული ეჩმიადინს შეიწყნარეს სომეხთა, აკურთხეს ორქივატერად, და დაუმტკიცა-
 v 61 ცა | ყვენმან. ამან შეიტკბო დავით ორქივატერი და პატივსა უყოფდა და ჰყვანდა თვისთანა. და მიერთგან იქმნა მშვილობა სომეხთა შორის.

§ 64

v 62 ხოლო წელსა 1805 წარავლინა რუსეთად მეფის ძენი იულონ და ფარნაოზ, რომელნიცა დასადგურეს პატიმრად ფარნაოზ ვარონიშშია, ხოლო იულონ ტულას ქალაქშია. ხოლო კ'დ წელსა ამას აღიშალნენ ნემენცის იპერატორი და ფრანცის იპერატორი მონაპარტე შურითა ამით, რომელ არა სთნდა იპერატორსა ფრანცს ნემეცისასა იპერატორებად მისი. მოსრულმან ნაპოლეონ ვიანის ქალაქსა ზედა სძლო იპერატორსა ფრანცსა და აღილო ქალაქი ვიანისა; სატაბტო მისი. ამისთა მსმენელთა რუსთაცა აჩვენეს შემწეობად კეისარსა და ბრძვეს ფრანციელთა მამულსა საკეისროსასა, და შემდგომად დაზავდნენ რუსნი და ფრანკუცნი. ამისი მხილველი კეისარიცა დაუზავდა¹ მონაპარტესა. და მისცა ჟამსა მას კეისარმან იტალია; რომელიცა ეპყრა მას ნაწილნი იტალისანი. ამან ნაპოლეონმა შეაერთა იტალია სრულებით და განძლიერდა.

¹ ტექსტში: დაზავდა.

§ 65¹

ხოლო წელსა 1805, ივნისს 3 წარვიდა ციციანოვი განჯას, v 62 ენება ყარაბაღისა დაპყრობა. ყარაბაღის ხანს მიუწერა და აწვია იბრეიმს ერთგულებასა ზედა ხელმწიფისასა. მსმენელი ამისი იბრეიმ ხან მორჩილ ექმნა სიხარულით ციციანოვსა, მოვიდა განჯას და მოართვა გასაღებნი ციხისანი. მაშინ მოსრულსა ხანსა პატივსცა ციციანოვმა და ანიჭნა კ'დ ხანობავე ყარაბაღისა და დასდვა ხარკი წელიწადში ათი ათასი ოქროდ. ხოლო ციხესა შინა შეაყენა პოლკი ერთი იეგირისა. და იყო ეამ რაოდენმე მშვიდობით იბრეიმ ხან. ხოლო შემდგომად სიკვდილისა ციციანოვისა წელს 1806 იძმაცვა მუნ მყოფმან მაიორმან დიმიტრი ტიხინიჩმა ლისანევიჩმან თანახმობითა ჯორაშვილის ნინიასითა², რომელსა თავებრად უხმობდენ, რომელიცა ახლდა ესე ნინია მილახვრად მეფის ძეს ალექსანდრეს სიყრმითავანვე და იყო მისანდო მისი. ამან უღალატა სპარსეთით მეფის ძეს ალექსანდრეს³ და ლტოლვილი მოვიდა ციციანოვთან ერევანს და აუწყა ყოველნივე საქმენი ყიზილბაშთანი და ყეენისა, რომელიცა შეიყვარა ფ'დ და პატივსცა. ამას მიანდო საქმეცა ყარაბაღისა, რეცა შესწამეს სიდრკუე იბრეიმ ხანსა და დაესხნენ ღამესა ერთსა იბრეიმ ხანსა ლისანევიჩი და თავებრა ასკარანს მდგომსა ბახში, და მოკლეს იგი და იავარყვეს ყოველივე ნაქონები მისი, რომელიცა გამდიდრდნენ ფ'დ საქონლითა მისითა.

§ 66

r 63

წელსა 1806 წარემართა ციციანოვი შაქი-შირვანის დასაპყრობელად. მისრულმან განჯით დაიპყრნა ყოველნივე და მოხარკე ჰყო და დადგინა მუნ ბეგლარ-ბეგად ჯაფარ ყული ხან ხოველი⁴. ამისა შემდგომად მივიდა ბაქუსა ზედა. მუნ ბაქუს ხანმან უსენ ყულიმ მოურთოა ღალატი, რათა მოკლას იგი. ამისმა მსმენელმან მუნ მცხოვრებმა ერთმან სომეხთავანმან აუწყა ესე ციციანოვსა, რომელმანცა არა ირწმუნა საქმე ესე სიამაყითა და განუნახველობითა თვისითა, არამედ შეიპყრა | სომეხი იგი და ჰვემეა უწყალოდ. ხოლო წელსა 1806, v 63

¹ ეს პარაგრაფი მთლიანად მოთავსებულია v 62 გვერდის კიდევბზე.
² ტექსტში: ნინასითა. ³ უკანასკნელი სამი სიტყვა ჩაწერილია ზემოდან. ⁴ სიტყვებიდან: და მოხარკე ჰყო... მოთავსებულია კიდევზე გამოტ. ნიშნით.

თებერვლისა 8 აწვია ხანმან ბაქუსსამან ჰუსენ ყულიმ, რათა მივიდეს მისთანა მცირედითა კაციითა და მისცეს ციხე ბაქუსი და გასაღებიცა. მსმენელი ამისი მივიდა ციციანოვი ხანისა თანა. არვინ ჰყვა თვისთანა, გარნა ელისბარ¹ ერისთვის შვილი და ყაზახი ერთი. მისრულსა ციციშვილს მოუერთო² ხანმან მეთოფენი და მოკლა იგი და ელისბარცა, მოჰკვეთა თავნი მათნი და წარუგზავნა ყეენსა. მხილველთა ამისთა³ რუსთა მხედრობათა იწყეს ლტოლვა უკანა. რომელიმე ჩაჯდა ნაუშია და განვიდნენ ყიზლარს და რომელიმე უკუნ იქცნენ და მოვიდნენ ტფილისსა. და დაშთა ჯერეთ ბაქუ აულეებლად რუსთაგან.

r 64

§ 67¹

ხოლო წელსა 1806 განიწესა კარით როსით ღრაფ ლუდოვიჩი, ღიანარალ ანშეფი და კავალერი ყოვლისა როსისა მქონებელი, მონაცვლედ ციციანოვისა, უპირველეს მართებლად საქართველოსა. ეს მოვიდა ტფილის და განმართნა დაშლილნი საქმენი ციციანოვისაგან⁴ საქართველოდსანი. ამან შეიყვარნა უფრორე ციციანოვისა ქართველნი და პატივსა უყოფდა ყოველთავე, რამეთუ იყო კაცი გულკეთილი და მოწყალე. ხოლო წელსა ამასვე აღიშალნენ რუსნი და ოსმალნი და იყო ბრძოლა ჟამ რაოდენმე, რომლისა გამო წარემართა ლუდოვიჩი დასაპყრობელად ახალქალაქისა. მისრულსა ახალქალაქსა თუმცა ლა უყო ზედა დასხმად, გარნა ვერ აღიღო

v 64 ციხე | იგი, გამაგრებულ იყო ფდ ოსმალთა მიერ⁵. მას ჟამსა შინა მოუვიდა ანბავი ღრაფს ლუდოვიჩსა მყოფსა ახალქალაქსა შინა⁷, ვითარმედ სარასკარი აზრუმისა უსუფ მოდისო შესაწევნელად ამისა ოთხმეოცი ათასითა კაციითა. მსმენელმან ამისმან ღრაფმა ლუდოვიჩმან დაუტევა გარმოდგომად ახალქალაქისა და წარვიდა პირისპირ ბრძოლად მისდა. მისრულსა მდინარესა ზედა ართაჩაისასა შეემთხვა სარასკარიცა. იქმნა ბრძოლა ძლიერი იენისის 18⁸. იძლივნენ ოსმალნი და ივლ-

¹ ტექსტში: ელისბარ. ² ამ სიტყვის შემდეგ ტექსტში წაშლილია: ძალი.

³ ეს სიტყვა ტექსტში ჩაწერილია ზევიდან. ⁴ მოთავსებულია კიდებზე. ⁵ ეს სიტყვა სწორია კიდებზე, პირველად წერებულა: ციციანოვისანი, შემდეგ გადაუკეთებიათ: ციციანოვისაგან. ⁶ ეს სიტყვა ზემოდანაა ჩაწერილი. ⁷ ტექსტში: შინ, ზემოდანაა ჩაწერილი. ⁸ თარიღი მოთავსებულია კიდებზე გამობ. ნიშნით.

ტოდნენ პირისაგან რუსთასა. დაშთათ რუსთა თოფხანაჲ ოს-
მალთა და ბანაკი მათი. მაშინ მსმენელმან ამისმან იპერატორ-
მან¹ მიუბოძა ღრად ლუდოვიჩისა ჭერთლმა|შლობა (ესე იგი r 65
სპასალარობა²). ხოლო წელსა ამასევე 1806 განათავისუფლა
იპერატორმან³ პურობილებისაგან მეფის ძენი ფარნაოზ და
იულონ თხოვნითა დედისა თვისისათა დარეჯან დედოფლი-
სათა, რომელნიცა მოიყვანეს მოსკოვს და დააყენეს⁴ სახელ-
მწიფო სასახლესა შინა ლაფეროთოვცკით წოდებულსა.

§ 68⁵

ხოლო წელსა 1806 შეჩენითა რუსთათა გამოაპარა დი-
დის⁶ მეფის სოლომანის შვილის შვილი გიორგი მუხურის
ციხით, რომელიცა ჰყვა მეფესა სოლომანს მუნ პურობილად⁷,
ბუცხრიკიძემ⁸ ანდრიაჲ და მოჰგვარა რუსთ მდგომთ ქუთაის,
რომელთაცა ენებათ, რათა აღედგინათ წინა მეფისა სოლომა-
ნისათვის და მის გამო დაეპყრათ იმერეთი, გარნა ვერ უძლეს
მას ჟამსა, ვინაჲთა იყვნენ რუსნი და ოსმალი აშლილნი, | და v 65
დაუტრევეს საქმე ესე ჟამადმდე. ხოლო გიორგი წარგზავნეს
ტფილისსა ღრადის ლუდოვიჩისა წინა, რომელმანცა პატივ
სცა ფ⁹ და წარავლინა როსიად წელსა 1807.

§ 69

წელსა 1807 ფრანცის იპერატორი ნაპოლეონ და პრუ-
სის კოროლი ღიდერიკ ვოლცენ 3 აღიშალნენ. წარმოსრული
ნაპოლეონ ბერლინსა მოადგა დღესა ერთსა. გამოვიდა პრუ-
სის კოროლი ბრძოლად მისდა ოთხმოცი ათასითა კაცითა და
სამასისა ზარბაზნითა. მას დღეს შეება მონაპარტე იპერატო-
რი ფრანცისა. იძლივა კოროლი პრუსისა, განივლტო ჯარით
და წარვიდა სხვასა მხარესა. მონაპარტემ მძლეველმა დღესა
ერთსა⁹ მოუკლა კაცი ოცდა ხუთი ათასი, ცოცხალი შეუპყ-
რა ოცი ათასი, ზარბაზანი მიუღო | ასი, ბარაზი დიდ, რო- r 65

¹ ეს სიტყვა სწერია კიდებე გამოტ. ნიშნით. ² ტექსტში: სპარსალარობა.
³ ეს სიტყვა სწერია კიდებე გამოტ. ნიშნით. ⁴ ტექსტში: და ყვენნეს. ⁵ მოთავსე-
ბულია კიდებე. ⁶ ეს სიტყვა ზემოდანა ჩაწერილი. ⁷ უკანასკნელი 6 სიტყვა
სწერია კიდებე გამოტ. ნიშნით. ⁸ ტექსტში: ბუცხრიკიძემ. ⁹ ეს ორი სიტყვა
სწერია კიდებე გამოტ. ნიშნით.

მელსა დროშად უხმობენ, 90, და დღესა მას აღილო ქალაქიცა პრუსისა სატახტო ბერლინი. ესე ყოველი ჰყო დღესა ერთსა ფრანცის იპერატორმა ნაპოლეონმა და დაიპყრა მთელი პრუსია. რუსნი პრუსიელთ მოეხმარნენ. იბრძოლეს აუსტრელში. დიდი სისხლის ღრვა იყო რუსთა და ფრანცუტთაგან ურთიერთას¹. ექვსი თვე იბრძოლეს. მერმე დაზავდნენ. კ'დ მისცა პრუსის კოროლს პრუსია და შეიყვანა უღელსა ქვეშე მონები-სა თვისისასა იპერატორმა ფრანცისამან. ხოლო რუსნი უკუნ იქცნენ და მოვიდნენ საზღვართა თვისთა.

§ 70

წელსა 1807, ნოებრის პირველს გამოჩნდა ვარსკვლავი v 66 კუდიანი² გრძელი და არა კომეტა. წელსა ამას | გარდაიცვალა დედოფალი დარეჯან დადიანის ასული, მეუღლე მეფისა ირაკლისა, საკთ პეტერბურხსა შინა ნოებრის 8³, რომელიცა დამარხა იპერატორმა ალექსანდრემ დიდითა ცერემონითა ნემცკის მონასტერსა შინა, ხარების ეკლესიაში. ხოლო წელსა ამასვე 1807, ნოებრის 20 გარდაიცვალა ყვავილითა⁴ იმერთა ბატონის შვილი გიორგი შვილიშვილი დიდისა მეფე სოლომანისა, ალექსანდრეს ძე ს. პეტერბურხსა⁵ და დაფლეს ნემცკის მონასტერსა შინა.

§ 71

ხოლო წელსა 1808 იყო იმერთა კერძოთა შორის რაკისა მთაში ბერი განშორებული ჯაფარიძე ზაქარია, რომელმანცა აუწყა მეფესა სოლომანს არჩილის ძესა ჩვენება თვისი. r 67 ვითარმედ: „ვიხილე მე ვეშაპი დიდი წითელი, | რომელმანცა შთაგნთქა შენ და გიჩნდა ოდენ ფერხნი“, და განუმარტა მანვე⁶: „ესე არს ხილვა ესე, რომელ აღდგების მეფობა შენი

¹ ამ სიტყვის შემდეგ ტექსტში წაშლილია: და ფრანც. ² ამ სიტყვას გაკეთებული აქვს შენიშვნის ნიშანი, ხოლო კიდევ ამავე ნიშნის ქვეშ გამოხატულია კუდიანი ვარსკვლავი, რომელის გარშემო სწერია: ამ სახისა. სიგრძე კუდისა მის აღრიცხეს ვარსკვლავ-მრიცხველთა და დამტკიცეს 500 ღრადუსის. ქონება რამეთუ ერთსა ღრადუსსა შინა იპოების ვერსი 119. ³ თარიღი სწერია კიდევ გამოტ. ნიშნით. ⁴ ეს სიტყვა ტექსტში სწერია კიდევ გამოტ. ნიშნით. ⁵ ეს სიტყვა სწერია კიდევ. ⁶ უკანასკნელი 3 სიტყვა სწერია კიდევ გამოტ. ნიშნით.

და მიეცემი მწუხარებასა დიდსა და განსაცდელსა, და გიჯობს მოსვლად სინანულად და ვედრება ღვთისა, რათა განერო ამა განსაცდელისაგან და მოერიდეცა ჟამ რაოდენმე. ხოლო ხალხნი სამეფოსა შენისანი იქმნებიან დიდსა ქირსა და ვალაღებასა შინა, მით რომელ აღდგების მომსვრელი სენი ფ'დ და სიყმილი". ესე ყოველივე აუწყა ბერმან მან, გარნა არა მსმენელსა მას მეფესა ეწია ყოველივე ხალხით თვისითურთ და იმერთაცა, და მოისრნენ იმერნი უმრავლეს ნახევარი საზოგადობა მთელისა სამეფოსისა და ოდიშს¹, გურიასა სიყმილითა და ქირითა².

§ 72

წელსა 1808 გარდაიცვალა მეფის ირაკლის რძალი ქეთევან კოსტანტინეს მუხრანის ბატონის ასული, დიდის ვახტანგის მეუღლე, მარტის 4 და დაფლეს ნემცკის მონასტერში. ხოლო წელსა ამას 1808 აღიშალნენ რუსნი და შვეთელნი. ბრძვეს წელიწადნახევარი, მერეთ დაზავდნენ, რუსთ მიუღეს შვეთელთ სრულებით ლიფლანდია და კურლანდია, რომელცა ჰყო იპერატორმა ალექსანდრემ ლუბერნიად.

§ 73

წელსა 1808, ოკტომბრის 5 წარვიდა ღრად ლუდოვიჩი ერევნისა დასაპყრობელად. მისრულმან მუნ აღიღო ქანაქირი და დადგა მას შინა. მაშინ ციხე ერევნისა აქენდა სარდალსა ყეენისასა გამაგრებული, რამეთუ პირველ მოსულმა ყეენმან იხმო ხანი ერევნისა მაჰმად თვისთანა³ და წარიყვანა თერანს ცოლშვილითა და არლარა უტევა ერევანს, ვინაითგან იყო მაჰმად ხან ორპირი და შეურჩომელი. ამისთვის | ყეენმა ვერ დამრწმუნებულმან მისმან შეაყენნა ციხესა მცველნი თვისნი და ჰყო მუნ სარდალი თვისი გამგედ ერევნისა. მაშინ მსმენელი აბაზ მირზა, ძე ყეენისა პაბახანისა, წარმოემართა თავრიზით თვისითა მხედრობითა და ეგრეთვე თვისითა ახალისა რეგულის ჯარითა და არტირელითა, რომელიცა ჟამსა მას იყვნენ მუნ ფრანკუტნი მოსულნი იპერატორის ნაპოლეონისა-

¹ ტექსტში: ოდიშ. ² სიტყვებითგან: „და მოისრნენ იმერნი უმრავლეს...“ მოთავსებულია კიდევ. ³ ეს ორი სიტყვა ჩამატებულია ზევიდან.

- ვან, რათა განასწავლონ ყიზილბაშნი რეგულად, რამეთუ მას
 ჟამს აქვნდათ ყუენსა და ფრანცუცთა მეგობრობაჲ და ძღვნი-
 დიან ურთიერთსა და იყვენენცა მინისტრნი (გინა ელჩნი) ურ-
 თიერთისანი კართა ზედა. მოსრული აბაზ მირზა ნახჩევანს
 შესაწევნელად ერევნისა დაღვა მუნ. მსმენელმან ღრაფ ლუდო-
 v 68 ვიჩმან წარავლინა პოლკი ორი—ერთი ტრაიციისა მუშკათირი
 და მეორე იეგირისა. მისრულთა ამათ ნახჩევანს შემოება აბაზ
 მირზაცა, იქმნა ბრძოლა ძლიერი და ვერა რომელმანმე აჯო-
 ბა, რამეთუ ყიზილბაშნიცა ახლად განსწავლულნი ფრანცუც-
 თაგან კარგათ იბრძოდნენ და დაშთენ ორნივ მუნ ჟამ რაო-
 დენმე. ხოლო ჟამსა მასსა ჰყოფასა ლუდოვიჩისასა ერევანს,
 მაშინ გამოცვლილ იქმნა ღრაფი ლუდოვიჩი კარისაგან როსი-
 სა, და განიწესა მოადგილედ მისსა ღიანარალ ანშეფი ტორ-
 მასოვი, ალექსანდრე პეტროვიჩი. წარსრული ესე, ჩავიდა ერე-
 ვანს. ამისი მსმენელი ღრაფ ლუდოვიჩი აღიყარა ერევნიდამ
 წყინების გამო, რამეთუ ჟამსა მას მიეშო იერიშიცა ციხი-
 სათვის და არღარა სჭერიტა, არამედ აღიყარა და წარმოვი-
 r 69 და. მხილველთა მეციხოვნეთა ამისთა უყვეს ზედა | დასხმაჲ
 შთასრულთა ციხესა შინა რუსთა მხედრობათა და მოსწყვიტ-
 ნეს ერთი ბატალიონი სრულიად. მსმენელი ამისი აბაზ მირზა-
 ცა გამოვიდა ნახჩევნით, ეწია უკან მუნ მდგომთა რუსთა და
 აენო დიდათ. მაშინ ლუდოვიჩმან ღრაფმან გარდავლო მთაჲ
 აბარანისა დიდთოვლიანი, რამეთუ იყო თვე დეკემბრისა, და
 მოსწყდენ უმრავლესნი რუსნი და ქართველნი ყინელისაგან და-
 თოვლისაგან, რამეთუ მთა ესე დიდათ მქსინეარებს ზამთრივ
 ყინვისა მიერ. მას ჟამსა მისრულმან აბაზ მირზამ განამაგრა-
 კდ ერევანი დიდათ და მოუმატა მხედრობაჲ და იზამთრა-
 მუნ. ხოლო ღრაფი ლუდოვიჩი წარვიდა რუსეთათ, რომელსაცა
 მისცეს სანაცლოდ ქართლისა მართებელობა—ზანიშინობა მოს-
 კოვისა, ისე იგი¹ უპირველეს მართებელობაჲ.

§ 74

- v 69 ხოლო წელსა 1209 წარგზავნა უკსე ტორმასოვმან მხედ-
 რობანი თვისნი მყოფნი იმერეთსა შინა და მიუწერაცა ცოლსა
 გრიგოლ დადიანისასა, მთავრინასა ოდიშისასა, მეფის გიორგის-
 ასულსა ნინას, რათა ესეც შერთდეს ოდიშ-ლეჩხუმელითა

¹ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: „ვეენნი“.

მხედრობითა თვისითა და წარვიდნენ და ალილონ ციხე ფოტისა, რომელიცა მდგომარე არს შავის ზღვის პირს¹, რამეთუ ეს მთავრინა ნინო იყო ფ'დ მხნე დედათაგანი და უშიშ და ჰყვებოდა ყოველთვის მხედრობათა თვისთა სარდლად ომთა შინა უშიშრად. წარსრულნი ესენი² მოადგნენ ფოტისა ციხესა და დგნენ სამ თვეჲ. მას ჟამსა მოაკლდათ ტყვია და წამალი, რამეთუ ფოტი იყო დიდათ გამაგრებული³ ოსმალთაგან, და თვით ფოტიცა არს ადგილი დიდათ მაგარი, რამეთუ ერთისა მხრით აქვს ზღვაჲ მორტყული, ხოლო ორისა⁴ მხრითა უდის დიდნი მდინარენი და მესამესა მხარესა აქვს ჭაობი და საფლოში დიდი ვიდრე ათს ვერსამდე. მსმენელმან ტორმასოვმან ამისმან წარუვლინა ტფილისით ტყვია-წამალი და ხაზინა მუნ მყოფსა ლიანარალს⁵ თავადსა ორბელიანსა⁶ დიმიტრის და თანა წარატანა როტა ერთი გრნადირისა. მსმენელმა ამისმა მეფემან სოლომან უბძანა ზემო მხრისა სარდალსა წერეთელს ქაიხოსროს, რათა წარვიდეს და მიუხენას რუსთა ესენი მი-
ნაქონნი მხედრობისათვის, რამეთუ მეფესა აქენდა შური და-
დიანისა სახლისა და ენებაცა გამოყრად რუსთა მხედრო-
ბისა. მისრულმან წერეთელმან ქაიხოსრომ წარავლინა კიკნაძე-
ნი და თანა წარატანა მხედრობანი, რათა დაესხნენ რუსთა
და მოსწყვიტონ და მიულონ ტყვია და | წამალი და ხაზინანი. v 70
მისრულთა კიკნაძეთა უყვეს ზედა დასხმაჲ რუსთა. რამეთუ
რუსნი არა გონებდენ ლალატსა იმერთასა, ამისთვის დგნენ
უშიშრად. მხილველთა მათ იწყეს ამათცა თოფთა ცემაჲ, გარ-
ნა ვერა უძლეს პირისპირობაჲ რუსთა, რამეთუ იყვნენ კაცნი
ვითარ ასნი და არა აქენდათ ზარბაზანიცა⁷. ამათ მხილველ-
ნი ლტოლვილნი რუსნი გამაგრდენ ერთს საყდარსა შიგან,
რომლისა გამო იმერთა არწმუნეს ფიცით უვნებელობაჲ და
გამოსრულნი მუნით მოსწყვიტნეს სრულებით. მსმენელი ამის
ტორმასოვი განჰკვირდა ამა მოქმედებასა ზედა მეფისასა და
მიუწერა: „რამ არს მიზეზი ესრეთ ყოფისა ჩვენდა, რამეთუ

¹ უკანასკნელი 6 სიტყვა მოთავსებულია კიდევ გამოტ. ნიშნით. ² პირველად დაუწერიათ: „წარსრულთა ამათ“, შემდეგ შეუსწორებიათ: წარსრულნი ესენი. ³ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: რუსთაგან. ⁴ ტექსტში ჯერ წერებულა „სამისა“, რომელიც წაუშლიათ და ზემოდან დაუწერიათ „ორისა“. ⁵ ტექსტში ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: ყაფლანიშვილს. ⁶ ეს ორი სიტყვა სწერია კიდევ. ⁷ ტექსტში: ზარბაზანიცა.

ფიცებულ ხარ შენ ერთგულებასა ზედა დიდისა იპერატორისასა, რომელსა არარაი მიგვიძღვს უპატიოებაი შენი“. ჟამსა
 r 71 მას აღიღეს | ფოტიცა რუსთა, მსმენელმან ამისმან მოუწერა ტორმასოვსა არა ცოდნითა მისითა, არამედ ავაზაკთაო ჰყვეს ესე ჩვენს შორის და წარმოუვლინაცა მინალეზნი იგი, და მიერითგან იქმნა იმერთა და რუსთა შინა განხეთქილებაჲ.

§ 75

ხოლო წელსა 1810 კ'დ ლამოდა იმერთა მეფე სოლომან წინააღმდეგობასა რუსთასა და აწვევდა აზრუმისა სარასკარსა ჩასვლად იმერეთსა შინა და გაყრასა რუსთასა. მსმენელმან ამისმან ტორმასოვმან იხმო წერეთელი თავადი ზურაბ და გენათელი ეფთვიმე და არწმუნა მათ, რათა ჰყონ მშვიდობა მეფისა და მის შორის, რამეთუ დროსა მას წარსვლად იყო ტორმასოვი არეზის პირსა ზედა, რ' მოსრულ იყო ყენილამ
 v 71 ელჩი მუნ მირზა ბუზურგ, რათა ჰყონ | ურთიერთას ზავი და მშვიდობაჲ და დაუდონცა საზღვარი¹ საქართველოსა და სპარსეთსა. ჩასრულმან წერეთელმან და გენეთელ არწმუნეს მეფესა სოლომანს ფიცითა უენებელობაი რუსთაგან და მტკიცედ ჰყრობა მეფობისა სიცოცხლესავე თვისსა. ამისმა დამრწმუნებელმან მეფემან სოლომან მიუწერა ტორმასოვსა, რათა იხილონ ურთიერთი და ჰყონ ზავი მტკიცე. მსმენელი ამისი ტორმასოვი იქმნა ფ'დ მოხარული და მიუწერა მეფესა, რათა წარმოემართოს იგი იმერეთით, და ესეცა წარემართა ტფილისით და იხილონ ურთიერთი დირბს სოფელსა შინა. მოსრული მეფე სოლომან დირბს დახვდა ტორმასოვიცა და სცა პატივი დიდი. ხოლო ლამესა მას შემოახვივა ჯარი მეფესა ტორმასოვმა და შეიპყრა მეფე აპრილის 14² და მოიყვანა
 r 72 ტფილისსა | შინა და დააყენნა³ ყარაულნი. ხოლო საქმე იმერეთისა მიანდო ზურაბ წერეთელსა და პოლკოენიკს სეიმონოვიჩსა, რათა ურთიერთას კითხვითა მართავდენ საქმეთა იმერეთისათა⁴. მაშინ ჩასრულთა ამათ იმერეთს აფიცეს ყოველი იმერეთი სამღვდელო და საერო ერთგულებასა ზედა⁵ იპერატორისასა, და მიერ ჟამითგან დაიპყრეს იმერეთი რუს-

¹ ტუქსტში ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: ქარ საქართველოსა და.

² თარიღი გამოტ. ნიშნით მოთავსებულია კიდებუ. ³ ტუქსტში: დაყენნა. ⁴ წერებულა „იმერთანი“, შემდეგ გადაუსწორებიათ „იმერთისათა“. ⁵ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: მეფ.

თა. ესე ყოველი აუწყა ტორმასოვმან იპერატორსა და ელო-
და ბრძანებასა, რათამცა წარეველინა მეფე რუსეთათ. ხოლო
მეფე¹ დაუტევა ტფილისს ლუბერნატორისა ახვერდოვის თანა
და თვით წარემართა არეზის კერძ, რათამცა შერიგებოდა
ყიზილბაშთა. მაშინ წერეთელმა ქაიხოსრომ მოიყიდა დესეტ-
ნიკი ერთი იმერთაგანივე (რომელ არს ასასი) ტფილისისა | და v 72
აღუთქვა მრავლისა მოცემად უკეთუ განაპარებს მეფესა იგი.
მსმენელი ამისი მოხარულ იქმნა დესეტნიკიცა იგი და აღუთ-
ქვა ესე ყოფად და ამცნო მათ², რათა იგინი აღქურვილნი
დახვდნენ³ მზად განჯისა კარისა კერძო ხევისა. ხოლო ღამესა
მას მაისის⁴ 13 ამცნო მეფესა ესე ყოველი ქაიხოსრო წერე-
თელმან. მაშინ დესეტნიკი შევიდა მეფესთანა და ჩაცვა შესა-
მოსელი თვისი, აჰკიდა ტიკპორით ღვინოჲ და წარიმძღვარა
წინა, ხოლო მეფემან აცნობა ესე შინა-ფარეშსა თვისსა, რა-
თა ჩაწვეს იგი ქვეშაგებსა მეფისასა, რეცა ჰგონონ მუნ ყოფ-
ნავე მეფისა ყარაულთა მისთა. მაშინ ბრძანებისა მორჩილი
ფარეში იგი ჩაწვა საგებელსა მას მეფისასა და შესწირა სისხ-
ლი თვისი | პატრონისა ერთგულებასა ზედა. მაშინ დესეტნიკ- r 73
მან მან მიჰგვარა მეფე იმერთა, რომელნიცა შეთქმულ იყვნენ
თავადნი და აზნაურნი რიცხვით 30. მხილველთა მეფისათა გა-
ნიხარეს ფქდ, ასხდეს ცხენთა თვისთა⁵ და წარიყვანეს მეფე
თვისი და გზასა ზედა ემთხვიათ⁶ ლეკთა მხედრობა, ვიდრე
სამასი. მხილველთა ლეკთაცა იცნეს მეფე სოლომან ბელადმა
ოსოქოლელმა ნურ მაჰმად და განიხარეს ამათცა, წარუძღვნენ
წინა და აღიყვანეს ახალციხის შარიფ ფაშასა თანა, რომელმან-
ცა მოაგება ცხენი აკაზმული ოქროითა და შეიყვანა დიდისა
დიდებითა. მსმენელი ამისნი მეორესა დღესა შეუდგნენ რუს-
ნიცა უკანა, გარნა ვერლარა ეწვივნენ. ესე ყოველი აუწყა | ლუ- v 73
ბერნატორმან ტფილისისამან უპირველეს მართებელს ტორმო-
სოვს, რომელმანცა დაუტევა საქმე ყიზილბაშთა და უკუნ
იქცა. მოსრულმან ტფილის შესმენითა ლუბერნატორისათა
შეიპყრეს პოლიცმესტრი (ესე იგი ნაცვალი) დავით გოსტა-
შაბიშვილი და ეგრეთვე უბრალო სულნი დესეტნიკნი პენ-

¹ ტექსტში: მეფ. ² ეს სიტყვა ზემოდანაა ჩაწერილი. ³ ტექსტში: დახდ-
ნენ. ⁴ ტექსტში: მისის. ⁵ ეს სამი სიტყვა სწერია კიდევუ გამოტ. ნიშნით.
⁶ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: ლეკთ.

ტელასშვილი მაქსიმე იოვანეს ძე, გოგია იმერელი და გორელი სომეხი იოვანე. ესე¹ ოთხნი² დესეტნიკნი—ერთი იყო ამათგანი იმერთა აზნაური გოგია³ ფალვანდისშვილი⁴—თოფითა დახერიტა განუნახველად ტფილისს, ავლაბრის რიყესა ზედა, ხოლო დაფლულ არიან ავლაბარშივე მელიქის საყდრის გარდასწვრივ მინდორზე⁵, რომელთაცა საფლაავსა ზედა მათსა⁶ დაედგათ ნათელი ზეგარდამო, და შეირაცხნენ წმინდათა შორის. ხოლო დავით გოსტაშაბიშვილი და ფარეში იგი, რომელიცა ჩაწვა საგებელსა მეფისასა წარგზავნა იგინი ციბირს. r 74 ნინია⁷ სუბატიშვილი მეითრის⁸ პაატას ძე⁹, რომლისა | სახლში¹⁰ იდგა მეფეჲ,¹¹ და ესეცა უბრალო დასჯილ იქმნა. მისრულნი ესენი პერმის ქალაქსა ციბირს მოკვდა მუნ ფარეში იგი მეფისა. ხოლო დავით და ნინია დაშთნენ მუნ, რომელნიცა შემდგომ ქაშშია განთავისუფლდნენ ხელმწიფისაგან და მიქცნენ მამულად თვისად.

§ 76

ხოლო წელსა 1810 მსმენელთა იმერთა მოსცეს პირი მტკიცე მეფესა სოლომანს მყოფსა ახალციხესა¹² და აწვიეს, რათა ჩავიდეს იმერეთს¹³ და დაიპყრას იმერეთივე. მსმენელი ამისი მეფე სოლომან წარემართა ახალციხით და შთავიდა იმერეთს¹⁴. მაშინ¹⁵ მოგროვნენ იმერნი ყოველნივე, შეკრეს გზანი ქართლისანი და დადგნენ მყარად. მაშინ¹⁵ მეფის ძემ v 74 ალექსანდრე | მაცა წარავლინა ახალციხით ძმისწული თვისი ლეონ ოსეთსა სამაჩაბლოსა შინა, რათა მანცა შეკრებულმან ოვსთამან ბრძოს რუსთა. მისრული ლეონ შეიწყნარეს ოვსთა და შეკრბნენ მისთანა. მსმენელი ამისი ტორმასოვი დამძიმდა ფედ. და მიუწერა პოლკოვნიკს სვიმონოვიჩსა ქუთაის მდგომს,

1 ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია სამნი. 2 ეს სიტყვა მოთავსებულია კიდევ. 3 ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: ფალვანდოვი. 4 უკანასკნელი 7 სიტყვა მოთავსებულია კიდევ გამოტ. ნიშნით. 5 სიტყვებიდან: „ტფილისს ავლაბრის რიყესა ზედა...“ მოთავსებულია კიდევ. 6 ეს სიტყვა ზემოდანაა ჩაწერილი. 7 ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: სუბატოვისათა. 8 ტექსტში: მეთრის. 9 უკანასკნელი 4 სიტყვა სწერია კიდევ გამოტ. ნიშნ. 10 ამ სიტყვის წინ წაშლილია: მეფე იდგა სახლსა მას ნინია სუბატოვისასა. 11 უკანასკნელი 3 სიტყვა სწერია კიდევ. 12 ეს ორი სიტყვა სწერია კიდევ გამოტ. ნიშნით. 13 ტექსტში: იმეერეთს. 14 ტექსტში: იმეერეთს. 15 ტექსტში: მაში.

რათა განმაგრდეს, ხოლო დადიანს ლეონსაც და დედასა მისსა მთავრინა ნინას, რათა მწე ეყოს მხედრობითა თვისითა პოლკოვნიკს სვიმონოვიჩსა. ამათ დიდი შემწეობა აჩვენეს, რომელ მოაკლდათ რა საზრდელი რუსთა, მისცეს¹ მთავრინამ ნინამ. მაშინ წარგზავნა ტორმასოვმა ლიანარალ დიმიტრი² ორბელიანი³, რათა დაცხროს შფოთი იმერთა, ორი ათასითა კაცითა. მისრული დიმიტრი ეწყო იმერთა, კორტოხტსა | ზედა. r 75
 მაშინ იმერნი განმაგრებულ იყვნენ, და ვერ უძლო დიმიტრიმ გარდავლა მთისა კორტოხტისა, რამეთუ ავნეს დიდათ იმერთა. მაშინ დიმიტრიმ მოიყიდა კიკნაძენი, და ესენი ჩაუძღვნენ ვახანისა გზითა ლოსიათ ხევზე და ჩაიყვანეს იმერეთსა შინა. მაშინ დიმიტრიმ მიუწერა დადიანს ლეონს და აცნობა ჩასვლა თვისი იმერეთს, რათა წარმოემართოს იგი მხედრობითა თვისითა და სვიმონოვიჩითა და მოვიდეს მეფესა ზედა, რომელიცა მას ჟამსა იღგა მეფე. წყალ-წითელასა ზედა მახლობელ ქუთაისისა⁴. თუმცალა კდ ბრძვეს იმერთა⁵ პირისპირ რუსთა, გარნა უქმ იქმნა, რამეთუ მოვიდა დადიანი ზურგით კერძო და დიმიტრი პირდაპირ. იძლია მეფე სოლომან, განივლტო და წარვიდა ახალციხედვე. მაშინ შიშვნიელნი რუსთა- v 75
 გან იმერნი მოვიდნენ წინაშე მათსა და აღუთქვეს მორჩილება და აღუტყეს კდვე ერთგულებასა ზედა ხელმწიფისასა, და დამშვიდდა იმერეთიცა.

§ 77⁶

ხოლო წელსა 1810 წარუვლინა კაცი და წერილი ტორმასოვმა მეფის ძეს თეიმურაზს გიორგის ძესა და აწვია, რათა მოვიდეს იგი ქართლსა და წარავლინოს რუსეთათ, რამეთუ მას ჟამსა იყო თეიმურაზ თოფჩიბაში ყეენისა და პატივცემული ფდ და იყოფოდა თავრიზსა⁷. მსმენელმა ამისმა მეფის ძემანც ინება მოსვლაჲ. ხოლო წელსა ამას აღიძრა ძე ყეენისა აბაზ მირზა და წარმოემართა ქართლსა ზედა. მოსრულმა ფანბაკს ეწია ბრძანება ყეენისა, რათა უკუნ იქცეს თავრიზადვე. უკუნ ქცეული აბაზ მირზა მივიდა და დადგა ერეენის ბოლოს დევეალუ

¹ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: ამათ. ² ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: ყაფლანიშვილი. ³ ეს სიტყვა სწერია კიდევ. ⁴ ეს ორი სიტყვა სწერია კიდევ გამოტ. ნიშნ. ⁵ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: „რუსთა“, და ზემოდან სწერია: პირისპირ რუსთა. ⁶ ეს პარაგრაფი მოთავსებულია v 75 გვერდის კიდევებზე. ⁷ უკანასკნელი სამი სიტყვა ზევიდანაა ჩაწერილი.

წოდებულსა ადგილსა, რომელიცა შორავს ერევანსა ცხრას ალაჯითა. ხოლო¹ წელსა 1810, სექტემბრის 14 აღმოიღო უბით ძელი ქეშმარიტი², რომელიცა აქენდა თანმიცემული ნათლისაგან თვისისა ანტონი ჯვარის მამის მიერ დისამიძისაგან, რომელიცა იყო ესე არხიმადრიტი იერუსალიმისა³ და ქართველნი უხმობდენ ჯვარის მამად და მრავალ გზის მოელოცნა წაანი ადგილნი იერუსალიმისანი, რამეთუ იყო კაცი სახიერი და წმინდა. იცეს ესე მარჯვე და გამოვიდნენ ბანაკით⁴ მათით, რეცა ნადირობად და ახლდნენ თანა ქართველნი კიკოლა თავადი ბარათოვი, პეტრე აზნაური ლარაძე, ლალა მისი, ლორელი აზნაური ლევანა, ქიზიყელი ბოსტოლანაშვილი იოსებ, ავღნიშვილი დავითა და ქიტესა, დალაქიშვილი ზაქარია. ამათ წარმოსრულთა მომართეს მთასა ალაგაზისასა და გარდავლეს მთა იგი და მივიდნენ შორაგალს რუსთა თანა. მსმენელმან ამისმან აბაზ მირზამ, თუმცა ლა დევნა უყო, გარნა ვერლარა ეწია. მისრული თეიმურაზ ტფილისა პატივსცა დიდათ ტორმასოვმა და წარავლინა რუსეთს პეტერბურხს კარსა ზედა ოქტომბრის 16. მისრული იანვრის 12, წელსა 1811 პატივსცა იპერატორმაცა და მისცა ნიჭი შემგზავსებული ძმათა მისთა თანა.

§ 78³

ხოლო წელსა ამას⁵ 1810 წარმოუვლინა მეფის ძემან ალექსანდრემ ახალციხით⁶ ძმისწულსა თვისსა ლეონს⁷ დოლაძე, კაცი მართალი და ერთგული ბატონისა თვისისა, და მიუმცნო, რათა იყოს მთასა მას შინა და სკვრიტოს დროსა რუსთასა. ესე დოლაძე მოსრული სასირეთს ისტუმრა ტარიელ გლურჯიძემა და განუსვენა ღამესა მას. ხოლო დღესა მეორესა წარვიდა რა დოლაძე მთით კერძო ლეონთან, აცნობა ესე გორს მყოფსა ციციშვილს დავითს ზაქარიას ძეს, რამეთუ ესე დავით იყო მას ესმსა მარშლად (ესე იგი მაზრის მოურაევად). ამან დევნა
 I 76 უყო | დოლაძესა, შეიპყრა იგი და მიჰგვარა რუსთა გორს. ესე აცნობეს ტორმასოვსა და მიუწერა კამანდეტსა გორისასა, რათა დამოჰკიდოს ძელსა, რამეთუ ტორმასოვი იყო დიდათ

¹ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: დღესა. ² ამ სიტყვის ზევით მიწერილია: და ვევერა მას რათამცა წარვიდა მშვიდობით. ³ მოთავსებულია კიდევხე. ⁴ ტექსტში: ბანაკით. ⁵ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: 1810. ⁶ ეს სიტყვა მოთავსებულია კიდევხე გამოტ. ნიშნით. ⁷ ტექსტში: ლონს.

მესისხლე კაცი და განუნახველი. მაშინ დოლაძემ იხმო მღვდელი, თქვა ახსარება და ეზიარა უხრწნელთა სისხლსა და ხორცთა მაცხოვრისათა და ჰფუცაცა, რომელ არარა გამლია მე მტერობაჲ რუსთა და არცა და მახსოვან დღეთა ჩემთა, რომელ მეწყინოს ვისთვისმე და ცოდვისაცა გამოუცდელ ვარო. ესე ყოველი აუწყა მოძღვარსა თვისსა, გარნა მაწვევდარო ერთგულებათაჲ მემკვიდრეთა ჩემთა მეფეთა და აჰა, თავი ჩემი სამსახურსა ზედა მათსა დამიდვიაო. მაშინ მოჰკიდეს ძელთა და მოაშთვეს და დაუდგინეს მცველად | ყარაული რუსი სალ- v 76-
დათნი, რათა არვინ ჩამოილოს და დაფლას იგი. მაშინ ზეგარდამომან მადლმან აღიდა ესე, რომელ ლამესა მას გარდამოხდა ნათელი და დაედგა წასა გვამსა მისსა. მხილველნი ამისნი მცველნი მისნი დასცვიდნენ შიშითა და თაყვანი სცეს წსა გვამსა მისსა. წარვიდნენ და აუწყეს ესე ყოელივე კამენდანტსა. მაშინ კამანდატი მსმენელი ამისი აიჰრა და იხილა თვითცა ნათელი და ეგრეთვე გორისა ხალხთაცა მრავალთა. მაშინ ევედრა მთავარ-ეფისკოპოზი იუსტინე მალალაშვილი კამენდანტსა, რათა მისცეს ნება დაფლვისა მისისა. ნება სცა კამანდატმაცა. მაშინ გარდამოიხვნა წმიდა იგი გვამი თავარ-ეფისკოპოზმან და შეხვია იგი¹ წმინდასა ტილოსა და დაფლა იგი გორისა სასაფლაოსა ზედა ეკლესიასა შინა, | და აწ იხარებს r 77
წინაშე სამებისა და მეოხ არს ჩვენთვის და შერაცხილ წთა შორის. ესე იყო თვესა ნოებერსა.

§ 79

წელსა 1810 ტფილელს არსენის ნაიბის ძის ძეს და კათალიკოზს ანტონის შუა შფოთი ჩამოაგდო ერისთვიშვილმა ვარლამ² არხიეპისკოპოზმა³, რომელიცა იყო ახალი გარდასრული როსიით, და იყო ესე ვარლამ სინოდის მწვევრიცა. ენება მიზეზითა ამით, რათა თვით შეიქნას კათალიკოზი. მაშინ არა მკერეტმან საქმისა⁴ ამისმან⁵ ანტონი კათალიკოზმან ჰყო ტფილის კრება სრულიად სამღვდელოთა, რამეთუ ესე არსენი იყო აპარტავანი და ურჩი კათალიკოზისა, რომელიცა განდიდებულ იყო რუსთაგან, აქვნდა ბარტყულა თეთრი და

¹ ტექსტში: გი. ² ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია არქიერმა. ³ ეს სიტყვა სწორია კიდევ ამ ფორმით: არხიეპისკოპოზი. ⁴ ტექსტში: საქისა. ⁵ უკანასკნელი სიტყვა სწორია კიდევ გამოტ. ნიშნ.

- v 77 შუბლსა ჯვარი და კავალერიაცა ანასი. ესე აღართ | რაცხდა
კათალიკოზსა. ამისთვის შეჰკრიბნა მიტრაპოლიტ-ეპისკო-
პოზნი და ჰყო კრება, რამეთუ ტფილელსა არსენის გაელახა
დეკანოზი ალექსი რუსთა¹ რექტორი სკოლისა, აზნაური კა-
ხეთისა პეტრიაშვილი², სიონის ეკლესიასა შინა საკურთხე-
ველსა მდგომი, ოდეს კათალიკოზი სწირევდა დღესა იპერა-
ტორის შობისასა 12 დეკემბერს, და გაელანძლაცა არქიერი
ვარლამ, ესეცა ზედა დაურთვეს დღისა მის შეურაცხება და
კათალიკოზის წინ სამღვდელლოთა ცემა და გინებაჲ. ხოლო
სხვანი მიზეზნიცა მრავალნი დაურთვეს. ამისთვის კრებამ
განკვეთეს იგი მღვდელობისაგან და განუწყესეს კანონად, რათა
იყოს ეამ რაოდენმე მონასტერსა შინა, და მიუღეს ტფილე-
ლობაცა, რამეთუ სურდა ვარლამს, რათა დაეპყრა თვით ყო-
ველივე სამღვდელი ნაწილი საქართველოსა³. მაშინ
უპირველესი მართებელი იყო ტორმასოვი მხარესა ტფილე-
ლისასა. ინება ამან დამქშიედება მათი და დაცხრომა აბოხი-
სა ამის და კდ გებავე ტფილელისა თვისსავე საყდარსა ზედა.
თუმცა და სწადდა კათალიკოზსა საქმე ესე, გარნა არა უტევა
კათალიკოზი ვარლამმა ჰყოფად ამისა. და ამისა გამო იქმნა
გულკლებულ ტორმასოვიცა კათალიკოზისაგან. და⁴ შეასმინა⁵
ხელმწიფესა ტორმასოვმა კათალიკოზი, რეცა ესეცა ერია
გაპარებასა მეფისა სოლომანისასა, რამეთუ დროსა მას მოეს-
ყიდა თბილელსა არსენის შურითა კათალიკოზისათა⁶ თეთ-
რითა ბერი სერაპიონ, მნათე კათალიკოზის ეკლესისა, და ები-
რებინა, რათა ცილი სწამოს კათალიკოზსა, რომელ ამან განა-
პარა მეფეო⁷. მოსყიდული იგი ბერი წარვიდა და უთხრა
ესენი ღუბერნატორსა ტფილისისასა, ხოლო მან აუწყა ესე
v 78 ყოველივე | ტორმასოვსა⁸, რომელისა გამო შეასმინა ხელმწი-
ფესა კათალიკოზი ანტონი, უკეთუ არს ესე აქა, არა იქმნების
მშვიდობა საქართველოსა შინა. მსმენელმან ამისმან იპერა-

¹ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: პროთა. ² უკანასკნ. ³ სიტყვა სწერია კიდევ გამოტ. ნიშნით. ⁴ უკანასკნ. ⁵ სიტყვა სწერია კიდევ გამოტ. ნიშნით. ⁶ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: მოახსენა. ⁷ ეს სიტყვა სწერია კიდევ გამოტ. ნიშნით. ⁸ უკანასკნ. ⁹ სიტყვა სწერია კიდევ გამოტ. ნიშნით. ¹⁰ ტექსტში: მეფო. ¹¹ ამ სიტყვის შემდეგ დასმულია გამოტ. ნიშანი, ხოლო კიდევ ამავე ნიშნით მიწერილია: მსმენელმან ამისმან კათალიკოზმან ანტონიმ შეიპყრა ბერი იგი სერაპიონ და წარგზავნა მონასტერსა ნათლიმცემელისასა პატიმრად, რომელიცა შემდგომად ეამისა იქმნა საწყალობელი ბერი იგი განტვიფნულ კლდისა მიერ.

ტორმან¹ უბრძანა წერილითა, რათა წარავლინოს კათალიკოზი ანტონი რუსეთს და ჰყოს მოადგილედ მისსა არხიეპისკოპოზი ვარლაამ, მწვერი სინოდისა.

§ 80

ხოლო წელსა 1811 წარავლინა კათალიკოზი ანტონი რუსეთს. მისრული პეტერბურხს პატიესცა იპერატორმან ალექსანდრემ, მიუბოძა კავალერია ლურჯი ანდრია პირველწოდებულისა და ოთხი ათასი თუმანი წელიწადშია საზღოდ და არღარა განუტევა ქართლსა. ბრძანებითა სინოდისათა აღიღეს² კათალიკოზობა საქართველოდსა, რომელსაცა ზედან r 79 ეთანხმევა იპერატორიცა, რამეთუ კათალიკოზობად საქართველოდსა იყო პირველ დაწყებულ მეფისა მიერ ხოსროვიანისა ვახტანგ გორგასლანის მიერ, სახელოვანის გმირისა, რომელმანცა დასო პირველად პეტრე კათალიკოზად წელსა ქეს აქეთ 473³ სრულიად საქართველოდსა და ნებართვითა წის მსოფლიოს მეექვსეს კრებისათა, რომელთაცა დაამტკიცეს და აკურთხეს. და მიერ დღითგან იყო კათალიკოზი ვიდრე ამ დროდმდე, რომელიცა იყო მოსაყდრე მცხეთისა. ხოლო წელსა 1811 გარდაყენებულ იქმნა რა კათალიკოზი ანტონი, დასვეს⁴ მოადგილედ მისა არხიეპისკოპოზი⁵ ვარლაამ, არა კათალიკოზად, ად უწოდეს მიტრაპოლიტი მცხეთისა და ეგზარხოსი სრულიად საქართველოდსა, რომელსაცა მიანდვეს ყოველნივე v 79 ეკლესიანი საქართველოსანი და ეპისკოპოზნი, რათამცა ჰყოს რუსთა კანონისამებრ. ამან არა მზრუნველმან ეკლესიათამან, ად მოხვეჭისა და შეძინების გამო მიუხვნა ყოველთავე მღვდელთ-მთავართა ეპარხია, რომელიცა აქენდათ, და განუწესა მცირე რაიმე როჰიკი, გარნა ბოდბელსა იოვანეს თავადსა მაყას ძესა⁶ უწოდა მხოლოდ ოდენ არხიეპისკოპოზი ალავერდისა და ქიზიყისა ბოდბელი და ახადა მიტრაპოლიტობად, ხოლო ქართლსაცა გარდააყენნა მთავარეპისკოპოზი და სხვანი და მიანდო საქმეი ქართლისა სამთავნელს მაჰაყარიანს გერგასის და ჰყო ქორეპისკოპოზად. ინება ყოველთავე აზ-

¹ ეს სიტყვა ზემოდანა ჩაწერილი. ² ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: ქართ. ³ თარიღი მოთავსებულია კიდევუ გამოტ. ნიშნით. ⁴ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: ვარლამ. ⁵ უკანასკნელი 3 სიტყვა სწვრია კიდევუ ⁶ უკანასკნელი ორი სიტყვა სწვრია კიდევუ გამოტ. ნიშნით.

ნაურთა სამცხეთოთა და საალავერდლოსიცა, რათამცა აღე-
ყარა და მიეხვნა მამულნი მათნი, რამეთუ ეს ვარლამ იყო.
r 80 ფ'დ ანგაარი და დიდების მოყვარე. | ამის გამო გულნაკლულ
იქმნენ ყოველნივე სამღვდელონი და საერონი ვარლამზედა.
ხოლო¹ მსმენელმან ამისმან მიტრაპოლიტმან ვარლამ დაუ-
ტევა საქმე ესე ჟამდამდე.

§ 81

ხოლო წელსა 1811, მაისის 14 მზე დაბნელდა შუა დღის
შემდგომ, კვირას დღეს² 4 საათსა, რომელიცა დაუსახვიდა
მოსკოვსა დიდსა უბედურებასა³. ხოლო წელსა ამას 1811
მოიყვანეს პყრობილად რუსთა იმერთა დედოფალი, მეფის
სოლომანის ცოლი, დადიანის კაციას ასული, მარიამ და და
მეფე სოლომანისა მარიამ, მეუღლე თავადის ენდრონიკაშვილის
მელქისადეკისა, და დასადგურეს ვარონიეისა ქალაქსა პყრო-
ბილად⁴.

v 80

§ 82

ხოლო წელსა 1811, იენისის 14 ღამესა ოთხშაბათსა.
დაბნელდა მთოვარე, ვა წყვიდიდი უკუნი. ხოლო მთვარე
იყო რიცხვით 6. ხოლო კ'დ განათავისუფლა წელსა ამას
იპერატორმან ალექსანდრემ დედოფალი მარიამ, მეუღლე მე-
ფისა გიორგისა, პყრობილებისაგან ბელი გოროდით და მოიყ-
ვანეს მოსკოვს, და დასადგურეს სლობოდის სახელმწიფო
სახლში აგვისტოს 22.

§ 83

წელსა 1811, აგვისტოს 28 ღამესა, სათსა 10 ზამოჩნდა
ვარსკვლავი ქომეტა და იდგა ნოებრის გასვლადმდე⁵. ვარსკვ-

¹ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: საქმე. ² ეს ორი სიტყვა სტრიქონებს შუა ჩამატებული. ³ ამ სტრიქონების გასწვრივ კიდევ მიწერილია: ხოლო წელსა ამას 1811, აპრილის 7 მოკვდა ჰეპტაჰე თავადი გარსევან მინისტრ ყოფილი ს. პეტერბურხს და დაფლეს ნემცკის მონასტერშია. ⁴ ამის შემდეგ ტექსტში წაშლილია: § 8' წელსა 1811 განათა. ⁵ აქ დასმულია გამოტ. ნიშანი, ხოლო კიდევ ამავე ნიშნით: განმარტება. აქვე კიდევ დახატულია: ა) კომეტა ფერადი საღებავით და წარწერით: კომეტას ასტრონომოსნი ამ სახედ ხაზვენ. ბ) კომეტა წითელი მელნით და წარწერით: კომეტას სახე.

ვლავი ესე იხილვება მოდიდოდ და მოშინდოდ, აქვს ბოლო გრძელი მგზავსი ფარშავანგისა | და აქვს სხივ-ნათელი გრძლად r 81 განფენილი. ხოლო გამოჩენა ამა კომეტისა მომასწავებელ არს, რომელ განძლიერდების ხელმწიფე ერთი ფდ, და დაიპყრობს მრავალთა სამეფოთა, და სძლევს ერთსა ვისმე დიდსა ხელმწიფესა, და აღიღებს მისსა უპირველესსა სატახტოსა ქალაქს, რომელსაცა მოსწვამს¹ და მოაოხრებს. ხოლო იგი განძლიერებული ხელმწიფე იძლევის კდ ძლეულის ხელმწიფისა მიერ და იქმნების მოკლებულ ღირსებისაგან ჯელმწიფობისა მის მიერ, ვა ეყო ფრანცის იპერატორსა ნაპოლეონს, და იქნების ადგილ-ადგილ ჭირიცა, და სიყმილიცა, და სისხლის დინებაცა დიდი². ხოლო გამოჩენილამ ამა ვარსკვლავისა კომეტასი განსრულ იყო წელი 513. ხოლო ესე იქმნა მეორე გამოჩენა ამა კომეტასი წელს 1811, აგვისტოს 28.

§ 84³

v 81

ხოლო წელსა 1810 ყენი ბაბახან და ხონთქარი დაზავდნენ. ყენმა წარმოავლინა მეფის ძე ალექსანდრე და მოსცა უსენ ხან სარდალი რვა ათასითა კაცითა. მოსრულნი ესენი ახალციხეს, შეერთდა ახალციხის ფაშად თვისითა მხედრებითა, წარმოემართნენ ქართლის დასაპყრობელად, მოვიდნენ და დადგნენ წალკას, თრიალეთზედ. მსმენელმა ამისმა ტორმასოვმა, რომელიცა იდგა ყოჩქილისიას, წარავლინა მას ზედა საბრძოლველად ღიანარალ-მაიორი მარკიზი იტალიანი⁴ და თანა წარატანა პოლკოვნიკი ლისანევიჩი, დიმიტრი ტიხინიჩი, ერთისა ბატალიონითა იეგირითა და ერთიცა ბატალიონი მუშკათირისა და ოთხი ზარბაზანი. მისრულნი⁵ ესენი⁶ წალკს დაესხნენ თავსა ღამესა ყიზილბაშთ⁷, აოტნეს სპარსნი, თურქნი და ლეკნი ვე თექვსმეტი ათას კაცამდე, მოსწყვიტნეს მრავალნი ჩინებულნი სპარსეთისა და ოსმალისანი, აღიღეს ბანაკი მათი სრულებით, ძლიელა განერნენ სარდალი და ალექსანდრე, და მოიქცნენ გამარჯვებულნი ტფილის. ეს ყოველივე

¹ ტექსტში: მოსწვამს. ² სიტყვებიდან: და იქმნების ადგილ-ადგილ ჭირიცა... მოთავსებულია კიდევ გამოტ. ნიშნით. ³ ამ პარაგრაფის დასაწყისის გაკეთებული აქვს შენიშვნა: იქ უნდა ჩაიწეროს ეს ორივე მუხლი, სადაც ეს წლის ნუმრა იყოს. ეს პარაგრაფი მოთავსებულია v 81 გვერდის კიდებზე. ⁴ ეს სიტყვა ზემოდანაა ჩაწერილი. ⁵ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია ორჯელ დაწერილი: ამათ. ⁶ ეს სიტყვა ქვემოდანაა მიწერილი. ⁷ ეს სიტყვა ჩამატებულია.

აუწყა ტორმასოვმან იპერატორს, რომლისა გამო მიუბოძა მარკიზსა ლიანარალ-ლეიტენანტობაჲ, ხოლო ლისანევიჩსა ლიანარალ-მაიორობაჲ და სხვათა შემგსავსებული ჩინი და კავალერია მხედრობასა რუსთასა. ხოლო ძლეული სარდალი უსენ ხან მივიდა ერევანს. ესე გამარჯვება იქმნა სექტემბრის 5.

§ 85

ხოლო წელსა 1810, ნოემბრის 5 წარვიდა უპირველესი მართებელი საქართველოსა ტორმასოვი ახალციხის დასაპყრობელად მხედრობითა თვისითა და ეგრეთვე ქართლ-კახეთითა და იმერეთითა, რომელნიცა ახლდა თანა დადიანი ლეონცა მხედრობითა თვისითა¹. მისრულნი ახალციხეს მოადგინენ თვენახევარი. ახალციხე ფედ განმაგრებულ იყო ოსმალთაგან. თუმცა ლა მიეტევნენ ციხესა ზედა იმერნი, გარნა ვერ უძლეს აღება და იძლივნენ. და წარუღეს ოსმალთა იმერთა დროშაჲ წისა დავით მეფისა აღმაშენებელისა. მაშინ გამხილველმან ამისმან ტორმასოვმან არღარა ინება გარმოდგომა ციხისა მიზეზითა ამით, რამეთუ იყო ფედ ყინვა და თოვლი. და შედვით მხედრობასაცა | ქირი დიდი მომსვრელი. და მუნით მოქცეულს აენეს ხეობაზედ ოსმალთა ფედ მხედრობასა მისსა. და მოვიდა ტფილის, რომელსაცა მოჰყვა ქირი მომსვრელი და მოსრნა მრავალნი სულნი ქართლს, კახეთს და იმერეთს. ვიდრე ნახევარ ხალხადმდე. და მიერ დღითგან არს ქირი ტფილისსა შინა. ხოლო წელსა ამას 1811², აგვისტოს 20 განიწესა იტალიანი მარკიზი, რომელიცა იყო პირველად საქართველოსა შინა ამაღლად ტორმასოვისა³; ფილიპე ივანიჩი, ლიანარალ-ლეიტენანტი, უპირველეს მართებლად საქართველოჲსა და გარდაყენებულ იქმნა ტორმასოვი⁴, რომელიცა წარვიდა ქართლს. ხოლო გარდასრულმან ქართლს მიიღო მართებლობაჲ ქართლისა⁵ წელსა 1811, სექტემბრის 30.

¹ ეს ორი სიტყვა მიწერილია კიდებზე. ² ეს ციფრი სწვრია კიდებზე. ³ უკანასკნ. 7 სიტყვა სწვრია კიდებზე გამოტ. ნიშნით. ⁴ ამ სიტყვის შემდეგ გამოტოვების ნიშანია, ხოლო კიდებზე ამავე ნიშნით სწვრია: და წარვიდა რუსეთად. ⁵ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: წელ 1812.

§ 86

ხოლო წელსა 1811 წარგზავნა უკვე მარკიზმან პოლკოვნიკი კიტლერევეცი | ღრუბინცკის გარნადირის პოლკითა. წარ- 82
სრულმან კიტლერევეციმ გარდავლო მთად თოვლიანი თრიალეთისა, მივიდა ღამესა ერთსა, მოადგა ახალქალაქსა უცნობად¹, მიჰყუდა კიბენი და აღიყვანა მას ზედა მხედრობანი² და აღილო ციხე ახალქალაქისა დეკებრის 8. მოსრნეს მუნ მყოფნი მხედრობანი ოსმალთანი. დაუტევა მუნ როტა ერთი დასაცველად ციხისა³, ხოლო თვით უკუნ იქცა ტფილის. ესე აუწყა მარკიზმან იპერატორსა, რომლისა ჯილდოდ უბოძა იპერატორმან კიტლერევეცკის ღიანარალ-მაიორობად, ხოლო მხედრობათა მისთა ღირსებისამებრ ნიშანნი.

წელსა ამასვე 1811, ივლისის 2, წარმოდგენა ირკუცკის ღრაჟდანის ღუბერნატორის მიერ, რომელიცა მოახსენა წერილით ჯელმწიფესა როსიისასა ალექსანდრეს საცვიფრო ესე ანაბავი: მისვე ირკუცკის ღუბერნიასა შინა, ნერჩინსკი უეზდსა შინა, ვარილატოვსკისა დაბასა შინა და აშკლსკის ციხესა შინა შემდგომად შუა დღისა მერვე საათისა ნახევარსა ზედა, თუმცა და ადგილსა მას საათი ესე ღამედ იწოდება, გარნა არა არს მუნ ღამე ყოვლადვე ზაფხულსა შინა, ჩრდილოეთის მხრიდამ ერთი ვრცელი და გძელი წითელი ცეცხლი გამოჩნდა, მჰსგავსი ღრუბლისა ჰერსა შინა, რომელიცა დიახ ნელად მოდიოდა. ამისა შემდგომად ერთი ათად მომატებულდ სხვა უდიდესი შავი ღრუბელი დასავლეთის მხრიდამ აღმოვიდა, რომელიცა ჩქარად და საზარელის ქუხილითა მოარბოდა და ამას აქუნდა ფრდი ქარიშხალი გრივალი. ესე შავი ღრუბელი მოვიდა შენობას თხუთმეტს ვერს ზედა და იმ წითელმან ღრუბელმან და ამან ერთმანეთსას შეერთება მიიღეს, და შეერთდენ, და დადგნენ ვიდრე ათს მინუტამდე და გარსა შემოეველო ერთი სხვა უგრძესი ცის-სარტყელის მჰსგავსი. ხოლო ამისა შემდგომად გამოჩნდა სვეტი ერთი ცეცხლისა, თუმცა და ჰერი იყო ღრუბლითა მოცული და ქუხდა კიდევცა, მაგრამე არა წვიმდა კი. მას ეამს უეცრად ერთის უდაბურის მხრიდამ შავი

¹ ეს სიტყვა ზემოდანა ჩამატებული. ² უკანასკნელი ხუთი სიტყვა ზემოდანა ჩამატებული. ³ ეს სიტყვა ზემოდანა ჩამატებული.

ნიაღვარი მოვიდა ვა ზღვიდამ გამოსული. მისი სიგანე იყო ოცი საეენი და სიღრმე ერთი საეენი. ესეთი ძლიერი იყო, რომ ხენი და დიდროვანი ლოდნი ძირითურთ გლიჯა, და იმ ღვარში ცეცხლთა ალი ჩნდა, ხოლო ამისა შემდგომად მოვიდა სეტყუა ესევეთარი დიდი, რომე თითო სეტყუად იყო¹ 9 ჭუნთი. ხოლო მცხოვრებნი მის ქალაქისა და გარემო სოფელთა სიმგრველიე ოთხი მაზრად ესრეთ მოცული იყო, რომე სახლნი მათნი იდგნენ ნახევრად სეტყუასა შინა. ხოლო მცხოვრებნი მუნებურნი განივლტნენ შორად, და მრავალი სული და საქონელი პირუტყუთა მოსწყდა. ხოლო შამსა ამასვე ქუხილს და ელვასა შინა გარდმოვარდა² ცილამ ცეცხლი ერთი, რომლისა სიგანე და სიგრძე იყო 2 საეენი, ოთხ საათს მას³ ზედა ჰსწყვიმდა და სეტყვდა და ძლიე გაქრა ცეცხლი იგი. სკტ პეტერბურხს არის მოხსენება ესე მიღებულნი 22 სექტემბერს, წელს 1811 და გაზეთსა შინა გამოცემული საზოგადოდ⁴.

§ 87

წელსა 1811 მოვიდა ოდიშის დედოფალი ნინა, მეუღლე დადიანის გრიგოლისა, ქვრივად მყოფი⁵, მეფის გიორგის ასული, მოწოდებითა იპერატორისათა სკტ პეტერბურხს, რომელსა⁶ 83 საცა სცა პატივი დიდი იპერატორმან. თანა ახლდნენ შვილი თვისი გიორგი დადიანი, შარვაშიძე თავადი აფხაზთა დიმიტრი და ანტონი, თავადი ჩიჩუა ლეონ, აზნაურნი მრავლად, სამღვდელო აფხაზთა არქიეპისკოპოზნი პაფნოტი, ქართველი სოზიას ძე⁷, არხიმანდრიტი აბაშიძე ევგენის ძე ვალერიანე, ღვდელმონაზონი ბესარიონ, კაცი ღირსი, და მთავარ-დიაკონი გიორგი გეგელია⁸ და მოსამსახურენი მრავლად ოდიშელნი. ხოლო ქართლიდამ ახლდა სიძე თვისი თავადი ორბელიანი ბეგლარ ზალის ძე⁹, ერისთვისშვილი შალვა, მემანდარი თავადი მელიქის შვილი სტეფანე. ესენი მოსრულნი მილო დის დიდებით

¹ ეს სიტყვა გამეორებულია. ² ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: მეხი. ³ ტექსტში: მაჰს. ⁴ მთელი ეს უკანასკნელი ვრცელი მოთხრობა აბზაციდან სწეოიკ კიდევზე. ხელი ოდნავ განირჩევა საზოგადოდ ჩვენი ტექსტის ხელისაგან. სტოვებს იაეთ შთაბეჭდილებას, რომ მიწერილი უნდა იყოს იმავე პირის მიერ, მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ. ⁵ უკანასკნელი 5 სიტყვა სწერია კიდევ გამოტნიშნით. ⁶ უკანასკნელი 2 სიტყვა სწერია კიდევ გამოტნიშნით. ⁷ ეს სიტყვა მიწერილია კიდევზე. ⁸ ეს ორი სიტყვა ზემოდანა ჩამატებული.

და პატივით იპერატორმა, და მისცა წელიწადში ოთხი ათასი თუმანი სარჩოდ და იყოფოდა მარადის სასახლესა შინა იპერატრიცებთან განუმორებელ და ჰყვარობდენ ფ'დ.

§ 88

v 83

წელსა 1811 იქმნა სიყმილი ქართლსა, კახეთსა და იმერეთსა შინა ოდიშ-გურიითურთ და კირი და სრუა დიდი¹, და მოსწყდა მრავალი სული. წელსა ამას ისყიდებოდა პური კოდი რვას მინათულათ, რომელი არა თქმულა აროდეს. და იყო შიმშილი ესე ვიდრე წელი ერთი. და ფ'დ შემკირდნენ მხედრობანი რუსთანი უსაზრდელობითა და ამკირვებდენ ხალხთა ფ'დ. და იყენენ ფ'დ ხალხნი კახეთისანი შეიწრებულ უსაზრდელობითა, და ამკირვებდენ რუსნიცა ფ'დ სურსათისა და ბეგრისათვის, თუმცა და ევედრებოდნენ ხალხნი იგი რუსთა, გარნა არ უსმინეს, რამეთუ არვინ ჰყვათ მწედ საბრალოთა ხალხთა.

§ 89

ხოლო წელსა 1812, ოკტობრის 26, | წარემართა ოვსე- r 84
თით ახალციხეს მეფის ირაკლის ძის ძე, ძე იულონისა ლეონ. ნისრულნი ესენი ხეობაში პეტრეს ციხესა, ისტუმრეს ლეკთა, რ' ლეონს არა ჰყვა კაცი გარნა სამისა და რა განუსვენეს, მძინარე ლეონ მოკლა ლეკმან და სხვანიცა მისთანა მყოფნი მოსწყვიტნეს, გარნა განერა ერთი მანაველი აღდგომელას- შვილი ცოცხალი. განძარცვეს იგი და წარიღეს ახალციხეს. მხილველმან მეფემან სოლომან იცნა იარალი მისი. ჰკითხა ლეკთა და სცნა სიკვდილი მისი. დიდათ დამძიმდა მეფე სოლომან სმენისა ამისთვის და აუწყა ესე ფაშასა ახალციხისასა.

¹ ამ სიტყვას უხის ტექსტში შენიშვნის ნიშანი, ხოლო კიდევებზე ამავე ნიშნით მიწერილია: რომელიცა განერა წელსა სამსა, ესე იგი 1813-ამდისინ. ხოლო იმერეთს ესრეთ აპწყდა ხალხი კირისაგან და შიმშილისა, რომე დიდროვანთა სოფლებთა შინა მცირედნილა განერნენ, და იყო მთლათ საზოგადოთ კირი ესე იმერეთს, რომელი არა სადა სმენილ არს. ხოლო დანამთნი ხალხნი ჰმძოდენ ბალახთა და ხის ქერქთა, რომელიცა მოჰსწყდენ მრავალნი სულნი. თუმცაღა ინებეს აღრიცხუა რუსთა რაოდენი მოსწყვიტნა სულნი თვინიერ ყრმათა ათისა წლის ქუტვიით, რომელიცა აღწერეს ოთხმეოცი² ათასი სული, და ამის შემდგომად ვე- ლარ ძალიდევს აღწერაჲ, თუ რაოდენი მოსწყდა.

² ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: და ათი.


მაშინ თაშამან შეიპყრნა ლეკნი იგი და მოაშთო ძელთა. მსმენელთა
 v 84 დაღისტანსა შინა ლეკთა იწყინეს ესე, რეცა | დადებად სისხ-
 ლისა¹ სამეფოისა სახლისა საქართველოდსა. სოფლისა მის
 კაცთა ჰქმნეს აბოხი და სრულიად მოსწყვიტნეს სახლეულნი
 მათ ლეკთანი, რომელთა მოეკლათ² ლეონ. ზოლო წელსა 1812,
 თებერვლის 29, ნაკსა, გარდაიცვალა მეფის გიორგის ძე გაბ-
 რიელ ნაშობი დედოფლის მარიამის ციციშვილის ასულისა-
 გან³, რომელსა ჯიბრაილსა უხმობდენ, საკთ პეტერბურხსა ში-
 ნა, და დაფლეს ნემცკის შონასტერშია.

§ 90

ზოლო წელსა 1812, თებერვლის 5, უბირველეს მართებე-
 ლობასა საქართველოდსასა ყოფასა⁴ მარკიზისასა⁵ მას ჟამს⁶
 იქმნა სიყმილი ფ'დ საქართველოსა შინა. შეამჭირვეს კახეთი
 ფ'დ სურსათა⁷ ღიანარალ-მაიორმან პარტენეგინმან, ესრეთ
 რომელ კომლზე კაცს ჩაუყენა ოც-ოცი კაცი სალდათი და
 r 85 სთხოვდა სურსათსა. ამიქსთვის დიდათ ევედრნენ კახნი, რათა
 დასცხრეს თხოვნისათვის სურსათისა, რომელ არა ძალ გვიც-
 სო მოცემა, რამეთუ ცოლშვილნიცა ჩვენნი იზრდებიან ჟამსა
 ამას მხოლოდ მწვანელითაო, რამეთუ არ იპოვების პური და,
 უკეთუ აქვთ ვისმე, ისყიდება მცირე რაჲმე რვას მანეთათა
 (ესე იგი რვას მინათულათა). განრისხნა პარტენეგინი და არა
 ივედრნა იგინი და მიუწერა ბრძანება: „უკეთუ ვინმე არა
 მოგცეთ პური, ცოლშვილნი მათნი შეიპყართ და ჰყავთ პა-
 ტიზრად“. რამეთუ თქმულ არს, ვითარმედ ჟამსა მას მივიდა თია-
 ნეთს დედაკაცი ერთი ქუვრივი, რეცა აფიცრის წინაშე ვედ-
 რებად⁸, არა ძალ მიცხო მოცემაჲ პურისა, რამეთუ ვარ ქუვ-
 რივი და გლახაკი, რომლისათვისცა შეიპყრეს რუსთა, ჩაურჭ-
 v 85 ვეს ძაბრი საშოსა და | შთაასხეს⁹ ღვინოჲ. მხილველთა თია-
 ნელთა ამა ტირანობისათა აღადგინეს აბოხი და მოსწყვიტნეს
 მუნ მყოფნი რუსნი¹⁰, წარიყვანეს ქართლით¹¹ ყრმა, მევის

¹ ტექსტში: სიხლისა. ² ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: მეფეჲ. ³ უკანასკნ. 5 სიტყვა სწერია კიდევ გამორტ. ნიშნით. ⁴ ეს სიტყვა სწერია კიდევ გამორტ. ნიშნით. ⁵ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: დროს მიერ. ⁶ ეს ორი სიტყვა ჩამატებულია ზევდან. ⁷ ეს სიტყვა ზედმეტია. ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: გამო-
⁸ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: რათა. ⁹ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია რა-
 ლაც სიტყვა. ¹⁰ უკანასკნ. 5 სიტყვა სწერია კიდევ გამორტ. ნიშნით. ¹¹ ეს სიტყ-
 ვა ზემოდანაა ჩამატებული.

გიორგის შვილიშვილი, იოანეს ძე გრიგოლ და ჩაიყვანეს კახეთს. მოკრბნენ კახნი მის თანა, სრულებით მოჰსწყვიტნეს რუსთა მდიაბეგნი თელავს და ქიზიყს-სიღნაღს¹ და იასაულნი მათნი და გამოყარეს მხედრობაჲ რუსთა კახეთით. მაშინ მარკიზი არა იყოფოდა ტფილის, რამეთუ წარსრულ იყო შამახიასა შინა საქმისა რისთვისმე. მსმენელმან ამისმან მარკიზმან დაუტევა საქმე შირვანისა და მოვიდა² ტფილის³, წარემართა⁴ მხედრობითა თვისითა კახეთს ზედა, რათამცა დაეცხრო აქოხი იგი. მისრულმა ხაშმზედ განჰყო მხედრობაჲ თვისი ორად⁵ და წარავლინნა ნაწილი⁶ ერთი მხედრობისა თვისისა გობორის მთის გზით, ხოლო | თვით წარემართა ქიზიყისა კერძ. r 86 მისრულთა რუსთა უყვეს ზედა დასხმაჲ გობორსა ზედა კახთა, რომელიცა აქენდათ გზანი იწრონი განმაგრებულნი, გარნა კახნი ჩვეულებისამებრ არამსმენელნი ურთიერთისანი იელტოდნენ კახეთათ, და გარდავლეს მოაჲ გობორისა და ჩაჟიდნენ ვარდის-უბანსა მიმავალნი თელავს. მაშინ შეკრეს კახთა გზაჲ თელავისა, ეწყენენ რუსთა და მოსწყვიტნეს ვიდრე სამასადმდე, გარნა დანაშთნი განარიჩნა ნინო-წმინდელმან სტეფანემ, თავადმა ჯორჯაძემ⁷, და შეგზავნა ლამით თელავის ციხეშია, და ვანამაგრეს ამათ თელავის ციხე. ხოლო მისრულსა მარკიზსა ლაკბესა ზედა მოეგებნენ ქიზიყელნი და ითხოვეს⁸ მიტევებაჲ დანაშაულისა. ამისთა მხილველთა კახთა მოაკლდათ | ძალი. v 85 მაშინ მარკიზი წარემართა ზიარას გზითა და ჩავიდა სიახლოესა ჩუმლაყისასა, რომელიცა აქენდათ განმაგრებული კახთა. მუნ იქმნა ბრძოლა ძლიერი, მოსწყვიტნეს მრავალნი რუსნი. მუნ მოკვდა თავადი ორბელიანი ვახტანგ დიპიტრის⁹ ძე, სიძე მეფისა ირაკლისა, რომელიცა იყო პოლკოვნიკი რუსთა¹⁰ მყოფი რუსთა თანა, და დაიჭრა ჭაუჭავაძე გარსევანის ძე, აღექსანდრე, რომელიცა იყო მას ჟამსა შინა ნაიბ-შეჰალაბაში მარკიზისა. გარნა შეჩენითა მარკიზისათა აბიჩნეს კახნი თავადნი მყოფნი¹¹ კახთათანა¹² გამოსრულთა ამათ, რათა გა-

¹ უკანასკნ. ² სიტყვა სწერია კიდევ გამოტ. ნიშნით. ³ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: ქართლს. ⁴ ეს სიტყვა სწერია კიდევ. ⁵ ტექსტში: წარემართართ. ⁶ ეს სიტყვა ზემოდანაა ჩამატებული. ⁷ ტექსტში: ნაწ ერთი. ⁸ ეს ორი სიტყვა სწერია კიდევ გამოტ. ნიშნით. ტექსტში: ჯორჯაძემ. ⁹ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: შერიგე. ¹⁰ ტექსტში: დიმიტრის, ¹¹ უკანასკნ. ¹² სიტყვა სწერია კიდევ გამოტ. ნიშნით. ¹³ პირველად დაუწერიათ: კახთ თავადთა მყოფთ მუნ, შემდეგ შეუსწორებიათ ისე, როგორც იბეჭდება. ¹⁴ ეს სიტყვა კიდევუა მოთავსებული. 

მოვიდნენ იგინი რუსთა თანა და არარა ევენების მათ¹. მოუძღურდნენ კახნიცა და განიბნივენ. ხოლო გრიგოლ შიშვე-
:ნეული წარვიდა ანწუხსა შინა და იყო თვე ერთი ლექთა
შორის. მაშინ მარკიზმან დაიპყრა სრულიად კახეთი, მოწო
r 87 რომელიმე სოფლები და | იყო თვე ორი. და დამშვიდა კახეთი
ნებიარად, და განწუხეს ესრეთ, რათა არლარა იყვნენ მოსა-
მართლენი რუსთანი მუნ, რომელთაცა განერყვნათ კახეთი
მოხვეჭითა², რომლის გამო მიანდო საქმენი კახეთისანი ეს-
რეთ: თელავიდამ გაეაზამდინ გაღმართი და გამოღმართი
ჩუმლაყადმდე³ და პირ-აქეთი ვიდრე ნორიოდმდე, ფშვე-
ხევსურითურთ და თუშითა მიანდო სოლომანს ავალისშვილსა.
მეთრის იოვანეს ძესა. ხოლო ქიზიყი საენდრონიკო-სავაჰნა-
ძოი მინდო აბელს ენდრონიკაშვილსა და განაწესა, რათა
პოლკი ერთი იდგეს თელავს ციხესა შინა⁴ ღიანარალითა და
შეორე ქიზიყსა. და ამათა მართონ საქმენი კახეთისანი. ხოლო
უკეთუ ვერ უძლონ ამათ⁵ დამორჩილებად რომლისამე⁶ საქ-
მისა⁷, აუწყებდენ⁸ მუნ მყოფს ღიანარალთა და შეიწვედნენ.

v 87 მაშინ მიუწერა გრიგოლს ანწუხსა შინა მყოფსა და წარუე-
ლინა ზაზა ენდრონიკაშვილი, სალთხუცესი მამისა მისისა, და
მიუწერა, რათა მივიდეს მის თანა, და არწმუნაცა უვნებელ-
ყოფად მისი და აღუთქვაცა შენდობა ჯელმწიფისაგან. მაშინ
შსმენელი გრიგოლ წარმოემართა მარკიზისა კერძ, თუმცალა
გრიგოლს არა უტევებდენ ანწუხელნი ერთგულებისა გამო.
რომელიცა აქვთ სურვილი პატრონისა ერთგულებისა. გარნა
არამსმენელი მათი გრიგოლ მოვიდა მარკიზისა წინაშე თე-
ლავს. მხიარულ იქმნა მარკიზი და წარმოემართა ტფილის.
მოსრულმან ტფილის, წარავლინა გრიგოლ რუსეთად. მისრუ-
ლი პეტერბურხს წარავლინნა იპერატორმა ბუნტისა გამო მი-
სისა პატიმრად პეტრეზაოდის ციხესა შინა, რომელიცა
შორავს პეტერბურხით ოთხასითა ვერსითა. და იყო ჟამ
რაოდენმე.

¹ სიტყვებიდან: „რათა გამოვიდეს იგინი“... მოთავსებულია კიდებე-

² უკანასკნ. ³ სიტყვა სწერია კიდებე გამოტ. ნიშნით. ⁴ ეს სიტყვა სწერია კიდებე გამოტ. ნიშნით. ⁵ ეს ორი სიტყვა ჩამატებულია ზევდან. ⁶ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: მართვად. ⁷ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: ნაწილისა. ⁸ ეს სიტყვა კიდებე სწერია. ⁹ ეს სიტყვა ზემოდან აწეოია წაშლილ სიტყვას: მოახსენებდენ.

§ 91

r 88

ხოლო წელსა 1812, წელსა ამას აპრილის 22 ღამესა ბრწყინ-
ვალე კვირის ორშაბათს გამოჩნდა ვარსკვლავი¹ ამა სახისა;
ლახვრის მგზავსი², ბრწყინვალე და სხივიანი. იღვა ორსა
ღამესა სისხლისა ფრად წითლად. ოდ ამავე წელსა აიშალნენ
რუსნი და ფრანცუცნი.

§ 92

წელსა 1812 წარმოემართა პოლშისა დასაპყრობელად
ფრანცის იპერატორი ნაპოლეონ თვისითა ძლიერთა სპითა.
წარმოსრულსა ამას შეუდგა კეისარი, პრუსის კოროლი, საქ-
სონის კოროლი, ვესფალცის კოროლი, ბავარიისა, ლაღანდისა,
ბოლიმეისა და სხვანი, რომელთაცა იყო რიცხვი მხედრობა-
თა ამათ და ფრანცელითა ვიდრე ხუთას ათასადმდე, რომელ
ესე ყოველნივე იყვნენ საბრძანებელსა ქვეშე ფრანცისა იპერა-
ტორისა ნაპოლეონისა ხელქვეშე³. მოსრულმა ნაპოლეონმან
დაიბანაკა მდინარესა ზედა სამზღვარსა პოლშისასა ვისლას.
მსმენელმა ამისმან რუსთ⁴ იპერატორმან | ალექსანდრემ მოი- v 88
კრიბნა მხედრობანი თვისნი და წარემართა და მივიდა პოლ-
შას. მსმენელი ამისი ნაპოლეონ აღიყარა, გამოვლო მდინარე
ვისლისა იელისის 1⁵, და შემოვიდა პოლშაში და დაიპყრა.

¹ ამ სიტყვის შექმდე დაბატულია ლახვრის მსგავსი ფიგურა. ² ეს ორი სიტყვა
სწერია კიდეზე გამოტ. ნიშნით. ³ სიტყვებითგან: „როჟელიცა იყო რიცხვი მხედ-
რობათა“... მოთავსებულია კიდეზე გამოტ. ნიშნით. ⁴ ეს სიტყვა ზემოდანაა ჩა-
წერილი. ⁵ თარიღი სწერია კიდეზე გამოტ. ნიშნით. აქვეა დასმული შენიშვნის
ნიშანი, ხოლო კიდეზე ამვე ნიშნით სწერია: „მაშინ იპერატორი ალექსანდრე
წარმოვიდა თვით პოლშით⁶ და მოვიდა მოსკოვს იელისის 14. შეპკრიბნა მუნ
მცხოვრებნი მოსკოვისანი და აუწყა ყოველივე ყოფილი. მაშინ კეთილშობილთა
მოსკოვისათა მიართვეს ათ სულ კაცხედ ერთი კბცი ხარჯითა თვისითა, ხოლო
ვაჭრობამან მიართო შესაწევნელად თეთრი მხედრობისათვის. მსმენელთა ამისთა
სხვათაცა ლუბერნიათა და ქალაქთა მიართვეს ყოველთავე⁷ მგზავსად მოსკოვისა.
ხოლო თვით იპერატორმა⁸ ალექსანდრემ დაპყო 6 დღე მოსკოვს და წარვიდა
პერერბურხს და აღჭურნა იგინიცა ამვე სახითა. — ოდეს მობრძანდა ვილნი⁹
იპერატორი მოსკოვს, მას ეამსა მიუწერა ესე მიტროპოლიტმან მოსკოვისამან“
ამის შემდეგ კვლავ შენიშვნის ნიშანია, ხოლო r 89 და v 89 გვერდების კიდებზე
მოთავსებულია ამ მიტროპოლიტის წერილი არა ტექსტის ხელით: „პალატა-

⁶ ეს სიტყვა ჩამატებულია ზევიდან. ⁷ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: ესრ.
⁸ ტექტი: იპერატორი. ⁹ ეს სიტყვა ჩამატებულია ზევიდან.

თუმცა და სწადდა თავადსა ბაგრატიონსა¹ პეტრეს ივანეს ძეს, რათამცა შებმულიყო მუნ, რამეთუ ესე იყო მეწინავე-სარდალი რუსთა, გარნა ჩინებულთა რუსთა არა სცეს ნებაჲ, ვინაითგან ვართო ჩვენ მცირენი და მას უვის მხედრობანი მრავლად, და ჯარიცა რუსთა იყო დაფანტულ, რამეთუ ერთი ნაწილი იდგა რუსთა მხედრობისა რიგასა წინაძღომითა ღიანარალ ღრაფ ვითლინშტიენითა, ხოლო მეორე ნაწილი² ჰყვა ღიანარალ ტრომასოვს და იდგა იგი ბერესლავეს, პოლშაში, ხოლო მესამე ნაწილი ჰყვა ჩიჩაგოვს ღიანარალს, რომელიცა იყო მას ეამსა თურქისა პირდაპირ მოლდავიასა შინა, და ჯერეთ ესეცა არ მოსრულ იყო. ხოლო მეოთხე და მეხუთე ჰყვათ ღრაფს ბარკლაი დე-ტოლსა და თავადსა პეტრეს ბაგრატიონსა. მაშინ შემოსრულმან ნაპოლეონ განჰყო მხედრობაჲ თვისი სამ გუნდად. ერთი უქსე მარშალი წარგზავნა პირისპირ ვითლინშტიენისა ასი ათასითა კაცითა, რომელსა ეწოდა დაუ, და ამცნო, რათა მისრულმან აღიღოს მიტევა და რიგა და წარემართოს დასაპყრობელად პეტერბუხისა. ხოლო მეორესა მარშალსა არწმუნა, რომელსა თავადს შვარცენბერლს-

ნის მიერ მოწერილი იმპერატორის აღექსანდრე პავლოვიჩისადმი. უაღუსტესო ერთ მთავარო, ყდ უმოწყალებსო ველმწიფეჲ! მოხუცებული სიმეონ მექონ იყო ცხოვრებასა შინა თჳსსა უნეტარებისა ხვედრისა მიღებად კელთა ზედა თჳსთა ყდ საუკუნოისა ჩჩვილისა და ჯღრმებისაგან აღტაცებულისა სულისა დაღად ყო აღმერთო გალობა მეუფისადმი სოფლისა, და მეცა უღირსი ღირს ვიქმენ რა პასუხსა უაღუსტესისა გუამისა თქუწნისასა, აღტაცებულობასა შინა ამბორს უყოფ მალად ერთმთავრულსა მარჯვენესა. ვხიდავ ტვირთსა მწუხარებისა მსცოვანებისასა, გარნა ვითარცა ვქუოებ ტკბილთა შინა გრძნობათა, ვმოწიწებ უსაყარელისადმი სახელისა აღექსანდრისა, ველმწიფეო! თქვენ თანამდებობისამებრ კეთილ-მსახურებისა ქრისტიანეთასა სათნო იჩინეთ კურთხევად ახალ აღკურვილთა მხედრობათა ჩემ მიერ მორთმეულითა თქვენდამი ხატითა საკვირველთ-მოქმედისა სერგაისითა.—მრავლად შემძღებელ არს ლოცვა მართლისა შეწევნად. უკეთუ განიზრახავს ანგარი მტერი განრთხმად იმიერ დნებრისა ბოროტსა საკურველსა თჳსსა, მაშინ ესე ჭარო დანთქმის აქა განწყობილუბითა თჳსითა ვითარცა მეწამულსა შინა ზღვსა. იგი მოსრულ არს კიდეთადმი დვინისა დანებრისათა განვლად მესამისა ახლის მდინარისა—ძნელ არს გამოთქმად—მდინარისა სისხლისა კაცთასა. ზი, თვითოეული წვეთი სისხლისა უწოდეს ქუქყანისაგან ცისადმი (სისხლი ძმისა შენისა გამოვიძიო ველისაგან შენისა). ჭრანცია სცნობს შემდგომად ღმერთსა ვითარცა უფალსა შურის მეგებელობათასა, ხოლო რუსეთი ჰგრძნობს, აღიარებს და ღაღად ყოფს მისდამი: აბბა, მამაო მეუფეო შენ აღმოიყუან ვითარცა ნათელსა სიმართლესა ერთმთავრისასა და მსჯავრსა რუსეთისასა ვითარცა შუა დღესა“. ამის შემდეგ ტექსტის ხელით: წელსა 1812, ივლისის 17, მიტრაპოლიტი პლატონ.

¹ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია დიმიტ. ² ტექსტში: აწაილი.

უხმობდენ, რამეთუ ესე იყო კეისრისა უპირველესი სარდალი, რათა | წარვიდეს და¹ ბრძოს ღიანარაღ ტორმასოვს პო- v 89
ლოცკს, რამეთუ ესე პოლოცკა არის ძველი სამძღვარი რო-
სისა და პოლშისა. ხოლო თვით წარმოემართა პირისპირ
იპერატორისა მიერ. მხილველთა ამისთა რუსთა იწყეს უკანა
ბრუნებად და მოვიდნენ ვილნას, პოლშისა ქალაქსა, რომელიცა
ეპყრა რუსთა. მაშინ მორსულთა რუსთა ვერღარა უძღეს
მუნ დგომა და წარმოემართნენ სმოლენცკისა გზით მოსკოვისა
კერძო. მსმენელი ამისი იპერატორი ნაპოლეონ შეუდგა უკანა
რუსთა. მოსრულმან აღიღო ქალაქი ვილნა პოლშისა, დაუტე-
ვა მუნ მცირე რაჟმე მხედრობად და შეუდგა უკანა რუსთა.
მაშინ რუსთა იწყეს ლტოლვად და მოვიდნენ სმოლენცკის
ქალაქსა. მოსრულმან ნაპოლეონ სმოლნიცკას თუმცა ლა ბრძო
ბარკლი დე-ტოლმა, გარნა ცუდ იქმნა შრომაჲ მისი, იძლია r 90
იგი მუნ, და აღიღო² ქალაქი სმოლენცკისა, ძველი რუსეთისა
ქალაქი წელსა 1812, აგვისტო 6, დღესა ფერისცვალებისასა,
მოწვა და მოაოხრა სრულებით და წარმოემართა მოსკოვისა
კერძ. მსმენელთა ამისთა ხალხთა მცხოვრებთა მოსკოვისათა
იწყეს დაცლად ქალაქისა და წარვიდნენ სხვათა ლუბერნიათა
უშორესთა³.

ხოლო წელსა 1812, ივლისის 16, ღამესა გამოჩნდა ვარს-
კვლავი ბნელი სისხლის მსგავსი და ჰყრიდა სხივთა მგზავსათ
წვიმისა სისხლსავეთ⁴.

§ 93

ხოლო წელსა 1812 გარდაყენებულ იქმნა კარისაგან
როსისა ღრათი ბარკლი დე-ტოლი, უპირველესი მართებელი
არმიისა⁵, და განიწესა მოადგილედ მისა ღიანარაღ ანშეფი
ილარიონ მიხაილიჩი კუტუზოვი⁶ მთელისა რუსეთის სამხედ-
რომსა მბრძანებელად, რომელიცა იღვა პირისპირ ფრანცუც-
თა. ესე წარსრული პეტერბურხით მივიდა ქალაქსა ვაზმისასა,
რომელიცა შორავს მოსკოვსა ას სამეოც და ათითა ვერსითა.

¹ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: სკვ. ² ტექსტი: აღიღიღო. ³ სიტყვე-
ბითგან: „მსმენელთა ამისთა ხალხთა...“ მოთავსებულია კიდევ გამოტოვების.
ნიშნით. ⁴ უკანასკნელი აბზაცი მოთავსებულია კიდევ. ⁵ უკანასკნელი 3 სიტყვა-
სწერია კიდევ გამოტ. ნიშნით. ⁶ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: რა.

v 90 და დახვდა მუნ მხედრობანი რუს¹თანი სმოლენცკით უკუნ ქვეულნი ფრანცუცთაგან.

r აგესტინევი კარის მიერ მოსკოვს² შესხმა, ოდეს ვილნიდამ მოსკოვს მობრძანდა იპერატორი.

„შალუსტესო იმპერატორო, ყდ უმოწყალესო ჯელმწიფე!“

ქუალადცა ჰყრჩიან გუნდრუქნი საკურთხეველთა ამით ზედა, კუალადცა ეგზნებიან ცეცხლნი სამადლობელთა ვედრებათანი მათ ღირს სადიდებელთა ძლევეთათჳს, რომლითაცა ყდ უმაღლესმან დააგვირგვინა საკურველნი შენნი, და აჰა, უკანასკნელ ამაყმან ოთამან მოიდრიკა წინაშე შენსა ძლეული თავი თჳსი. სამხრეთსა ზედა დაფარულითა ღრუბლებითა ბრძოლათათა აღმობრწყინდა ნათელი კურთხეულისა მშვიდობისა, სატახტომან ქალაქმან ამან აღიღო შუბლი თჳსი დაფარული მხცოვანობითა, აღიტაცვის მქრტქტელი განვრცელებასა ზედა სამძლუართა რუსეთისათა; სცვიფრდების ყურადმღებელი გრგვინვათა დიდებისა შენისათა, რუსეთი მზა არს ღაღადებად საქებელისა გალობისა უფლისადმი ძალთასა და შენდა ცხებულისა მეფისა. გარნა აჰა დასაეღეთსა ზედა აღიდრნენ ღელვანი, და შენ ვითარცა გმარი გამოხველ გზასა ზედა უკუდავთა ღუაწლთა დიდებათასა. კიდითგან ცისა გამოსტლა შენი და მოგებება შენ ვიდრე კიდემდე ცისა. მუნ საშუალ შემძლეთა და მხნეთა აღჭურვათა თჳსთა შენ სტყორცნი მეხთა კადნიერსა მტერსა ზედა. აჰა აღაგზნებ სულთა ჩტნთა სიყუარულითა შენდამი და მამულისა: მუნ სძრავ გრგვინვათა განსაგმერელად ბოროტისა, აჰა განაღვიძებ და ამოძრავებ გულთა ჩტნთა დაცვისათვის საყუარელისა შენდა რუსეთისა. მუნ სჯი, აჰა განუსვენებ. მუნ ჰკლავ, აჰა აცხოველებ. ჯელმწიფეო, საკურველითა შენ სძლიე ათასთა, ხოლო სახიერებითა უმრავლესთა. მადლობა ჩტნი, სიყუარული ჩტნი შენდა არა მექონ არიან სამზლუართა; გარნა შენი მამობრივ ჩტნდამო სიყუარული აღმატებულებს გრძნობათა ჩტნისა შენდამი

¹ v 89 და r 90 გვერდებს შუა ხელნაწერში ჩაკრულია ერთი ფურცელი ქალაღი, რომელზედაც იმავე ხელით, რომლითაც ზიტრაპოლიტი პლატონის წერილია დაწერილი, ჩაწერილია ვრცელი ტექსტი ამ ფურცლის ორივე გვერდზე და ნაწილობრივ r 90 გვერდზედაც. ტექსტი წარმოადგენს იმპერატორი ალექსანდრეს შესხმას² ეს სიტყვა ზემოდანაა ჩამატებული.

ერთგულებისა და აღმსარებლობისათა. შენ ჩუენ ზედაცა ხარ მძლეველ. შენ დღესასწაულობ თვსთაცა ზედა. მეფევე! უფალი შენთანა! იგი ვმითა შენითა უბრძანებს სასტიკთა და ეგების მყუდროებასა შინა. | და დასცხრებიან ღელვანი წყალთა წარმ-
 ლუნელთანნი. ჩუენთანა არს ღმერთი, სცანთ წარმართთა და იძლიენით, რამეთუ ჩუენთანა არს ღმერთი“.

წელსა 1812, ოდეს წარავლინეს სანქტ პეტერბურლის მილიცია ესე იგი მორიგე¹ პეტერბურლიდამ, მიტროპოლიტმა ამბროსიმ წართქუა სიტყუა ესე და აკურთხა მხედრობა იგი ხატითა მაცხოვრისათა სობოროსა ისაკისა და დაღმბატისა-
 სა შინა.

ძრისტიანენო მხედარნო!

წამის ყოფითა უაღლესტესისა ერთმთავრისა ჩუენისათა აღძრულნი ვითარცა ვმითა თვს მეუფისა მეუფეთასა დაუყოვნებლად იმომდინარევეთ თქუენ სატახტოსა ამას ქალაქსა შინა, სთქუა და იქმნა ესრეთ. ესოდენ თქუენ სარწმუნო და მორჩილი ტახტისა, ესოდენ თქუენ კეთილმსახურ, ესოდენ პატიოსან, ესოდენ ჰყუარობთ მამულსა თვსსა. ზი ღირსნო შთამობავლობანო გულოვანთა სლავიანელთანო! გიწოდა თქუენ ერთმთავარმან წინა დამდებმან შეშინებასა თვსისა სამკვიდრებელისასა, და თქუენ განსცხადენით თავთა² თვსთა განმზადებითა დადებად მისთვის სიცოცხლისა თვსისა. გიწოდათ თქუენ მამულმან და ეკკლესიამან დამუქარებულმან გალთავან შემუსვრითა, ღალიღვეელთავან შეიწრებულთა მრავალთა სამეფოთა და ერთა დამთრგუნველთა ყოვლისა სიწმინდისათა, შემაბილწებულთა ეკკლესიათა ღთისათა, დამთხევთა მდინარეთა სისხლისა კაცთასა. და თქვენ დაცვისათვის ბათისა შეგიმოსიეთ ყდ საქურველი იგი ღთისა, განგისწავლებიესთ ჯელნი თქუენნი განმხედრებისადმი და აღვიძახავს თითნი თქუენნი ბრძოლისათვის, და აჰა განვედით საქმესა და შრომასა თვსსა დილითვან ვიდრე მიმწუხრადმდე, განვედით არა შემუსრვად უცხოთა მხარეთა შემაწუხებელად კაცობრიობისა, ად შემუსვრად და დარღვევად წინააღმდეგისა ღთისა და კაცთასა, განვედით დაწვლილებად მისსა ვი-

¹ უკანასკნელი 3 სიტყვა ზემოდანაა ჩამატებული. ² ეს სიტყვა ორჯერაა გაკეორებული.

თარცა მტჰსრი წინაშე პირსა ქარისასა, და ვითარცა თიხა უბნისა დათრგუნვად მისა. ჭი რუსნო! ჭი ერო! დიდებაო მეფეთა თქჰსნთაო! პატიეო მარცხადიდებელისა ეკკლესიისაო! სიმტკიცეო მამულისაო! მცველო სასაყდროთა ქალაქთაო, მშჰსნიერებაო რუსეთისა მიწისაო! იმედო ტანჯულისა ევროპიისაო! ქრისტიანენო მხედარნო! თანა მემამულენი თქჰსნი მოსკოვსა მხედრობა განვიდა უკჰს სარბიელსა ზედა ბრძოლისასა და გულოვანსა რუსეთისა მხედრობასა მამაცად ეთანამონაწილეების განგმერად წინააღმდეგთა, მიმბაძველნი მისნი წარვედით მოსწრაფედ და შეუშინებულად თქჰსნდა განწესებულსა გზასა ზედა უფლისასა, წარვედით საყუარელნო ღთისა და მეფისა ჩჰსნისანო, გარდაცვით და წარემართენით, უიკოდ მრწმუნებელნი, რომელ წინა გიძღვის თქჰსნ თვით ღმერთი, დამცველი ყოველთა მსასოებელთა მის ზედა; და ჩჰსნ ყოველსა თანა შეკრებილებასა | ეკკლესიისასა არა დაესცხრებით მხურვალითა ვედრებითა განთიად, მიმწუბრი და შუა დღე მოწვევად თქჰს ზედა ყდ ძლიერისა მისისა შემწეობისა, შესაჯედრებელისა და მფარველისა. წარვედით ერთითა განზრახვითა დათრგუნვად ბოროტმოქმედისა და მხედრობისა მისისა, ნუ ზრუნავთ სახლეულთა თქჰსნთათჳს, რომელთა იღვწის და ჰფარავს უკაცთმოყუარესი ქელმწიფე. საზოგადო მამად ჩჰსნი, ალექსანდრე პირველი. წინდსა ამას შინა ყოვლისა აღთქმისასა გაძღვეთ თქჰსნ წმინდასა ხატსა უფლისა ღთისა და მაცხოვრისა ჩჰსნისა იესო ქრისტესსა, ამით გაკურთხევთ თქჰს სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა ამინ.

ხოლო ამა კუტუზოვმა წარმოიყვანნა ესენი და¹ მიიყვანნა სოფელსა ბოროდინად სახელდებულსა, რომელიცა შორავს მოსკოვით ასისა ვერსითა, და ჰქმნა მუნ ბანაკი და დადგა მუნ. ამისი მხილველი ნაპოლეონ, იპერატორი ფრანცისა, შეუდგა უკანით რუსთა² სმოლენცკიდამა და ესეცა მოვიდა და დაიბანაკა მახლობელ კუტუზოვისა, რომელიცა შორევდა ბანაკსა კუტუზოვისასა ათითა ვერსითა. ხოლო წელსა 1812, აგვისტოს 25, დღესა კვირიაკესა დაბნელდა მზე და მოივლო ორი გრკალი სისხლის მგზავსი გარს ცისარტყელასავით და იღვა

¹ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: მოვიდნენ. ² ეს სიტყვა ზემოდანა ჩამატებული.

ვიდრე მწუხრადმდე, რომელიცა მოასწავებდა დღისა მეორისასა დიდსა ბრძოლასა და სისხლთა დინებასა.

§ 94

ბრძოლისათვის რუსთა და ფრანცუცთაგან აღვილსა ბოროდინასა¹

წელსა 1812, აგვისტოს 26, დღესა ორშაბათსა დილასა. r 91
სათსა მეხუთესა დარაზმდენ რუსნი და ფრანცუცნი პირისპირ ურთიერთასა სოფელსა ბოროდინასა, რომელიცა შორავს მოსკოვით ასისა ვერსითა², და იწყეს ბრძოლა ეგეთი. რომელ არავისა ახსოვნან ეგეთი ბრძოლანი და არცალა ისტორია მოგვეითხრობს, რამეთუ დღე იგი იყო ვითარცა წყვდიადი კომლთაგან ზარბაზნათსა, და ქუხდენ ზარბაზანი ორსავე მხარესა ვითარცა ცის გერგვინეა³, რა აქენდათ ფრანცუცთა ზარბაზანი ორი ათასნი, ხოლო რუსთაცა იყო ზარბაზანი ათასნი⁴. დღესა მას დიდად იბრძოლა თავადმან პეტრემ ბაგრატიანმან ღიანარალ-შეფმან, გარნა ეწია უბედურებაჲ, რომელ დაიკოდა ფეხსა შიგან ძლიერად⁵, და ამის გამო იწყეს რუსთაცა უკუნ ქცევაჲ, გარნა სილამემანცა გაჰყარნა ურთიერთისაგან, რომელიცა მოსწყდნენ მას დღესა შინა რუსნი ორმეოცნი ათასნი და დაიკოდა ოცდა ჩვიდმეტი ათასი და v 91
ღიანარალი მოკვდა ოცდა ოთხი, თვინიერ პოლკოვნიკისა და შთაჲ აფიცართა, რომელთა რიცხვი არა შესაძლებელ არს აღრიცხვად⁶. ხოლო ფრანცუცთა მხარესა მოკვდა მხედრობაჲ სამეოცი ათასი და შეპყრობილ იქმნა მრავალი ტყვედ და დაიკოდა ვიდრე ოცი ათასადმდე, და მოსწყდნენ მრავალნი ჩინებულნიცა მათნი⁷. გამხილველმან ამისმან კუტუბოვმან იწყო უკუნ ქცევა მით, რა მცირე ღა დაშთა მხედრობაჲ

¹ ეს სათაური მოთავსებულია კიდევ წითურით, შავია დასაწყისი ასო ღ. ² უკანასკნელი 7 სიტყვა სწერია კიდევ გამოტ. ნიშნით. ³ ამ სიტყვის შემდეგ დასმულია შენიშვნის ნიშანი, ხოლო კიდევ ამავე ნიშნით სწერია: „რომლისაცა ხმანი ისმოდეს ვიდრე სამოცსა ვერსსა ზედა“. ⁴ უკანასკნ. 5 სიტყვა სწერია კიდევ გამოტ. ნიშნით. ⁵ ამ სიტყვის შემდეგ დასწულია გამოტოვების ნიშანი, ხოლო კიდევ ამავე ნიშნით სწერია: „და ამ დაკოდილობისა გამო მოკვდა თავადი პეტრე ბაგრატიანი, კაცი სახელანნი და მხნე წლისა 44, დაკოდილობის შემდგომად იცოცხლა დღე 17 და მიიცივალა სეკდებრის 12 სოფელსა თავადის გალიციწისასა ლუბერნიასა ვლადიმერისასა“. ⁶ ეს სიტყვა მოთავსებულია კიდევ გამოტ. ნიშნით. ⁷ ეს სიტყვა ზემოდანაა ჩამატებული.

რიცხვით სამოცი ათასადმდე ¹, მოვიდა მოსკოვს და დაიბანაკა დევიჩის მონასტრის მეიდანზედა, რომელ ადგილი ესე არს ² შიგ მოსკოვშია. ხოლო ნაპოლეონცა შეუდგა უკანა, მოვიდა მოსკოვისა სიახლოვესა და დაიბანაკა პსკოლონისა გორასა ზედა, რომელიცა შორავს მოსკოვით შვიდისა ვერსითა ³, | თვესა აგვისტოსა 31. მხილველთა ამისთა დანაშთთა ხალხთაცა ⁴ მოსკოვისათა იწყეს ლტოლვა შემძლებელთა, გარნა დაშთენ შინა შეუძლებელნი ხალხნი. მხილველი ამისი აღიყარა კუტუზოვიცა, განვიდა მოსკოვით და წარვიდა კოლოვნისა გზით. და ეგრეთვე მართებელობაცა მოსკოვისა განიტანეს სენატითა და საუნჯეცა ხელმწიფისა და ხაზინაცა და ნივთნი ეკლესიისანი და მონასტრისანიცა და წარგზავნეს ყაზანს ⁵.

§ 95

აღებისათვის მოსკოვისა ⁶

ხოლო წელსა 1812, თვესა სექტემბრისა 2, დღესა ორშაბათსა აღიღო ქალაქი მოსკოვი, იპერატორმან ფრანციისამან ნაპოლეონმა და შევიდა დიდისა დიდებითა და დადგა ძველსა სასახლესა რუსთა იპერატორთასა, სადაცა ეკურთხებოდნენ ⁷ ხელმწიფედ და გარდაიხდიდნენ დღესასწაულსა დიდსა, გარნა ხალხთა არარაჲ ავნო, გამჭკრეტმან ამისმან — ჰგონებდა ხალხ-
 v 92 თაგან ხელმწიფედ აღსარებასა რუსეთისა ⁸ თავისა თვისისასა და სწადდაცა კურთხევაჲ რუსეთის იპერატორად, გარნა რუსთა არა მიხედეს მას, არამედ სრვიდენ მხედრობას მისსა გლეხნი კაცნი, სადაცა ჰპოებდენ და ეგრეთვე მოქალაქენიცა მოსკოვისანი. ამისი მსმენელი იპერატორი მონაპარტე განრისხნა ფედ და უბრძანა მხედრობას თვისსა, რათა იავარჰყონ ქალაქი მოსკოვისა და დაწვან სრულობით, რომლისა გამო იწყეს ხალხთა ვედრებაჲ მოსკოვისათა. თუმცა და ხალხი შეწყალებული იქმნა მისგან, გარნა ქალაქი, ეკლესიანი და პალატნი ხელმწიფისანი მოწვა და მოაოხრა. ხოლო ნალ-

¹ უკანასკნ. 3 სიტყვა სწერია კიდეზე გამოტ. ნიშნით. ² ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: ახ. ³ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: მხილ. ⁴ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: იწყეს. ⁵ სიტყვებითგან: „და ეგრეთვე მართებელობაცა...“ მიწერილია შემდეგ და მოთავსებულია მომეტებულად კიდეზე. ⁶ ეს სათაური სწერია კიდეზე წითურით, მხოლოდ დასაწყისი ასოები **С** და **Ш** დაწერილია შავად. ⁷ ტექსტში: ეკურთხებოდნენ. ⁸ ეს სიტყვა ხემოდანა ჩამატებული.

მითა გარდმოაბრუნა ციხე მოსკოვისა, რამეთუ თქმულ არს ვითარმედ, გარანვიდის პალატსა უპირველესსა¹ იპერატორისა, აღიტანაო გუთანი და მით მოხნაო. მოხსნა ჯვარი ივან ველიკის სამრეკლოსა და სენატს ლერბი და წარგზავნა პარიჟსა ორნივე ნიშნად². დაჰყო | ღღეფ ორმოცი მოსკოვისა შინა. r 93 შემეპირდნენ მხედრობანი მისნი უსაზრდელობითა. მაშინ წარგზავნა სიძე თვისი მურად მარშალი ოთხმეოცი ათასითა კაცითა, რათა მივიდეს და აღილოს ქალაქი კალუგისა, რომელიცა შორავს მოსკოვით ას³ სამეოცითა ვერსითა⁴, სადაცა იღვა რუსთა მხედრობისათვის სურსათი უანგარიშო. მსმენელმან ამისმან კუტუზოვმან კდ შეიკრიბნა მხედრობანი ას სამეოცი ათასი, წარვიდა, შეუკრა გზად კალულისა. მოსრულთა ფრანცუტთა ეწყო სოფელსა ტარუტინად სახელდებულსა, სძლო მათ და უკუნ აქცივა მოსკოვადმდე. მას ეამსა სვედ მონაპარტესი იქმნა დაბრუნებულ, რომელ მიზეზითა ამით ეწია ღთის რისხვად, ვინაფთგან მოსწვა და მოაოხრა და დააქციენა ეკლესიანი. ამისთვის განურისხდა ღმერთი და შეუდგა უბედურებისა კვალსა. | მსმენელი ამისი იპერატორი ნაპოლეონ v 93 აღიყარა მოსკოვით⁵ ოკდობრის 9 და წარემართა სმოლენცკისა გზით პოლშასა შინა. მაშინ ეწია რისხვა ღეთისა, იქმნა ესეთი ზამთარი და ყინელი, რომელ არვის ახსოვნან ეგეთი მძაფრი ყინელნი. იქმნენ მხედრობანი მისნი ფდ შემეპირებულ უსაზრდელობითა და სიცივითა. მოსწყდნენ⁶ მრავალნი ყინვისაგან და შიმშილისა⁷ და სკამდნენ ურთიერთსა. მაშინ შეუდგა კუტუზოვი უკანა, მოსწყეიტნა მრავალნი, აღილო თოფხანა პათი სრულებით, ალაფიცა მათი⁸ და მიჰყვა კდ⁹ ვილნადმდე. ხოლო მონაპარტე განერა ოდენ ოციათასითა ფრანცუტისა მხედრობითა და წარვიდა პარიზსა შინა. მისრული პა-

1. ეს სიტყვა ზემოდანა ჩამატებული. 2 ამ სიტყვის შემდეგ დასმულია გამოტ. ნიშანი, ხოლო კიდევ ამავე ნიშნით სწერია: „და ეწამა ღვდელი ერთი ურიათაგან, რომელიცა იმყოფებოდნენ ჯარად პოლშელნი მისთანა მწირველი“. 3 ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: ორ. 4 ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: წარს. 5 ეს სიტყვა ზემოდანა ჩამატებული. 6 ამ სიტყვის შემდეგ ტექსტში შენიშვნის ნიშანი ზის, ხოლო კიდევ ამავე ნიშნით სწერია: რ ფრანცუტთა არა აქვთ გამოცდილება ყინვისა გამო სიცივის, რომელ ქვეყანა მათი არს ფდ თბილი ჰერთა ვითარცა აღრიბეჟანი. ამის მიზეზისათვის ფდ მოუძღვრდნენ და იქმნენ დაკვეთებულ. 7 უკანასკ. ორი სიტყვა ზემოდანა ჩამატებული. 8 უკანასკნ. ორი სიტყვა სწერია კიდევ გამოტ. ნიშნით. 9 ეს სიტყვა ზემოდანა ჩამატებული.

ჩიქსა შეიყვანეს დიდისა დიდებითა და დღესასწაულებითა, და იღღესასწაულეს ფ'დ ფრანციელთა აღება მოსკოვისა¹. მაშინ რუსთა კ'დ დაიპყრეს პოლშავე სამზღვრითა თვისითა², რაჲცა პირველად ეპყრათ, და დადგნენ მუნ. მსმენელნი ხალხნიცა მოკრბნენ კ'დ მოსკოვისავე და იწყეს მოოხრებულთა შენობად. მსმენელი ამისი იპერატორი ალექსანდრე მხიარულ იქმნა ფ'დ და მიუბოძა ჯილდოდ³ კუტუზოვისა უგანათლებულესობისა ტიტულად და თავადობა სმოლენცკისა. მაშინ წარემართა იპერატორიცა პეტერბურხით პოლშას შინა დეკებრის 12⁴ და მივიდა მხედრობასა თვისთასა პოლშას, რომლისა გამო მიულოცა გამარჯვებად და აღავსო ყოველნივე საბოძავართა, რომლისაცა მისგლა იღღესასწაულეს მხედრობამ რუსთამან⁵ ფ'დ, გარნა პოლშელთა მეედრებელთა⁶ შეუნდო შეცოდებანი მათნი, რომელ ამათ მოეყვანათ ნაპოლონ, რათამცა განერინებინათ რუსთა ხელისაგან, და ავნესცა დიდი რუსეთსა, რამეთუ დროსა შემოსვლისა ფრანცუტთასა დაჰკლებოდა რუსეთსა დაწვითა და აოხრებითა ქალაქი 5 და სოფელნი 4000 მათ მიერ⁷.

§ 96

ხოლო წელსა 1812, ოკტობრის 20, მსმენელმან ყენმან ბაბახან⁸ დაპყრობისა გამო ფრანცუტთაგან მოსკოვისა მიუწერა ძესა თვისსა აბაზ მირზასა თავრისს⁹, რამეთუ ესე აბაზ მირზა იყო უპირველესი მართებელი¹⁰ სრულიად ადრბეეანისა, და ამას ჰყვა ახლად განსწავლულიცა¹¹ რეგულის მხედრობაიცა, რათა წარემართოს¹² საქართველოსა ზედა და განჰყაროს მუნით მხედრობანი რუსთანი. შემჭირვებულთა კახთა რუსთა მიერ თავადი¹³ დიმიტრი¹⁴ ორბელიანის გამო¹⁵,

¹ სიტყვებიდან: მისრული პარიჟს შეიყვანეს... სწერია კიდევ გამოტ. ნიშნით. ² უკანასკნ. ³ სიტყვა ზემოდანა ჩამატებული. ⁴ ეს სიტყვა სწერია კიდევ გამოტ. ნიშნ. ⁵ უკანასკნ. ⁶ სიტყვა სწერია კიდევ გამოტ. ნიშნ. ⁷ ეს სიტყვა კიდევ მიწერილი. ⁸ ეს სიტყვა სწერია კიდევ გამოტ. ნიშნ. ⁹ ამ სტრიქონის გასწვრივ კიდევ სწერია: ათანნი. ¹⁰ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: აღებისა. ¹¹ ტექსტში: თავრის. ¹² ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: ადრბეე. ¹³ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: რუსა. ¹⁴ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: კა. ¹⁵ ეს სიტყვა ზემოდანა ჩამატებული. ¹⁶ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: ყაფლანის შვილის. ¹⁷ ეს ორი სიტყვა ზემოდანა ჩაწერილი წაშლილი სიტყვის ნაცვლად.

რომელიცა მტერობდა¹ კახთა და აოხრებდა კახეთსა რამეთუ ეს დიმიტრი იყო რუსეთისა ღიანარალი. ამათაჲ იძულებულთა კახთა აღადგინეს ანბოხი, მოუწოდეს ალექსანდრეს, მეფის ირაკლის ძეს, რომელიცა იყო მას ეამსა ერევანს, და იწყეს მაგრებაი. მსმენელმან უპირველეს მართებელმან საქართველოსამან რტიშევმა² ამისმან მიუწერა ყარაბაღში მღვდომს ღიანარალ-მაიორს³ კიტლერევეცკის, რათა წარვიდეს პოლკითა თვისითა, რომელსა უწოდდენ პოლკსა მისსა ღრუზინცკის გარანდირად, და დაეცეს აბაზ მირზას არეზზე და ბრძოლა ჰყოს მისთანა, რამეთუ აქენდა შიში დიდი რტიშევსა ყიზილბაშთაგან მას ეამსა შინა, | რათა არა შემოვიდნენ r 95 ყიზილბაშნი კახეთს, და მიერთენენ კახნი. წარსრული ყარაბაღით ღიანარალ კიტლერევეცკი⁴ განვიდა⁵ მდინარესა არესსა და დაესხა ღამესა ერთსა, ოკდობრის 20, ყიზილბაშთა ადგილსა წოდებულსა ასლან ღუზსა. მხილველნი ყიზილბაშნი ამისნი იწყეს სილვეტოლად. მაშინ სდიეს რუსთა, მოსწყვიტნეს მრავალნი, მიუღეს ახალნი ზარბაზანნი 13, რომელიცა აქენდათ ანგლის კოროლისაგან მიცემული, და დიდი დროშანი რვანი. ეგრეთვე მოსწყვიტნეს სალდათნი ყიზილბაშთანი ათას ხუთასნი და ტყვე ჰყვეს ხუთასნი. ერთი მათი პოლკოვნიკი შეიპყრეს და რამთენიმე აფიცარნი. ხოლო რუსთა მხარესაცა მოკვდა სალდათი და აფიცარი ოთხმოცი; აღიღეს ალაფი მათი რუსთ და შემოიქცნენ გამარჯვებულნი. ხოლო იპერატორმან ალექსანდრემ მიუბოძა ღიანარალ-მაიორს კიტლერევეცკის ღიანარალ-ლეიტენანტობა ჯილდოდ ამისა⁶. | ხოლო v 95 შემოსრულმან მეფის ძემ ალექსანდრემან კახეთს მოწოდებითა კახთათა, მოსცეს პირი მტკიცე კახთა და მოუწოდეს ლეკთაცა დალისტნით, სადაცა მოვიდა ლეკთა ჯარი რვა ათასი. მაშინ წარგზავნა პირისპირ კახთა საბრძოლველად დიმიტრი ყაფლანიშვილი და ღიანარალი სვიმონოვიჩი. მისრულთა ამათ მოეგება ალექსანდრე⁷ მანავს⁸. შეიბნენ რუსნი და კახნი. იძლია რუსთაგან ალექსანდრე და მივიდა ქიზიყს, განამავრა ქიზიყი,

¹ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: აოხ. ² უკანასკნ. ³ სიტყვა სწერია კიდევ გამოტ. ნიშნ. ⁴ ეს სიტყვა ზემოდანაა ჩამატებული. ⁵ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: მი. ⁶ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: არ. ⁷ სიტყვებიდან: „ხოლო იპერატორმან ალექსანდრემ...“ სწერია კიდევ. ⁸ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: ხანგრის ყელში ივრის პირზე. ⁹ ეს სიტყვა სწერია კიდევ გამოტ. ნიშნით.

და ღვა მუნ. მისრულნი მუნ რუსნი კ'დ შემოება ალექსანდრე-
 მოსწყვიტნა მრავალი რუსნი¹ და უკუნ აქცივა რუსნი². ხოლო
 რუსთა დაუტევეს გზა ქიზიყისა, მივიდნენ ჩალოუბანს, გარ-
 დავლეს გზა ჩალებნისა და ჩავიდნენ ველის-ციხეს. მაშინ
 მიშკარბაში იოსებ ბებუთოვი, რომელიცა იყო მოურავი ყა-
 ზახისა, მოუხდა ყაზახ-შამშადილის ჯარით და მოარბია დი-
 დათ ქიზიყი და წარილო საქონელი და ცხვარი მათი, და ეგ-
 რეთვე ქარელთაცა წარტყვენეს წინა-მხარი ბრძანებითა რუს-
 თათა³. მხილველთა | ამისთა ქიზიყელთაცა დაუტევეს ალექ-
 სანდრე და მიერთვნენ კ'დვე რუსთა. მაშინ ალექსანდრე-
 წარემართა და განვიდა შილდას. მოკრბნენ ყოველნივე გაღმა-
 მხრელნი ლეკითურთ და შეკრეს განსავალი ალაზნისა. მაშინ
 მხილველნი რუსნი განვიდნენ პირისპირ ველის-ციხისა, და
 იქმნა მუნ ბრძოლა ძლიერი. მოსწყდა უმეტეს ბრძოლასა ამას
 შინა რუსნი, გარნა იძლია ალექსანდრე მუნცა რუსთაგან და
 წარვიდა ხევსურეთს. მხილველნი თავადნი კახეთისანი დაშენენ
 მუნ, გარნა იშიშოდნენ რუსთაგან. ამისთვის წარგზავნა ბოდ-
 ბელი მიტროპოლიტი იოვანე მყაჟვილი და კარის წინა-
 მძღვარი ელევთერ ზუკაკიშვილი ღიანარალ დიმიტრიმ ორ-
 ბელიანმა, რათა არწმუნოს ფიცით თავადთა კახეთისათა
 უვნებლობაჲ რასთაგან და დაცხრონცა აბოხიცა და მოვიდნენ
 მისთან, და ! მუნ უურვოს⁴ ყოველნი⁵ საქმენი მათნი უპირველეს
 მართებლის წინაშე და არარაჲ ევენოს მათ. მისრულმან ბოდბელ-
 მან დამარწმუნებელმან მათმან წარმოიყვანნა თავადნი სრულებით
 და მიგვარა⁶ ლაკებზედ⁷ ორბელიანს დიმიტრის. მაშინ დიმიტ-
 რიმ შეიპყრნა ესენი სრულებით წელსა 1813⁸ და წარუვლინა
 ტფილის უპირველეს მართებელს რტიშოვს, ხოლო მან წარაგ-
 ლინნა ივინი სიბირს⁹ პატიმრად, რომელნიმე ჯინჯილითა-

¹ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: და უკუნ. ² ჯკანასკნ. ³ სიტყვა სწერია კიდევუ გამოტ. ნიშნით. ⁴ სიტყვებიდან: „და ეგრეთვე ქარელთაცა“... სწერია კიდევუ გამოტ. ნიშნით. ⁵ ტექსტში: უურვოს. ⁶ ტექსტში: ოყველნი. ⁷ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: თელავს. ⁸ ეს სიტყვა კიდევუ მოთავსებული გამოტ. ნიშნით. ⁹ თარიღი კიდევუ სწერია გამოტ. ნიშნით. ¹⁰ ამ სიტყვის შემდეგ გამოტოვ. ნიშანია, ხოლო კიდევუ ამავე ნიშნით სწერია: ქალაქსა ტობოლცკისასა და პერმისას, რ' ორათ განჩყვნა პერობილნი იგი რომელიცა შორავს საქართველოით ვერსითა. 12 ათასითა, ხოლო მამულნი და ყმანი მათნი მიუხვნა და ჰყო სახელმიწყოთ.

ქვევითად და რომელნიმე ურმითა, რომელთა თავადთაგანი ესენი იქმნენ დაკარგულ¹.

თავადნი კახეთისანი:

- 1 მნდრონიკაშვილი სვიმონ სიძე მეფისა გიორგისა 13.
- 2 მნდრონიკაშვილი მინბაში აბელ.
- 3 მნდრონიკაშვილი მარტყოფის მოურავი, ივანე ზურაბის ძე.
- 4 შვილი მისი ზურაბ, მოკვდა პერმს წელს 1814.
- 5 ძმა მისი რევაზ. ესე სამნი მარტყოფის მოურავის ზაა-ლის სახლიდამ დაიკარგნენ.
- 6 მრასტიშვილი დიმიტრი, დავით სალთხუცესის ძე.
- 7 მრასტიშვილი ერასტი ვასილის ძე.
- 7 მნდრონიკაშვილი დავით მზეკაბუჯის ძე. r 97
- 8 აბაშიძე დავით იოვანეს ძე.
- 9 აბაშიძე ნიკოლაოზ სვიმონის ძე.
- 10 ონანაშვილი ასლან, მღივანი კახთა.
- 11 ძმა მისი ონანაშვილი ნინია.
- 12 ბებურისშვილი გურგენისშვილი.
- 13 აგათოშვილი გორჯასპი.

¹ ამ სიტყვის შემდეგ შენიშვნის ნიშანია. ხოლო ამვე ნიშნით კიდევბზე v 96 და r 97 სწერია: და ჰყო ბოროტი ესე დიმიტრი ორბელიანმან, რომელ თუშნი სამნი მომავალნი ცხვრით თვისით იერისა პირსა შეიპყრა იგინი შესმენითა მუხრანის ბატონის შვილის, სვიმონის შვილის ერპიასითა², რომელიც ესე ერმი იყო ბოროტსა ზედა ბოროტი და წარმართთა ზედა უწარმართესი და აბირებდის დიმიტრის და რუსთა მარადის ტირანობასა და ბოროტსა ზედა³, რეცა ესენიცაო იყვნენ აღეკსანდრესთანაო, და ესენი მოაშთო დიმიტრიმ მანავს და დააწვნა მერმე ცეცხლთა შინა, რომელთაცა არაარა აქუნდათ შეცოდებაჲ, და კდ სიღნაღს შინა მოაშთო ჯალაი ფანიანური, კაცი მზნე და სახელოვანი, და სხვანიცა მრავალნი, რომელთა სახელები შეუძლებელ იყო აღწერად. და ემსგავსებოდა ჟამი იგი ჟამსა მას ძველთა მტარვალთასა ხოცისა და ოზრებისა გამო უბრალთა ხალხთასა, რომელსაცა დღე ესე დღესასწაული უჩნდათ ქართუშლთა თავადთა და ზოგიერთა კახთაცა თანა მყოფთა დიმიტრი ყაფლანიშვილისათა.

² ამ სიტყვის შემდეგ გამოტ. ნიშანია, ხოლო კიდევ ამვე ნიშნით სწერია: ერთისა ზღმისა გულისთვის, რომელიცა მოეწონა მას და არა მისცეს ხმალი ივისი თუშთა მათ. ³ სიტყვებიდან: „და აბირებდეს დიმიტრის...“ მოთავსებულია კიდევუ გამოტ. ნიშნით.

14 აგათოშვილი სარიდან.

15 ჩერქეზისშვილი ივანე ნიკოლოზის ძე, მანავის მოურავი.

16 ჩერქეზისშვილი ბარძიმ.

17 ჩერქეზისშვილი ნინია ალადალისშვილი, კაკაბეთის მოურავი.

18 ჩოლოყაშვილი იოსებ, თუშთ მოურავის შვილი დურმიშხანისა.

19 ჩოლოყაშვილი ნიკოლოზ ჯარდანის ძე.

20 ჩოლოყაშვილი დიმიტრი.

21 იოსებ ჩოლოყაშვილი.

22 ღვეით¹ ჩოვაშვილი².

23 ჭავჭავაძე დიმიტრი.

24 სვიმონ.

25 იოსებ, ბეჟან დიანბეგის შვილი.

26 მაყაშვილი ომან.

27 მაყაშვილი იოსებ.

28 მაყაშვილი არსენი.

29 ჯანდიერისშვილი როსოების ძე სვიმონ.

30 ჯანდიერისშვილი გრიგოლ.

31 ჯანდიერისშვილი ნინია.

32 ჯანდიერიშვილი დიმიტრი. თავადნი კახეთისანი რიცხვით 33³.

აზნაურშვილები კახნი¹

1 საყდრიონისა მგალობლისშვილი დიმიტრი.

2 ხალთხუცესი პატა.

3 აბელაშვილი პაპუა.

4 მუშრიბისშვილი გოგია.

5 მუგენისშვილი გლაზა.

6 საგინაშვილი გლაზა.

7 საგინაშვილი რევაზ.

8 ნათალიშვილი სვიმონ.

9 შოდალაშვილი იოსებ.

¹ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: ჩოლოყაშვილი. ² ეს სიტყვა სწორია კიდევ გამოტ. ნიშნით. ³ უკანასკნელი წინადადება მოთავსებულია კიდევ გამოტ. ნიშნით. ⁴ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: და ქართველნი.

ძართლიდამ

1 თავადი ამილახვრიშვილი ედიშერ, რომლისაცა მამა ამ ედიშერისა ერასტი¹ მოკვდა მოსკოვს სამსახურსა შინა მეფის ძის იულონისასა წელს 1811.

2 თავადი ავალიშვილი სოლომან და პეტრე².

აზნაურნი საქართველოჲსანი

1 შატბერაშვილი ივანე, მოურავი კავთიხევისა. მოკვდა.

2 ძმა მისი მღვდელი ფილიპე.

4 სხვანი აზნაურშვილნი, რომლისა სახელნი არ ვიცოდით.

მღვდელნი ქიზიყისა და კახეთისა რიცხვით 20—ოცნი, r 98 ვარდა გლეხის კაცისა³, გაკრიკეს და დაჰკარგეს. ამათში ერთი გიორგი მღვდელი ჩახტაურიცა შილდელი და ზაქარია მღვდელი ვაჭირისა ქევხის დავითას შვილი. ხოლო დამშვიდეს კახეთი და მიხადეს ჯარიმა კომლზე სამი კოდი პური, რომელი იყო მას ჟამს რეას მინათულათ, და ერთი ბაჯაღლის ოქროდ და რომელნიმე ჯანღის თავნი გლეხნი მოაშთვეს და წყებლაში გაატარეს⁴, და განუჩინეს ესრეთ, რათა არა იყოს მართებლობად რუსეთისა. ად იყვნენ ყოველნივე მოურავნი თვის თვისად პირველყოფილნი მეფეთა დროსავე. გარნა გაჰყო კახეთი ორად: თელავის მაზრას განუწესა ალექსანდრე მცაშვილი, ეწყაბაშ ყოფილი მეფისა გიორგისა, ხოლო ქიზიყსა ჰყო მოურავივე მათი თავადი ენდრონიკაშვილი იოსებ. და ესენი მართვიდნენ საქმეთა კახეთისათა, და მათ ხელქვევით იყვნენ სხვანი წვრილნი მოურავნიცა⁵, და რადცა იყვის სათხოვარი უპირველესი მართებელი მისწერდის მათ, და იგინი მოჰკრეფდენ და მიუტანდნენ მას, და დაშთნენ ამა მართებლობითა ჟამ რაოდენმე⁶.

§ 97

წელსა 1812 განდევნა ყეენმან ბაბახან ხანი ლანქარაიანი- v 98 სა მუსტათა ციხით და დადგინა მხედრობანი თვისნი რეგუ-

¹ ეს სიტყვა სწერია კიდევ გამოტ. ნიშნით. ² უკანასკნ. ორი სიტყვა სწერია კიდევ გამოტ. ნიშნით. ³ უკანასკნ. ³ სიტყვა სწერია კიდევ გამოტ. ნიშნით. ⁴ უკანასკნ. ⁹ სიტყვა სწერია კიდევ გამოტ. ნიშნით. ⁵ სიტყვებიდან: „გარნა გაჰყო კახეთი...“ მოთავსებულია კიდევ გამოტ. ნიშნით. ⁶ უკანასკნ. ⁶ სიტყვა სწერია კიდევ.

ლისანი ციხესა ლანქარანისასა, რამეთუ ესე ლანქარანი აქენდათ დაპყრობილ დროსა სპარსეთის მემკვიდრეთა ხელმწიფეთათა სეფაბინთასა, რ' დაეპყრა დიდსა პეტრესა I იპერატორსა რუსეთისასა დროსა შაჰ თამაზისასა, და იყო მარადის ფლობასა ქვეშე რუსთასა. და ხანსა მუნებურსა აქენდა ჩამამავლობით ღიანარალ-მაიორობაჲ და ჯამაგირად ხუთასი თუმანი მანეთიცა. ესე აუწყა ხანმან ლანქარანისამან უბირველესსა მართებელსა¹ საქართველოსასა² რტიშევს. მაშინ მიუწერა რტიშევმან ღიანარალ-ლეიტენანტსა კიტლერევეცკის. რათა წარვიდეს და დაიპყრას ლანქარანი და აგოს კ'დ ხანი-
 r 99 ვე მისი მუსტაფა. მსმენელი ამისი წარემართა კიტლერევეცკი პოლკითა თვისითა და მივიდა თალიშს, დაიპყრა თალიში და მოადგა ციხესა ლანქარანისასა, რომელიცა ციხე ესე გამარჯულ იყო დიდათ ყიზილბაშთა მიერ, რამეთუ ციხე ესე ლანქარანი³ არს მაგარსა ადგილსა მდგარი, რ' მოუდის ცალმხრივ ზღვა კასპისა, მგორეს მხრით წყალი თვისი დიდი, ხოლო ორის მხრითა აქვს ტყიან-ბუჩქ-ქაცოვანნი. გამბილველმან ამისმან კიტლერევეცკიმ უყო ზედა დასხმა ციხესა მას იერიშითა⁴ და მიჰყუდა კიბენი. თუმცალა მოსწყდნენ რუსთა მხედრობანი და აფიცარნი მრავალნი, გარნა თვითცა კიტლერევეცკი ზოიწყულა დიდად და აღილო ციხე იგი, მოსწყვიტნა სრულიად ყიზილბაშთა მხედრობანი და ციხის-თაენი მათნი
 v 99 სარდლებითურთ მათით. მსმენელმან ამისმან იპერატორმან მიუბოძა ჯილდოდ ღიანარალ-ლეიტენანტსა კიტლერევეცკის⁵ ჯვარი წ'ისა მთავარ-მოწამისა გიორგისა მეორე ხარისხისა ვარსკელავეითა, და ეგრეთვე ჩინებულთ მუნ მყოფთა მხედრობათა ყოველთავე ჯვარნი და⁶ ხარისხნი⁷. ხოლო კ'დ დასვესვე მუსტაფა ხანი თალიშისა ლანქარანსვე და დასდევს ხარკიცა ვითარსცა აძლევდა პირველ.

ხოლო წელსა 1813, აპრილის 18, გარდაიცვალა უგანათლებულესი კნიაზი სმოლენცკისა, ღიანარალსიმუსი რუსეთისა. მხედართ-მძღვანი პირველი, კუტუზოვი ილარიონ მიხალიჩი, შესრული პრუსიისა მამულსა შინა, რომელსაცა მიეცა ესე

¹ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: რათა. ² ტექსტში: საქართველოსასა.

³ ტექსტში: ლანქარ. ⁴ ტექსტში: იერიშითა. ⁵ ეს სიტყვა კიდევ სწერია გამოტ. ნიშნით. ⁶ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: ჩინნი. ⁷ ეს სიტყვა სწერია კიდევ გამოტ. ნიშნით.

ზემოი ტიტულა სიმხნისათვის, ოდეს ფრანცუცნი განვიდნენ მოსკოვით, რომელიცა შეუდგა უკანა რუსთა მხედრობითა და ავნო დიდათ ფრანცუცთა. ხოლო გეამი მისი წარმოგზავნა იპერატორმან ალექსანდრემ, რომელიცა მოიღეს პეტერბურხს და დაფლეს ახალსა აღშენებულსა ყაზანის სობოროსა შინა. და ჰყვეს მოადგილედ მისსა კდ ლიანარალ-შეფი გარდაყენებული ბარკლი დე-ტოლი, რომელიცა შემდგომსა ეამ-შია იქმნა ღრაფი და ფერთმაშალიცა ღირსებისათვის სამსახურისა მისისა¹.

§ 98²

I

სახე გამოცხადება ცასა შინა, რომელიცა იხილებოდა მოსკოვით დეკენბრის 5, წელს 1812, შემდგომად შუა ღლისას სათსა მერვესა ვიდრე 9 სათის შესრულებადმდე, ღამეს გამოჩნდა³ მთოვარე ამ სახედ ცაში, მოწმენდილს ჰერში, შემდგომად მოსკოვის აღებიდამ გასულსა თვესა 3-მესა. ესე დაბეჭდილი არს რუსულათ და მოსწაეება⁴ ამისი აღწერილ არს ორისავე და დაბეჭდილი და იქილამ გადმოგხატე.

2⁵

ხოლო წელსა 1812, ნოებერს 28, ღამესა მეცხრე სათსა გამოჩნდა მთოვარე ამა სახითა ზემორითა, და ვქვრეტლით ყოველნივე განკვირებულნი მოსკოვით შემდგომად ფრანცუცთა აღებისა. ესეცა დაბეჭდილ არს რუსულათ.

§ 99

v 99

ხოლო წელსა 1813, იენისის 1, დიდსა⁶ დღესასწაულსა სულის წმინდის მოსვლისასა, მზემან 12 საათსა შუადღისასა 1) ორი მგვრგვალი გრკალი შემოივლო გარს ცის-სარტყელის მგზავსად. 2) ხოლო კდ ეელო მგრგვლივ გრკალი ნათლისა

¹ უკანასკნელი აბზაცი მთლად მოთავსებულია r 99 გვერდის კიდებზე.
² ეს პარაგრაფი მოთავსებულია v 98 გვერდის კიდებზე. ³ ამ სიტყვის შემდეგ მოთავსებულია წითელი მელნით შესრულებული ნახაზი 1. ⁴ ტექსტში: მსწეება.
⁵ ამის შემდეგ მოთავსებულია წითელი მელნით შესრულებული ნახაზი 2. ⁶ ეს სიტყვა კიდებზე სწერია.

თეთრი. 3) ხოლო კ¹დ 4 კუთხივ აქენდა ბურჯის მგზავსნი
 ორი წითელი და ორი თეთრი. ჰერი იყო განწმენდილი ფ¹დ,
 r 100 და იხილვებოდა ესე ნიჟნა ნეოგოროდის ქალაქილამ და
 მცირედ მოსკოვიდამაცა. და იდგა მზე ესე 12¹ სათილამ
 ვიდრე მზის ჩასვლამდინა. ხოლო ოდეს დავიდა მზე, ესეცა
 დავიდა მის თანა, და² თუ რისა მომასწავებელ არს, თვით
 ლმერთმან უწყის.

§ 100

ხოლო წელსა 1813³ წარემართა იპერატორი ალექ-
 სანდრე საქსონიასა ზედა. მისრულმან აღილო ქალაქი საქ-
 სონისა დრეზდინი თვესა აპრილსა 13, დღესა წ¹ისა აღდგო-
 მისასა. მსმენელი იპერატორი⁴ ნაპოლეონ წარემართა თვი-
 სითა მხედრობითა, მივიდა დრეზდინს, ეკვეთა რუსთა და
 პრუსიელთა, სძლო და წარმოიყვანა უკანა ძლეულნი სამოცი
 მილი (ერთი მილი არს 7 ვერსი)⁵, აღილო⁶ დრეზდინი⁷
 ივლისის 5 და დაიპყრა თვით. უკუნ ქცეულნი რუსნი მოვიდ-
 v 100 ნენ და დაიბანაკეს ლეპციხს წოდებულსა ადგილსა. | მაშინ
 იპერატორმან ალექსანდრემ სთხოვა შერიგებაი პემანითა
 40 დღითა, რომელსა ზედა დართო ნებაჲ⁸ იპერატორმან
 ნაპოლეონ. და მიმღებმან ამისმან იპერატორმან ალექსანდ-
 რემ აზრახა კეისარსა, რათა იგიცა მწე ეყოს და ბრძონ
 ფრანცუტთა ერთათ და მილოს მან ადგილი იგი თვისი, რაიე-
 ცა აქენდათ მიღებული ფრანცუტთა. მსმენელი ამის კეისარი
 ეთანხმავა რუსთა, მოსცა ძალი და ჯარი და მოვიდა თვითცა
 ლეიპციხს და ჰყვეს პირი მტკიცე. მაშინ ამისი მსმენელი
 ნაპოლეონ წარმოემართა მათ⁹ ზედა. ეკვეთნენ ესენი, იქმნა

¹ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: სათისაც. ² ამ სიტყვის შემდეგ წაშლი-
 ლია: ოდეს. ³ აქ დასმულია შენიშვნის ნიშანი, ხოლო კიდევუ ამვე ნიშნით სწე-
 რია: „ხოლო წელსა 1813 გამოჩნდა ვარსკვლავი ივლისის, 7 სათსა 11
 ღამესა კვირიაკესა აღმოსავლეთის მხარესა. ვარსკვლავი ესე იყო წითელი და
 დიდი მსვავსი სისხლისა, რომელიცა ვიხილე თვალითა ჩემითა, და ჩემთანა
 მყოფთაცა იხილეს მოსკოვს და სხვათაც მრავალთა იხილეს“. ⁴ ამ სიტყვის
 შემდეგ წაშლილია: ალექსან. ⁵ სიტყვებიდან: „ეკვეთა რუსთა და პრუსიელთა...“
 სწერია კიდევუ გამოტ. ნიშნით. ⁶ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: კათა. ⁷ ეს
 სიტყვა ზემოდანაა ჩამატებული წაშლილი სიტყვის ნაცვლად. ⁸ ეს სიტყვა ზემო-
 დანაა ჩამატებული. ⁹ ტექსტში: მამათ.

ბრძოლა ძლიერი რუსთა, ავსტრელთა და პრუსიელთაგან ძლიერად ერთად შერთებულთა, თვესა ოკტომბერს 19. და იქმნა ბრძოლა და სისხლთა დინება ესრეთ, რომელ არ- r 101
ოდეს თქმულა, და განგრძელდა ბრძოლა იგი სამსა დღესა და ღამესა¹. მაშინ იძლივა იპერატორი ფრანცუცთა ნაპო-
ლეონ და წარვიდა ძლეული ფრანციასა შინა. ხოლო ამით მისრულთა კდ დაიპყრეს დრეზდინივე და აღიხვნეს სხვანიცა ციხენი მათნი. წარემართნენ და დაიბანაკეს მდინარესა ზე-
და რეინისასა, რომელიცა არს სამძღვარი ფრანცისა და ევ-
როპისა ძველი.

§ 101

წელსა 1813, დეკემბრის 18. ხოლო წელსა ამას შერიგდა ყენი სპარსეთისა ბაბახან იპერატორსა ალექსანდრეს პავ-
ლეს ძეს და განაწესეს სამძღვარი² საქართველოისა ესრეთ: დარჩა რუსეთსა ყიზილბაშთ სახანონი მამულნი³: 1 შარა-
ბალისა არეზადმდე, 2 ზანჯისა, 3 შაქისა, სრულიად შირ-
ვანისა, | 4 ღარუბანდისა, 5 ბაქუსი, 6 შუბისა, თალიშისა v 101
და 7 სრულიად დაღისტინისა. გარდა ამისა სრულიად 8 საქართველოისა ვიდრე შორაგლადმდე, 9 იმერეთი, 10 მეგრელია, 11 აფხაზეთი, 12 გურია. ესენი დაშთნენ ფლობასა ქვეშე რუსთასა, ხოლო ყენსა დაშთა ერევანი და ქვემო სპარსეთი ხურდა-ფირინის გაღმა, რომლისა გამო იქმნა მშვიდობა სპარსთა და რუსთა შორის. გარნა ვაჭარნი დაშთნენ თავისუფალ ვაჭრობათა ორსავე მხარესა⁴.

§ 102

წელსა 1814, იანვრის 1, იღღესასწაულა იპერატორმან ალექსანდრე დღესასწაულობა ახალწლისა მდინარესა ზედა რეინისასა და ანიქნა მხედართ-მძღვანთა თვისთა ღირსები-
სამებრ თვისისა სახელონი და კავალერიანი. ხოლო დღე-
სასწაულსა | წინსა განცხადებისასა, 6 იანვარსა, აკურთხებინა r 102
მდინარე იგი რეინისა, რომელ არაოდეს არა შესულიყვნენ მუნ რუსთა მხედრობაიჲ, რომელიცა დასდვა დღე იგი მოსახ-

¹ უკანასკ. 8 სიტყვა სწერია კიდებე. ² ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: ქართლისა საქ. ³ ტექსტში: მამლნი. ⁴ სიტყვებიდან: „გარნა ვაჭარნი დაშთნენ...“ სწერია კიდებე გამოტ. ნიშნით.

- სენებელად რუსეთსა შინა. მისრულმან ნაპოლეონ შეიკრიბნა კდ დანაშთნი მხედრობანი და დადგა მახლობელ პარიჟისა და სთხოვა სენატსა თვისსა, რათა მოსცენ კდ ახალი მხედრობად და აღუთქვა ფიცით ძღვევად მტერთა თვისთა, თუმცა ლა სწადლა სენატსა მიცემა ჯარისა, გარნა ვინათგან უშინაგანესი მისი მინისტრი¹ ტალერან იყო კაცი ვერაგი, ამან არლარა ინება ჯარის მიცემა ნაპოლეონისად, რომელს
- v 102 ერჩიდენ ფდ ფრანციელნი სიტყვასა | მისსა. ამის გამო არლარა მისცა სენატმან ფრანცისამან შემწეობაი იპერატორსა თვისსა. ამისმა მსმენელთა იპერატორთა რუსეთისა და ავსტრიისამან და ეგრეთვე პრუსის კოროლმან და სხვათაცა წვრილთა კოროლთა და თავისუფალთა მთავართა და თავადთა ამა წვრილთაცა დაუტევეს ნაპოლეონ იპერატორი და შერთდენ ესენიცა რუსთა და ავსტრიელთა, განვლეს მდინარე რეინისა და შევიდნენ მამულსა ფრანცუკთასა. ამათი მხილველნი ყოველნივე ფრანცუკნი, მოსახლენი სოფელთა და ქალაქთა მცხოვრებნი, მოეგებებოდეს წინა სიხარულითა და აძღვედენ სურსათთა და საჭიროებათა მხედრობისათვის. დაახლოებულთა ამათ პარიჟსა ზედა, თუმცა ლა ნაპოლეონ-
- r 103 მან | შეკრა გზანი პარიჟისა მისასვლელნი, გარნა კუდ იქმნა შრომაი მისი. მისრულთა ამათ ეკვეთა. იქმნა ბრძოლა ძლიერი მარტის 14, მოსწყდა ორსავე მხარესა მრავალნი, გარნა იძლია კდ ნაპოლეონ და წარვიდა სხვასა მხარესა. და არლარ შევიდა პარიჟსა შინა, რომელ² ფრანცისა სენატმან მოსცა პირობით ქალაქი პარიჟისა, რათა არა იავარ იქმნეს, არც დაიწვას იგი, და მხედრობამან რუსთა და ავტრისამან და სხვათა იყიდონ თეთრითა სასდოი. მსმენელი ამისი³ ნაპოლეონ მივიდა ქალაქსა ერთს ფრანცისასა, რომელიცა შორავს პარიჟსა 60 მილითა, და დადგა მუნ დანაშთითა მხედრობითა თვისითა⁴.

¹ ამ სიტყვის შემდეგ ზის გამოტ. ნიშანი, ხოლო კიდევ ამავე ნიშნით სწერია: „ესე ტალერან იყო მწირველი პატრი მონასტრისა. ესე გამოიყვანა ნაპოლეონმან და მიანდო ყოველივე საქმე ფრანცისა და სენატისა, რ⁴ იყო ფდ მეცნიერ და გამოცდილი წვრილსა შინა“.

² ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: პარ.

³ ეს სიტყვა სწერია კიდევ გამოტ. ნიშნით.

⁴ ეს სიტყვა სწერია კიდევ გამოტ. ნიშნით.

ხოლო წელსა 1814 იძულებულმან რუსთაგან ყეენმან v 102. ბაბახან ყაჯარმან განიზრახა რუსთა თანა შეერთება და დამშვიდება, ვინათაგან ვერლარა უძლო ბრძოლითა პირის-პირობაი რუსთ, რომელიცა იძლია მრავალგზის რუსთაგან ზემოწერილთა რიცხვთა შინა¹. და ამ მიზეზისათვის შე-რიგდნენ რუსნი და ყიზილბაშნი, რომელიცა ყეენმან ბაბახან წარგზავნა კარსა ზედა როსისასა მინისტრი თვისი მირზა აბულ აჰსან ხანი, შირაზელი, ნაიბი ევზირისა მისისა. ხოლო ესე მისრული მოსკოვს მიღეს დიდებითა დიდითა და პატივ სცეს ფრიად, რომელიცა იღვა მოსკოვს თვე 4. ხოლო წელსა 1815, მარტის 27, მივიდა ესე მირზა აბულ ასან ხან პეტერბურხსა შინა და იყო დღე რაოდენიმე გარე ქალაქისა მდგომი, რამეთუ იპერატორი ალექსანდრე ჯერეთ არღარ მოსრულ იყო ევროპიით, და ამ მიზეზითა მინისტრთა რუსეთისათა არა ინებეს შეყვანება ელჩისა მის სკო პეტერბურხსა შინა, რომელმანცა მოართვა ხელმწიფესა ფეშქაშნი ყეენისაგან წარმოგზავნილნი: სპილონი ორნი, ცხენნი კეთილნი 34 და არმაღანნი მარგალიტთა და თვალთა უფასოთა და ძვირფასნი შალნი².

§ 103³

შესვლისათვის პარიჟსა შინა რუსთაგან და ავსტრიელთაგან⁴

ხოლო წელსა 1814, მარტის 19, დიდ-მარხვის მეექვსე კვირის ხუთშაბათს | დღესა შევიდნენ პარიჟსა შინა იპერატორი როსისა ალექსანდრე, და იპერატორი ავსტრისა ფრანც, და პრუსის კოროლი ვილგემ, და სხვანი წვრილნი მეფენი და მთავარნი ევროპისანი დიდისა დღესასწაულობითა, და მოეგებნენ წინა ყოველნივე წარჩინებულნი და უმაღლესნი გვამნი ფრანცისანი და დასადგურეს რუსთა იპერატორი სახლსა შინა ტალერან მინისტრისასა. მაშინ მიუწერეს ამათ თანახმობითა ფრანცის სენატისათა ნაპოლეონს, რათა აღიხადოს ტიტულა იპერატორებისა, რომელსაცა ახადეს და გა-

¹ უკანასკნელი ოთხი სიტყვა ზემოდანაა ჩამატებული. ² მთელი ეს აბზაცი მოთავსებულია v 102 გვერდის კიდებზე. ხოლო შემდეგი §-ის სათაური და სტრიქონ-ნახევარი ისევ r 163-სუა განგრძობილი. ³ მოთავსებულია კიდებზე. ⁴ ეს სათაური წითლით (გარდა დასაწყისი ასო—შინისა) სწერია კიდებზე.

რ 104 ნუწესეს საცხოვრებლად კუნძული ერთი ზღვასა შინა, სახელდებული ელბად, რომელსა შინა მცხოვრებნი არიან ხალხნი ცამეტი ათასი სული, და განუწესეს წელიწადში ექვსი მილიონი თეთრი ფრანკის შემოსავლიდამა. მსმენელმა ნაპოლეონმან დაუტევა იპერატორება და წარვიდა ელბას ოსტროვსა შინა. ხოლო ძმანი მისნი, რომელნიცა იყვნენ სხვათა და სხვათა ადგილთა კოროლებად, მათცა დაატევებინეს, და წარვიდნენ იგინიცა რომელნიმე ამერიკასა შინა და რომელნიმე სხვათა და სხვათა საკოროლოთა. მსმენელთა ამისთა რუსთა იდღესასწაულეს პეტერბურხსა შინა დღესასწაულობითა დიდითა შესვლა პარიჟსა შინა მხედრობისა თვისისა¹.
ესე წერილი აღმოვსწერე პეტერბურხის გაზეთიდან წელს 1816 იანვრის 11 (ნუმერი არის გაზეთის 3)².

ჩუბნება

რომელმანმე მღუდელმან მათმან ლათინთამან, რომელსა კაპუცინად უხმობენ (ანუ ბერმან მათმან) თქუ სიტყუა ეს და აღწერა ჩვენებით ნახული ესე.

უწინარეს რეველუციისა (ანუ ჯანღისა) ფრანციასა შინა, სამისა წლისა უწინარეს ჟამისა სიკუდილისა თვისისა მისცა ძმასა თვისსა წიგნი დაბეჭდილი და სთხოვა, რათა არა განსხნას უწინარეს განსვლისა სამისა წლისა, რომელსაცა შინა ეწერა ესრეთ: ფრანციასა ზედა მოიწევის განსაცვიფრო რისხვა ღვთისა და მუნითგან განერცელდება ყოვლისა ევროპისა ზედა. გამოვალს კაცი ერთი, რომლისა საცხოვრებელი იქმნების საშუალ ზღუასა შინა (ესე იგი კორსიკანსა შინა) და რომელიცა განაკვირვებს მთელსა ევროპასა დაპყრობითა თვისითა. მას ექმნების ფრიადი სასტიკი ბრძოლად სახელმწიფოთა შინა საფრანგეთისათა და აწარმოებს მათ შინა მრავალთა მოხრებათა და შემდგომად ძლევა-შემოსისა თვისისა განავრცელებს ჩრდილოეთისა კერძო, სადაცა შთაითხევის იგი უფსკრულსა შინა დამდაბლებისასა. ხოლო მერვესა წელსა ამა უსამართლოისა ბრძოლისასა (ესე იგი 181³) აღდგების იგი პირისპირ საფ-

¹ სიტყვებიდან: „მსმენელთა ამისთა რუსთა...“ სწერია კიდევ გამოტანიშნით. პარაგრაფი 103-ის გასწვრივ v 103 გვერდის კიდევ სწერია შემდეგი ვრცელი ტექსტი: ჩუბნება. ² ამის შემდეგ წაშლილია წითურად დაწერილი: თხრობა ჩუბნებისა იპერატორის ნაპოლეონისად. ³ თარიღის უკანასკნელი ციფრი არ ჩანს.

რანგეთისა სამეფოისა (ისპანისა). ხოლო უკანასკნელ დაემხო-
ბის იგი არა თუ მახვილითა გინა ცეცხლითა, არამედ რომ-
ლითამე განსაცვიფროითა სასჯელითა, მოვლინებულითა ზე-
ციოთ გამო.

§ 104

წელსა 1814 აღადგინა კ'დ ღმერთმან დაცემული და
დამდაბლებული ძველი მემკვიდრენივე ფრანცისანი ბრბონნი-
ვე. მაშინ მიუწერეს იპერატორთა რუსეთისა და ავსტრისამან,
თანახმობითა კოროლთათა, მყოფსა ანგლიასა შინა ბრბონსა
ლუდოვიკს 17, რათა მოვიდეს პარიზსა შინა და იქმნეს კო-
როლი ფრანციისა, | რ' მიერ ღლითგან იყოფოდა იგი v 104
ლტოლვილი ანგლიასა შინა ლონდონს და სცხოვრობდა მუნ.
ოდეს¹ ფრანტუტა აღადგინეს ანბოხი და მოკლეს კოროლი
თვისი ლუდოვიკ 16, მაშინ ძმა მისი ესე ლუდოვიკ 17
ლტოლვილი სცხოვრებდა მუნ². მსმენელი ამისი ლუდოვიკ
წარმოემართა ანგლით და მოვიდა პარიჟს. მაშინ ჩინებულნი
ფრანცისანი მიეგებნენ წინა ყოველნივე სენატიოურთ, და
დასვეს კოროლადვე, და შეფიცეს ერთგულებასა ზედა და
ვეედრნენ, რათა არღარა მოიხსენოს სისხლი ძმისა თვისისა,
რომელიცა აღუთქვა ფიცით ლუდოვიკმაცა და შეუნდო ყო-
ველივე შეცოდებაი მათი³. ამან ლუდოვიკ ჰყო ზავი და
პირი მტკიცე ყოველთავე მეზობელთა შორის მშვიდობისა
და ეგრეთვე რუსთა თანაცა სიმტკიცე მშვიდობისა საუ-
კუნ|ოდ. გარნა იპერატორთა ჩამოართვეს ხალხნი ახლად r 105
შეძინებულნი ნაპოლეონისაგან რიცხვით ოცდა ექვს მილიონი
სული და დაადგინეს კ'დვე ძველსა სამზღვარსა ზედა,
რათა არა გარდახდენ ფრანციელნი საზღვართა თვისთა და
ეპყრათ ვ'ა აქენდათ პირველ კოროლთა თვისთასა. ხოლო
ლუდოვიკს უწოდეს კოროლი ფრანცისა. და არღარა იწოდებ-
იან იპერატორად, რ' ნაპოლეონმან მიღო მხოლოდ ტი-
ტულაი იპერატორებისა მხნეობითა თვისითა⁴. და დაშთნენ
მუნ ჟამით მშვიდობით.

¹ ტექსტში: ოდეს. ² ტექსტში: სცხოვრებდ მუნ. ³ ამ სიტყვის ნაცვლად
ჯერ დაუწერიათ: „მისი“, რომელიც შემდეგ წაუშლიათ და ზემოდან ჩაუმატებიათ:
„მათი“. ⁴ უკანასკნ. ორი სიტყვა სწორია კიდევ.

§ 105

წელსა 1814¹, ივნისის 14, მოვიდა იპერატორი ალექსანდრე პეტერბურხს გამარჯვებული, გარნა არა დიდებით შემოვიდა ქალაქსა შინა², რომელ მოქალაქეთა განაშვენეს ფ'დ ქალაქი იგი პეტერბურხისა³ შემოსვლისა მისისათვის და განუშადეს კარნიცა შემოსასვლელნი ძლევისანი⁴. და სე-
 v 105 ნატმაც | თვისმან თანხმობითა უწმინდესის სინოდისათა შეუმზადეს ტიტულაიცა ძლევისათვის და მიართვეს⁵, რომელსაცა უწოდეს „კურთხეული ღვთისა ალექსანდრე“. ამათი არცა ერთისა მნებებელი ეთანხმავა მათ, არამედ ესრეთ იტყოდა: „ჯერ არს მადლობა ღვთისა შეწირვა და არა ჩემდა ამისთვის, რომელ ღმერთმან მოანიჭა რუსთა ძლევა ესე მტერთათვისთა ზედა და არა მე“, რამეთუ არა დიდათ უყვარდა პატივი თავისა თვისისა სიმდაბლისა გამო, რომელი იყო მდაბალ ფ'დ. ხოლო წელსა ამასვე, ივლისის 22, დღესა წ'ისა მარიამ მაგდანელისასა, რომლისა დღესასწაულს ამას არს ხსენება სახელისა მარიამ იპერატრიცასი, დედისა მისისა. იდღესასწაულა დღე იგი იპერატორმან ფ'დ დღესასწაულობითა დიდითა პეტერლოფისა სასახლესა შინა და ანიქნა
 r 106 მრავალთა გვამთა ჩინებულთა კავალერიანი და სახელონი. | და იყო დღესასწაული იგი სამსა დღესა და განაშვენეს ბალი იგი დიდი ცეცხლისა ჩირალდნითა, სადაცა ენთებოდა სტაქანი აღთებული (ერთი მილიონი და სამოცი ათასი). ხოლო შადრევანნი იყვნენ წყლის-მცემელნი სამასნი. და იყო სიხარული დიდ და განცხრომა.

§ 106

წელსა 1814, აგვისტოს 1, ღამესა შაბათისასა, რომელიცა განთენდებოდა კვირა, ცისკრისა ჟამსა აღმოვიდა ვარსკვლავი ერთი ცეცხლის მსგავსი ხილვითა. ხილვა მისი იყო ეს-

¹ ამის შემდეგ წაშლილია: თიბ. ² ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია; „რბ“ და ზის გამოტ. ნიშანი, რომლის შემდეგ: „განაშვენეს ქალაქი“. ჩვენ ეს სიტყვები გამოვტოვეთ, ვინაიდან იგივე აზრი უფრო სრულად გატარებულია იმ წინადადებაში, რომელიც გამოტ. ნიშნით მოთავსებულია კიდევ. ³ უკანასკნ. 7 სიტყვა სწორია კიდევ გამოტ. ნიშნით. ⁴ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: ამისი. ⁵ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: უნა.

რეთ: 1 იწვიმა ცეცხლი წვიმის მზგავსად. 2 შეიცვალა¹ გრძელ ტახტსავეთ მსგავსი კანაფისა. 3 შეიცვალა სტოლის სახედ. 4 შეიცვალა სკამივით და კდ იწვიმა ცეცხლისავეთ. 5 მთოვარის სახედ შეიცვალა. 6 შემდგომად ამისა განიფანტა ესე ხილვად და იქმნა | კდ ვარსკვლავადვე, იქმნა ეა იყო v 106 პირველ. ხოლო ამისა შემდგომად ამავე ღამესა აღმოვიდნენ ორნი ვარსკვლავნი, ერთი აღმოსავლეთით და მეორე დასავლეთით. ცეცხლის მსგავსნი, რომელთაცა აქენდათ კუდნი გრძელნი მსგავსი კომეტისა და დახლოებულთა ურთიერთისადმი მიაბჯინეს თავი ერთმანეთსა და იღვნენ ესენი ჟამ რაოდენმე. ხოლო ამათგან იხილვებოდა ცვლილებად სხვათა და სხვათა ფერთა და სახედ. მოუთხრობენ ბრძენნი ამისთვის, ვითარმედ არა ოდეს ჟამს არ გამოჩენილიყოს ამგვარი ვარსკვლავი და არცა წერილთა შინა ეხილვოთ. ხოლო გამოჩენა ესე იქმნა ქალაქსა შინა პეტერბურხს. ესე ყოველივე ქეშმარიტი არის. ნაცილი ნურვის გგონიათ.

§ 107

წელსა 1814, აგვისტოს 25, | ღამესა სამშაბათს, სათსა r 107 10 დაბნელდა დიდათ მთოვარე შავად და გარს გრკალი ევლო სისხლის ფერი, წითელი, პეტერბურხსა შინა.

§ 108

წელსა 1814, ოკტობრის 12, ღამესა ორშაბათსა აღმოსავლეთის მხარესა გამოჩნდნენ სვეტნი მრავალნი ნათლისანი და, აღიწეოდა სიმაღლე მათი ზეცადმდე. ხოლო იყვნენ სვეტნი ესე მრავალნი და იხილვებოდა მათგან მრავალი სახეთა ცვლილებად და მრავალრიგ ნაკვეთებად, რომელიცა შეუძლებელ იყო თვითეულისა აღწერად, და იღვა იგი ვიდრე 10 საათადმდე, რომელიცა იხილა მთელმან საზოგადოებამ პეტერბურხისამან.

§ 109

ხოლო წელსა 1814, ნოენბრის 2, ღამესა ორშაბათსა გაქმოჩნდა ნათელი ალექსანდრე ნეცკის მონასტერში წის v 107

¹ ტექსტში: შეცვალა.

იოვანე ოქროპირის ეკლესისა გუნბათსა შიგნით და იღვა შვილსა ლაშესა პეტერბურხს. და მრავალთა მუნ მოწესეთა და ერთა იხილეს იგი.

§ 110

წელსა 1814, ნოემბრის 12, ღამესა 4 სათსა შუალამი-დამ აღმოვიდა თეთრათ ნათელი ერთი აღმოსავლიდამ და განანათლა სრულიად ცაჲ და აქენდა ხმაჲ ვა ზარბაზნისა. ღამე იგი იყო ფ'დ ბნელი დანისლოვანი, რო ეგრე განათლ-და ცაჲ ვა მზემან განანათლოს, რომელიცა ვიხილე მე თვა-ლითა ჩემითა, და სხვათაცა მრავალთა იხილეს და განკვირდ-ნენ ესოდენ ცვლილებასა პლანეტასა. ესენი, რაც აღვწერე, ქეშმარიტი არის. საცილი ნურავის გეგონებათ.

r 108

§ 111¹

წელსა 1814, ოქტომბრის 27², ღამეს ოთხშაბათს, რო-მელი განთენდებოდა 28, სათსა 12 გარდაიცვალა მეფის ირაკლის ძე ვახტანგ სკთ პეტერბურხსა, და დაფლეს ნემცკის მონასტერშია, ხარების ეკლესის კარიბჭეში.

§ 112

ხოლო წელსა 1814, აგვისტოს 30, იპერატორმან ალექ-სანდრემ კ-დ მიულო მამული ქსნის ერისთვისშვილებს ლიახვ-გვერდის-ძირითურთ და ჰყო კ'დ სახემწიფოდვე, ვა იყო პირველ ეამსა შინა დროთა მეფისა ირაკლისათა და მე-ფისა გიორგისათა სახასოდ, რამეთუ მამული ესე მიეცა თავადსა³ ციციშვილს პავლეს, რომელიცა იყო ღიანარალ-ან-შეფი და მთავარმართველი რუსთა საქართველოს შინა⁴, მონათესაობისა გამო მათისა, რომელთაცა შესრულთა ძეთა ქსნის ერისთვისათა აღადგინეს ანბოხი და ოხრებაჲ ხალხისა და ყიდვა ტყვეთა და ტირანობაჲ ესევეითარნი, რ' ცოც-
v 108 ხალთა კაცთა მარხვიდიან ! მიწათა შინა, და ვისაცა აქენდა გლეხთა მცირე რაჲმე მორეწილი საზრდოთ, რომელიცა ნაკლულევან არს ადგილი იგი მოსავლითა მთის სივიწროს

¹ სწერია კიდებე. ² ამის შემდეგ წაშლილია: დღესა. ³ ეს სიტყვა სწერია კიდებე. ⁴ სიტყვებიდან: „რომელიცა იყო ღიანარალ-ან-შეფი“ სწერია კიდებე გამოტ. ნიშნით.

გამო, მიუღებდიან, და რაცა აქენდათ სახლთა შინა, მასცა იავარსა უყოფდენ. გამრაველდა ვალალებისა ხმაჲ და აღიწივა ვიდრე ზეცადმდე საბრალოთა ხალხთა, რომლისა მსმენელი ამისი იპერატორი იქმნა ფ'დ წყინებულ და მიუღო ადგილი იგი სრულებით და ჰყო სახემწიფოდ და განუწესა მოხელენი მათნივე აზნაურნი, ვითარცა იყო პირველ დროსვე მეფეთასა, და მართებლობაცა მათივე დაუღო მზგაესადვე პირველისა. ხოლო წელსა მას დადგინა იპერატორმან არჯევან ფიცხელაურის ძე არქიერი დოსითეოს კავკასისა და შიგნით კახეთისა არხიეპისკოპოზად და წარავლინა ქართლს სასულიეროს მართებლად.

§ 113

r 109

ხოლო წელსა 1815, თებერვლის 14, საღამოს სათსა 9 იპერატორი ნაპოლეონ ფრანციელთა¹, მყოფი პატიმარი კუნძულსა შელბისასა, წარიყვანეს კ'დ ფრანციელთა თვისადვე კელმწიფედ, რომელსაცა ჰყვა თანა წვრილნი გემნი 4 სამხედროჲსა, რომელ თითოსა გემსა შინა ისხდა ათასი და ანუ ათას ხუთასი კაცი მეომარი. ამათ რიცხვში იყო ორი გემი სავსე პოლშისა მხედრობითა, რომელნიცა ფ'დ ერთგულებდენ მას. წარმომართებულმან და მოსრულმან დაიპყრა ქალაქი ტულონისა, რომელიცა სდგას ზღვისა პირსა, სადაც არს ნავთსაყუდელი მთელისა ფრანციისა. და მიერთგან წარმომართებულმან დაიპყრა კ'დ რაოდენიმე კუნძული ფრანციისანი. ხოლო წელსა 1815, თებერვლის 15, კ'დ გამოჩნდა ფრანცისა კერძო ვარსკვლავი კომეტა. ხოლო თვესა ამასვე წარმომართებულმან ნაპოლეონმან აღიღო ქალაქი ლიონისა v 109 იერიშითა, რომელ ესე ქალაქი ლიონი არს ფ'დ ვრცელი და ხალხთა სიმრავლე, რომელიცა ეთანასწორების პარიზსა და ეწოდების ქალაქსაცა ამას სატახტოი.

§ 114

ხოლო წელსა 1815, მარტის 9, ღამესა გამოჩნდა კუდიანი ვარსკვლავი² ბნელი. ესე იხილვებოდა ბნელად და პატარად და აქენდა კუდი წვრილი და გრძელი. ხოლო სახე

¹ ეს სიტყვა სწერია კიდევ. ² ამ სიტყვის შემდეგ ზის წითლით შენიშვნის ნიშანი, ხოლო კიდევ ამავე ნიშნით ხატია ამ ვარსკვლავის გამოსახულება.

ვარსკვლავისა იყო ხილვითა ვითარცა ცეცხლი ბნელი ანუ სისხლი. ესე ჩემის თვალთ ვიხილე, და რუსთაცა დაწერეს. გაზეთსა შინა, რომელიცა ეწერა ზომაცა მისი ღრადუსითა. და იღვა 2 თვე სკთ პეტერბურხსა შინა.

§ 115

ხოლო წელსა 1815, მარტის 12, კ'დ იპერატორმან ნაპოლეონმან დაიპყრა პარიეის ქალაქი და კოროლი მუნებური ბრბონი ლუდოვიკ¹ ახლად მოსული ანგლით განდევნა, რომელიცა წარვიდა ღალანდიაშია. და უმეტეს პირველისა განდღიერდა ნაპოლეონ.

r 110 ხოლო წელსა 1815, მაისის 3, ღამესა ორშაბათს საათსა 10 დასავლეთისა მხრიდამა წარმოვიდა ფრენით ვარსკვლავი ერთი², რომელსა აქვნდა თავი ვითარცა გველისა, ხოლო ბოლო მისი იყო გრძელი და მსგავსი ცეცხლისა, რომელიცა აფრქვევდა ცეცხლსა. ესე ვარსკვლავი წარმოსრული მოვიდა პეტერბურხს და შთავიდა პეტერბურხისა ციხესა შიგან, სადაცა არს რუსთ იპერატორთა სასაფლაო, და მუნ უჩინო იქმნა. ესე ნაცილი ნურვის გეგონებათ. ესე ქეშმარიტი არის, და ვიხილეთ თვალთა ჩვენთა და საზოკადობამაცა ს'დ პეტერბურხისამან.

ხოლო წელსა ამასვე 1815, მაისის 15, პეტერბურდსა შინა იწვიმა ციდაძა წვიმისა მსგავსად გოგირდი, რომელი არაოდეს თქმულა და არცვის უნახავს ესევეთარი საკვირველი, რომლისა ზედაცა დიდათ განცვიფრდენ ხალხნი მუნ მცხოვრებელნი და ეგრეთვე უცხო ხალხნიცა.

v 110 ხოლო წელსა 1815, თებერვლის³, მოკულდა იმერთა მეფე სოლომან არჩილის ძე, რომელსა ამასაცა ეწოდა დავით, ხოლო სიმხნისა მისისათვის უწოდა პაპამან მისმან ერეკლემ ზედშესრული ესე სახელი ბიძისა თვისისა სოლომან. ხოლო ესეცა დევნული რუსთა მიერ მოკულდა მწირობასა შინა ქალაქსა ტრაპიზონისასა მომსვრელისა სენითა⁴.

¹ ეს სიტყვა ზემოდანა ჩამატებული. ² გასწვრივ კიდევუხე ხატია ეს ვარსკვლავი წარწერით: სახე ვარსკვლავისა მის. ³ თვის რიცხვი არ ჩანს. ⁴ ამ აბზაცის გასწვრივ კიდევუხე სწერია: მეფე სოლომან არჩილის ძე გამეფდა იმერთს. წელსა 1790, ივლისის 1, და იმეფა წელი 21 იმერთს, ხოლო შემდგომად ამ წლისა გარდაიგდო მეფობიდა.

ხოლო წელსა 1815, აგვისტოს 11, ღამეს გამოჩნდა აღმოსავლეთისა მხარესა ვარსკვლავი ერთი დიდი მსგავსი ცეცხლის ფერი წითელი, რომელიცა მეტისა სიწითლითა ბნელად-ცა იხილვებოდა ს. პეტერბურხსა შინა.

ხოლო წელსა 1815, აგვისტოს 15, ღამესა კვირიაკესა, სათსა 10 პეტერბურხსა შინა სმოლნის მონასტერის ეკლესიის გუბათზედ ჩამოვიდა ნათელი მგვრგულად ეწა ბურთი და იხილვებოდა დიდად, რომელიცა ხან გაიშალის და ხან r 111 დამგრგვალდის. ესე ნათელი იდგა მას ადგილსა ვიდრე ორ საათამდე. ესე მრავალთა ხალხთა იხილეს და კეშმარიტი არს. ხოლო ამისა შემდგომად კდ ამაღლდა ზეცადვე ნათელი იგი. ეს მონასტერი არის სკოლად გაკეთებული, სადაცა დიდებულთა ქალნი სწავლობენ ყოველსავე წერილსა, რომელიცა არის თვით იპერატრიცასი საკუთარი სასწავლებელი.

ხოლო წელსა ამასვე 1815, აგვისტოს რიცხვსა 4, იქმნა ესეცა საკვირველი, რდ არაოდეს სმენილ არს რლ ეწვიმნოს ცასა წვიმა ქვისა. გარნა წელსა ამას როსიასა შინა, თვერის ლუბერნიასა შინა, იწვიმა წვიმა ქვისა სიდიდით ვიდრე ერთს ფუნთამდისინ, და ვინცა ვინ იპოვნენ ხალხნი გარე მას ეამსა მოისრნეს და მრავალი პირუტყვიცა მოსწყდა. ესე კეშმარიტი არის, ნაცილი ნურვის გვონიათ.

წელსა 1815, დეკემბრის 20¹, მილო² სპარსეთით მოსრუ- v 111
ლი ელჩად წარმოვლენილი ყაჯრის³ ყენის ბაბახანის მიერ, რომელსა ფათალი შად უხმობენ, აბულ აჰსან ხან ზანდი შირაზელი, რომელიცა იყო ბეგლარ-ბეგი შირაზისა. ხოლო ამას აქუნდა ნიშნად თვისი სახელმწიფოსაგან კავალერია ახლად შემოღებული სპარსეთისა, რომელსა უხმობენ ორდენ სონცად. თავსა ზედა ჯილაჲ და ჩინი აქუნდა ღიანარალ-შეფობისა. ხოლო ესე მოსრული დაშთა პეტერბურხსა შინა ეამ რაოდენმე, ვინათგან იპერატორსა ალექსანდრეს კდ აქუნდა ბრძოლა ფრანციელთა მიმართ მიზეზისა ამის-თვის, რ ფრანცუტთა უარჰყვეს აღთქმა თვისი, გამოიყვანეს ნაპალეონ ტუსალი ელბით და ჰყვეს კდ იპერატორადვე თვისად და განდევნეს კოროლი თვისი ბრბონი ლუდოვიკ 17. მისრულმან იპერატორმან როსისამან აზრაზა კეისარსაცა

¹ ეს რიცხვი გარკვეულად არ არის დაწერილი. ² ამის შემდეგ წაშლილია მუ. ³ ეს სიტყვა ზემოდანა ჩამატებული.

r 112 და | პრუსის კოროლსა და სხვათა ევროპისა ერთპირთა და ანგლელთაცა. მისრულნი შეერთდენ ესენი ერთხმად, ბრძოლა უყვეს ფრანკუტთა. იძლივა ნაპოლეონ და ძლეული მივიდა მხედრობასა თანა ანგლელთასა, და მათ წარიყვანეს ლონდონსა¹ შინა. ხოლო კ'დ მოიყვანეს ლუდოვიკ 17 და ჰყვეს კოროლად ფრანციელთა ზედა. და დაუდგინეს მცველნი ხელმწიფეთა რაოდენიმე მხედრობანი თვისნი და უკუნ იქნენ თვის თვისად.

მოსრულმან იპერატორმან როსისამან მიაგება წინა ელჩსა სპარსეთისასა ღიანარალ-ლეიტენანტი თავადი საქართველოსი სოლდაშვილი სვიმონ იორამის ძე, და სახელმწიფონი კარეტანი², და აღკაზმულნი ცხენნი და დარუდგინა პატივისათვის მხედრობანი ღვარდიისანი კართვან პეტერლოფისა ვიდრე კარადმდე ელჩისა, სადაცა³ იდგა თვთ 'ელჩი და შემოიყვანეს ამა დიდებით პეტერბურხსა შინა⁴. ხოლო კ'დ თვისა ამასვე 23 მიწვეულ იქმნა ელჩი იგი სასახლესა v 112 შინა | სახელმწიფოსა⁵, რომელიცა მიყვანილ იქმნა უმეტეს პატივითა. ხოლო ელჩმან მან სპარსეთისამან მიართვნა იპერატორსა წარმოტანებული ყვენისაგან არმადანი ძღუნად: სპილო 2, ერთი მამალი და მეორე დედალი, რომელთაცა ედგათ ბალდახინნი საუცხოთა ფარჩისანი და მუარყულნი სვეტნი ბალდახინისანი.

12 ბედაურნი ცხენნი ძვირფასნი და მშუშნიერნი თირმა შალის ჩულხურვილნი.

14 თირმა შალი ძვირფასნი.

14 დიბა ისპანისა ძვირფასნი.

3 კრიანასული მარგალიტისა რომლისაც სიმსხო იყო თითო თხილის გულის ოდენი, თვითოი ას-ასი მარკუალი.

წერილნი მარგალიტი სამი ხანგალი

2 ქუა ზურმუხტისა უებრო დიდი.

1 წყვილი მარგალიტის ბუდეშურის საყურე. თითო ბუდეშურის თითის სიმსხო და გრძელი.

r 113 მემიანი და საუცხო ფაზრნი | ყუთნი ისპანის, მოხატულნი და ეგრეთვე სარკენი, ისიც მოხატულნი და საწერელნი ისპანისანი.

¹ ტექსტში: ლონდოსა. ² ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: დამართულნი.

³ ტექსტში: სადასა. ⁴ უკანასკნელი 6 სიტყვა სწორია კიდევ. ⁵ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: პატივითა დი სადაცა ს.

სამნი ხმალი ძველნი: 1. დარიოზ მეფისა. 2. ლანგ თემურისა და მესამე დიდისა შაჰაბაზისა¹. ზემოხსენებულითა ყუთთა მათ შინა ეწყო (იგავად): სასწორი ოქროსი, დანა და მაკრატელნი. ესე იყო იპერატორისათჳს არმაღანნი და კ'დ სამი ორხუა ხორასნისა უძვირფასესნი.

ხოლო მეუღლისა მისისათჳს, იპერატრიცა² ელისაბედ აღექსივნასათჳს, წარმოგზავნილი არმაღნად იყო ესე:

6 თირმა შალი ძვირფასი.

6 ღიბა ისპანისა.

1 კრიანოსალი მარგალიტის.

ხოლო დედისა მისისათჳს³, მარიამ იპერატრიცასათჳს, იყო ესევე გვარად ვა იპერატრიცა ელისაბედისათჳს. ესე ყოველი მიიღო ხელმწიფემან | სასახლესა შინა ზიზნი დვარე- v 113 ცისასა წოდებულსა და ელჩმან მიართო წიგნი ყენისაგან წარმოტანებული, რომელსაცა ედვა ოქროს სინზედა და ედვა თავსა ზედა და ესრეთ მიართო წერილი იგი.

ხოლო წელსა 1816, იანვრის 12, გარდაიხადა ქორწილი r 114 დიდებითა დიდითა იპერატორმა აღექსანდრემ დისა თვისისა ეკატერინასი, რომელიცა შერთო ღვიძლს ბიძაშვილსა თვისსა პრინცს ფრიდერიკს, ვირტენბერლის მემკვიდრესა, და გარდაიხადა დღესასწაულობა ესე დიდისა დღესასწაულითა.

ხოლო წელსა 1816, თებერვლის 16, იპერატორმა როსისამან აღექსანდრემ აქორწინა უნცროსი დაჲ თვისი ანნა პრინცს ორლენცკისას, მემკვიდრესა ღალანდის კოროლისასა, სადაც იქმნა დღესასწაულობა ესე თვით პეტერბურხსა შინა. და განვრცა ზეიმი ესე დიდ განცხრომითა ცხრასა დღესა. ხოლო დასრულებასა უკანასკნელსა დღესა ქორწილისა მისსა გარდაიხადა დიდად ღამე იგი სასახლესა შინა თავრიჩესკისასა დიდისა ცეცხლის სათამაშოთა, რომელიცა ღირდა ცეცხლის სათამაშო იგი | ოთხი⁴ათას თუმნად, სადაცა შემ- v 114 კულ იყო დიდი სასტუმრო სახლი იგი ყუავილით, და იყო ბაღიცა შიგან სახლსა მძსგავსი ზაფხულისა, ფ'დ შემკული კეთილად და საამოდ. ხოლო ქება ვახშმის საწოვავესი ვით ოთქმის ანუ ვითა აღიწერების, რომე მეჯლისი იგი იყო, მძსგავს არას ისტორიაში არა იპოების.

¹ ტექსტში: შაჰაბაზისა. ² ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: აღექსი. ³ ტექსტში: მისითავს. ⁴ ტექსტში: ოთი.

ხოლო წელსა 1816, ივნისის 3, უკუნ აქცივა იპერატორმან ელჩი სპარსეთისა აბულ ასან ხან დიდითა საბოძუართითა. და ამჟამადვე ზარდაყენებულ იქმნა საქართუშლოს უპირატეს მართებელი ღიანარალ-ანშეფი რტიშევი და ნაცულად მისსა განაწესეს ღიანარალ-ლეიტენანტი ერმალოვი, სახელად ალექსი პეტროვიჩი.

ხოლო წელსა 1816, აგვისტოს 23, დღესა ოთხშაბათს, საღამოს საათსა 8 გარდაიცულა საქართუშლოს მეფის ირაკლის ძე იულონ წლისა 57 დამპლის¹ სნეულებითა, რომელიცა იყო სნეულ წელსა 4, და დაჰვლეს ნევსკის მონასტერში წილის იოვანე ოქროპირის ეკლესიაში².

ხოლო წელსა ამას 1816, სექტემბრის 19, იქმნა საკვირველება ესე ღიშანიისა ქალაქსა მადრიტს: ღამესა მეშვიდე სათსა აღმოვიდა მზე³ ჩვეულებისამებრ აღმოსავლეთზედა⁴ და პირისპირ მზისა აღმოვიდა ერთი მზე სხვა მსგავსი მისი და დაჰსდგა პირისპირ მზისა და თანა აღმოჰყვა მას⁵ შვიდნი ბრწყინვალენი ვარსკულაენი. ხოლო ქალაქი იგი მადრიტისა ესრეთ განათლდა, რომე მზილველთა ხალხთა მის ქალაქისათა ეგონათ, ვა ცეცხლი ეკიდებოა. და ესე მზე და ვარსკულაენი იდგნენ საათნახევარსა ცაზედ განვრცომილნი. შემდგომად მზემან ესე თვისთანა მყოფნი შვიდნივე ვარსკულაენი მიიტაცა⁶ თვისის აღგილიდამ თვისთანა და შეიცუა მზემან სხივთა შინა თვისთა. ხოლო ამის ყოფის შემდგომად გაჰქრა მზეცა და ვარსკულაენიცა. მრავალნი ფილასოფოსნი და ვარსკულავთ-მრიცხველნი განკვირვებულ არიან და ვერ არისა შემტყობნი თუ რაღსა მოასწავებს გამოჩენა ესე ან რაი მოხდების ქვეყნად.⁷ და ჰსძებნეს მრავალთა ძველთა წერილთა შინა და ვერა ჰპოეს ესეგვარი მზისა და ვარსკულავთა გამოჩენა, რომელიცა დაამტკიცეს ესრეთ, რომელ პირველი არსო გამოჩენა ესე.

¹ ტექსტში: დამლის. ² მთელი ეს აბზაცი მოთავსებულია კიდევ. ³ ამ სიტყვას უზის შენიშვნის ნიშანი, ხოლო კიდევ ამავე ნიშნით ხატია შუაში მზე და გარშემო 7 ვარსკვლავი; ირგვლივ წარწერა: ეს შვიდნი ვარსკვლავნი. ამ ნახატის ხევით მცირე ტექსტი: ხოლო წელსა 1816, ოქტომბრის 6, ღამეს, რომელ თენდებოდა შაბათი, ღამესა ამას საათსა 3 შუალამის შემდგომ ცამ ესრეთ იელვა ვა დღესა ზაფხულისასა. ⁴ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: და თანა აღმოჰყვა მზესა. ⁵ სიტყვებიდან: „და პირისპირ მზისა აღმოვიდა...“ მოთავსებულია ქვედა კიდევ. ⁶ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: თვის თანა. ⁷ ეს სიტყვა ჩამატებულია.

ხოლო¹ წელსა 1817, იანვრის 16, ღამეს სამშაბათს v 115 (7 საათზედ) გამოჩნდა² დასაელეთის და ჩრდილოეთის მკარეს საშუალ ვარსკულავი ერთი დიდი ვა მთოვარისა ტოლი. პირველად იხილვებოდა მობნელოდ, ხოლო შემდგომად გამოიჩინა სხივი თვისი. ესე ვარსკულავი იყო მგრგული და დიდი ფდ. ესე თვთ თვალითა ჩემითა ვიხილე სკთ პეტერბურხსა შინა.

ჲდ წელსა ამასვე 1817, იანვრის 22, ღამეს ორშაბათს სათსა 6 გამოჩნდა ვარსკულავი კუდიანი სამხრეთის მხარეს³, რომელსა აქუნდა კუდი წვრილი და მოგრძე, ხოლო სახე აქუნდა მსგავსი ინდოურის ქათმისა, მამლის მსგავსი თავი ება⁴. სკთ პეტერბურხს ვიხილეთ ესე თვალითა.

ჲდ წელსა ამასვე 1817, იანვრის 28, ღამეს კორციელის აღებისასა სათსა 11 გამოჩნდა საკვირველი რაჟმე სახილავი. ცათა შინა ჩრდილოეთისა მხარესა: ერთი მზის მსგავსი ვარსკულავივით აღმოხდა. ამას აქუნდა კუდი ცეცხლისა⁵ | მსგავსი კომეტა ვარსკულავისა. ხოლო ბოლო ამისი იყო r 116 ფდ ვრცელი და გრძელი. ამავე ბოლოიდამ გამოკრთა სახე ერთი ნაკუთი მსგავსი ზარბაზნისა თვისითა ყუთითა. წარვიდა და დაჰსდგა სახელმწიფო სახლისა თავსა ზედა და იდგა ვიდრე ათს. მინუტადმდე, ხოლო ჲდ მიქცა მუნითვე და შეერთდა ჲდ კულსავე, თვისსა, საიდამაცა გამოხდა, და გაჰქრა. ესე სახე იდგა ვიდრე ორს საათადმდე, რომელიცა მე და ჩემთანა მყოფთა ქართველთა ვიხილეთ ქეშმარიტებით და მრავალთაცა ხალხთა პეტერბურხისათა. მას ჟამსა მთოვარე იყო რიცხვით 23.

წელსა ამასვე 1817, აპრილის 17, წარგზავნა იპერატორმა ალექსანდრემ სპარსეთს ელჩად საქართველოს უპირატესი მართებელი ღიანარალ-ლეიტენანტი ერმალოვი ბაბახან ყენისა წინაშე უძვირფასესისა არმალანითა შერიგები-

¹ ამ სიტყვას უზის შენიშვნის ნაშანი, ხოლო კიდებზე ამავე ნიშნით გამოსახულია ვარსკულავი წარწერით: ვარსკულავის სახე, რომელიც გამოჩნდა.
² ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: ერთ. ³ უკანასკნ. ორი სიტყვა ჩამატებულია.
⁴ კიდებზე მოთავსებულია ვარსკულავის გამოსახულება და წარწერა: სახე ამ ვარსკულავისა. ⁵ კიდებზე ვარსკულავის გამოსახულება წარწერით: სახე ვარსკულავისა. ამის ქვემოთ მიწერილია: „ხ წელსა ამასვე 1817 იქმნა ფდ სიყმილი ეგროპიასა შინა.“

სათეს და განრჩევისათეს ვა საზღვართან, ეგრეთვე საუკუნოს მშვიდობისათეს. მისრულმან ერმალოვმან ტფილისა, შემუსრა ციხე ტფილისისა, აღშენებული მეფისა მიერ ვახტანგ გორგასლანისაგან, და ზღუდე ტფილისისა მეფის როსტომის მიერ მოვლებული ს'დ. და ეგრეთვე იმერეთსაცა შემუსრეს ყოველნივე ციხენი და სიმაგრენი რუსთა.

v 116 წელსა ამასვე 1817, ივნისის 2, გარდაყენებულ იქმნა მიტრაპოლიტი და ეგზარხოსი ქართლისა და იმერეთისა ვარლამ და თელავის არხიეპისკოპოსი დოსითეოს ფიცხელაური, და ნაცოლად მისა განაწესეს არხიეპისკოპოსი რეზანისა რუსი¹ თეოფილაქტე, კაცი ფ'დ მეცნიერი და ბრძენი, რომელსაცა უწოდეს ტიტულითა არხიეპისკოპოზად ქართლისა და ეგზარხად ქართლის და იმერეთისა. და მისცეს მას როკიკი 5000 რუბლი ვერცხლისა, ხოლო ვარლამს მიჰცეს სინოდის ჩლენობა და ორას ოცდა თხუთმეტი თუმანი შავი ფული, რომელიცა განაწესეს, რათა იცხოვროს სკთ პეტერბურხსა შინა ალექსანდრეს ლავრასა შინა, ხოლო დოსითეოს ორასი თუმანი და საცხოვრებლად მოსკოვი.

r 117 წელსა ამასვე 1817, ივნისის 6, მოვიდა სეტყვა კახეთისა სოფელსა ხაშმზედა, რომელიცა იყო სიდიდითა თითო ნახევარ ჩარეკი, ხოლო ერთი სეტყვა ჩამოვარდა, რომელიცა იყო წონითა ხუთი ლიტრა, რომლისაცა ნახვასა ზედა გაჰკვირდნენ მხილველნი, და არცალა თუ ისტორიითა ისმის ვა ეხილვოს ვისმე სეტყვა ესეოდენი.

წელსა ამასვე 1817, ივლისის 16, ორშაბათს ღამეს საათსა 11 მთოვარე დაბნელდა სამხრეთის მხარესა, ხოლო მთოვარე იყო რიცხვით 14.

წელსა ამასვე 1817, ივლისის 1, აქორწინა იპერატორმა ძმა თვისი ნიკოლაი პავლოვიჩი ასულსა ზედა პრუსის კოროლის ვილგემისასა, რომელსა სახელად ეწოდა ქალსა მას შარლოტა, ხოლო რუსთა უწოდეს ალექსანდრა. და გარდაიხადა დიდისა დიდებითა ქორწილი ესე, რომელიცა იდღესასწაულეს ოცსა დღესა. ხოლო დასასრულსა ამა დღესასწაულისასა შემზადეს ცეცხლისა სათამაშოი ესევეთარი, რომელ არავის ასმიეს ესგუარი, და არცა ვის უნახავს. ესე

¹ ამ სიტყვის შემდეგ შენიშვნის ნიშანი ზის, ხოლო ამავე ნიშნით კიდებუ სწერია: სინოდის ჩლენი და კავალერი და შუბლზედა ჯვარ მექონი.

იყო ქალაქსა შინა ვარანაბაუმსა, რომელიც შორავს პეტერ-ბურხს ვერსითა 32, სადაცა არს სასახლე საზაფხულო იპერატორთა, პირისპირ კრანშტატისა¹.

ხოლო წელსა ამასვე 1817, სექტემბრის 5, იქმნა ესე საცვიფრო შემთხვევაჲ როსიასა შინა, ბოროდინის უეზღში, სოფელსა² ერთსა, საბატონისშვილოსა სოფელსა შინა შამუთსა. იქ მცხოვრებელს გლეხის ცოლს ეედუკია სტეფანეს ასულს ორსულად მყოფს თვის დროზედ შუა ოთხი ერთათ v 117 ყრმა—სამი ვაჟი და ერთი ქალი. ორი ვაჟი კი მასვე დღესა მოკუდა, ხოლო ერთი ვაჟი და ქალი კი ცოცხალნი არიან მრთელნი. ესე ანბავი „სევერნის გაზეთით“ გამოცხადდა, რომლისა ნუმერი იყო 76 და დაბეჭდილი სექტემბრის 22. ესე ნაცილი და ტყუილი ნურვის გეგონებათ, ჰსწორეო ქეშმარიტი არის.

ძ'დ³ წელსა ამასვე 1817, აგვისტოს 15, ანგლიის სატახტო ქალაქსა ლონდონსა შინა დობტურის რიღბის ცოლს⁴ ეყოლა ერთად ოთხი შვალი—სამი ვაჟი და ერთი ქალი, რომელნიცა ცოცხალნი არიან და იზრდებიან და არიან ოთხნივე დიდათ მშვენიერ. მამა მათი დობტური რიღბის არის წლისა 72, ქალი უფროსი მის არის წლისა 50, დობტური ესე არის ფ'დ გამოცდილი აკუშერობითა (ესე იგი ბეზიად), და არის მრავალნი საექიმნო წიგნნი ამის მიერ შემზადებულნი. ესე ანბავი ეწერა გაზეთსა შინა, თვთ პეტერბურხის ფოშტის გაზეთშია, რომელსა ჰქვიან „სევერნი ფოშტა“ ოკტობრის 17 დღესა ოთხშაბათსა, ხოლო ნუმერი ანუ რიცხვი გაზეთისა მის არის 83.

¹ ამ სიტყვის შემდეგ შენიშვნის ნიშანი ზის, ხოლო კიდევ ამავე ნიშნით სწერია: ხოლო მეორესა წელსა 1818, აპრილის 17, დღესა ოთხშაბათსა, დილასა საათსა 7 შვა მოსკოვსა შინა ცოლმან მისმან, პრუსიის პრინცესემ ალექსანდრაჲმ, მეუღლემან ნიკოლოზ პავლეს ძისამან ყრმა, რომელსა უწოდეს დიდი თავადი ალექსანდრე, ბიძისა თვისისა სახელივე იპერატორისა. და სამღვდელოთაგან აღრიცხულ იქმნა ესრეთ მოხსენებასა ეკლესიასა შინა: დიდი თავადი ნიკოლოზ პავლეს ძე და ძე მისი დიდი თავადი ალექსანდრე, ხოლო ამისა შემდგომად მოხსენებულ იქმნა უმცროსი ძმა ხელმწიფისა მიხაილ პავლეს ძე. ² ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია რაღაც სიტყვა. ³ ამ აბზაცის გასწვრივ კიდევ სწერია: ესეცა ფ'დ საკვირუბლი სასმენელი. ⁴ უკანასკნ. 2 სიტყვა ფრჩხილებშია ჩასმული.

სასწაული წისა დიდისა მთავარ-მოწამისა გიორგისა, რომელი იქმნა ატოცს ქართლში. წელსა ამასვე 1817, აპრილის 23, დღესა ორშაბათსა, მკთ დღესასწაულსა მისსა, იქმნა ესე სასწაული ეკკლესიასა მისსა ატოცსა: შპთამოვიდა | გველაშაპი დიდი და საზარელი¹ და გარე მოერტყა ეკკლესიასა და ჩაიდო კუდი თვისი პირში კარებთანა. ოდეს მლოცავნი ხალხნი მივიდის, გამოიღის პირიდან კუდი და შუუშვის ეკლესიად და კ'დ ჩაიდვის ისევე პირს კუდი თვისი და გამოსვლასვე ესრეთ ჰყვის. ესე გველაშაპი იყო მოხვეულ საყდრისა სამს დღეს და ღამეს და მეოთხეს დღეს უჩინო იქმნა. ესე მრავალთა ხალხთა სხვათა და იმ სოფლის მცხოვრებთაც იხილეს. ძტ'სლდგანცა თქმულ არს, რომელ კ'დ ესრეთ სახედვე ეხილვოსთ და ქეშმარიტიც არის. ამის მნახავი თვით თავადი ბესარიონ თარხნისშვილი ზაზას ძე² არის და ჯავახიშვილი ქაიხოსრო. თვალთა თვისითა ეხილვათ ესე ამ წელს 1817, აპრილის 23, რომ იმ დღესასწაულში იქ ყოფილიყვნენ ატოცს.

წელსა 1817, დეკემბერს 25, დღესასწაულსა შობისასა მოსკოვს გამოჩნდა ცაზედან ცეცხლი მჰსგავსად გტ'სლაშაპისა დილით 8 საათზედან³ და იდგა ნახევარ საათსა და ნათობდა დიდადა და გვრგვინვიდა ვ'ა ქუხილი. ესე მთლად ეხილვათ ხალხთა მათ, რომელიცა ესე მომითხრა მე გიორგი მლუდელმან შამელიქიშვილმან, კაცმან ღირსმან, რომელიცა მუნ დასწრებოდა მოსკოვს მას ჟამსა და მდგარიყო წირვისა ცა ზედან⁴.

v 118 ხოლო წელსა ამას 1818, მარტს⁵, გარდააყენეს⁶ მიტრაპოლიტი აბროსი ს. პეტერბურხისა და ნეოგოროდის და

¹ უკანასკნ. სამი სიტყვა ზემოდანაა ჩამატებული. ² უკანასკნ. 2 სიტყვა ზემოდანაა ჩამატებული. ³ უკანასკნ. 3 სიტყვა სწერია კიდევუ გამოტ. ნიშნით. ⁴ მთელი ეს აბზაცი მოთავსებულია კიდევუ და შემდეგ უნდა იყოს მიმატებული. ⁵ 1818 წლიდან მოყოლებული თვეების თანმიმდევრობა ირლუვეა. ცხადად ჩანს, რომ ავტორი სწერს ამბებს იმ რიგზე, როგორც აღონდება. ამის გამო აპრილის ამბებს მოსდევს მარტისა, ან თვის ბოლოს მომხდარი ამბავი უფრო ადრეა ჩაწერილი, ვიდრე ის ამბავი, რომელიც თვის შუა რიცხვებში მოხდა. მე ამბები ქრონოლოგიურად დავალაგე. ყოველ ამისთანა შემთხვევაში სხოლიოში ნაჩვენებია ის გვერდი, რომელზედაც დედანში მოთავსებულია ესა თუ ის ამბავი. ⁶ ტექსტში: გარდააყინე.

მის მოადგილეთ დაჯდა არხიეპისკოპოსი ჩერნიგოვისა მიხაილ, კაცი ღირსი საყდრისა და ქეშმარიტი მწყემს-მთავარი, რომელსაც მიეცა მიტრაპოლიტობა ს. პეტერბურხისა, ვიფლანდიისა და ისლანდიისა, აპრილის 6. და შემდგომად გარდაყენებისა მისისა მივიდა ნოგოროდს და მიიცუალა მუნ შ'დ ერთისა კვირისა, და მიხაილსვე მისცეს ნოგოროდისაც მიტრაპოლიტობა¹.

ხოლო წელსა ამასვე 1818, აპრილის 15, ბრწყინვალის r 118-კვირის ორშაბათს, საათსა 9 იყო დიდი ქუხილი და ელვა ხანგრძლივ ს. პეტერბურხსა შინა, რომელი არაოდეს თქმულა, რომ ამ ჟამად ყოფილიყოს ქუხილი და ელვა. და დიდათ ჰკვირობდენ რუსნი. ჯერეთ ისევ წყალი ნევა გაყინული იყო, რომე ხალხნი ზედ დადიოდნენ. ამ ჟამ მარტის მთოვარე იყო რიცხვი 22².

ხოლო წელსა 1818, აპრილის 23, დღესა სამშაბათს დაბნელდა მზე ნახევრად ვა შავი ბნელი და იდგა ერთ საათსა. ხოლო ამისა შ'დ კ'დ ამავე მზის თავსა ზედა გამოჩნდა იმავე მზის თავზედა გვირგვინი მჰსგავსი სამეფოსი. ს. პეტერბურხსა შინა იყო ესე³.

წელსა ამასვე 1818, აპრილის 30, იწერებთან ციბირის ლუბერნიის ქალაქით ტომკვიდამ ესრეთ: წელსა 1818, იანვრის 6, ღამეს 9 საათზედა ციბირის მხარეს თურქმანში იყო რა სიცივე 37 ღრადუსი, ისმოდა საკვირველი ხმა ჰერსა შინა გვირგვინისა მსგავსი დიდისა ქუხილისა საზარლად და იყო ნახევარს საათსა. და ხმისა მის დასრულებისა შ'დ გამოჩნდა ცეცხლი გველისა მჰსგავსი და მსწრაფლ გაქრა იგი (ესე ეწერა „სევერნი გაზეთში“ იენისის 15, ხოლო რიცხვი არის გაზეთისა მის 48)⁴.

წელსა ამას 1818, აპრილის 30, დღესა ორშაბათსა გარდაიცუალა მეფის ირაკლის ასული ეკატერინა, მეუღლე მყოფი გიორგი სალთხუცისა ჩოლაყაშვილისა, სნეული მდებარე კუტად ორს წელს ქალაქსა გიორგიასა კავკასიისასა, და დაფლეს მუნ ახლად აშენებულს სობოროსა შინა⁵.

¹ სიტყვებიდან: „და შემდგომად გარდაყენებისა“... სწერია კიდევ გამოტნიშნით. ეს აბზაცი მოთავსებულია v 118 გვ. ² ეს აბზაცი მოთავსებულია r 118 გვერდის კიდებზე. ³ ეს აბზაცი მოთავსებულია r 118 გვ-ზე. ⁴ აქვეა მოთავსებული. ⁵ ამავე გვერდის კიდებზეა მოთავსებული.

1818 წელს, მაისის 17, „სევერნის გაზეთში“ (48 რიცხვში) მოლდავის ქალაქით ბუხარესტით იწერებიან ესრეთ: საბერძნეთიდან მივიღევიტ ესე სამწუხარო ამბავი, რომელ დიდი იგი ქალაქი ფილიპპეპოლი, რომელშიაც სცხოვრობდა სული 100,009 ხალხთა, იქმნა ისეთი ძვრა დედამიწისა, რ'დ ს'დ დაიქცა რაც შენებულემა იყო და მრავალნი ხალხნი მოსწყვიტნა. და არის ახლა ის ქალაქი ს'დ ოხერ, რომელ ვერცაღა თუ საცნაურ არს იქ ოდესმე ქალაქი ყოფილიყოს და არც კვალი სჩანს ქალაქის და¹.

1818 იენისის 29, ღამეს 9 საათზედა აღმოვიდა ცეცხლი ერთი მშსგაესი ცის სარტყელისა პეტერბურხსა შინა. ერთი წვერი ამისი იღვა ეკლესიასა ზედა და მეორე წვერი სვიმეონოვის ეკლესიასა ზედა. მერე აქედამ გადაემართა და დადგა სახელმწიფო სასახლესა ზედა ზიმნი დვარეცზედა, ხოლო იქიდან შთავიდა ნევის მდინარესა შინა და გაქრა მუნ².

r 119 წელსა ამასვე 1818, ოქტომბრის 28, იწერებიან ქალაქით ადესით (რომელიცა არს ყირიმისა), რომელიცა ეწერა გაზეთსა შინა (რიცხვი გაზეთისა მისი არს 93) ნოემბრის 20. სწერენ ესრეთ: გვეუწყაო ბუხარესტით 19 ოქტომბრს, 10 საათზედ ღამისასა ცითგან ერთი საკურველი ნათელი გაჩნდა. ესრეთ ბრწყინვიდა ძლიერად, რ'ლ სახლთა შინა სადაც სანთელნი ენთებოდნენ ბრწყინვალეებითა მისითა ს'დ დაბნელდნენ, და ამავე ჟამსა მას რანიცა ხალხნი გარეთ სახლისა დაესწრენ, ისინი ამტკიცებდნენ ნანდვილ, რომელ ცეცხლი ესე გვანდაო სწორედ ცეცხლის მგვრგულს ბურთსა, რომელიცა ცით ჩამოვარდნილს ვარსკვლავს გვანდაო და იზრდებოდა დიდათაო თანდათან, ხოლო უკანასკნელ შეიცუალა³ მრქქალს ფერად და ცოტა მოწითლოთ. და მიფრინვიდა ჰერსა შინა და აქუნდა კული გრძლად⁴. ხილვა ესე განგრძელდა ათს მინუტამდინ. და კურიელიცა, რომელიცა მოვიდა 20 ამ თუშს იასილამ, მასცა ესე განცხადება ენახა მუნ ნანდვილად, რომელიცა იყო ბუხარესტს და გარდა ამისსა მოლდავიისა გზასა ზედა, რომელიცა შორავს 180 ვერსითა ბუხარესტს ეხილვათცა მუნ ესევე. შესაძლოთ ვრაცხებო

¹ ეს აბზაცი მოთავსებულია v 118 გვ.ზე. ² ეს ამბავი მოთავსებულია r 117 გვერდის კიდებზე. ³ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: ფერი. ⁴ ამ ცეცხლის ბურთის გამოსახულება მოთავსებულია v 118 გვერდის კიდებზე.

დამტკიცება ესე, რომელ განცხადება ესე იხილვებოდა კერძოთა აღმოსავლეთით ევროპიისათა.

„სევერნის გაზეთში“ შაბათისაში ეწერა (რიცხვში 72), წელს 1818, სექტემბრის 7, ეწერა ესრეთ: ამ წელს 1818, იელისის 29, სმოლენცკის ლუბერნიაში, იუხნოვცკის უფდში,¹ სოფელსა შინა სლობოდისსა ერთის მუნ მცხოვრებელის ეზოში ჩამოვარდა ჰერიდამ ქუა ერთი, რომელიცა ჩაერქო შინაში 9 ვერშოკს. ხოლო ამოიღეს რა ქუა ესე, ნაკჷსთი აქუნდა სვეტის მჰსგავსად, გარნა ქუა კერძოდ არა თანაჰსწორე, ხოლო ზენათ კერძოდ აქუნდა ვა გარეშემოსხმული ბნელ-მოწითანო ხოაკლიანის ფერიტა და ყოველსა კუთხესა და ნაპირსა ჰქონდა იგივე. ნივთი ეს ემჰსგავსებოდა ქუასა მეტალისასა ბრჷყვიალეებითა, ხოლო წონა ამა ქუსა იყო 7 ფუნთი და ჰქონდა სიმაღლე 3¹/₂ ვერშოკი, ხოლო სიგანე 2¹/₂ ვერშოკი².

წელსა ამასვე 1818, ოქტომბრის 29, სწერენ კამენი პო- v 119
ლოლცკით ესრეთ: ლუბერნიასა ამას შინა, ლიტოვის მაზრაში, დაბასა შინა კაჩნოვკისა შეემთხვა ბუნების³ ჩჷსულეზის გარეგან, რომელ ერთის გლეხის ცოლმან შვა ყმაწვილი, რომელსაცა ჰქონდა ოთხი კელი და ოთხი ფეხი, რომლისა სხეულიცა მკერდიდამ მოკიდებული განიყოფოდა ორად, შეზრდილი ერთმანეთისადმი ბარძაყამდე. ხოლო ახალშობილი ესე შდ მონათელისა ორს დღეს უკან მოკუდა და მშობელი მისი დედაკაცი არს მთლად. ესე ეწერა გაზეთსა შინა, რომლისა რიცხვი არის გაზეთისა მის 94.

წელსა ამას მოკვდა კოროლი ანგლიისა გიორგი წლისა 115. ამავე წელს კდ შეერთდნენ იპერატორი როსიისი ალექსანდრე, იპერატორი ავსტრიისა, კოროლი პრუსიისა და კოროლი ფრანკისა და ანგლიკისა. კრება იყო ამათი საქსონიასა შინა ქალაქსა ახენს.

ამავე წელსა პერობილი ნაპოლონ კუნძულსა ელენესასა განაპარეს ამერიკელთა და გაიყვანეს მალთსა შინა.

ამ წელს 1818 პეტერბურხსა შინა არს ფდ სითბო. ზამთარსა ამას არა ყოფილა თოვლი და არცა ყინევა. ჰკვირობენ ყოველივე მცხოვრებნი და მოხუენი, რომე არაოდეს ვისმე r 120 უნახავს ტაროსი ამ გუარი და არცა ისტორიით ასმიათ.

¹ უკანასკნელი ორი სიტყვა ზემოდანაა ჩამატებული. ² მთელი ეს აბზაცი მოთავსებულია r 119 გვერდის კიდებზე. ³ ტექსტში: ბუბუნების.

წელს ამას მოვიდა კ'დ სპარსეთით სკთ პეტერბურხსა შინა ხანი მაჰმად ასან ავშარი და მოართუა სპარსთა ხემწიფისა მიერ წარმოვლენილნი ცხენნი 13 იპერატორს ალექსანდრეს დეკებრის 17 1818 წელს.

1818 წელს, დეკებრის 22, დღესა შაბათსა გარდაიცულა მეფის ძის ფარნაოზის ასული ელისაბედ წლისა 19, ყ'დ შვენიერი, და დაფლეს ნემსკის მონასტერსა შინა წ'ისა იოანე ოქროპირის ეკლესიაში.

1818 გამოჩნდა მარსკვლავი კომეტა მსგავსად ყუჩის მფრინვლის სახედ ქალაქსა კენისბერღს¹. კომეტასა ამას აქუს სხივი მსგავსი ნათლისა და სიმგვრგლე ატმოსფერისა და მოძრაობს ესე მიმოსვლით, ყოველნი მუნებურნი ასტრონომოსნი ამტკიცებენ რ'ლ დიდხანს იქმნების სახილველ ესე ვარსკულავი².

წელსა ამას 1818 გარდაიცვალა რუსთა იპერატორის ალექსანდრესი დაჲ ეკატერინა პავლუნა, თუქსა დეკებერსა 28, რომელიცა ჰყვანდა ღვიძლს ბიძაშვილსა თუსსა ვირტენბერღის კოროლს ცოლად. ქალაქსა სტუტლარდს მოკულა.

v 120 ესე ეწერა სკთ პეტერბურღის გაზეთში Ho 12 „სევერნის ფოშტის“ გაზეთსა შინა. ესე გაზეთი გამოცემული არის პეტერბურხს 8 თებერვალს. რეინის კიდისგან მოწერილი იანვრის 29, წელს 1819. დაბასა შინა ტამმას, რომელ არს საკოროლოსა შინა ვირტემბერღცკისასა, დასწუა მეხისა დაცემამან სამრეკლო მუნებური ეკლესიისა ლამესა იანვრის 16, და რაოდენცა ეცადნენ გაქრობასა ცეცხლისასა დასხმითა წყლისათა, ვერ განაქრეს იგი. გარნა მოიძიეს ღონისძიებჲჲ, რათა დაასხან რძე და გააქრონ. და ოდეს დაასხეს რძეჲ, მაშინ გაქრა ცეცხლი იგი მეხისა³. ხოლო ნაღებმოხდილმან რძემან ვერ იმოქმედა ესრეთ ვ'ა პირმოუხდელმან და მალეც გაქრაო.

ხოლო წელსა ამასევე 1819, ქ'კს ფზ ტფილისს⁴ და ს'დ ქართლში დეკებრის 8 იწყო ესრეთი ყინვა, რ'ლ თებერვლამდისინ იყო ღრადუსი 15. მტკუარი ს'დ გაიყინა, ურმები დაჰქონდათ ზედა. ხეხილნი და ვაზნი ს'დ განხმენ. ცხვარი და ძროხანი მრავალნი მოსწყდნენ. ტფილისსში სანა შებმულნი ცხენნი თოვლზედ დადიოდნენ, რომელიც არა ოდეს ვისმე

¹ პირველად წერებულა: კენესბერღს. ² ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: ესე. ³ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: იგი. ⁴ ტექსტში: ტფილისის.

სმენია ესე სიარული.—წელსა ამასვე, იანერის 17, ტფილისს¹ ესრეთი ძერა იყო, რომელ დედამიწა ბლქოდა ქუხილივით r 121 ძლიერად, და მრავალი შენებულეზაღ დაიქცა.

ხოლო წელსა ამას 1819, ქ'კს ფზ გარდაიცულა ს. პეტერბურხსა შინა² მეფის გიორგის პირშო ძე მისი, საქართველოს შემკვდრე დავით, მაისის 13, და დაეფლა ნევსკის მონასტერში წის ოქროპირის ეკლესიაში მაცხოვრის ხატის წინა, დღესა ხუთშაბათსა, დავით, გარეჯელის³ დღესასწაულში.

ამ წელს აპრილის 30 დაიბადა ძმისწული მისი, მეფის ძის ბაგრატის ძე, და უწოდეს სახელი მისი დავითვე.

წელს 1824 სომეხთ დაეკარგათ წა აღდგომა და შეიშალნენ აღვსებისაგან. ესე მომითხრა ტერტერამ ტერ გეურქამ თელეთელმან, რომელიცა ამ ჟამად აქ იყო პეტერბურხსა შინა, კაცი გაჯთარებული ვა სომეხთა ენაზედ ეგრეთვე ქართულზედაც. ყოველს 80-სა წელიწადში ერთხელ ესე შეეშლებათ აღდგომის ანგარიში სომეხთ.

¹ ტექსტში: ტფილისის³ უკანასკნ. ² სიტყვა სწერია კიდევ გამოტ. ნიშნით. ³ ამ სიტყვის შემდეგ წაშლილია: ბის.

საძიებელი პირთა სახელებისა

- აბაზ მირზა გვ. 30, 31, 38, 40, ძე და მემკვიდრე სპარსეთის შაჰის ბაბა-ხანისა. გამგე სპარსეთის აზერბაიჯანისა ბატონიშვილობაში. დაიბადა 1783 წ., გარდაიც. 1833 წ.
- აბაშიძე დავით გვ. 34, 36, ზემო-იმერეთის თავადი, ლეონ აბაშიძის ბიძაშვილი. აბაშიძე დიმიტრი გვ. 36 ძე სვიმონისა, ძმა ლეონ აბაშიძისა. მოკლულ იქნა 1810 წ.
- აბაშიძე ზაალ გვ. 5 მეფე ირაკლი II-ის სიმამრი. აბაშიძე იოვანე გვ. 13 ირაკლი II-ის ცოლის ძმა, ზაალ აბაშიძის ძე. აბაშიძე იოსებ გვ. 36 ლეონ აბაშიძის ბიძაშვილი. აბაშიძე ლეონ გვ. 33, 34 სვიმონის ძე. სოლომონ II-ის, იმერთა მეფის, მომხრე და მახლობელი.
- აბაშიძის ასული მარიამ, მონახონი გვ. 43 დეიდაშვილი ირაკლი II-ისა. მოკლულ იქნა ხაშმში რუსების მიერ 1812 წ.
- აბაშიძე ქაჭურელა, საქარელი, გვ. 35 სოლომონ II-ის მომხრე, მოწინააღმდეგე რუსეთის ხელისუფლების დამყარებისა იმერეთში.
- აბდულა ბეგ (არჩილ) გვ. 3 ძე მეფისა იესესი, ლეონის ძისა. დადგენილ იქნა ქართლის გამგედ თეიმურაზ II-ის სპარსეთში წასვლის გამო 1747 წ. მოი-სურვა ქართლში გაბატონება, მაგრამ დამარცხებულ იქნა ირაკლი II-ის მიერ 1748 წ.
- აგიაშვილი გვ. 37 იმერეთის თავადი.
- ადილ შაჰ გვ. 2, სპარსეთის შაჰი. ძმის-წული ნადირ შაჰისა. გამეფებამდე იწოდებოდა ალი-ყული-ხანად. გამეფდა ნადირის შემდეგ 1747 წ. მოკლული იქნა : 748 წ.
- ავთანდილ ძე მელიქისა გვ. 12.
- აზათ-ხან ავღანი გვ. 5, 9 ავღანთა წინამძღოლი. იმყოფებოდა ნადირ შაჰის სამ-სახურში. ნადირის სიკვდილის შემდეგ ებრძვის სპარსეთის ხელისუფლებას აზერბაიჯანში. დამარცხებულ იქნა ქარიზ-ხან ხანდის მიერ.
- აზრათ ყული-ბეგ მარტყოფელი გვ. 14 ვეზირი ყარაბაღის ხანის იბრეიმისა, დანიშნული განჯის გამგედ 1780 წ.
- ალექსანდრე ბატონიშვილი, ბაქარის ძე, გვ. 16 რუსეთის სამხედრო სამსახურის კაპიტანი. ცდილობს ირაკლი II-ის წინააღმდეგ ბრძოლას ქართლის ტახტის ხელში ჩასაგდებად. ვკატერინე II-ის განკარგულებით შეპყრობილ იქნა 1783 წ. და სიკვდილამდე სმოლენსკის ციხეში იჯდა პატიმრად. გარდაიცვალა 1800 წ.
- ალექსანდრე ბატონიშვილი, ირაკლი II-ის ძე გვ. 22—24, 26, 30, 37 დაიბადა 1769 წ. შუურიგებელი მებრძოლი რუსეთის ხელისუფლების დამყარების წინააღმდეგ ქართლ-კახეთში. 1800 წ. წავიდა სპარსეთს. რუსეთთან ხან-

- გარძლივი ბრძოლის შემდეგ დარჩა სამუდამოდ იქვე. გარდაიცვალა თავ-
რიზის მახლობლად 1844 წ.
- ალექსანდრე ბატონიშვილი, ძე იმერთა მეფის სოლომონ I-ისა, გვ. 16. გარდა-
იცვალა 1780 წ.
- ალექსანდრე I, რუსეთის იმპერატორი, გვ. 27 გამეფდა 1801 წ., გარდაიცვალა
1825 წ.
- ალი-ბეგ გვ. 20, 25 თურქთა მხედართ-მთავარი ყარსში.
- ალი ფოლადი გვ. 25, ლეკთა წინამძღოლი, მოჰკლეს 1798 წ. სოფ. დირბთან
ბრძოლაში.
- ალი სულტანი შამშადილისა გვ. 22 იღებს მრწაწილეობას განდგომილი განჯის-
ხანის წინააღმდეგ ბრძოლაში ირაკლი II-ის ჯარებთან ერთად 1785 წ.
- ალი ყული-ხან გვ. 2 (ნახე ადილ შაჰ).
- ალი შა, ძმის წული ნადირისა, გვ. 22, იგივე ადილ შაჰ.
- ალი მურათ-ხან ხანდი გვ. 22 ისპანელი, ქარიმ-ხანის ძმის-წული; ერთხანს, ქა-
რიმ-ხანის სიკვდილის შემდეგ, სპარსეთის მპყრობელი.
- ამილახვარი თთარ გვ. 23 სარდალი საამილახვროსი, მოურავი გორისა. მისი
ასული ელენე ცოლად ჰყავდა გიორგი XII-ის ძეს თეიმურაზს. გარდაი-
ცვალა 1847 წ.
- ამილახვრიშვილი ალექსანდრე, დიმიტრის ძე გვ. 10, დაიბადა 1750 წ. იღებს
მონაწილეობას პაატა ბატონიშვილის მიერ მოწყობილ შეთქმულებაში
ირაკლი II-ის წინააღმდეგ 1765 წ., რისთვისაც დასჯილ იქნა „ცხვირის
მოჭრით“. 1779 წ. იღებს მონაწილეობას ბაქარის ძის ალექსანდრესთან
ერთად ირაკლი II-ის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში, რისთვისაც
შეპყრობილ იქნა ეკატერინე II-ის მიერ 1783 წ. და დაპატიმრებული
ვიბორგის ციხეში, საიდანაც განთავისუფლდა 1801 წ. გარდაიცვალა 1802
წელს. თავისი თავგადასავალი აწერილი აქვს ნაშრომში: „История геор-
гианская от хана Амилахварова“, დაბეჭდ. პეტერბურგში 1779 წ.
- ამილახვრიშვილი გივი გვ. 19 ქართლის თავადი.
- ამილახვრიშვილი გიორგი, გვ. 9, ძე დიმიტრი სალთუხუცესისა, სიძე ირაკლი
II-ისა—ცოლად ჰყავდა მისი და ელისაბედ (ნახე: ელისაბედ ბატონიშვილი).
- ამილახვრიშვილი დამიტრი, გვ. 10, სალთუხუცესი ირაკლი II-ისა, ძმა გივი
ამილახვრიშვილისა. მონაწილეობას იღებდა 1765 წლის პაატა ბატონი-
შვილის შეთქმულებაში.
- ამირ-ასლან-ხანი გვ. 2, 4 მთავარი აზერბაიჯანისა იბრეიმ-ხანის დროს, აუჯან-
ყდა ამ უკანასკნელს და მოიკლა მისგან.
- ანდრონიკაანი გვ. 43 კახეთის თავადები.
- ანდრონიკაეშილი ზაალ, გვ. 24 მარტყოფის მოურავი.
- ანდრონიკაეშილი ზაქარია, გვ. 19, 23 ქიზიყის მოურავი, ცოლად ჰყავდა ირაკლი
II-ის ასული ელენე.
- ანდრონიკაეშილი იესე, გვ. 13 ძე პაპუასი, ცოლის ძმა გიორგი XII-ისა.
- ანდრონიკაეშილი მელქისედეკ გვ. 35, 37 იგივე მალხაზ. ცოლად ჰყავდა სოლო-
მონ II-ის და მარიამ, მომხრე სოლომონ II-ისა რუსებთან ბრძოლაში.
- ანდრონიკაეშილი პაატა გვ. 13, 15 რევაზის ძე, თოფჩიბაში.

ანდრონიკაშვილი რევაზ გვ. 13 ძე პაპუასი, ქიზიყის მოურავი, ცოლის ძმა გიორგი XII-ისა.

ანდრონიკაშვილი სვიმონ გვ. 43.

ანდრონიკაშვილი სოლომონ გვ. 43.

ანდრონიკაშვილი ქაიხოსრო, გვ. 14 მდივანბევი, დანიშნული განჯის გამგედ 1780 წ.

ანნა დედოფალი გვ. 5, ირაკლი II-ის მეორე ცოლი, ზაალ აბაშიძის ასული. გარდაიცვალა 1749 წ.

ანტონი I კათალიკოზი გვ. 1, (1 შენიშვ.) 7, 8, 12, 18. ერისკაცობაში ბატონიშვილი თეიმურაზ, ძე ქართლის მეფის იესესი. დაიბადა 1720¹ წ., კათალიკოზად იკურთხა 1744 წ. 1755 წ. გაკათოლიკების გამო საეკლესიო კრებამ იგი გადააყენა საკათალიკოზო ტახტიდან. ანტონი წავიდა რუსეთს, სადაც მიიღო ვლადიმირის მთავარ-ეპისკოპოსობა. 1762 წ. ირაკლი II-ემ დააბრუნა საქართველოში და დასვა კვლავ კათალიკოზად. ანტონი I თავისი დროის გამოჩენილი მეცნიერი იყო. მას ეკუთვნის მრავალი ნაშრომი ფილოსოფიური, ისტორიული, ლინგვისტური, საღვთისმეტყველო ხასიათისა როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი. გარდაიცვალა 1788 წ.

ანტონი II კათალიკოზი გვ. 16, 18 ძე ირაკლი II-ისა. დაიბადა 1762 წ. ერისკაცობაში ბატონიშვილი თეიმურაზ. კათალიკოზად დაჯდა 178² წ. გადასახლეს რუსეთს 1811 წ. გარდაიცვალა 1827 წ.

არლუთაშვილი მიქელა, გვ. 20 მოკლულ იქნა 1803 წ. ალექსანდრე ბატონიშვილის მხარეზე ბელაქანში.

არჩილ, უმცროსი ძმა იმერთა მეფის სოლომონ I-ისა, ძე ალექსანდრესი, გვ. 19 ჰყოლობდა არგვეთს.

ალა-მაჰმად-ხან ყაჯარი გვ. 22, 24, 25, 27, 29 ძე ასტრბადელი მაჰმად ჰასან ხანისა. ყაჯართა ტომის მეთაური. 1785 წ. დაიპყრო თეირანი, სძლია ჯაფარ-ხან ხანდს, დაიმორჩილა ერაყი, ახერბაიჯანი და 1795 წლისათვის გაბატონდა მთელს სპარსეთში. ამავე წელს წამოვიდა საქართველოსაკენ. სექტემბრის 11 კრწანისის ველზე მოხდა ბრძოლა. ირაკლი II დამარცხდა და დასტოვა თბილისი. ალა-მაჰმად-ხანის ჯარებმა სასტიკად დაარბიეს ქალაქი. 1797 წ. მოკლულ იქნა ყარაბაღში.

ალა ქიში გვ. 6 შაქის ხანი, აჯი ჩალაბის ძე და მემკვიდრე.

ახვერდოვი გენერ.-მაიორი გვ. 37, 44, ქართლის გუბერნატორი.

აჯი ჩალაბი გვ. 4—6 ხანი შაქისა, მისი მეთაურობით ახერბაიჯანის ხანები ებრძვიან თეიმურაზ II და ირაკლი II-ეს. ბრძოლა თავდება ამ უკანასკნელების გამარჯვებით 1752 წ.

აჰმად სულტანი გვ. 13 ოსმალეთის სულტანი² (ნახე ჰამიდ).

ბაბა-ხან ყენი გვ. 25, 30, 31, 32, 33 სპარსეთის შაჰი ფათალი, ძე ჰუსეინ ყული ხანისა, ძმისწული და მემკვიდრე ალა-მაჰმად-ხანისა. მეფობდა 1797—1834 წლ.

¹ ამ ცნობის მოწოდებისათვის ასპ. აბ. როგავას მადლობას მოვასხნებ.

² იმ წელს, რომელსაც ეს ამბავი ეხება, ე. ი. 1772 წ., ოსმალეთში მეფობდა არა აჰმადი, არამედ აბდ-ალ ჰამიდ I, ბენ აჰმად.

ბაგრატ ბატონიშვილი გვ. 26, 27 გიორგი XII-ის მესამე ძე, პირველი ცოლის, პაპუა ანდრონიკაშვილის ასულის, ქეთევანისაგან. დაიბადა 1776 წ. 1799 წ. განაგებდა კახეთს. 1800 წ. მიიღო მონაწილეობა ნიახურას ომში ომარ-ხანის წინააღმდეგ. 1801 წ. გადაგზავნილ იქნა სხვა ბატონიშვილებთან ერთად პეტერსბურგს, სადაც მსახურობდა სამეფო კარზე კამერჰერის თანამდებობით. ცნობილია როგორც მწიგნობარი. ავტორია რამდენიმე ორიგინალური და ნათარგმნი ნაშრომისა. მას ეკუთვნის: საქართველოს ისტ. მე-18—19-ს, სამკურნალო ცხენთა, სამზარეულო წიგნი და სხვ.

ბაუმესტერი, გვ. 8, ფრიდერიკო-ქრისტიანე (1708—1785 წ.) გერმანელი ფილოსოფოსი ლეიბნიცის და ვოლფის სკოლისა. ავტორი ცნობილი სახელმძღვანელოების ლოლიკის, მეტაფიზიკის და ბუნებ. ფილოსოფიის.

ბაქარ, ძე ვახტან VI-ისა გვ. 16. დაიბადა 1700 წ., მეფობდა ქართლში 1716—1723 წლ., წავიდა რუსეთს 1724 წ. მოსკოვში ბაქარის და მისი ძმის ვახუშტის თაოსნობით 1738 წ. მოეწყო ქართული სტამბა, სადაც 1743 წ. დაიბეჭდა ბიბლია.

ბებურიშვილები იგივე ვაჩნაძეები გვ. 21 გიორგი და ომან, დახოცილ იქნენ 1789 წ. ყარსზე გალაშქრების დროს.

ბებურიშვილი პაპა გვ. 5, 6.

ბებურიშვილი სვიმონ გვ. 42, 43 პაპას ძე. ერთ-ერთი მთავარი მონაწილე ქიხიყის აჯანყებისა რუსების წინააღმდეგ 1812 წ.

ბორტიშვილი ბადურ გვ. 37 მაჩაბელი, თავადი დიდ-ლიახეზე.

ბოსტაშვილი მაჩხანელი, გვ. 5 გააჩნაურებული ირაკლი II-ის მიერ იმ სამსახურისათვის, რომელიც მან გაუწია აჯი ჩალაბთან ბრძოლის დროს 1749 წ. ბლთაის, ხანი დარუბანდისა გვ. 40 ფათალი-ხანის შვილის-შვილი.

გიორგი XII, ძე ირაკლი მეფისა, გვ. 10, 14, 15, 16, 19, 20, 25, 26, 28. დაიბადა 1746 წ., ქართლ-კახეთის მეფე 1798 წლიდან. გარდაიცვალა 1800 წ. დეკემბრის 22.

გიორგი, ძე მელიქისა გვ. 12.

გრიგოლ, ძე იოანე ბატონიშვილისა, გვ. 42, 44. დაიბადა 1790 წ. 1812 წ. გამოცხადებულ იქნა აჯანყებული კახელების მიერ მეფედ. ამჟამად წელს შეიპყრეს რუსებმა და დააპატიმრეს ერთი წლით პეტრაზავოდსკის ციხეში. შეუდგენია ქართულად დიუბრი ნაპოლეონის ომისა, რომელშიც თვით იღებდა მონაწილეობას.

გუდოვიჩი, ივანე ვასილის ძე, გრაფი. გვ. 32, 33 (1741—1820 წ.) გენერალ-ანშეფი. მთავარმართებელი საქართველოსი და კავკასიისა 1806 წლიდან 1807 წლამდე. მის დროს რუსებმა დაიპყრეს დარუბანი, ბაქო და შაქი.

გულიაკოვი, ვასილ სტეფანეს ძე, გვ. 29, 30, გენერალ-მაიორი. მოვიდა საქართველოში 1799 წ., მოკლულ იქნა კარში 1804 წ.

ტულმაძაძე სარჯანელი, ძე შარიფისა, გვ. 20 მონაწილე 1789 წელს ყარსის წინააღმდეგ ლაშქრობისა.

დადიანი გრიგოლ გვ. 19, 21 კაციას ძე. დადიანად დაჯდა 1789 წ. იყო სიძე გიორგი XII-ისა—ცოლად ჰყავდა მისი ასული ნინო. გარდაიცვალა 1804 წ.

დადიანი ლეონ გვ. 35, 36 გრიგოლის ძე. დაჯდა დადიანად 1804 წ. სოლომონ II-ის მოწინააღმდეგე და მომხრე რუსეთის ხელისუფლების დამყარებისა იმერეთში.

დადიანი მანუჩარ გვ. 21 ძე კაციასი, ძმა გრიგოლისა და მისი მეტოქე. დავით არჩილის ძე გვ. 19 ძმის-წული იმერთა მეფის სოლომონ I-ისა, შემდეგნი მეფე სოლომონ II.

დავით აღმაშენებელი, გვ. 38 საქართველოს მეფე 1089—1125 წ. დავით ბატონიშვილი გვ. 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27 ძე და მემკვიდრე გიორგი XII-ისა. დაიბადა 1767 წ. დანიშნა ქართლ-კახეთის რეგენტად 1801 წ., მაგრამ რუსეთის მიერ საქართველოში მეფობის გაუქმების შემდეგ გადიგზახენა რუსეთს. გარდაიცვალა 1819 წ. მისში ს.-პეტერბურგს. დავითს დარჩა რამდენიმე ლიტერატურული ნაშრომი: ღრამატიკა; წიგნი იესუტერიკისა, თარგმნილი; კატილორია შემოკლებული; ნარკვევი (ისტორია ასურეთისა, ბერძენთა, მეგვიტელთა, რუსეთისა და საქართველოსი); ისტორია ნადირ შაჰსა, სპარსულიდან; ფიზიკა პრაქტიკული; ახალი ისტორია საქართველოსი, სამართლის წიგნი და სხ.

დავით გიორგის ძე გვ. 19, 21, 22, იმერთა მეფე 1784—1789 წლ. გარდაიცვალა 1795 წ.

დარია ან დარეჯან დეფოფალი გვ. 5, 21, 28, 29 მესამე ცოლი ირაკლი, II-ისა ასული გიორგი დადიანისა და ბიძაშვილი კაციასი (კაცია დადიანი, ძე ოტიასი. გადადიანდა 1758 წ.). დაიბადა 1726 წ. გაგზახენს რუსეთს 1804 წ. გარდაიცვალა 1807 წ.

დიასამიძე გვ. 17 ქართლის თავადი.

ღურაბან ბეგი ყაზახელი გვ. 3 მინბაში, თბილისის ციხის მკველი, დადგენილი სპარსთაგან.

ეგნატე ონისიმეს ძე, მარტყოფელი მთავარ-დიაკონი. გვ. 26. იოსელიანი უნდა იყოს, პლატონ იოსელიანის მამა, შემდეგში სასახლის მღვდელი და მწერალი გიორგი XII-ისა. გარდაიცვ. 1844 წ.

ეკატერინე II, რუსეთის იმპერატორი გვ. 16, 25, 26. გამეფდა 1761 წ., გარდაიცვალა 1796 წ.

ელისაბედ ბატონიშვილი, ირაკლი II-ის და, გვ. 9, ასული თეიმურაზ II-ისა. ცოლი დიმიტრი სალთხუცესის ამილახვრისშვილის ძის გიორგისა. 1765 წ. საეკლესიო კრების მიერ იგი გაყრაღ იქნა გიორგი ამილახვრისშვილს, მეორე ქორწინებაში კაცია დადიანის ცოლი. გარდაიცვალა 1766 წ.

ელისაბედ, რუსეთის იმპერატორი, ასული პეტრე I-ისა, გვ. 7. გამეფდა 1741 წ., გარდაიცვალა 1761 წ.

ელენე, დავით ბატონიშვილის ცოლი, გვ. 26, ~~ალა ტერ-სიმონა აბამელიძის ასული~~ დაბ. 1770 წ., გარდ. 1837 წ.

ენდრონიკაშვილი იხ. ანდრონიკაშვილი.

ენაკოლოფაშვილი გურგინა მირზა, გვ. 13, 16 ყარაბაღელი, მცოდნე მრავალი ენისა, დიპლომატი. დესპანად გაგზავნილი ირაკლი II-ის მიერ სულტანის კარზე.

ერისთავი ალაბაბა, გვ. 11, 32.

ერისთავი ქსნისა გიორგი, ყულარაღლასი, გვ. 15. 1778 წ. განუდგა მეფე ირაკლი II-ეს, ზის გამო ჩამოერთვა ქსანი, ლიახვი და გვერდის-ძირი

ერისთვისწვეილი ელისბარ გვ. 32, ძე ალაბაბასი. პოდოლკოვნიკი ნარვის დრაგუნთა პოლკისა. მოკლულ იქნა პავლე ციციშვილთან ერთად 1806 წ. თებერვლის 8.

ერისთვის ძე მიხვილ, გვ. 20 დავით, ქსნის ერისთვის შვილი.

ერისთვის ძე რომანოზ, გვ. 27 არაგვის ერისთვის ძე, მთავარეპისკოპოსი.

ერისთავი რაქისა როსტომ, გვ. 10 ძე შოშიტასი. სოლომონ I-ის მოწინააღმდეგე. 1769 წ. იგი დამარცხდა სოლომონთან ბრძოლაში. მას ჩამოერთვა საერისთავო და გაძევებულ იქნა. თვით რაქის ერისთავობაც გაუქმებულ იქნა.

ესიპოვი მაიორი გვ. 42, წინამძღოლი რუსთა რაზმისა. მოიკლა ვარდის-უბანში აჯანყებული კახელების მიერ 1812. წ.

ვახტანგ VI, გვ. 10, 16, 28, ლეონის ძე. დანიშნული ქართლის მმართველად 1703 წ. მეფე 1716 წლიდან. წავიდა რუსეთს 1724 წ. გარდაიცვალა 1837 წ. ასტრახანში. ვახტანგ VI გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე და მეცნიერი იყო. მისი თაოსნობით შედგენილ იქნა: ქართული სჯულის კრებული და თვით „ვახტანგის სამართალი“, ქართლის ცხოვრების ვახტანგისეული რედაქცია, დასტურლამალი. მანვე მოაწყო ტფილისში პირველი სტამბა 1709 წ. 1712 წ. დაბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“. მის კალამს ეკუთვნის „ქილილა და დამანა“-ს თარგმანი და სხ.

ზველიშინი გენერალ-მაიორი, გვ. 31, კავკასიაში მოქმედობს 1805 წლიდან, ბაქოსა და სპარსეთის სანაპიროზე. 1805 წ. იგი იგზავნება ასტრახანიდან დესანტით ბაქოს დასაჭერად. ამავე წელს გილანში, სადაც მარცხდება სპარსელებისაგან.

ზაქი-ხან ზანდი გვ. 22, ბიძაშვილი ქარიმ-ხანისა; ქარიმ-ხანის სიკვდილის შემდეგ ხელში ჩაიგდო ძალაუფლება. მოკლულ იქნა იმავე 1779 წ.

ზუბოვი გრაფი, გვ. 25, ვალერიანე ალექსანდრეს ძე (1771—1804 წ.) დაინიშნა კავკასიის მთავარმართებლად 1796 წ. მას ეკუთვნის წერილი სათაურით: „Мнение графа В. А. Зубова о видах на Грузию и персидскую торговлю“.

ზურაბიშვილი ზაზა გვ. 44 ანდრონიკაშვილი, ზურაბის ძე და ნინიას ძმა, სალთხუცესი მეფის შის იოანესი.

ზურაბიშვილი ნინია გვ. 43, 44, იგივე ანდრონიკაშვილი იოანე, ძმა ზაზასი. მარტყოფის მოურავი.

თახიშვილი ტარიელ გვ. 1.

თარხანი გიორგი, გვ. 9 ბორჩალოს მოურავი.

თარხნიშვილი იორამ გვ. 5 თბილისის მოურავი, ძე ლუარსაბისა. მოკლულ იქნა 1749 წ. მარაბდასთან ლეკების წინააღმდეგ ბრძოლაში.

თარხნიშვილები დიმიტრის ძენი გვ. 34, 37.

თაქთაქიშვილი ელიზბარ გვ. 9, 10.

თაყაშვილი ფარემუზ, გვ. 6.

თეიმურაზ II, გვ. 1 შენიშვ., 2—8, ძე ირაკლი I ნახარალი-ხანისა. დაიბადა 1700 წ.

• 1733 წ. გამეფდა კახეთში, ხოლო 1744-ს ქართლში. გარდაიცვალა 1762 წ.

რუსეთიდან მომავალი, დასაფლავებულია ასტრახანში. მის დროს ქართლ-კახეთში გაძლიერდა კულტურული მუშაობა—დაარსებულ იქნა ახალი სასწავლებელი, განახლდა სტამბა. თვით თეიმურაზიც ეწეოდა ლიტერატურულ მოღვაწეობას. მას ეკუთვნის თარგმანი „თიმსარიანისა“ და რამდენიმე ორიგინალური ნაწარმოები: „დღისა და ღამის გაბაასება“, „ხილთა ქება“ და სხ.

თეიმურაზ ბატონიშვილი, გვ. 29, 38 გიორგი XII-ის ძე. დაიბადა 1782 წ. გიორგი მეფის სიკვდილის შემდგომ არ დაემორჩილა რუსეთის ხელისუფლების მოთხოვნას რუსეთში გადასახლების შესახებ და 1803 წ. გაიქცა სპარსეთში, მაგრამ უკვე 1810 წ. დაბრუნდა უკან და გამოცხადდა გენ. ტორმასოვთან, რომელმაც გაგზავნა იგი რუსეთს. გარდაიცვალა 1846 წლის 25 ოქტომბერს.

ალსანიშნავია თეიმურაზის სამეცნიერო და ლიტერატურული მოღვაწეობა. იგი იყო საპატრიო წევრი პეტერბურგის სამეცნ. აკადემიისა, წევრი კოპენჰაგენის ანტიკვარ. საზოგადოებისა და პარიზის საახიო საზოგადოებისა. მას დარჩა რამდენიმე მეცნიერული ნაშრომი: ლექსიკონი, შედგენილი „გეფხის ტყაოსნისათვის“; ირაკლი მეფის ისტორია; საქართველოს ისტორია (დაიბეჭდა ს.-პეტერბ. 1848 წ.); წიგნი ბუნებისათვის ღმერთთასა, ციცერონისა, თარგ. რუსულიდან; წიგნი ათნი გვირგვინნი, თარგ. სპარსულიდან; წიგნი არისტოტელისა ბოროტისათვის და კეთილისა. და სხ.

თეიმურაზ, სოლომონ I-ის, იმერთა მეფის, ბიძაშვილი, გვ. 10, ძე გიორგის ძის მამუკასი. იმერთის მეფე 1766—1768 წლ.; გაშეფებულ იქნა ოსმალებისა და ზოგიერთი თავადის დახმარებით, რომლებიც წინააღმდეგნი იყვნენ სოლომონ I-ისა. 1768 წ. მოწინააღმდეგეთა შორის მოხდა შეთანხმება, რის შედეგიც იყო სოლომონ I-ის კვლავ მეფედ გამოცხადება. 1768 წ. თეიმურაზი დაპატიმრებულ იქნა მუხურისის ციხეში, სადაც მოკვდა ამავე ხანებში.

იბრეიმ ბეგ ვერთვისისა გვ. 12. ხერთვისის ციხის-თავი, რომელიც გადავიდა ირაკლი II-ის მხარეზე, ამ უკანასკნელის და სოლომონ I იმერთა მეფის მიერ ჯავახეთის დალაშქერის დროს 1773 წ.

იბრეიმ-ხანი, ბეგლარ-ბეგი ისპანისა, გვ. 2, 3, 4. ძმა ადილ შაჰისა. სპარსეთის შაჰი 1749 წელს. მოკლულ იქნა ამავე წელს შაჰ როჰის მიერ.

იბრეიმ-ხანი ყარაბაღისა, გვ. 14, 17—19, 23—26, 30, ძე ფანა-ხანისა. ირაკლი II-ის მოკავშირე სხვა ხანების წინააღმდეგ. 1780—86 წ. ირაკლი II და იბრეიმ-ხანი შეთანხმებით განაგებდნენ განჯის სახანოს. ხანად დაჯდა 1758 ან 1763 წ.

იესე მეფე გვ. 1, 3, 7, 12, 18, სპარსელების მიერ წოდებული ალი-ყული-ხანად, ხოლო ოსმალების მიერ მუსტაფად. ძე ლეონისა. დადგენილ იქნა სპარსელების მიერ ქართლის მეფედ 1714 წ. მეფობდა 1716 წლამდე. ამ წელს ქართლი გადაეცა ჯერ ვახტანგ VI-ეს და შემდეგ მის ძეს ბაქარს. იესე 1723 წ. კვლავ იქნა გაშეფებული ქართლში ოსმალების მიერ. გარდაიცვალა ოსმალთაში 1727 წ.

იოვანე ბატონიშვილი გვ. 20, 21, 23, 25—27, 42, ძე გიორგი მე. XII-ისა. დაიბადა 1767 წ. იღებდა აქტიურ მონაწილეობას 1790 წლიდან სახელმწიფოს როგორც სამხედრო, ისე მართვა-გამგეობის საქმეებში. 1801 წელს გადა-

გზავნილ იქნა რუსეთს, სადაც ცხოვრობდა სიკვდილამდე. გარდაიცვალა 1830 წ. იოვანე შესანიშნავი ნიქის და ფართო განათლების მქონე ქართველ მოღვაწეთაგანია. მას დარჩა მრავალი ნაშრომი. ამთგან ყველაზე თვალსაჩინოა: „კალმასობა“, ქართულ-რუსული ლექსიკონი 7 ნაწილად, ქართული ისტორია, პროექტი სხვადასხვა წესდებულებებზე მეფე გიორგი XIII-ის დროს და სხვა როგორც ორიგინალური, ისე თარგმნილი რუსულად.

ირაკლი II გვ. 1 (შენიშ.) 2—14, 14 (შენიშ.), 15, 16, 18—28 ძე თეიმურაზ II. II. მეფე ქართლისა და კახეთისა 1744—1798 წლ. დაიბადა 1718 ან 1720 წ. გამეფდა კახეთში 1744 წ., 1762 წლიდან მისი მამის თეიმურაზ II-ის სიკვდილის შემდგომ განაგებდა ქართლსა და კახეთს. გარდაიცვალა 1798 წლის დასაწყისში. ირაკლი II-ის პოლიტიკის მთავარი ხაზები: შიგნით—გაძლიერება ცენტრალური ხელისუფლებისა (ბრძოლა ქსნის ერისთავებთან, პაატა ბატონიშვილის და ალექსანდრე ბაქარის ძის შეთქმულებათა მოსპობა, მართლ-მსაჯულების საქმის გაუმჯობესება), ვაჭრობის, მრეწველობის და ხელოსნობისათვის ხელის შეწყობა (იწვევს უცხო ქვეყნიებიდან მრეწველებს და ვაჭრებს, აახლებს მადნების დამუშავებას და სხ.), კულტურული ღონისძიებანი (სტამბის განახლება, სასწავლებლების დაარსება და სხ.); საგარეო პოლიტიკა:—ქართლ-კახეთი ამირ-კაკვასის მთავარი პოლიტიკურ ერთეულია, მისი მოხარკენი არიან განჯა, ერევანი, ხოლო ყარაბაღი—მოკავშირე. ლეკთა წინააღმდეგ ირაკლიმ შექმნა მუდმივი ჯარი—მორივე (1774 წ.). 1783 წ. „მეგობრობის ტრაქტატით“ შეეკრა რუსეთს.

იულონ ბატონიშვილი გვ. 15, 18, 20, 21, 23, 27, 30, 37 ირაკლი II-ის ძე დარეჯან დედოფალთან. დაიბადა 1759 წ., გარდაიცვალა 1816 წ. პეტერბურგში. 1792 წლიდან, როდესაც ირაკლი II-ემ გამოუყო ბატონიშვილებს საუფლისწულოები, იულონი განაგებდა ქართლის დასავ. ნაწილს და ქსანს. გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდგომ არ დაემორჩილა რუსეთის ხელისუფლების განკარგულებას რუსეთში გადასახლების შესახებ და 1805 წლამდე უშედეგოდ იბრძოდა თავის მეფედ გამოცხადებისათვის. 1805 წ. იგი შეპყრობილ იქნა იმერეთში, გადაგზავნეს რუსეთში და ერთხანს პატიმრად იჯდა ქ. ტულაში.

იზიყ-ბუგ გვ. 20, თურქთა გამოჩენილი მხედარი ყარსში.

კავალნიკი გვ. 27, ე. ი. კოვალენსკი პეტრე ივანეს ძე, „სტატსკო სოვეტნიკი“, დანიშნული 1799 წ. რუსეთის მინისტრად საქართველოს კარზე. 1800 წ. გაწვეულ იქნა უკან. 1801 წელს კვლავ ინიშნება საქართველოს მმართველად. კალატოზიშვილი მაიორი გვ. 35 პავლე, მოკლულ იქნა 1810 წ. იმერეთის დაპყრობისას რუსეთის მიერ.

კარეგინი, პოლკოვნიკი გვ. 31 ე. ი. კარიაგინი. ებრძვის 1805 წ. რუსის ჯარებით სპარსელებს ყარაბაღში.

კინაძენი გვ. 34, 36 ზემო-იმერეთის აზნაურები, წერეთლების ყმები.

კლთი ფონ-იუსტენსბურგი, ბარონი, გენერალი გვ. 41, 43, მარკიზი, პაულიჩის მოადგილე თბილისში 1811—12 წლ.

კორინგი გენერალ-ლეიტენანტი, გვ. 27, 28 კარლო თევდორეს ძე. მთავარმართებელი კავკასიისა და საქართველოს 1801—1803 წლებში.

კობიანი გვ. 41 არაგვის ხეობის აზნაურები.

კორსიკოვი გენერალ-მაიორი გვ. 25 ზუბოვის ხელქვეითი. 1796 წ. აიღო განჯა. კობტა ბელადი გვ. 8, 11 ლეკების წინამძღოლი.

ლაზარევი გენერალ-მაიორი გვ. 28 ივანე პეტრეს ძე. შთამომავლობით სომეხი. დანიშნულ იქნა 1799 წ. საქართველოში რუსის ჯარების მხედართმთავრად. მოკლულ იქნა 1803 წ. გიორგი XII-ის ცოლის მარიამ დედოფლის შეურაცხყოფისათვის დედოფლის ერთ-ერთი მხლებელის მიერ.

ლარაძე პეტრე, აზნაური, გვ. 38 ლალა თეიმურაზ ბატონიშვილისა, გიორგი XII-ის ძისა. მოლექსე და მწიგნობარი. თეიმურაზ ბატონიშვილთან ერთად გადასახლდა რუსეთში—პეტერბურგს 1810 წ. აქ მას ხელი მიუყვია ლიტერატურული შრომისათვის. მისი ნაშრომები სამ წიგნადაა დაგროვილი: 1) დილარიანი, 2) სახემგოსანი, 3) მრავალფერყვავილოვანი. გარდაიცვალა პეტრე ლარაძე 1837 წლ. 21 თებერვალს.

ლეონ ან ლევან, ირაკლი II-ის ძე გვ. 12, 15, 16 ირაკლისა და დარეჯანის უფროსი შვილი. დაიბადა 1756 წ. იღებდა აქტიურ მინაწილეობას სახელმწიფოს საქმეებში. იყო ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი ირაკლის მიერ მოწყობილი „მორიგე“-სი 1774 წ. ანტონი I კათალიკოსთან ერთად გაგზავნილი იყო რუსეთის სამეფო კარზე ელჩად 1771 წ. გარდაიცვალა 1781 წ.

ლეონ, იულონ ბატონიშვილის ძე გვ. 37, დაიბადა 1785 წ. ეკუთვნოდა, მამისდა გვარად, რუსების მოწინააღმდეგეთა ჯგუფს. 1810 წ. ააჯანყა ოსეთი. მოკლულ იქნა 1811 წ. ბორჯომის ხეობაში ლეკების მიერ.

ლისანოვიჩი, გენერალ-მაიორი გვ. 39 დიმიტრი ტიხონის ძე (1778—1825 წ.). გენ. ტორმასოვის ერთ-ერთი აქტიური თანამშრომელი ამიერ-კავკასიის დამორჩილების საქმეში. 1806 წ. ლალატით მოჰკლა ყარაბაღის ხანი იბრაიმი. 1812 წ. იყო ბაშბაკის ოლქის უფროსად.

ლუთვალი-ხან, ძე ჯაფარ-ხანისა, ხანი გვ. 23 ფარსის ბეგლარ-ბეგი. ებრძვის 1787 წლიდან ალა-მაჰმად-ხან ყაჯარს, რომელმაც 1794 წ. შეიპყრო იგი და აღმოხადა თვალები.

მამუჩაშვილი ალექსანდრე, ნახე კავკაზაძე ალექსანდრე.

მანტრეხორი მაიორი გვ. 30 ე. ი. მონტრეხორი, პ. ციციშვილის ხელქვეითი. მოკლულ იქნა 1804 წ. სპარსელებთან ბრძოლაში ერევანზე გალაშქრების დროს.

მარიამ დედოფალი გვ. 28 მეორე ცოლი გიორგი XII-ისა, გიორგი ციციშვილის ასული. დაიბადა 1768 წ., შეეულა გიორგი ბატონიშვილს 1782 წ. 1803 წ. ერთ-ერთი მისი მხლებელის მიერ მოკლულ იქნა გენ. ლაზარევი, რის გამო დედოფალი მარიამ დააპატიმრეს, გაგზავნეს რუსეთში—ტულოსკის გუბერნ. ქალაქ ბელგოროდში და დააბინავეს დედათა მონასტერში. 1811 წ. ნება მისცეს გადასახლებულიყო მოსკოვს, სადაც გარდაიცვალა 1850 წ.

მარიამ დედოფალი, ცოლი სოლომონ II იმერთა მეფისა, გვ. 37 ასული კაციო დადიანისა, და გრიგოლისა. 1810 წ. შეპყრობილ იქნა რუსეთის ხელისუფლების მიერ და წარგზავნილი რუსეთს. გარდაიცვალა 1811 წ.

- მარიამ ან მარია, დაჲ სოლომონ II-ისა გვ. 37 ცოლი მელქისედეკ ანდრონიკაშვილისა. 1810 წ. შეპყრობილ იქნა გენ. ტორმასოვის მიერ და გადაგზავნილი რუსეთს.
- მალალაშვილი სოლომონ გვ. 42 ძე დავითისა. რუსთა წინამძღოლი აჯანყებული არაგვისპირელების წინააღმდეგ. მოკლულ იქნა 1812 წ. ბულაჩაურთან.
- მაჩაბელი ლუარსაბ გვ. 37 ქართლის თავადი.
- მაჭმად ალი-ხან გვ. 33. უფროსი ძე ბაბა-ხანისა. დედა მისი ყოფილა თუში ცისკარაშვილის ქალი, რომელიც ლეკების მიერ ტყვედ იყო წაყვანილი და გაყიდული სპარსეთში. მაჭმად ალი-ხანი, ვითარცა მონის შვილი, მემკვიდრედ არ იქნა ცნობილი.
- მაჭმად ასანი გვ. 40 უფროსი ძე ყარაბაღის ხანის იბრეიმისა, ძმა მეით-ხანისა. მაჭმად ასან ყაჯარი გვ. 7, 22 ასტრაბათელი, მოკლული 1760 წ. მეტოქე ქარიზ-ხანისა. მამა ალა-მაჭმად-ხანისა.
- მაჭმად ასან-ხანი გვ. 9, 14, 14 (შენიშვნა), 22 უფროსი ძე განჯის ხანის შავერდისა, მოკლული თავისი ძმის (?) მაჭმად-ხანის მიერ.
- მაჭმად ბეგ, ძე ხათუნისა გვ. 20 თურქთა მხედართ-მთავარი ყარსში.
- მაჭმად-ხანი განჯისა გვ. 14 შენიშვნა. ძე (?) შავერდი-ხანისა. 1778 წ. შეპყრობილ იქნა ყარაბაღის ხან იბრეიმის და ირაკლი II-ის მიერ და მოკვდა ტყვეობაში.
- მაჭმად-ხანი ერევნისა გვ. 16, 18 ძე ჰუსეინ ალი-ხანისა, ძმა ყულამ ალი-ხანისა. ხანად დაჯდა 1785 წ.
- მაჭმად-ხანი შაქისა გვ. 18 მაჭმად ჰუსეინ-ხანი, აჯი ჩალაბის შთამომავალი. ხანად დაჯდა 1780 წლის ახლო.
- მაჭმად-ხან ყაჯარი გვ. 1, 4 ნადირ შაჰის ერთ-ერთი მკვლელი, ერევნელი, ქეშიქჩი-ბაში შაჰის.
- მაჭმუდ II, სულტანი გვ. 32 ოსმალეთისა, ძე აბდულ ჰამიდისა (1785—1839 წ.) ტახტზე ავიდა 1808 წ. 1826 წ. მოსკო იანიჩარების ინსტიტუტი.
- მეითი ან მეჰითი-ხან ყარაბაღელი გვ. 40 უმცროსი ძე იბრეიმ-ხანისა. ხანად დაჯდა 1806 წ. განდევნილ იქნა რუსების მიერ 1822 წ.
- მირზა ბუზურგი გვ. 34 ვახირი ყენი ბაბა-ხანისა, მოსული 1810 წ. ზაის დასადებად სპარსეთ-რუსეთს შუა.
- მირიან ბატონიშვილი გვ. 16 ძე ირაკლი II-ისა. დაიბადა 1766 წ., 1784 წლიდან იმყოფებოდა რუსეთში სამხედრო სამსახურში.
- მუსა ბეგ იარიღელი გვ. 1 ნადირ შაჰის მკვლელი. II. БУТКАВ-ის მასალების მიხედვით—ურუმგიელი.
- მუსტაფა IV, ძე აჰმედისა გვ. 32 ოსმალეთის სულტანი, იმეფა რამდენიმე თვე 1808 წ.
- მუხრანის ბატონი იოვანე გვ. 18, 23 ძე კონსტანტინესი, სალთხუცესი. ცოლად ჰყვდა გიორგი XII-ის ასული ქეთევან. გარდაიცვალა 1798 წ.
- მუხრანის ბატონი კონსტანტინე გვ. 7 სალთხუცესი, მოკლულ იქნა 1756 წ. ღართის-კარში ლეკებისაგან.
- მუხრანის ბატონის შვილი კონსტანტინე გვ. 41, 42 ძე იოვანესი, სალთხუცესი 1798 წლიდან. გარდაიცვალა 1843 წ.
- მუხრანის ბატონის შვილი სვიმონ გვ. 11 ძე ლევანისა ნასახჩიბაში, მუხრანის ბატონი 1756 წლიდან.

- ნადირ შაჰ გვ. 1, 1 შენიშვნა, 2, 4, 22 სპარსეთის შაჰი. დაიბ. 1688 წ. 1727 წლიდან იყო შაჰ თამაზის სამსახურში ნადირ-ალი-ხანის სახელით. ამ დროს სპარსეთში მძლავრობდნენ ავღანელები და თურქები. 1729 წ. ავღანელები განდევნილ იქნენ ნადირის მიერ სპარსეთიდან, ხოლო 1730 წლ. დაიწყო თურქებთან ომი. 1732 წ. ნადირმა გადააყენა შაჰ თამაზი და შაჰად გამოაცხადა მისი მცირეწლოვანი შვილი აბაზ III, რომელიც 1735 წ. მოკვდა. 1736 წელს ნადირი გამოცხადებულ იქნა შაჰად. მან განდევნა თურქები, 1739 წ. დალაშქრა ინდოეთი, 1740 წ. დაიპყრო ხივა და ბუხარა. ემზადებოდა რუსეთთან საომრად, მაგრამ 1747 წ. მოკლულ იქნა.
- ნანორაძე ერასტი გვ. 6.
- ნესვეტაევი გენერ.-მაიორი გვ. 32 დანიშნულ იქნა საქართველოში 1804 წ. მოქმედებდა ამიერ-კავკასიაში 1804—7 წლებში.
- ნურალი ან ნურსალი. ბეგ ავარელი გვ. 6, 13, 17 ხუნძახის ბატონი—მუცალი, იგივე მერსელ-ხანი. ჩანს 1751 წლიდან, მოკლულ იქნა ფათალი-ხან ყუბელის მიერ 1774 წ.
- ომარ-ხან ავარელი გვ. 17, 18, 25, 26 ხუნძახის ბატონი, ძე ნურალი ბეგისა. გარდაიცვალა 1801 წ.
- ონანანი გვ. 43 ვაჩნაძიანი, კახელი თავადები.
- ონანაშვილი ოთარ გვ. 43 ვაჩნაძე, ძე ასლანისა, მოკლულ იქნა 1812 წ. ყარაღაჯთან.
- პაატა ბატონიშვილი გვ. 9, 10 „უკანონო“ შვილი ვახტანგ მე-VI-ისა. აღიზარდა რუსეთს, ნამყოფი იყო დასავლ. ევროპაშიც, სადაც შეისწავლა არტილერიის საქმე. თბილისში მოვიდა 1752 წ., 1765 წ. მის გარშემო შემოიკრიბა ირაკლის პოლიტიკით უმჯობესი ფეოდალთა ჯგუფი. შეთქმულებს აზრად ჰქონდათ პაატის გამეფება. შეთქმულება გამჟღავნდა. პაატა ხოგირით სხვა შეთქმულთან ერთად სიკვდილად დასაჯეს.
- პავლე I, რუსეთის იმპერატორი გვ. 11, 25, 27 (1754—1801 წ.) ტახტზე ავიდა 1796 წ.
- პაულუჩი მარკიზი, გენერ.-მაიორი გვ. 38, 39, 41, 43, 44 ფილიპე იოსების ძე. მთავარ-მართებელი საქართველოსი 1811 წლ., მის გამგებლობის დროს მოხდა კახეთის აჯანყება 1812 წ., გადააყენეს 1812 წ., 1829 წ. დასტოვა რუსეთი.
- პარტნეგინი გენერალი გვ. 42, 43 ე. ი. პორტნაგინი, კახეთის ოლქის უფროსი 1812 წ.
- პოტემკინი, გენერ.-პორუთჩ. გვ. 16 პავლე სერგის ძე. იმიერ-კავკასიის გენერ.-გუბერნატორად დანიშნა 1784 წ.
- პუპულაშვილი ანუ ახვერდოვი გვ. 44, ნახე ახვერდოვი.
- რაიმ-ხან, ძე შავერდი-ხანისა გვ. 17, განჯელი, ძმა ჯავად-ხანისა. განჯის ხანად დაჯდა 1785 წ., ხოლო 1786 წ. გადაყენებულ იქნა ირაკლი II-ის მიერ.
- რატიშვილი ბეჟან გვ. 6.
- რიზა ყული მირზა გვ. I შენიშვნა, 2, ნადირ შაჰის უფროსი შვილი და მეკმეიდრე, რომელსაც ნადირმა ეჭვით თვალები დასწვა 1742 წ. მოკლულ იქნა ადილ შაჰის მიერ 1747 წ.

რიზა ყული-ხან გვ. 14 შენიშვნა, ძმა შავერდი-ხან განჯელისა.

როზენი ბარონი, გერენ.-ლეიტენ. გვ. 36 მოქმედობს იმერეთში 1810 წ. სოლომონ II-ის წინააღმდეგ.

რტიშჩევი გენერ.-ლეიტენ. გვ. 44 ნიკოლოზ თევდორეს ძე, სენატორი. იყო საქართველოს მთავარ-მმართველად 1812—1816 წლ. გარდაიცვალა 1835 წ

საკაცე ხოჭრაბ-ხან გვ. 2 ვეზირი ადილ შაჰისა.

სამიშვილი ედიშერ გვ. 8.

სამ სეფი გვ. 2 სპარსელი ცრუ ბატონიშვილი, რომელიც თავს შაჰ ჰუსეინი (+1725 წ.) შვილად აცხადებდა 1734—1736 წლებს შუა. იგი გამოჩნდა ახერბაიჯანში, შემდეგ მოვიდა ქართლში, სადაც შეპყრობილ იქნა თეიმურაზ II-ის მიერ.

საგინაშვილი ხურაბ, ძე პაპუასი, კაპიტანი გვ. 42 მძიმედ დაიჭრა დუშეთთან 1812 წ.

სამაილოვი გენერ.-მაიორი გვ. 16, 17 ე. ი., სამაილოვი ა. ნ. მოქმედობს პორტუკინის ხელკეციტ ჩაჩნების და ჭარის ლეკების წინააღმდეგ 1783—84 წლებში სელიმ III, ოსმალეთის სულტანი გვ. 32 (1761—1808 წ.), ძე მუსტაფა III-ისა ტახტზე ავიდა 1789 წ. რეფორმების გატარებისათვის 1807 წ. ჩამოაგდეს ტახტიდან. 1808 წ. მოჰკლეს.

სიმონოვიჩი, პოლკოვნ., გვ. 35, 36 ტორმასოვის ხელკეციტით და თანამშრომელი თამაშობს აქტიურ როლს რუსეთის ხელისუფლების სოლომონ II იმერთა მეფესთან ბრძოლაში. 1810 წ. სოლომონ II-ის შეპყრობის შემდგომ ინიშნება იმერეთის მმართველად. 1814 წ. იყო საქართველოს სამხედრო და სამოქალაქო გუბერნატორად.

სოლალანი გვ. 35 ქვემო-ქართლის თავადები.

სოლომონ II იმერთა მეფე გვ. 8, 10, 11, 12, 13, 16 „დიდად“ სახელდებული. ძე იმერთა მეფის ალექსანდრესი. ტახტზე ავიდა 1751 წ. მთელი თავისი ხანგრძლივი მეფობა სოლომონმა გაატარა ბრძოლაში ორ მთავარ ფრონტზე—1) ოსმალების და 2) მძლავრი ფეოდალების წინააღმდეგ. 1769 წ. მან მოსპო რაჰის საერისთავო და გაანადგურა თავისი დაუძინებელი მტერი როსტომ რაჰის ერისთავი. 1775 წ. რუსის ჯარის დახმარებით განდევნა ოსმალები იმერეთის ციხეებიდან. 1771 წ. დაიმორჩილა გურია. 1780 წ. რუხის ბრძოლაში შეაჩერა ოსმალთა აგრესია ჩრდილო დასავლეთიდან. მმართველობაში: გააუმჯობესა სასამართლოს წარმოება, შეიტანა დამატებითი ვახტანგის კანონებში, აკრძალა ტყვის ყიდვა და სხ. გარდაიცვალა 1784 წ.

სოლომონ II იმერთა მეფე, გვ. 16, 21, 23, 33, 35 ძე სოლომონ I-ის ძმის არჩილისა და შვილი-შვილი ირაკლი II-ისა. დაიბადა 1773 წ. გამეფდა 1789 წ. სოლომონ II ცდილობდა გაეგრძელებინა სოლომონ I-ის გეზი ფეოდალთა დაპყრობა-დამორჩილების მხრივ. საჭირო იყო ოდიშის შემოშტრკიცება. აქედან—ხანგრძლივი ბრძოლა დადიანებთან. საქმე გართულდა რუსეთის თვითმპყრობელობის ჩარევით იმერეთის ცხოვრებაში. რუსეთმა, მოიმაგრა რა ფეხი ქართლ-კახეთში, მთავარი ყურადღება იმერეთს მიაქცია. 1810 წ. სოლომონ II საბოლოოდ დამარცხდა და გაიქცა ახალციხეს. აქედან გადავიდა ტრაპეზონს, სადაც გარდაიცვალა 1815 წ.

სულეიმან ათაბაგი, ახალციხის ფაშა გვ. 12, 16 შთამომავლობით ქართველი-სულეიმან, სპასპეტი ბაბა-ხანისა გვ. 30 დანიშნული გილანის უფროსად.

სუსოტინი, გენერ.-მაიორი გვ. 11, 12, დანიშნა 1771 წ. ტოტლებენის ნაცვლად. ალყა შემოარტყა ფოთს, მაგრამ ვერ აიღო. 1773 წ. გაწვეულ იქნა რუსეთში.

ტორმასოვი, გენერ. კავალერიისა, გვ. 33, 34, 35, 37, 38, 39, ალექსანდრე პეტრეს ძე (1752—1819 წ.). 1809 წ. საქართველოს მთავარ-მართებელი, 1811 წ. გაწვეულ იქნა უკან. იღებდა მონაწილეობას 1812 წლის ომში ნაპოლეონთან.

ფონ ტოტლებენი გრაფი გვ. 10. ჰოტლიბ-კურტ-ჰენრიხი, საქსონიიდან. ავანტურისტ-ი. დალატისათვის ეკატერინე II-ის მიერ მიცემული იყო სამართალ-ში, ჩამოერთვა ჩინ-ორდენები და, ზოგიერთი ცნობის მიხედვით, გაგზავნილი იყო ციმბირს. 1769 წ. ის შეიწყინარეს და გამოგზავნეს საქართველოში რუსის მხედრობით ოსმალთა წინააღმდეგ სალაშქროდ. უღალატა ერეკლე II-ეს აწყურთან, გადავიდა იმერეთს, სადაც მისი დახმარებით სოლომონ I-მა გაანთავისუფლა ოსმალთაგან დაპყრობილი ქუთაისის და ბაღდათის ციხეები. შეეცადა ფოთის აღებას, მაგრამ ვერ მოახერხა. 1771 წ. უკან გაიწვიეს.

ტუსიშვილები გვ. 42 არაგვის ხეობის თავადები.

უსეინ ალი (დედანი შეცდ. ყული) ხანი ერევნისა, გვ. 16 ირაკლი II-ის მოხარკე. 1779 წ. უსეინ ალიმ განიზრახა განთავისუფლებულიყო ხარკისაგან. 1780 წ. ირაკლიმ დალაშქრა ერევანი და მორჩილებაში მოიყვანა ხანი. უსეინ ალი გარდაიცვალა 1783 წ.

უსეინი, ბაქოს ხანი, გვ. 31 ძმის-წული ბაქოს ხანის მუჭამედ-ყული-ხანისა. ხანად დაჯდა 1792 წ. 1806 წ. თებერვლის 8 მოქალა მთ.-მართ. თავადი პავლე ციციშვილი, რომელიც მოვიდა მასთან შეთანხმების თანახმად ბაქოს ციხის გასაღების ჩასაბარებლად.

უსეინ, ხანი შაქისა გვ. 13, 14 ძე აჯი ჩალაბისა, ხანად ჩანს მე-18 ს-ის სა-მოცდაათიანი წლებიდან. მოკლულ იქნა 1780 წ.

უსუფ ფაშა გვ. 32 არზრუმის სერასკირი.

უშაკოვი პოლკოვნ. გვ. 41 რუსების მხედართ-მთავარი. მოქმედობს აჯანყებულ არაგველთა წინააღმდეგ 1812 წ.

ფათალი-ხან ავშარი ვვ. 9, თავრიზის მფლობელი, 1750 წლიდან შედის ახატ ხან ავლანის სამსახურში. 1761 წ. ებრძვის ქარიზ-ხან ხანდს, რომელიც მას ტყვედ იკვდებს.

ფათალი-ხან ყუბელი გვ. 14, 18, 19, 40, ძე ჰუსეინ ალი-ხანისა. დაიბადა 1735 წ. 1759 წ. თავის მამასთან ერთად დაიპყრო სალიანი. 1760 წ. მამის სიკვდილის შემდგომ დაჯდა ხანად. 1765 წ. დაიპყრო დარუბანდი და იწოდა დარუბანდის ხანად. 1768 წ. და 1772 წ. დაიპყრო შემახის სახანო. თამაშობს დიდად აქტიურ როლს ამიერ-კავკასიის პოლიტიკურ ვითარებაში. ერეკლე II-ის მოქიშე ალმ. ამიერ-კავკასიაში ჰეგემონობისთვის. გარდაიცვალა 1789 წ.

ფანა-ხან გვ. 4, 9 ყარაბაღის ხანი ჯეჟანშირი. ჩანს 1749 წლიდან. გარდაიცვალა 1758 ან 1763 წ.

ფარნაოზ ბატონიშვილი გვ. 30 ძე ერეკლე II-ისა. დაიბადა 1775 წ. 1804 წლამდე თავის ძმა იულონთან ერთად ებრძოდა რუსეთის ხელისუფლებას. 1804 წელს შეპყრობილ იქნა, 1805 წ. წარგზავნილ იქნა რუსეთს და დასახლებული ვორონეჟში. გარდაიცვალა ს.-პეტერბურგში 1852 წ.

ქალბალი-ხანი ნახჭევნისა გვ. 18.

ქარიმ-ხან ზანდი გვ. 7, 9, 14 (შენიშ.), 22 გამოდის ასპარეზზე 1750 წლიდან. ამ წინიდან მოყოლებული ებრძვის სპარსეთის სამეფო ტახტის ხელში ჩაგდების მსურველთ—ახატ-ხან ავლანს, მაჰმად ჰასან ყაჯარს, ფათალი-ხან ავშარს—ამარცხებს მათ და 1761 წლისათვის ხდება თითქმის მთელი სპარსეთის მფლობელი, მხოლოდ მეშვედში განაგრძობს მეფობას ნადირის შვილის-შვილი შაჰ-როჰი. ქარიმი ამყარებს სპარსეთში მშვიდობიანობას. მის კარზე რამდენიმე ხანს იმყოფებოდა ქართლის მეფის ბაქარის ძე ალექსანდრე. ქარიმ-ხანს აზრად ჰქონდა ერეკლე II-ის ტახტიდან გადმოგდება და ამ ალექსანდრეს გამეფება. გარდაიცვალა 1779 წ.

ქეთევან, თეიმურაზ II-ის ასული გვ. 1 (შენიშვნა), დედა მისი, თამარი, იყო ასული ვახტანგ VI-ისა, ქეთევან ცოლად ჰყავდა ალი-ყული-ხანს, ნადირის ძმის-წულს, შემდეგში ადილ-შაჰად წოდებულს.

ქეთევან დედოფალი, გვ. 14, გიორგი XII-ის პირველი ცოლი, ქიზიყის მოურავის პაპუა ანდრონიკაშვილის ასული, დედა ბატონიშვილების: დავითის, იოანესი, ბაგრატიისა და თეიმურაზის. გარდაიცვალა 1782 წ.

ქობულის ძე სოლომონ, ღლივანი გვ. 6.

ქობულაოვი ოთარ გვ. 42, ძე დავით მდივნისა, მდივანი კახეთისა. გარდაიცვალა 1830 წ.

ლესენ-რეინ ფელსაგის პრინცი, გვ. 17 პავლე იმპერატორის პირველი ცოლის ძმა. ლუდოვიჩი, ნახე გუდოვიჩი.

ყაფლანიშვილი დავით გვ. 21 საბარათიანოს სარდალი, სახლთუხუცესი, ძე რევაზ ორბელიანისა; ცოლად ჰყავდა გიორგი XII-ის და თამარ. დაიბადა 1716 წ. გარდაიცვალა 1796 წ. ამან სთარგმნა სპარსულიდან „ყარამანიანი“.

ყაფლანიშვილი დიმიტრი გვ. 30, 35, 36 გენერ.-მაიორი, ძე ზაალ ყაფლანიშვილი-ორბელიანისა, რუსეთის პოლიტიკის ერთგული გამტარებელი საქართველოში იმერეთის დამორჩილების და კახეთის აჯანყების დროს 1810—12 წლებში.

ყაფლანიშვილი ვახტანგ გვ. 43, ორბელიანი, ძე დიმიტრისა, სიძე მეფე ირაკლისა—ცოლად ჰყავდა მისი ასული თეკლა. მოკლულ იქნა კახეთის აჯანყების დროს 1812 წ.

ყაფლანიშვილი ყაფლან გვ. 43 მაიორი, ორბელიანი, ძმა დიმიტრისა.

ყილიჯი ალი-ხან, გვ. 2 ნადირ შაჰის მიერ დანიშნული ქართლის მეთვალყურედ 1745 წ. ცხოვრობდა განჯაში. განდევნა ირაკლი II-ემ.

ყოჯა ბეგ გუნდუხელი გვ. 1, ნადირ შაჰის ერთ-ერთი მკვლელი.

ყულა მანი, ხანი ერევნისა გვ. 16 ე. ი. ყულამ ალი-ხან, ძე ჭუსეინ ალი-ხანისა. ხანობდა 1782 წ..

შვერდი ხანი განჯისა გვ. 9, 14 (შენიშვნა), 17 ე. ი. შაჰვერდი-ხან ხანდი, შვეიდა 1750 წლიდან ქართლის სამეფოს მფარველობის ქვეშ და იხდიდა ყოველწლიურ ხარკს. მოკლულ იქნა მე-18 ს-ის სამოციან წლებში.

შარიფ ფაშა ახალციხისა გვ. 35, 37 ძე სულეიმან ათაბაგისა, ძმის-წული ახალციხელი საბულ ფაშისა, ტრაპიზონის სერასკირო. 1801 წ. მისტაცა ახალციხის ფაშობა თავის ბიძაშვილს საბულ ფაშას. 1802 წ. განდევნილ იქნა ახალციხიდან საბულის მომხრეების სელიმ ალა ყიფიანის და სელიმ ალა ხიმშიაშვილის მიერ. 1805 წ. შარიფ ფაშა ანატოლიის ფაშის უსუფის დახმარებით კვლავ იკერს ახალციხეს. როგორც ჩანს მასალებიდან, ამის შემდეგ ის ხელმეორედ ყოფილა განდევნილი იმავე სელიმ ალა ხიმშიაშვილის მიერ, ვინაიდან 1803 წ. შარიფი კვლავ ართმევს ახალციხეს ხიმშიაშვილს.

შარუხ მირზა გვ. 2, 4, 25 ე. ი. შაჰ-როზ მირზა, ძე ნადირის უფროსის ძის რიზა ყული მირზასი. მფეობდა ქარიზ-ხან ხანდის დროს მეშვედში (ხორასანში). მოკლულ იქნა ალა-მაჰმად-ხან ყაჯარის მიერ 1796 წ.

შიხალი, დარუბანდის ხანი გვ. 40 ე. ი. შიხ ალი-ხან, ძე ფათალი-ხანისა, (დედა მისი იყო ქართველი, სახელად სეგერნაზი); განაგებს დარუბანდის სახანოს 1791 წლიდან. 1795 წ. მიიღო ალა-მაჰმად-ხანისაგან შირვანის ნაიბობა. შემდეგ შვეიდა რუსეთის მფარველობაში, მაგრამ 1810 წ. მას ჩამოართვეს ხანობა, რის გამო იგი აწყობს აჯანყებას. აჯანყება ჩაქრობილ იქნა, და შიხალი განივლტო დარუბანდიდან.

შუქურ-ალი, ხანი ნახჭევნისა გვ. 12.

ჩოლაცაშვილი დურმიშხან, გვ. 10 თუშთ მოურავი 1767 წ.

ჩონჩოლ მუსა გვ. 8 დაღისტნელი ბელადი. გამოდის ასპარეზზე 1757 წლიდან.

ჩხეიძენი გვ. 36 ზემო-იმერეთის ახნაურები.

ციციშვილი გლახა გვ. 8, ძე ქაიხოსრო ციციშვილისა. მისი დედა ანახანუმ, ბეჟან ბარათაშვილის ასული, დაქვრივების შემდგომ შეირთო აგრეთვე დაქვრივებულმა თეიმურაზ II-ემ. გლახა ციციშვილი მოკლულ იქნა ბრძოლაში 1759 წ.

ციციშვილი გლახა გვ. 9, 10 მონაწილე პაატა ბატონიშვილის შეთქმულებისა 1765 წ.

ციციშვილი ზაქარია, გვ. 19 სალთხუცესი დეფოფალი დარეჯანისა.

ციციანოვი იმერე გვ. 28, 29, 30, 31, 32 დიმიტრის ძე, გენერ.-ლეიტ. დაიბადა 1754 წ.

მისი პაპა პაატა გადაჭყვა რუსეთს ვახტანგ VI-ეს 1724 წ.. პავლე ც. დიონიზა 1803 წ. საქართველოს მთავარ-მართველად. მოკლულ იქნა ბაქოს ხანის მიერ 1806 წ.

წერეთელი ზურაბ, გვ. 21, 23, 35, 36 ძე ქაიხოსროსი, სარდალი და სალთხუცესი იმერთა მეფის დავით გიორგის ძის, ელჩად გაგზავნილი რუსეთს 1784 წ. ამისი ასული ქეთევან ცოლად ჰყავდა იოანე ბატონიშვილს, გიორგი XII-ის ძეს.

წერეთელი პაპუნა გვ. 21, ძე ქაიხოსროსი. სარდალი სოლომონ II-ისა. გარდაიცვალა 1790 წ.

წერეთელი როსტომ, ძე პაპუნასი გვ. 35.

წერეთლის ყმა კერკეტონი გვ. 34, ქაიხოსრო წერეთლის ყმა უნდა ყოფილიყო, ვინაიდან სოლომონ II იმერთა მეფის პატიმრობიდან გაპარება მოაწყო ქაიხოსრო წერეთელმა, პაპუნას ძემ.

ჭავჭავაძე ალექსანდრე გვ. 43, მამუჩაშვილი, ძე გარსევანისა. ცნობილი პოეტი, დაიბადა 1787 წ., 1804 წ. მიიღო შონაწილეობა მთიულეთის აჯანყებაში. რისთვისაც მოკლე ხნით გადასახლებულ იქნა ტამბოვს. 1811 წლიდან იწყებს სამსახურს უმათავრესად სამხედრო ასპარეზზე. 1812 წ. იღებს მონაწილეობას კახეთის აჯანყების ჩაქრობაში. გარდაიცვალა 1846 წ.

ხერხეულიძე ნიკოლოზ, კათალიკოზი გვ. 1 ურბნელი ეპისკოპ. კათალიკოზად ეკურთხა 1742 წ. მოკლულ იქნა 1744 წ.

ხუდია ბორჩალოელი გვ. 11, 12 ბორჩალოს ალაღარი ირაკლი II-ის დროს.

ჯავად-ხანი განჯელი გვ. 17, 19, 22, 29 ძე შვევრდი-ხანისა, ძმა რაიმ-ხანისა. ხანად დასმული 1786 წ. ჩეფე ირაკლი II-ის მიერ. მოკლულ იქნა განჯის აღების დროს 1805 წ. პ. ციციშვილის მიერ.

ჯავახიშვილი გვ. 34, 37 ესტატე.

ჯაფარ-ყული-ალა გვ. 40 ძე მაჰმად ასანისა, ძმის-წული ყარაბაღელი ხანის მეჭთისა. რუსეთის სამსახურის პოლკოვნიკი. 1812 წ. უღალატა და გაიქცა სპარსეთს. 1814 წ. კვლავ შეურიგდა ხელისუფლებას, მაგრამ 1822 წ. თავის ბიძასთან ერთად განიდევნა ყარაბაღიდან. დაპატიმრებულ იქნა სიმბირსკში.

ჯაფარ-ხან ზანდი, გვ. 22 ძე სადიკ-ხანისა, ძმის-წული ქარიმ-ხანისა. ალა-მაჰმად-ხანის მძლავრი მეტოქე, 1785 წ. დაიპყრა ისპაანი, შემდეგ შირაზი და მთელი ფარსასტანი. 1789 მოკლულ იქნა ერთ-ერთი თავისივე სარდლის მიერ.

ჰამიდ, ოსმალეთის სულტანი გვ. 13 ე. ი. აბდ-ალ-ჰამიდ I, ძე აჰმადისა, მეფობდა 1757—1773 წ.

ჰუსეინ, ბეგლარ-ბეგი ერევნისა გვ. 37, 39.

საძიებელი გეოგრაფიული სახელებიცა

- აბარანის გზა გვ. 33 მთის გზა, მიმავალი ერევნიდან გუმბორისაკენ (ლენინაკანი), ალაგების მთასთან.
- ახერბაიჯანი გვ. 2, 5, 9, 22 სპარსეთის ჩრდ. პროვინცია მთავარი ქალაქი თავ-რიზით.
- აენევი გვ. 8 სოფელი ქართლში, დვანის წყალზე (მტკვრის მარცხენა შენაკადი).
- აეკალა გვ. 3 სოფ. ქართლში მტკვრის მარცხენა ნაპირზე.
- ახანბური გვ. 8 სოფ. გარე-კახეთში.
- ახია გვ. 26 ქვეყნის ნაწილი.
- ალაზანი გვ. 3, 5, 17, 26 მდინარე კახეთისა: გამოდის კავკასიონის მთებიდან და მიერთვის მტკვარს მარცხნიდან.
- ალგეთი გვ. 32 მდინარე. გამოდის კლდე-კარიდან და ერთვის მტკვარს მარჯვ-ნიდან.
- ალი გვ. 8 „ქალაქი მცირე“ (ვახუშტი). ამჟამად სოფელი ქართლში, მდებარე-ობს ალის წყალზე, რომელიც გამომდინარეობს ლიხის მთიდან და ერთვის მტკვარს მარცხნიდან.
- ანანური გვ. 41. 42 მე-18 ს-ში ქალაქი და ციხე. ამჟამად სოფელი ვეძათ-ზავის და არაგვის კიდეზე.
- არაგვი გვ. 27 მდინარე. გამომდინარეობს კავკასიონის მთებიდან და ერთვის მტკვარს მარცხნიდან, მცხეთასთან.
- არაყი ანუ ერაყი გვ. 22 სპარსეთის დასავლ. პროვინცია ქალაქებით: ისპაანი, თეირანი, ქაშანი და სხ.
- არდაველი გვ. 30 ქალაქი სპარსეთის ახერბაიჯანში.
- არეზი გვ. 31 მდინარე. გამომდინარეობს ოსმალეთის მთებიდან და ერთვის მტკვარს მარჯვნიდან.
- არფაჩაი გვ. 32 ძველად ახურიანი. მდინარე სომხეთში, არეზის შენაკადი მარცხ-ნიდან.
- არშას ციხე გვ. 27 თერგის მარცხენა კიდეზე, ხევში.
- ასკარანი გვ. 40 ციხე ყარაბაღში.
- ასტრახანი გვ. 8, 31 ქალაქი რუსეთში.
- ატოვი გვ. 8 სოფ. ქართლში ფცის-წყალზე (მტკვრის მარცხენა შენაკადი).
- აღმადაღო გვ. 9 სოფ. ბორჩალოში.
- აღსტაფა გვ. 31 მდინარე, მტკვრის მარჯვენა შენაკადი.
- აღჯაყალა გვ. 31 ციხე ტფილისის სამხრეთით, მდ. დებედას მარჯვენა ნაპირზე. დებედა ქციის მარჯვენა შენაკადი.
- აწყური გვ. 11 ქალაქი და ციხე სამცხეში, მტკვრის კიდეზე.
- ახალქალაქი გვ. 13, 32, 37, 38, 39 ქალაქი და ციხე ჯავახეთში ახალქალაქის წყალზე (ჯავახეთის მტკვრის შენაკადი).
- ახალციხე გვ. 8, 11, 12, 13, 16, 17, 19, 20, 21, 34, 36, 37, 38, 39 ქალაქი და ციხე სამცხეში, ახალციხის წყალზე (მტკვრის შენაკადი მარცხნიდან).

ახმეტა გვ. 9 სოფ. კახეთში, ახმეტას-ხევე (ალაზნის მარჯვენა შენაკადი).

ბაიამათლო გვ. 22 ალაზნის ქვედა ნაწილში (?).

ბაიდარი გვ. 6 ბორჩალაში, ქციის მარცხენა ნაპირზე, თბილისიდან 50 კილომეტრის მანძილზე.

ბამი გვ. 23 ქალაქი, სპარსეთის პროვინცია ქირმანში.

ბანბაკი (ნახე ფაბაკი).

ბაქუ გვ. 25, 31, 32, 40, 41, 43 ქალაქი კასპიის ზღვის პირას. ამჟამად აზერბაიჯანის სსრ-ის დედა-ქალაქი.

ბედენი გვ. 35 მთა-გრეხილი საბარათიანოში.

ბელაქანი გვ. 25, 28 ქალაქი ბელაქნის-წყალზე (ალაზნის მარცხენა შენაკადი), კახეთის აღმოსავლეთ საზღვრის მახლობლად.

ბელგორი გვ. 28 ქალაქი რუსეთში, ყოფ. კიევის გუბერნიის პროვინციალური ქალაქი.

ბოდბე გვ. 13 სოფ. ბოდბის-ხევე ქიზიყში.

ბორბალა გვ. 35 სოფ. საბარათიანოში ასურეთის ხეობაში.

ბორჩალა გვ. 7, 9, 24 ქართლის პროვინცია, მდინარე დებედას ხეობაში, დებედა შენაკადი მტკვრის მარჯვენა შენაკადის ქციისა.

ბულაჩაური გვ. 42 სოფ. არაგვზე.

ბურღალი გვ. 36 სოფ. იმერეთში მდ. ჩოლაბურზე (ყვირილას მარჯვენა შენაკადი)

განჯა გვ. 2, 4, 5, 6, 9, 14, 14 (შენიშვნა), 17, 18, 22, 23, 24, 25, 26, 29, 30, 31 ქალაქი განჯის-წყალზე (მტკვრის მარჯვენა შენაკადი), ყოფ. ელიზავეტპოლი-აწ კიროვადი.

გარნისი გვ. 30, 38 ძველი ქალაქი გარნი-ჩაიზე (შენაკადი არეზისა) სომხეთში.

გატეხილი ხიდი გვ. 20, 27, 33 მტკვარზე, ქციის შესართავის მახლობლად.

გაიურ-არბი გვ. 21 სოფ. მდ. ალგეთზე (მტკვრის მარჯვენა შენაკადი).

გვერდის-ძირი გვ. 27 ქართლში, ორბოძალის მთის „სამკრით კერძს ჯარიაშენი-დამ ვანათამდე უწოდებენ გვერდის-ძირს“ (ვახუშტი).

გილანი გვ. 19, 31 სპარსეთის ჩრდ. პროვინცია კასპიის ზღვის სამხრეთ ნაპირებზე.

გომბორი გვ. 7 მთაგრეხილი, რომელიც გამოდის კავკასიონიდან და მოიმართება კახეთის ტერიტორიაზე ალაზნისა და იორის შუა, ატარებს შემდეგ სახელებს: ჩრდილოეთისაკენ „კახეთის მთა“, შემდეგ „გომბორი“, „შუამთა“ და „ცივი“.

გოჭა გვ. 18 ტბა ანიერ-კავკასიაში. ძველად გელაქულის ზღვა, აწ სევანი.

გორი გვ. 3, 4, 9, 12, 19, 39 ქალაქი და ციხე ქართლში, მტკვრისა და ლიახვის შესართავთან.

გრწანისი გვ. 20 ნახე კრწანისი.

გრწანისის ველი გვ. 23 ნახე კრწანისი.

გუპრი გვ. 32 ქალაქი სომხეთში (აწ ლენინაკანი) მდ. არფაჩაიზე, ყოფ. ალექსანდროპოლი.

დავით-გარეჯის მონასტერი გვ. 14 გარე-კახეთში.

დანლისი გვ. 3 სოფ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, იორ-ალაზნის შესართავის დასავლეთით.

დარბაზი გვ. 30 სოფ. ფაბაკში ანუ ბანბაკში.

ღარუბანდი ან დარბანდი გვ. 14, 18, 24, 40 ციხე და ქალაქი კასპიის ზღვის ნაპირზე.

დალისტანი გვ. 21, 40 მთიანი მხარე კავკასიონის აღმ. ნაწილში.

დედოფლის-წყარო გვ. 3, 7 სოფ. ქიზიყში.

დემურჩიასანი გვ. 24 მტკვრის ნაპირზე ყარაიას ქვევით.

დიდგორი გვ. 24 მტკვრისა და ალგეთის შუა მთა, მთი გამყოფი.

დირბი გვ. 25 სოფ. ქართლში ფიცის წყალზე (მტკვრის მარცხენა შენაკადი).

დილომი გვ. 24, სოფ. ქართლში. დიღმის-წყალზე (მტკვრის მარჯვენა შენაკადი).

~~დმანისი გვ. 33 ძველი ქალაქი და ციხე მდ. მაშავერზე (ქუთის მარჯვენა შენაკადი).~~

დურნუკი გვ. 21 სოფ. ბორჩალოში (ძველი საბარათიანო) მდინარე ალგეთზე.

დუშეთი გვ. 42 ქალაქი ქართლში, არაგვზე.

ევროპა გვ. 26 ქვეყნის ნაწილი.

ერანი გვ. 4 სპარსეთის აღმ. ნაწილი.

ერევანი გვ. 4, 5, 7, 10, 16, 18, 30, 33, 37, 38, 39 ქალაქი. აწ სომხეთის

სსრ-ის დედა-ქალაქი.

ეჩმიადინი გვ. 30, 39 მცირე ქალაქი ერევნის მახლობლად.

ვაკე გვ. 36, 43 იმერეთის ნაწილი, რიონის სამხრეთით.

ვახანი გვ. 17 ციხე ვახანის-წყალზე (ჩხერიმელას მარცხენა შენაკადი) ზემო-იმერეთში, ეკუთვნოდა აბაშიძეებს.

ველის-ციხე გვ. 25 სოფელი კახეთში, ალაზანზე.

ელადიმირი გვ. 7 ქალაქი რუსეთში.

ვორონეჟი გვ. 30, 37 ქალაქი რუსეთში.

ზანგანი გვ. 2 ქალაქი სპარსეთის აზერბაიჯანში.

ზანგის მდინარე გვ. 30 სომხეთში. გამოდის გოქჩის - ტბიდან და ერთვის არეზს მარცხნიდან.

ზაქათალა გვ. 29, 30 ქალაქი ალაზნის აღმოსავლეთით. აწ აზერბაიჯანის სსრ-ის ზაქათალის რაიონში.

ზედაველა გვ. 20 ველ-მინდორი ქართლში, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე.

ზედა-უბანი გვ. 35, 36 ზემო-იმერეთში.

ზეიბა გვ. 18 ყარაბაღში.

ზესთაფონი გვ. 36 სოფ. იმერეთში მდ. ყვირილას მარჯვენა ნაპირზე.

თავრიზი გვ. 1, 16, 31, 40 ქ. სპარსეთის აზერბაიჯანში.

თართარი გვ. 31 მდინარე, მტკვრის მარჯვენა შენაკადი. ქალაქი ამავე სახელწოდებით.

თელავი ან თელავის ციხე გვ. 4, 42 ქალაქი და ციხე კახეთში.

თეირანი გვ. 30 სპარსეთის დედა-ქალაქი.

თიანეთი გვ. 41 ქალაქი კახეთში, მდინარე იორზე.

თოფ-ყარალაჯი (ნახე ყარალაჯი).

თულქი-თაფა გვ. 6 შამშადილოში.

თუშეთი გვ. 10 საქართველოს მთიანი ნაწილი, კავკასიონის ქედის გადაღმა, მდ. თერგის შენაკადზე.

იედიბოლუქი გვ. 24 მტკვრის ნაპირას, თბილისიდან დაახლოებით 25 კმ-ზე.
 ილტო გვ. 21 მდინარე კახეთში, ალაზნის მარჯვენა შენაკადი.
 იმერეთი გვ. 1 (შენიშვნა), 11, 21, 35, 37 საქართველოს დასავლეთი ნაწილი ლი-
 ხის მთიდან ცხენის-წყლამდე. მე-18 ს-ში სამეფო. მთავარი ქ. ქუთაისი.
 ინჯიღარა გვ. 20 ყარსის მახლობლად.
 იორი გვ. 3, 10, 15, 17, 21, 26, 28 მდინარე კახეთში, მტკვრის მარცხენა შე-
 ნაკადი.

კაკაბეთი გვ. 43 სოფ. გარე-კახეთში.
 კახეთი გვ. 1 (შენიშვნა), 7, 8, 10, 12, 27, 28, 30, 42, 43 საქართველოს აღმოს-
 ნაწილი, ალაზნისა და იორის ხეობაში.
 კეხვი გვ. 9 სოფ. ქართლში დიდს ლიხვზე; ამჟამად სამხრეთ-ოსეთში.
 კვახსა-წყალი გვ. 36 იმერეთში.
 კობანთ-კარი გვ. 41, 42 სოფ. ქართლში, არაგვზე.
 კოდა გვ. 33 სოფ. საბარათიანოში, ალგეთის ხეობაში.
 კოთელია გვ. 24, 38 სოფ. წალკაზე.
 კონსტანტინოპოლი გვ. 32 ვეროპის ოსმალეთის ქალაქი, დარდანელის სრუტის
 ნაპირზე.
 კორტოხის მთა გვ. 35 ზემო-იმერეთში.
 კოპი (კობი) გვ. 10 სოფ. ხეუში მდ. თერგზე.
 კრცხინვალი (ნახე ცხინვალი).
 კრწანისი გვ. 20, 23 სოფ. თბილისის მახლობლად, მის აღმოსავლეთით.
 კუმისი გვ. 2 სოფ. კუმისის ტბის დასავლეთით, საბარათიანოში.
 კუნდუხი გვ. 2 ქალაქი შუა-აზიაში.

ლელოვანი გვ. 33 სოფ. ზემო-იმერეთში მდ. ჩხერიმელაზე.
ლიხვი გვ. 12, 15, 27, 37 მდინარე ქართლში, მტკვრის მარცხენა შენაკადი.
ლომსიათ ან ლოსიათ ხევი გვ. 21, 36 იმერეთში, მდ. ყვირილას მარცხენა შენაკადი.

მანავი გვ. 43 სოფ. გარე-კახეთში.
 მარაბდა გვ. 5 სოფ. საბარათიანოში, მდ. ალგეთზე.
 მარტყოფი გვ. 3 დიდი სოფელი გარე-კახეთში (აგრეთვე ამ სოფლის გარემო
 რაიონი).
 მატანი გვ. 21, 41, 42 სოფ. კახეთში.
 მალარო გვ. 13 სოფ. ქიზიყში, ბოდბის-ხევზე.
 მალლაკი გვ. 36 სოფ. იმერეთში, ქუთაისის დასავლ., რიონის მარჯვენა ნაპირზე.
 მაშათი გვ. 4, 25 ქალაქი სპარსეთში (ხორასანში).
 მელაანი გვ. 27 სოფ. ქიზიყში.
 მთიულეთი გვ. 24 აღმ. საქართველოს მთიანი მხარე, არაგვის ზემო ნაწილში.
 მისაქცეველი გვ. 15 სოფ. არაგვზე.
 მოსკოვი გვ. 15 ქალაქი რუსეთში. ამჟამად სსრკ-ის დედა-ქალაქი.
 მოხისი გვ. 17 სოფ. ქართლში ალის-წყალსა და ფიცის-წყალს შუა.
 მტკვარი გვ. 6, 17, 24, 31, 40 მდინარე, გამოდის არსიანის მთებიდან. ერთვის
 კასპიის ზღვას.
 მუკუზანი გვ. 25 სოფ. კახეთში, ჭერმის-წყალზე. (ალაზნის მარჯვენა შენაკადი).
 მულანი გვ. 24 ველოვანი ადგილები არეხსა და მტკვრის შუა.

მუშკაბარი გვ. 22 სპარსეთის აზერბაიჯანში.

მცხეთა გვ. 25 სოფ. ქართლში მტკვრისა და არაგვის შესართავთან.

მკადის-ჯვარი გვ. 6 სოფ. ქართლში, არაგვის ხეობაში, ნარეკვავის რუხე.

ნამაშევი გვ. 36 სოფ. იმერეთში.

ნარა გვ. 37 ხეობა ოსეთში.

ნახქვეანი გვ. 12, 18 ქალაქი არენის მარცხენა ნაპირზე მდ. ნახქვეან-ჩაიზე (მარცხენა შენაკადი არენისა).

ნებოს-ძირი ან ნებოძირი გვ. 36. სოფ. ზემო-იმერეთში მდ. ჩხერიმელაზე. ვახუშტის რუკაზე „მებოძირი“.

ნიახურა გვ. 26 კახეთში, ივრის კიდეზე.

ნიჩბისი გვ. 29 სოფ. ქართლში ნიჩბისის-ხევზე (მტკვრის მარჯვენა შენაკადი).

ნორიო გვ. 24 სოფ. გარე-კახეთში.

ოდში გვ. 19, 35 სამეგრელო, საქართველოს დასავლეთი ნაწილი ცხენის-წყლიდან შავ-ზღვამდე.

ოვსეთი გვ. 37 ოსეთი, მთიანი მხარე დიდი და პატარა ლიახვის, არაგვისა და ქსნის ზემო ნაწილებში (აქ იგულისხმება სამხრეთ-ოსეთი).

პავლეური გვ. 42 სოფ. არაგვზე.

პატარძეული გვ. 8, 43 სოფ. გარე-კახეთში.

პეტერბურგი გვ. 8 აწ ლენინგრადი. ქალაქი რუსეთში.

რაკა გვ. 10, 37 საქართველოს ნაწილი ქართლის აღმოსავლ., მდ. რიონის ხეობის ზედა ნაწილში.

რუისი გვ. 38 დიდი სოფ. ქართლში, რუისის მთის ძირას.

რუის-პირი გვ. 7, 42 სოფ. კახეთში, თურდოს წყალზე (ალანის მარჯვენა შენაკადი).

რუსეთი ან როსია გვ. 7, 8, 10, 11, 12, 15—18, 24—30, 34, 35, 37, 38, 44 სახელმწიფო ევროპა-აზიაში.

რუსთავი გვ. 20 ძველი ქალაქი მტკვრის აღმოსავლეთით, ყარაიას ჩრდილოეთით. შემდეგ ნაგებად წოდებული.

საბარათიანო გვ. 21 ბარათიანთა სამფლობელო მდ. ალგეთის ხეობაში.

საგარეჯო გვ. 21 დიდი სოფელი გარე-კახეთში.

საგურამო გვ. 21 გურამიშვილების სამფლობელო არაგვზე. აწ სოფელი არაგვზე (თეზმის ხეზე).

საკირე გვ. 29.

სალიანი გვ. 25 კუნძული და ქალაქი მტკვრის შესართავთან კასპიის ზღვაში.

სამაჩაბლო გვ. 9 თავად მაჩაბლების სამფლობელო დიდს ლიახზე.

სამება გვ. 43 სოფ. და მონასტერი კახეთში.

საფიჩხე, საფიჩხიის მთა, საფიჩხიის გზა გვ. 11, 36.

საქარა გვ. 35 სოფ. ზემო-იმერეთში, მდ. ყვირილას მარჯვენა ნაპირზე.

საქართველო გვ. 11, 12, 17, 24, 29, 31, 32, 33, 39 სახელმწიფო ამიერ-კავკასიაში, აწ სსსრ.

საქაშეთი გვ. 7 სოფ. ქართლში.

სილნალი ან სილნალის ციხე გვ. 13, 42 ქალ. ქიზიყში.

სომხითი გვ. 19, 37 ნაწილი ქვემო-ქართლისა მდ. ქციასა და დებედას შორის, ქციის მარჯვენა შენაკადების (მაშავერის შენაკადის) ფოლადაურის, შულავერის და სხ. ხეობაში.

სოღანლული გვ. 24, 29 მტკვრის კიდებზე, თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

სპარსეთი გვ. 5, 7, 9, 14 (შენიშვნა), 22, 23, 29, 34, 37 სახელმწიფო აზიაში.

სტანბოლი გვ. 13 ქ. ოსმალეთში, იგივე კონსტანტინოპოლი.

სტეფან-წმინდა გვ. 6 სოფ. თერგის ხეობაში, ყაზბეგთან.

სურამი გვ. 11, 17, 35, 36 მცირე ქალაქი ქართლში სურამის წყალზე, ლიხის მთის აღმოსავლეთით.

სუყულიანი გვ. 8 ადგილი ქართლში (?).

ტეხერი გვ. 8 სოფ. ქართლში, შოლის-პირის რუხე, სურამის მახლობლად.

ტულა გვ. 30 ქალ. რუსეთში.

ტფილისი გვ. 1 (შენიშვნა), 2, 3, 4, 6, 15, 23, 24, 25, 27—32, 34, 35, 37, 38, 41 43, 44 საქართველოს დედა-ქალაქი, მდებარეობს ქართლში, მდ. მტკვარზე.

ულევი გვ. 30 ზეგანი მდ. ძირულასა და ყვირილას შუა სოფ. წვედან ქიათურამდე.

უფლის-ციხე გვ. 12 ძველი ციხე-ქალაქი შეთხრილი კლდეში, ქართლში, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ქ. გორიდან 6—7 კილომეტრის მანძილზე.

უბაკი, ფანაკი, ბანაკი გვ. 10, 30, 43 მდ. ბამბაკის ხეობაში (დებედას მარჯვენა შენაკადი), ქართლის პროვინცია.

უადარი გვ. 22 ალაზნის ქვედა ნაწილში.

უაღდერევენი გვ. 20 ყარსის მახლობლად.

უასანაური გვ. 41 სოფ. მდ. არაგვზე, მთიულეთში.

ფოთი, ფოტი, ფოტის ციხე გვ. 12, 33 ქალაქი და ციხე რიონის შესართავთან შავ ზღვაში.

ფრეხეთი გვ. 21 სოფ. ქართლში, არაგვზე.

ფხვენისი გვ. 17 სოფ. ქართლში, დიდ-ლიახზე.

ფხოველი გვ. 13 სოფ. ქიზიყში.

ქარელი გვ. 27, 28, 38 სოფ. ქართლში, მდ. მტკვარზე.

ქართლი გვ. 1 (შენიშვნა), 7, 8, 12—16, 18, 19, 23, 25—27, 29, 37, 38, 40, 42 საქართველოს ნაწილი იმერეთსა და კახეთს შუა.

ქენფერი გვ. 27 ქართლში (ყვლქცეულის ახლოს).

ქიზიყი გვ. 3, 7, 14, 15, 19, 21, 43 აღმ. საქართველოს ნაწილი მდ. იორსა და ალაზნანს შუა მთავარი ქალაქი სიღნაღით.

ქირმანი გვ. 23 პროვინცია და ქალაქი სპარსეთში.

ქსანი გვ. 15, 26, 27 მდინარე ქართლში, მტკვრის მარცხენა შენაკადი.

ქუთაისი გვ. 11, 35, 36 ქალაქი იმერეთში, მდინარე რიონზე. იმერეთის სამეფოს მთავარი ქალაქი.

ქურაგი გვ. 31 ადგილი ყარაბაღში.

ღართის-კარი გვ. 7, 14—16 სოფ. არაგვზე, მცხეთის ჩრდილოეთით.

- ყახხი გვ. 6, 18, 30 რაიონი, რომელიც მდებარეობს მტკვრის მარჯვენა შენაკად-ბისა—ალსტაფის, ჰასან-სუს, თოუზ-ძეჟამის ხეობაში. ქ. ყახხი 9 კილო-მეტრზეა სად. აქსტაფიდან.
- ყალაჩა გვ. 20 ბორჩალოში.
- ყარაბალი გვ. 4, 18, 24, 34, 40 მთიანი მხარე გოგჩის ტბის სამხრეთ-აღმოსავ-ლეთით. შედიოდა განჯის გუბერნიაში.
- ყარადალი გვ. 4, 6, 19 სპარსეთის აზერბაიჯანში, ხოის რაიონში, არეხის მარჯ-ვენა ნაპირზე, ყარაბალის პირდაპირ.
- ყარათაფი გვ. 4 ყარაბალში.
- ყარალაჯი გვ. 19 სოფ. ქართლში, მტკვრის სამხრეთით.
- ყარალაჯი, თოფ-ყარალაჯი, ყარახანი გვ. 7, 42, 43 ქიზიყში, ალაზნის ქვედა ნა-წილში, მარჯვენა ნაპირზე.
- ყარსი გვ. 12, 20, 25, 32 ქალაქი მდ. ყარს-ჩაიზე (არჟაჩის მარჯვენა შენაკადი).
- ყელქცეული გვ. 27 სოფ. ქართლში.
- ყვარელი გვ. 6 სოფ. კახეთში, გაღმა-მხარეს.
- ყიზილ-ჩახჩახი გვ. 25 ყარსის ოლქში.
- ყიზლარი გვ. 32 ქალ. მდ. თერგის მარცხენა ნაპირზე, კავკასიის გუბერნიის სა-მაზრო ქალაქი, დაარსებული 1735 წ.
- ყირბულახი გვ. 5 ერევნის მაზლობლად.
- ყუბა გვ. 40 კასპიის ზღვის ნაპირზე, ბაქოსა და დარუბანდს შუა.
- შამახია გვ. 14, 25 პროვინც. შირვანის მთავარი ქალაქი.
- შაშადილი გვ. 6, 18, 22, 31 ადგილი მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. შედიოდა ყოფ. განჯის გუბერნიაში, მე-18 ს-ში ქართლ-კახეთის პროვინცია.
- შამქორი, შანქორი გვ. 6, 18 ქალ. მდ. შამქორ-ჩაის მარცხენა ნაპირზე (მტკვრის მარჯვენა შენაკადი).
- შაქი გვ. 4, 6, 13, 18, 25, 40 სახანო მტკვრის მარცხ. ნაპირზე. მთ. ქალაქი შაქი ანუ ნუხა, მდინარე ნუხაზე.
- შირაზი გვ. 7, 16, 22, 23 ქალაქი სპარსეთში.
- შირვანი გვ. 6, 13, 31, 40 სახანო მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, მთავარი ქალაქი შამახით.
- შორაპანი გვ. 11 ციხე და ქალაქი იმერეთში, ყვირილასა და ძირულას შესარ-თაეთან.
- შულავერი გვ. 22 ქ. ბორჩალოში მდ. ქციის შენაკად შულავერის-წყალზე.
- შუშა გვ. 2, 4, 6, 7, 9, 14, 17, 18, 23—25, 40 ციხე და ქალაქი ყარაბალში.
- ჩივძიანა-კარი გვ. 28 სოფ. ქართლში, არაგვზე.
- ჩინგალი გვ. 18 ადგილი განჯის სახანოში.
- ჩუმლაყი გვ. 43, 44 სოფ. ქიზიყში.
- ჩხერი, ჩხერის-ციხე გვ. 36 ქალაქი და ციხე მდ. ჩხერიმელაზე იმერეთში.
- ციხის-ძირი გვ. 42 სოფ. ქართლში, არაგვზე.
- ცუცხუთის ციხე გვ. 11 იმერეთში, ცუცხვათის-ხეუზე (წყალ-წითელას შენაკადი; წყალ-წითელა ყვირილას შენაკადია).
- ცხინვალი, კრცხინვალი გვ. 8, 12, 13, 25, 37 ქალაქი დიდ-ლიახზე, ქართლში. აწ სტალინირი, სამხრეთ-ოსეთის მთავარი ქალაქი.
- ცხრა-წყარო გვ. 36 იმერეთში, მდ. ყვირილას მარცხ. ნაპირზე, სვირის-წყალზე.

ქვერა გვ. 19 სოფ. ქართლში, გორს ზევით.

წალკა გვ. 29, 37 მხარე მდ. ქციის ზედა ნაწილში, აგრეთვე ციხე მდ. ქციაზე.
წითელ-კლდის გზა გვ. 36 ზემო-იმერეთში.

კალა გვ. 17 სოფ. ზემო-იმერეთში, ჩხერიმელაზე.

კარი გვ. 4, 13, 17 ფიფინეთის წყალზე (ალანის მარცხენა შენაკადი), ძველს
ენისელში, აწ ზაქათალაში (ახერბაიჯანის სსრ).

კიშურა გვ. 36 სოფ. იმერეთში, აჯამეთის წყალზე (ყვირილას მარცხენა შენაკადი)-

ხანის-მთა გვ. 36 იმერეთში, რიონის სამხრით, ახალციხის პირდაპირ.

ხაში გვ. 43 სოფ. გარე-კახეთში.

ხეობა გვ. 37 ბორჯომის ხეობა.

ხეითი ზემო და ქვემო გვ. 13 სოფლები ქართლში.

ხორასანი გვ. 24, 25 სპარსეთის აღმოსავლეთი პროვინცია.

ხუნძახი გვ. 17 დაღისტანში, მთავარი სიმაგრე ავარელი ხანისა.

ხუნწი გვ. 19 სოფ. სამეგრელოში, ცხენის-წყლის მარჯვენა ნაპირზე.

ხურდა-ფირინის ხიდი გვ. 4 ყარაბაღში.

ქელთ-შუბანი გვ. 19 სოფ. ქართლში.

ქერთვისი გვ. 12 ციხე სამცხეში.

ქიზიყი (ნახე ქიზიყი).

ჯავახეთი გვ. 12, 13, 20, 32, 37 საქართველოს სამხრეთ-დასავლ. ნაწილი ჯავა-
ხეთის-მტკვრის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) და ახალქალაქის-წყლის (ჯავა-
ხეთის მტკვრის შენაკადი) ხეობებში. მთ. ქალაქი ახალქალაქი.

ჯიზიში გვ. 36 სოფ. იმერეთში.

ჯომუშლი გვ. 20 ყარსის ოლქში.

ჯუგაანი გვ. 7 სოფ. ქიზიყში.

ჭამადანი გვ. 2 ქალაქი სპარსეთში.

სამძიებელი პირთა სახელებისა

აბაზაძე დავით გვ. 92, 93 აზნაური, იულონ ბატონიშვილის ფარეშთ-უხუცესი, გადაჭყვა იულონს რუსეთს 1805 წ.

აბაზ მირზა შაჰზადა, ძე ბაბა-ხანისა გვ. 89, 101, 102, 107, 130, 131 დ. ბ.¹

აბაზი შაჰ გვ. 151 იგულისხმება შაჰ აბაზ I, მეფობდა 1587—1629 წლებში.

აბაშიძე დავით, იოვანეს ძე გვ. 133 სახელმწიფო ექსპედიციის მრჩეველად ნამყოფი. 1812 წლის აჯანყებაში მონაწილეობისათვის გაიგზავნა ციმბირს. ეპატია სასჯელი 1816 წ.

აბაშიძე ევგენი გვ. 60 იმერეთის თავადი, ვახანის ციხის მფლობელი. ქართლის მეფის მიერ დადგენილი მოურავად აღისა, სურამისა და ქეფინის-ხევისა.

აბაშიძე ელენე, ევგენის ასული გვ. 60 ცოლი ყარაბაღის ხანის იბრეიმისა.

აბაშიძე ვალერიანე, ევგენის ძე, არქიმანდრიტი გვ. 116.

აბაშიძე ლეონ გვ. 53, 90 პაპა სოლომონ I-ისა დედის მხრით. მოიკლა 1756 წ.

აბაშიძე ნიკოლოზ, სვიმონის ძე გვ. 133 1812 წლის აჯანყებაში მონაწილეობისათვის გაგზავნილ იქნა ციმბირს. განთავისუფლდა 1816 წლის ამნის-ტით.

აბაშიძე ქაიხოსრო, ლევანის ძე გვ. 55, 90 მოკლულ იქნა 1805 წ. ბრძოლაში.

აბაშიძე ჯავარი ხანუმი, ევგენის ასული გვ. 60 ცოლი ომარ-ხან ავარელისა. გარდაიცვალა 1800 წ.

აბდულა ბეგ (არჩილ), იესე მეფის ძე გვ. 53 დ. ბ.

აბელაშვილი პაპუა გვ. 134 კახეთის აზნაური. კახეთის აჯანყებაში მონაწილეობის გამო გაგზავნილ იქნა ციმბირს. სასჯელი ეპატევა 1820 წ.

აბულ-ასან-ხან ზანდი, მინისტრი ბაბა-ხანისა, შირაზელი, ელჩი რუსეთში 1814—1816 წლ. გვ. 141, 152.

აგათოშვილი გორჯასკი გვ. 133 გაგზავნილი ციმბირს 1812 წლის აჯანყებაში მონაწილეობისათვის. პატიებულ იქნა 1816 წ.

აგათოშვილი სარიდან გვ. 134 გაგზავნილი ციმბირს 1812 წლის აჯანყებაში მონაწილეობისათვის. პატიებულ იქნა 1816 წ.

ავალიშვილი გიორგი, ივანე მეითრის ძე გვ. 70, 77 გარსევან ჰევკავაძის ცოლის ძმა, რწმუნებული გიორგი XII-ისა რუსეთის კარზე.

ავალიშვილი ივანე, მეითარი გვ. 71, 120.

ავალიშვილი მარიამ, გარსევან ჰევკავაძის ცოლი გვ. 79 (შენიშვნა); ივანე მეითრის ასული, და გიორგი და სოლომონ ავალიშვილებისა.

ავალიშვილი სოლომონ, გვ. 94, 120, ივანე მეითრის ძე, ყაზახის მოჯრავი, 1812 წლიდან კახეთის ერთი ნაწილის გამგებელი.

¹ იქ, სადაც ბაგრატ ბატონიშვილის ისტორიის ინდექსი ხვდება დავით ბატონიშვილის ისტორიისას, იქნება მითითება ამ უკანასკნელზე ასოებით: „დ. ბ.“.

- ველიშვილი სოლომონ გვ. 135 ქართლის თავადი. 1812 წლის კახეთის აჯანყებაში მონაწილეობისათვის გაგზავნილ იქნა ციხეში, სასჯელი ეპატივა 1816 წ.
- ველიშვილი პეტრე გვ. 135 ქართლის თავადი. გაგზავნილ იქნა ციხეში 1812 წლის კახეთის აჯანყებაში მონაწილეობისათვის. სასჯელი ეპატივა 1820 წ.
- ველიშვილი დავითა გვ. 108 თეიმურაზ ბატონიშვილის მხლებელი.
- ველიშვილი ქიტესა გვ. 108 თეიმურაზ ბატონიშვილის მხლებელი.
- ახათ-ხანი გვ. 47, 52. დ. ბ.
- ალექსანდრა თევდორეს ასული, ცოლი ნიკოლოზ I-ისა გვ. 154, 155 (შენიშვნა). ასული პარუსიის მეფის ფრიდრიხ-ვილჰელმ III-ისა. მართლმადიდებლობაში გადასვლამდე ფრედერიკა-ლუიზა-შარლოტა-ვილჰელმინა. დაიბადა 1798 წ. გათხოვდა 1817 წ., გარდაიცვალა 1860 წ.
- ალექსანდრე I, რუსეთის იმპ. გვ. 57, 78, 79, 81, 85, 87, 89, 95, 100, 101, 111, 112, 115, 121, 121 შენიშვნა, 122 შენიშვნა, 124 შენიშვნა, 130, 131, 137, 138, 139, 141, 144, 146, 149, 151, 153, 159, 160. დ. ბ.
- ალექსანდრე ბატონიშვილი, ირაკლი II-ის ძე გვ. 63, 72, 73, 76, 77, 83, 84, 93, 97, 106, 108, 113, 131, 132, 133 შენიშვნა. დ. ბ.
- ალექსანდრე ბატონიშვილი, ბეჟარ მეფის ძე გვ. 50, 53, 56, 57, 81. დ. ბ.
- ალექსანდრე V, იმერთა მეფე, გვ. 47 გიორგი მეფის ძე მამა სოლომონ I-ისა. ტახტზე ავიდა 1720 წ., გარდაიცვალა 1749 წ.
- ალექსანდრე, ნიკოლოზ I-ის ძე გვ. 155 (შენიშვნა), შემდეგში იმპერ. ალექსანდრე II. დაიბადა 1818 წ., მოკლულ იქნა 1881 წ. მეფობა 1855 წლიდან.
- ალექსანდრე, სოლომონ I-ის ძე გვ. 67, 100. დ. ბ.
- ამბროსი, პეტერბურგის მიტროპოლიტი გვ. 125, 156.
- ამილახერიშვილი ათანასი, თბილელი გვ. 47 თეიმურაზ II-ის ელჩი რუსეთში 1752 წ. იმპ. ელისაბედ პეტრეს ასულის წინაშე.
- ამილახერიშვილი ალექსანდრე, დიმიტრის ძე გვ. 53, 57. დ. ბ.
- ამილახერიშვილი გიორგი, დიმიტრის ძე გვ. 52. დ. ბ.
- ამილახერიშვილი დიმიტრი, სალთ-უხუცესი გვ. 52. დ. ბ.
- ამილახერიშვილი ედიშერ, ერასტის ძე გვ. 135 გაგზავნილ იქნა ციხეში 1812 წ. კახეთის აჯანყებაში მონაწილეობისათვის. სასჯელი ეპატივა 1816 წ.
- ამილახერიშვილი ერასტი გვ. 135 სალანდელის მოურავი, გარდაიცვალა მოსკოვს 1811 წ. იულონ ბატონიშვილის სამსახურში.
- ამირაჯიბი გოგია ანუ იაგორ, რამინის ძე გვ. 92 ბატონიშვილების იულონ და ფარნაოზის დასაქვრად გაგზავნილ რუსთა რაზმის გზის მარეგებელი.
- ანა-ხანუმ დედოფალი გვ. 59 თეიმურაზ II-ის მეორე ცოლი, ბარათაშვილი ბეჟანის ასული, ქაიხოსრო ციციშვილის ჭკრივი. გარდაიცვალა 1784 წ.¹
- ანდრონიკაშვილი აბელ გვ. 120 ქიზიყის გამგებელი 1812 წლიდან.
- ანდრონიკაშვილი აბელ გვ. 133 მინბაში მეფის გიორგი XII-ისა, გაგზავნილ იქნა ციხეში 1812 წლის კახეთის აჯანყების გამო. დაბრუნდა 1817 წ. გარდაიცვალა 1835 წ.

¹ პლატ. იოსელიანის ცნობით ანა-ხანუმ გარდაიცვალა ანტონი I კათალიკოსის გარდაცვალების 8 დღის შემდგომ, ე. ი. 1788 წ. (ცხოვრება მეფე გიორგი XIII-ისა. გამოც. 1893 წ. გვ. 211 შენიშვნაში).

- ანდრონიკაშვილი დავით, მზეკაბუჯის ძე გვ. 133 გაგზავნილ იქნა ციმბირს 1812 წლის აჯანყების გამო, სასჯელი ეპატრეა 1816 წ.
- ანდრონიკაშვილი ზაალ, მარტყოფის მოურავი გვ. 78, 133. დ. ბ.
- ანდრონიკაშვილი ზაზა გვ. 78, 12C ძე მარტყოფის მოურავის ზაალისა. სალთ-ხუცესი იოანე ბატონიშვილისა.
- ანდრონიკაშვილი ზაქარია, კიზიყის მოურავი გვ. 62. დ. ბ.
- ანდრონიკაშვილი ზურაბ, ივანეს ძე გვ. 133 გაიგზავნა ციმბირს 1812 წლის აჯანყებაში მონაწილეობისათვის. გარდაიცვალა 1814 წ.
- ანდრონიკაშვილი ივანე, ზურაბის ძე, მარტყოფის მოურავი გვ. 133 სიღნაღის მარმლად ნამყოფი. გაიგზავნა ციმბირს 1812 წლის აჯანყებაში მონაწილეობის გამო. ეპატრეა სასჯელი 1816 წ.
- ანდრონიკაშვილი იოსებ, კიზიყის მოურავი გვ. 135 მელქისედეკის ძე.
- ანდრონიკაშვილი მელქისედეკ ანუ მალხაზ, სოლომონ II-ის დის მარიამის ქმარი გვ. 112. დ. ბ.
- ანდრონიკაშვილი პაპუა გვ. 57—58. დ. ბ.
- ანდრონიკაშვილი რევაზ, ძე ზურაბისა გვ. 133 გაიგზავნა ციმბირს 1812 წლის აჯანყების გამო. ეპატრეა სასჯელი 1816 წ.
- ანდრონიკაშვილი სვიმონ, გიორგი XII-ის სიძე გვ. 133 ცოლად ჰყავდა გიორგი XII-ის შვილის-შვილი (გრიგოლ დადიანისა და გიორგი XII-ის ასულის ნინოს შვილი) ბარბარე. ვაიგზავნა ციმბირს 1812 წლის აჯანყებაში მონაწილეობის გამო. 1816 წ. სასჯელი ეპატრეა.
- ანნა, ალექსანდრე I-ის და, ცოლი ორანსკის პრინცისა, შემდეგში ნიდერლანდის მეფისა გვ. 151.
- ანნა დედოფალი, იმერთა მეფის დავით გიორგის ძის ცოლი გვ. 81 მამუკა ყაფ-ლანიშვილის (ორბელიანის) ასული. 1795—1801 წლებში ცხოვრობდა ხეფინის-ხევში. 1801 წ. გადასახლდა რუსეთს. გარდაიცვალა 1832 წ. მოსკოვში.
- ანტონი I კათალიკოზი გვ. 47, 50, 52, 58, 62. დ. ბ.
- ანტონი II კათალიკოზი გვ. 59, 61, 62, 63, 69, 72, 109—111. დ. ბ.
- აპო, სომეხთა მელიქი ყარაბაღის სიღნაღებისა გვ. 91 ერთ-ერთი ხამსის მელიქებში, ჩანს 1787 წლიდან.
- არსენი ტფილელი: ნაიბის ძე გვ. 109, 110 ტფილისის ეპისკოპოსობისაგან დაყენებულ იქნა 1810 წ.
- არლუთოვი ოსეფ გვ. 95 თავადი საქართველოსი არლუთაშვილი, მღვდელ-მთავარი რუსეთის სომეხთა, ერთგული გამტარებელი რუსეთის ორიენტაციისა ამიერ-კავკასიაში. 1800 წ. არჩეულ იქნა სომეხთა პატრიარქად, გარდაიცვალა 1801 წ.
- არჩილ, ძმა სოლომონ I-ისა გვ. 59, 62, 63, 100, 148, 148 (შენიშვ.). დ. ბ.
- ალა-მაჰმად-ხან ყაჯარი გვ. 62, 64, 65, 66, 68, 69. დ. ბ.
- ალდგომელაშვილი მანაველ გვ. 117 იულონ ბატონიშვილის ძის ლეონის მსლებელი. ახვერდოვი, ლუბერნატორი გვ. 105. დ. ბ.
- აჯი ჩალაბი გვ. 47, 49. დ. ბ.
- ბაბა ხან, ძმისწული ალა-მაჰმად-ხანისა გვ. 69, 70, 72, 84, 89, 93, 96, 101, 113, 130, 135, 139, 141, 149, 153. დ. ბ.
- ბაგრატ ბატონიშვილი, ძე გიორგი XII-ისა გვ. 47, 48, 73, 75, 75 შენიშვ., 78, 161. დ. ბ.

ბაგრატიონი პეტრე, ივანეს ძე (ნაიბიშვილი), თავადი გვ. 122, 127, 127 შენიშვ., ძე იესე მეფის შვილი-შვილის ივანესი (იესე—ალექსანდრე—ივანე—პეტრე) (1765—1812 წ.) სახელგანთქმული სარდალი. 1812 წ. სარდლობდა მეორე არმიას. სასიკვდილოდ დაიჭრა ბოროდინოსთან ბრძოლაში.

ბანტურიშვილი იოსებ, ახნაური გვ. 78 ძე ანდუყაფარ ფარეშ-ხუცისა.

ბართოვი კიკოლა, თავადი გვ. 108 გიორგი XII-ის ძის თეიმურაზ ბატონიშვილის მხლებელი.

ბარკლაი დე-ტოლი გვ. 122, 123, 137 მიხეილ ბოგდანის ძე (1761—1818 წლ.). რუსეთ-ნაპოლეონის ომში 1812 წ. იყო დასავლეთ (პირველი) არმიის მთავარ-სარდალი 1814 წ. ფელდმარწალი და თავადი.

ბაქარ მეფე გვ. 50, 53, 56, 57. დ. ბ.

ბებუთოვი დარჩია, ტფილისის მელიქი გვ. 77 ძე ტფილისის მელიქ-მამასახლისის მელიქ-ავეტჯასი. „კოლეჯსკი სოვეტნიკი“. გარდაიცვალა 1832 წ.

ბებუთოვი იოსებ, მიშკარბაში გვ. 132 ძე ალა მელიქისა, პოლკოვნიკი, მოურავი ბაიდრისა და ყახახისა. გარდაიცვალა 1822 წ.

ბებურისშვილი გურგენისშვილი გვ. 133 რომელიღაც ვაჩნაძე (სახელი არ არის ტექსტში) ციმბირში გასაგზავნად გამზადებული 1812 წლის აჯანყებაში მონაწილეობის გამო, გამართლებული სამხედრო სასამართლოს მიერ. (ფრონელი—კახეთის აჯანყ. გვ. 218).

ბებურისშვილი პაპა გვ. 51. დ. ბ.

ბესარიონ მღვდელ-მონაზონი გვ. 116 გრიგოლ დადიანის ქვრივის ნინოს ამალის წევრი 1811 წ. (ხომ არ არის 1804 წლის მთიულეთის აჯანყების მონაწილე ალავერდელი არქიმანდრიტი ბესარიონ ერისთავი?).

ბონაპარტე, ნახე „ნაპოლეონ ბონაპარტე“.

ბოსტოლანაშვილი იოსებ, ქიზიყელი გვ. 108 გიორგი XII-ის ძის თეიმურაზ ბატონიშვილის მხლებელი.

ბურბონი (საფრანგეთის სამეფო გვარი) გვ. 143 საფრანგეთის სამეფო ტახტი 1589 წ. დაიჭირა ბურბონთა გვარის წარმომადგენელმა ჰენრი IV და დასაბამი მისცა საფრანგეთის ბურბონების სამეფო დინასტიას. საფრანგეთში ბურბონებმა ტახტი დაჭარგეს 1792 წ. დიდი რევოლუციის წყალობით; 1814 წ. მოხდა დროებითი რესტავრაცია ბურბონებისა, მაგრამ 1830 წლის რევოლუციამ ბურბონები განდევნა საფრანგეთიდან, ტახტი გადავიდა უმცროს შტოზე—ორლეანელებზე.

ბურნაშოვი, სტეფანე დანიელის ძე, პოლკოვნიკი გვ. 59 თავადი პოტემკინის კომისიონერი ქართლ-კახეთის მეფის ირაკლი II-ის და იმერეთის მეფის სოლომონ I-ის კარზე 1753 წ.

ბუცხრიკიძე ანდრია გვ. 99 იმერთა ბატონიშვილის ალექსანდრეს ძის გიორგის მომხრე.

გაბრიელ (ჯიბრაილ) ბატონიშვილი, გიორგი XII-ის ძე გვ. 118 დაიბადა 1786 წ., გარდაიცვალა 1812 წ.

გალიცინი, თავადი გვ. 127 (შენიშვ.), ბორის ანდრიას ძე.

გარაყანიძე ნიკოლოზ, ახნაური გვ. 78 რუსეთში გაგზავნილი ბატონიშვილების ამალის წევრი.

გეგელია გიორგი, მთავარ-დიაკონი გვ. 116 გრიგოლ დადიანის ქვრივის ნინოს ამალის წევრი.

- გელოვანი ქაიხოსრო, გვ. 64 ლეჩხუმის მოურავი სოლომონ II-ისა და გრიგოლ დადიანის დროს.
- გიორგი XII, მეფე ქართლ-კახეთისა გვ. 47, 48, 56, 57, 58, 61, 70—73, 75—77, 83, 84, 95, 102, 107, 112, 116, 118, 119, 135, 146, 161. დ. ბ.
- გიორგი ალექსანდრეს ძე, ბაქარ მეფის შვილი-შვილი გვ. 81.
- გიორგი ალექსანდრეს ძე, სოლომონ I-ის შვილი-შვილი გვ. 67, 99, 100; ბუში. სოლომონ II-ის მოწინააღმდეგეებმა ორჯელ სცადეს მისი გამეფება—1796 და 1806 წ. 1807 გრაფმა გუდოვიჩმა გაგზავნა რუსეთს, სადაც გარდაიცვალა ამავე წელს.
- გიორგი, ინგლისის მეფე გვ. 159 გეორგ III (1738—1820 წ.), 1788 წლიდან სულით აედმყოფი, 1811 წ. დაბრმავდა, რომელ მიზეზთა გამო ამ წლიდან მართვა-გამგეობა გადაეცა რეგენტს უელსის პრინცს.
- გიედავაშვილი ზურაბ, მოქალაქე, გვ. 84 ვაჭარი ფშავ-ხევისურეთისა. (აფრიამ-შვილი უნდა იყოს გვარად).
- გლურჯიძე მალაქია გვ. 60 ლორეს მოურავი 1785 წ.
- გლურჯიძე ტარიელ გვ. 108 სასირელი.
- გოსტაშაბიშვილი დავით, ნაცვალი გვ. 105, 106 პოლიციემისტერი ტფილისისა 1810 წ. გაგზავნილ იქნა ამავე წელს პერმს, ვითარცა მონაწილე სოლომონ II-ის გაპარებისა. 1812 წ. ეპატია სასჯელი და დაბრუნდა საქართველოში.
- გრიგოლ, იოანე ბატონიშვილის ძე გვ. 119, 120. დ. ბ.
- გუდოვიჩი გრაფი, გენერალ-ანუფი გვ. 98, 99, 101, 102. დ. ბ.
- გულაკოვი, გენერალი გვ. 73, 83. დ. ბ.
- გურამისშვილი დიმიტრი, მილახვარი ირაკლი II-ისა 1797 წ. გვ. 69.
- გურიელი ვახტანგ გვ. 64, 86, 86 (შენიშვ.), 87 გადაყენებულ იქნა გურიელობიდან 1794 წ.
- გურიელი მამია, ძმისწული ვახტანგ გურიელისა გვ. 64, 86 დასმულ იქნა გურიელად სოლომონ II-ის მიერ 1794 წ.
- დადიანი გიორგი, გრიგოლის ძე გვ. 116, ძმა ლევან დადიანისა. რუსეთის სამხედრო სამსახურის პოდპორუჩიკი. 1820 წ. სამეგრელოში მომხდარი აჯანყების ერთ-ერთი მეთაური, გაგზავნილ იქნა ციხობის.
- დადიანი გრიგოლ, ძე კაციასი გვ. 61, 64, 67, 72, 80, 86, 87, 102, 116. დ. ბ.
- დადიანი კაცია, სიძე ირაკლი II-ისა გვ. 52, 61, 63, 112 ძე ოტიასი, ცოლად ჰყავდა ირაკლი II-ის და ელისაბედ. დადიანად დაჯდა 1758 წ. გარდაიცვალა 1788 წ.
- დადიანი ლეონ გვ. 87, 107, 114. დ. ბ.
- დადიანი მანუჩარ, გრიგოლის ძმა გვ. 64, 67. დ. ბ.
- დადიანი ტარიელ (ტია), კაციას ძე გვ. 80 უმცროსი ძმა გრიგოლ დადიანისა, დადიანად დასმული მოკლე დროით 1812 წ.
- დავით, აბდულ-ბეგის ძე გვ. 53 ირაკლი II-ის მოწინააღმდეგე. დაისაჯა სიკვდილით პაატა ბატონიშვილის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის 1765 წ.
- დავით არჩილის ძე (შემდეგში სოლომონ II) გვ. 59, 62, 63, 148. დ. ბ.
- დავით აღმაშენებელი გვ. 114. დ. ბ.
- დავით ბატონიშვილი, გიორგი XII-ის ძე გვ. 47, 71, 72, 76—79, 83, 95, 161. დ. ბ.

დავით, ბაგრატ ბატონიშვილის (გიორგი XII-ის ძის) ძე გვ. 161 დაიბადა 1819 წ., გარდაიცვალა 1888 წ. იწოდებოდა დავით ბაგრატის ძე გრუზინსკი.

დავით გარეჯელი გვ. 58, 161.

დავით გიორგის ძე, მეფე იმერთა გვ. 59, 60, 62, 63, 64. 81. დ. ბ.

დავით ენაგეთელი, ვარდაპეტი გვ. 95, 96 სომეხთა მოძღვარი, იოსებ არღუთაშვილის გარდაცვალების შემდეგ დასმულ იქნა სომეხთა პატრიარქად 1801 წ.; შემდეგ გადააყენეს და მის ადგილას პატრიარქად დაადგინეს კონსტანტინეპოლის სომეხთა პატრიარქი დანიელ. დავით ენაგეთელს მხარს უჭერდნენ სპარსეთის შაჰი და დავით ბატონიშვილი.

დავითასშვილი ზაქარია, ქვევისშვილი, მღვდელი ვაჭირისა, გვ. 135 გაიგზავნა ციმბირს 1812 წ. კახეთის აჯანყებაში მონაწილეობის გამო, ეპატივა სასჯელი 1816 წ.

დავითიშვილი სოლომონ, თავადი (ბაგრატიონი?), შანშე მილანზერის ძე გვ. 88 გაიპარა 1804 წ. ალექსანდრე ბატონიშვილთან სპარსეთს.

დალაქიშვილი ზაქარია გვ. 108 გიორგი XII-ის ძის თეიმურაზის მხლებელი.

დანიელ, სტამბოლის სომეხთა პატრიარქი, გვ. 95, 96 დაჯდა ენშიაძინის პატრიარქად 1801 წ. გარდაიცვალა 1810 წ.

დარეჯან დედოფალი გვ. 58, 72, 82, 86, 99, 100. დ. ბ.

დარიოზ მეფე გვ. 151 სპარსეთის აქემენიანთა დინასტიის ერთ-ერთი მეფე ამ სახელის მატარებელი. აქ აღბათ დარიოზ I, ძე ჰისტასპისა, 550—485 წ. ქ. წ. დაუ, ნაპოლეონის მარშალი გვ. 122.

დიანბეგის ბეჟანის შვილი იოსებ, გვ. 134 გაგზავნილ იქნა ციმბირს 1812 წლის კახეთის აჯანყებაში მონაწილეობისათვის. სასჯელი ეპატივა 1816 წ.

დიასამიძე ანტონი, ჯვარის-მამა გვ. 108 იერუსალიმის არქიმანდრიტი.

დოლაძე გვ. 108, 109 ალექსანდრე ბატონიშვილის ერთგული კაცი, იულონის ძის ლეონის აღმზრდელი, გარდაიცვალა 1810 წ.

დუჩკოვი, სერგი ალექსის ძე, გენერალი, გვ. 89 ხელქვეითი პ. ციციშვილისა. იღებდა მონაწილეობას ერევანზე გალაშქრებაში 1805 წ.

ეგნატი, ბერძენი მღვდელ-მთავარი ახალციხისა გვ. 87.

ევგენისშვილი გლაზა, კასი აზნაური, გვ. 134 გაგზავნილი ციმბირს 1812 წ. კახეთის აჯანყების გამო. ეპატივა სასჯელი 1816 წ.

ევდუკია სტეფანეს ასული გვ. 155.

ეკატერინე II გვ. 53, 54, 57, 58, 65, 68, 71. დ. ბ.

ეკატერინე, ალექსანდრე I-ის და გვ. 151, 160 ვილჰელმ I ვიურდემბერგელის მეუღლე, დაიბ. 1768 წ. გარდაიცვალა 1818 წ.

ეკატერინე, ირაკლი II-ის ასული, გვ. 157 ცოლი სალთუხუცესის გიორგი ჩოლყაშვილისა. გარდაიცვალა 1818 წ.

ელისაბედ ალექსის ასული გვ. 151 ცოლი ალექსანდრე I-ისა, ბადენის მთავრის ასული. დაიბადა 1779 წ., მისთხოვდა ალექსანდრეს 1793 წ., გარდაიცვალა 1826 წ.

ელისაბედ ბატონიშვილი, ირაკლი II-ის და გვ. 52. დ. ბ.

ელისაბედ, რუსეთის იმპერატრ. გვ. 50, 51. დ. ბ.

ელისაბედ, ფარნაოზ ბატონიშვილის ას. გვ. 160. დაიბადა 1799 წ., გარდაიცვალა 1818 წ.

ერასტიშვილი (ანდრონიკაშვილი) დიმიტრი, დავით სალთხუცესის ძე გვ. 133 გაგზავნილ იქნა ციმბირს 1812 წლის კახეთის აჯანყების გამო. სასჯელი ეპატივა 1816 წ.

ერასტიშვილი (ანდრონიკაშვილი) ერასტი, ვასილის ძე გვ. 133 გაგზავნილ იქნა ციმბირს 1812 წლის კახეთის აჯანყებაში მონაწილეობისათვის. სასჯელი ეპატივა 1816 წ.

ერისთავი გიორგი, რაჭისა გვ. 54, 60 როსტომის უფროსი ძე, სიძე იმერთა მეფის დავით გიორგის ძისა. მოჰკლეს ოსებმა 1785 წლის ახლო ხანებში.

ერისთავი როსტომ, რაჭისა გვ. 53, 54. დ. ბ.

ერისთავი ქსნისა გიორგი ყულარ-ალასი გვ. 56. დ. ბ.

ერისთავიშვილი ელიზბარ გვ. 98. დ. ბ.

ერისთავიშვილი ვარლამ, არქიეპისკოპოზი გვ. 109—112, 154 ძე ქსნის ერისთავის დაეითისა. 1811—1817 წლ. მიტრაპოლიტი და ეგზარხოსი ქართლისა და იმერეთისა, შემდეგ სინოდის წევრი.

ერისთავიშვილი შალვა გვ. 116 გრიგოლ დადიანის მეუღლის ნინოს ამალის წევრი. ერისთავიშვილი შანშე გვ. 93 პოდპოლკოვნიკი, გორის მაზრის მარშალი, აქტიური მონაწილე 1804 წლის მთიულეთის აჯანყების ჩაქრობისა.

ერმოლოვი ალექსი პეტრეს ძე გვ. 152—154 (1772—1761) წ. სუვოროვის დროის მეომარი; თავი ისახელა 812 წ. ბოროდინოსთან ბრძოლაში. საქართველოში მთავარმართებელი 1816—1827 წ. შეუერთა რუსეთს აფხაზეთი, სახანოები შირვანისა და ყარაბაღისა.

ეფთვიმე გენათელი გვ. 104 ძე გურიის ერისთავისა. მოძულე რუსეთის ხელისუფლების დამყარებისა იმერეთში. 1820 წ. იმერეთში მომხდარი არეულობის გამო გაძევებულ იქნა რუსეთს, სვირის მონასტერში. გარდაიც. 1822 წ.

ეფრემ, რუსეთის სომეხთა არაჯანური (წინამძღვარი) გვ. 95, 96, არქიეპისკოპოსი შემდგომად იოსებ არღუთაშვილისა, ე. ი. 1800 წლიდან, ხოლო ემ-მიაძინის პატრიარქი 1809 წლიდან.

ვალხონსკი გენერალი, თავადი, გვ. 93, ე. ი. ვოლკონსკი, ქართლ-კახეთის მმართველი და მთავარმართებლის პ. ციციშვილის თანაშემწე. დაინიშნა 1803 წ., გადაყენებულ იქნა 1804 წ.

ვახტანგ VI გვ. 47, 52, 57, 81 დ. ბ.

ვახტანგ ბატონიშვილი, ირაკლი II-ის ძე პირველი ცოლის, მხეიძის ქალისაგან გვ. 51, 101 გარდაიცვალა ყვავილით 1756 წ.

ვახტანგ ბატონიშვილი (ალმასხან), ირაკლი II-ის ძე დარეჯან დედოფლისაგან გვ. 72, 75—77, 82, 83, 146 დაიბადა 1761 წ., გარდაიცვალა 1814 წ. ქეტერბურგში.

ვახტანგ გორგასლანი გვ. 111, 154 საქართველოს მეფე მე-5 საუკუნეში.

ვახუშტ ბატონიშვილი გვ. 47 არასჯულიერი ძე ვახტანგ VI-ისა. დაიბადა 1696 წ. ახლო ხანებში¹, გადასახლდა მოსკოვს 1724 წ., გარდაიცვალა 1770 წლის ახლო. შესანიშნავი მეცნიერი, ავტორი მრავალი ნაშრომისა, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია საქართვე. ისტორია და საქართ. გეოგრაფია.

¹ ვსარგებლობ შემთხვევით, რათა შეეასწორო სამწუხარო კორექტურული შეცდომა: თ. ლომოური და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით გამოშვებულს ვახუშტის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“-ს (თბ. 1941 წ.) მე-VII გვერდზე ვახუშტის დაბადების წლად მოცემულია 1676 წლის ახლო ხანები. უნდა იყოს 1696 წლის ახლო ხანები. თ. ლ.

ვითლენშტიინი გრაფი, გენერალი გვ. 122 პეტრე ქრისტიანის: ძე (1768—1842 წ.). 1812 წ. იყო რუსეთის ჯარების მთავარსარდალი. 1818 წ. მთავარსარდალი მეორე არმიისა.

ვილჰელმ I გვ. 141, 154 (1797—1888 წ.) 1861—1888 წლ. პრუსიის მეფე. 1871 წლიდან გერმანიის იმპერატორი. 1814 წ. იღებდა მონაწილეობას საფრანგეთის დალაშქერაში.

ზუბოვი გრაფი, გენერალ-ანშუფი გვ. 66, 67. დ. ბ.

ზუკაკაშვილი ელევთერ გვ. 132 კარის წინამძღვარი, შემდეგ ბერი და არქიმანდრიტი. 1812 წ. დიდად შეუწყო ხელი რუსეთის მთავრობას კახეთის ამბოხების ჩაქრობასა და ხალხის დამშვიდებაში. გარდაიცვ. 1825 წ.

თარხაი ანუ თარხნიშვილი დიმიტრი ანუ ტუტია, ძე ბეციასი, თავადი გვ. 92 იულონ ბატონიშვილის მზღებელი, მოკლულ იქნა 1805 წ.

თარხნიშვილი ბესარიონ, ხაზას ძე გვ. 156.

თაქთაქიშვილი იოვანე გვ. 53.

თეიმურაზ II გვ. 47, 49, 50, 51, 59. დ. ბ.

თეიმურაზ ბატონიშვილი, გიორგი XII-ის ძე გვ. 83, 93, 107. დ. ბ.

თეიმურაზ იმერთა მეფე, სოლომონ I-ის ბიძაშვილი გვ. 53. დ. ბ.

თეოფილაქტე გვ. 154 არქიეპისკოპოზი ქართლისა და ეგზარხოსი ქართლისა და იმერეთისა. პირველი რუსი ეგზარხოსი საქართველოში, დაინიშნა 1817 წ. გარდაიცვ. 1821 წ.

იბრეიმ-ხანი ყარაბაღისა გვ. 60, 66, 68, 73, 75, 97. დ. ბ.

იესე მეფე გვ. 50, 52, 58, 62. დ. ბ.

იოვანე ბატონიშვილი, გიორგი XII-ის ძე გვ. 62, 73, 75 შენიშვ., 75, 76, 78, 119. დ. ბ.

იოვანე, გორელი სომეხი, დესეტნიკი (ასასი) გვ. 106.

ირაკლი II გვ. 47—64, 64 შენიშვ., 65, 66, 67, 69—72, 77, 82, 83, 86, 92, 100, 117, 119, 131, 146, 148, 152, 157. დ. ბ.

იულონ ბატონიშვილი, ირაკლი II-ის ძე გვ. 60, 61, 75, 76, 77, 82, 85, 91, 92, 95, 96, 99, 117, 135, 152. დ. ბ.

კავალნიცი გვ. 71, 79 ე. ი. კოვალენსკი. დ. ბ.

კალატოზიშვილი იოსებ, მუშრიბი გიორგი XII-ისა, გვ. 84 1803 წ. გორის ნაცვალის ანუ პოლიციის უფროსი. ამან შეატყობინა გენ. ციციშვილს 1803 წ. გიორგი XII-ის ცოლის მარიამის განზრახვა ხევსურეთში გაპარვის შესახებ. გარდაიცვ. 1834.

კაქკაპაშვილი მთარგმნელი (პრეოპიკი), გორელი გვ. 85.

კეხელი დავით, ახნაური გვ. 92 იულონ ბატონიშვილის მზღებელი. .

კიკნაძენი გვ. 103, 107. დ. ბ.

კიტლერევესკი პოლკოვნიკი გვ. 115, 131, 136 ე. ი. კოტლიარევესკი პეტრე სტეფანეს ძე, მოქმედობს ამ. კავკასიაში ჯერ ტორმასოვის, შემდეგ პაულიჩის და რტიშჩევის მთავარმართებლობის დროს 1809—1813 წლებში.

კნორინგი გენერ.-ლეიტ. გვ. 78—80. დ. ბ.

კორსიკოვი ალექსანდრე მიხეილის ძე, გენერ. გვ. 67. დ. ბ.

- კონსტანტინე ბატონიშვილი, ძე იმერთა მეფის დავით გიორგის ძისა გვ. 63, 82. დაიბადა 1789 წ., 1792 წლიდან დაპატიმრებული ჰყავდა სოლომონ II-ის. განთავისუფლებულ იქნა 1803 წ. კ. ციციშვილის მიერ. 1810 წ. გადიგზავნა რუსეთს.
- კუტუშოვი, ილარიონ მიხეილის ძე, გენერალ-ანშეფი გვ. 123, 126—130, 136 თავადი გოლენიშჩევი (1745—1813 წ.). 1805 წ. მეთაურობდა რუსეთის ჯარებს ავსტრიაში ნაპოლეონის წინააღმდეგ. 1812 წ. დაინიშნა მთავარსარდლად რუსეთის მხედრობისა ბარკლაის შემდეგ. ბოროდინოს ბრძოლის შემდეგ ფელდმარშალი.
- ლახარევი გენერ. გვ. 71, 73, 79, 84, 85. დ. ბ.
- ლალიხანისძე ზაქარია, კარის დეკანოზი გვ. 78 არაგვის ერისთავთა გვარიდან.
- ლანგ თემური გვ. 151 თათარ-მონღოლთა დიდი ხელმწიფე მე-14 ს-ში. დაიბადა 1333 წ. დაიპყრო მთელი ცენტრ. აზია, სპარსეთი, ინდოეთი; დალაშქრა საქართველო, რუსეთი. გარდაიცვ. 1405 წ.
- ლარაძე პეტრე, აზნაური გვ. 108. დ. ბ.
- ლევან, ძე იულონ ბატონიშვილისა გვ. 93, 106, 108, 117, 118. დ. ბ.
- ლევანა, ლორელი აზნაური გვ. 108.
- ლევონ ბატონიშვილი, ირაკლი II-ის ძე გვ. 56, 57. დ. ბ.
- ლევონიძე სოლომონ, თავადი, დესპანი სოლომონ II-ისა რუსეთის კარზე გვ. 85. დაიბადა კახეთში 1745 წლის ახლა ხანებში. ცნობილი პოლიტ. მოღვაწე ირაკლი II-ის დროს. იყო ჯერ მდივნად, შემდეგ მსაჯულად. ჩანს კალაქის დემოკრატიული ფენის—ხელოსნების, ვაჭრების, საზოგ. მოქალაქეების ინტერესების დამცველად. ქართლ-კახეთის 1801 წ. რუსეთთან შეერთების შემდეგ გადავიდა იმერეთს სოლომონ II-ის სამსახურში. იმერეთის რუსების მიერ დაპყრობის შემდეგ 1810 წ. გაიქცა საქართველოდან. უნდა გარდაცვლილ იყოს ოსმალეთში 1815 წლის შემდგომ.
- ლითვინოვი გენერ., დესპანი რუსეთისა ქუთაისში 1805 წ. გვ. 91.
- ლისანევიჩი დიმიტრი, ტიხონის ძე, მაიორი გვ. 97, 113, 114. დ. ბ.
- ლუარსაბ, იულონ ბატონიშვილის ძე გვ. 93 დაიბადა 1787 წ. 1805 წ. გადაჰყვა მამას რუსეთში.
- ლუდოვიკ XVI გვ. 70, 143 (1754—1793 წ.), საფრანგეთის მეფე, რომელიც სიკვდილით იქნა დასჯილი 1793 წ. დიდი რევოლუციის დროს. მეფობდა 1774—1792 წლ.
- ლუდოვიკ XVIII, ბურბონი გვ. 143, 148—150 (1755—1824 წ.). ძმა ლუდოვიკ XVI-ისა. საფრანგეთის მეფე ბურბონების რესტავრაციის შემდეგ 1814—1824 წლებში. ბაგრატ ბატონიშვილი მას შეცდომით XVII-დ სთვლის.
- მალაჩინ, სარდალი ლეკებისა გვ. 55 მოკლული 1770 წ. ასპინძის ომში ირაკლი II-ის მიერ (კოხტა ბელადი?).
- მამუჩაშვილი. ნახე ჰავჭავაძე გვ. 77. დ. ბ.
- მონტრეზორი მაიორი გვ. 91. დ. ბ.
- მარიამ დედოფალი, გიორგი XII-ის ცოლი გვ. 71, 84, 85, 112, 118. დ. ბ.
- მარიამ თეოდორეს ას. გვ. 71, 144, 151 რუსეთის იმპ., პეველ I-ის მეორე ცოლი, დედა ალექსანდრე I-ისა. ვიურტემბერგის მეფის ასული (1759—1828 წ.). მისთხოვდა პავლეს 1776 წ.
- მარიამ, კაცია დადიანის ასული, სოლომონ II-ის ცოლი გვ. 63, 112. დ. ბ.

- მარიამ, სოლომონ II-ის და, ცოლი მელქისედეკ ენდრონიკაშვილისა გვ. 112. დ. ბ. მალაღაშვილი იუსტინე, მთავარ ეპისკოპოზი გვ. 109.
- მაყაშვილი ალექსანდრე გვ. 135 სვიმონის ძე, ეშკალაბაში გიორგი XII-ისა, საქართველოს უმაღლესი მმართველობის მრჩეველი სახაზინო ექსპედიციაში; თელავის მოურავი. გარდაიც. 1823 წ.
- მაყაშვილი არსენი გვ. 134 გაიგზავნა ციმბირს 1812 წლის კახეთის აჯანყებაში მონაწილეობისათვის, სასჯელი ეპატივა 1820 წ.
- მაყაშვილი იოვანე, ბოდბელი გვ. 111, 132 მომხრე ალექსანდრე ბატონიშვილისა, გარდაიცვალა 1837 წ.
- მაყაშვილი იოსებ გვ. 134 მონაწილე 1804 წ. მთიულეთის აჯანყებისა. 1812 წლის კახეთის აჯანყებაში მონაწილეობისათვის ექვით დაპატიმრებული, სამხედრო სასამართლოს მიერ გამართლებულ იქნა.
- მაყაშვილი ომან გვ. 134 მოურავი ყარაჯალას პირაქეთ და კახეთში მცხოვრებ თათრებისა. გაგზავნილ იქნა ციმბირს 1812 წლის აჯანყებაში მონაწილეობისათვის. სასჯელი ეპატივა 1816 წ.
- მაყაშვილი სვიმონ გვ. 47, 48 ელჩი თეიმურაზ II-ისა რუსეთში, გაგზავნილი 1752 წ. ელისაბედ პეტრეს ასულთან. ლალა გიორგი XII-ისა და მისივე ეშკალაბაში.
- მაჩაბელი დავით, ძე გიორგისა გვ. 59 ბორჩალოს მოურავი 1785 წ.
- მაკუვარიანი გერვასი გვ. 111 წილკნელ-სამთაუნელი ეპისკოპოზი. ეკურთნა ეპისკოპოზად გიორგი XII-ის დროს. გარდაიც. 1817 წ.
- მაჰმად-ასან-ხანი, ავშარი, ელჩი სპარსეთის შაჰისა რუსეთში 1818 წ. გვ. 160.
- მაჰმად-ხანი ერეენისა გვ. 89, 95, 101. დ. ბ.
- მაჰმად-ხან ყაჯარი, ელჩი ბაბახანისა გიორგი XII-ესთან 1798 წ. გვ. 70 ბაბახანის ფარეშ-ბაში.
- მაჰმად-ხან ყაჯარი, მამა ალა-მაჰმად-ხანისა გვ. 62. დ. ბ.
- მაგლობლიშვილი დიმიტრი, კახეთის ახნაური, გვ. 134 მონაწილე 1804 წლის მთიულეთის აჯანყებისა. 1812 წ. გაგზავნილ იქნა ციმბირს კახეთის აჯანყებაში მონაწილეობისათვის. სასჯელი ეპატივა 1816 წ.
- მელიქიშვილი სტეფანე, თავადი, მემანდარი გვ. 116 გრიგოლ დადიანის ქვრივის ნინოს ამალის წევრი 1811 წ.
- მირზა ბუზურგ, ელჩი ბაბახანისა გვ. 104. დ. ბ.
- მირიან ბატონაშვილი, ირაკლი II-ის ძე გვ. 59, 77. დ. ბ.
- მიხეილ, არქიეპისკოპოზი ჩერნიგოვისა გვ. 157, დაინიშნა 1818 წ. პეტერბურგის მიტრაპოლიტად.
- მიხეილ ბატონიშვილი, ძე გიორგი XII-ისა გვ. 78, დაიბადა 1783 წ., გარდაიცვალა 1861 წ.
- მიხეილ, ძე პაველ I-ისა გვ. 155 შენიშვ., რუსეთის დიდი მთავარი (1798—1848 წ.).
- მეურატი, მარშალი ნაპოლეონისა გვ. 129 იოაკიმ (1767—1815 წ.). საფრანგეთის მარშალი 1804 წ. და ნეაპოლის მეფე 1808 წ. ცოლად ჰყავდა ნაპოლეონისა და. 1814 წ. ძალა-უფლების შესანარჩუნებლად უღალატა ნაპოლეონს, მაგრამ „ასი დღის“ განმავლობაში კვლავ მიემხრო. ნაპოლეონის დამარცხების შემდგომ დახვრეტილ იქნა 1815 წ.
- მონაპარტე—ნახე „ნაპოლეონ ბონაპარტე“.

- მუსტაფა, ლენქორანის ხანი გვ. 136 ე. ი. მიერ მუსტაფა, ხანი თალიშისა, ძე ყარახანისა. რუსეთის მფარველობის მეძიებელი 1793 წლიდან. ხანად დაჯდა 1791 წლის ახლო ხანებში. 1812 წ. განდევნილი იქნა სპარსელების მიერ ლენქორანიდან. 1813 წ. თალიში დაპყრობილ იქნა რუსეთის მიერ.
- მეშრიბიშვილი ვოგია, კახეთის აზნაური გვ. 134 გაგზავნილ იქნა ციმბირს 1812 წლის კახეთის აჯანყებაში მონაწილეობისათვის. სასჯელი ეპატივა 1816 წ.
- მუხრანის ბატონი კოსტანტინე გვ. 51, 101. დ. ბ.
- მუხრანის ბატონიშვილი ერშია, სვიმონ ნასახიბაშის ძე გვ. 133 შენიშვ.
- მუხრანის ბატონიშვილი სვიმონ, ნასახიბაში გვ. 133 შენიშვ. დ. ბ.
- ნაბიჭვრიშვილი პეტრე, აზნაური გვ. 78 გიორგი XII-ის შეილების ამალის წევრი 1801 წ.
- ნათალიშვილი სვიმონ, კახი აზნაური გვ. 134 მონაწილე 1804 წლის მთიულეთის აჯანყებისა. გაგზავნილ იქნა ციმბირს 1812 წლის კახეთის აჯანყებაში მონაწილეობისათვის. სასჯელი ეპატივა 1816 წ.
- ნაპოლეონ I ბონაპარტე გვ. 70, 87, 96, 99—101, 113, 121—123, 126, 128—130, 138—140, 140 შენიშვ., 141, 142, 142 შენიშვ., 143, 147—150, 159 (1769—1821 წ.). დაიბადა კუნძულ კორსიკაზე. 1785 წლიდან მსახურობს საფრანგეთის ჯარში. 1793 წლიდან სახელგანთქმული სარდალი რესპუბლიკისა. 1799 წ. მოახდინა სახელმწ. გადატრიალება. არჩეულ იქნა პირველ კონაულად, 1804 წ.—იმპერატორად. 1805 წლიდან ებრძვის ვეროპის სახელმწიფოებს. 1813—14 წლ. მარცხდება. 1814 წ. ჰკარგავს ტახტს და იდევნება კუნძულ ელბაზე, 1815 წ. კელაგ მეფობს ასი დღის განმავლობაში, მარცხდება ვატერლოსთან და განდევნილი წმ. ელენეს კუნძულზე რჩება იქ სიკვდილამდე.
- ნესევეტაევი, გენერ. გვ. 94. დ. ბ.
- ნიკოლოზ I გვ. 154, 155 შენიშვ. დ. ბ.
- ნინო ბატონიშვილი, გრიგოლ დადიანის ცოლი გვ. 61, 102, 103, 107, 116. დ. ბ.
- ნურ მაჰმად ოსოქოლელი, ლეკთა ბელადი გვ. 105.
- ონანაშვილი ასლან, მდივანი კახთა გვ. 133 ვაჩნაძე, ეჭვით დაპატიმრებული 1812 წლის კახეთის აჯანყებაში მონაწილეობისათვის, გამართლებული სამხედრო სასამართლოს მიერ.
- ონანაშვილი ნინია, ძმა ასლანისა გვ. 133 აგრეთვე.
- ორბელიანი ბეგლარ, ზაალის ძე, სიძე გრიგოლ დადიანისა გვ. 116.
- ორბელიანი დიმიტრი, ზაალის (თუ ზაქარაის?) ძე, ყაფლანიშვილი, გენერალი გვ. 103, 107, 130, 131, 132, 133 შენიშვ. დ. ბ.
- ორბელიანი ვახტანგ, დიმიტრის ძე, სიძე ირაკლისა გვ. 119 ყაფლანიშვილი. დ. ბ.
- ორბელიანი ივანე დავითის ძე გვ. 77, 78, 90 სარდალი საბარათიანოსი, სალთუხტუესი დავით ბატონიშვილისა. მარკ. პაულიჩის მიერ სიღნაღის სამსაჯულოს თავმჯდომარედ დანიშნული 1812 წ.
- ომარ-ხან, ზუნძახის ერისთავი გვ. 59, 60, 73, 74 75. დ. ბ.
- პაატა ბატონიშვილი, ვახტანგ VI-ის ბუში. გვ. 52, 57. დ. ბ.
- პაატა სალთუხტუესი, კახეთის აზნაური გვ. 134 გადასახლებული ციმბირს 1812 წლის კახეთის აჯანყებაში მონაწილეობისათვის. სასჯელი ეპატივა 1816 წ.

ეს პაატა, ვგონებ, უნდა იყოს ალავერდის სალთხუცესი პაატა სულხანი-
შვილი, რომელსაც 1804 წლის მთიულეთის აჯანყებაშიაც მიუღია მონა-
წილეობა.

პაულე I, რუსეთის იმპ. გვ. 68, 71, 75 შენიშვ., 77, 78, 95, 154, 155 შენიშვ. დ. ბ.
პარტნეგინი. გენერ.-მაიორი გვ. 118 დ. ბ.

პაულიჩი მარკიზი, გენერ.-მაიორი გვ. 113—115, 118—120. დ. ბ.

პენტელასშვილი მაქსიმე იოვანეს ძე, დესეტნიკი გვ. 105, 106.

პეტრე I, რუსეთის იმპ. გვ. 136 ძე ალექსი მიხეილის ძისა. დაიბადა 1672 წ.
მეფობდა 1682—1725 წლ.

პეტრე კათალიკოზი, გვ. 111 პირველი კათალიკოზი საქართველოსი ვახტანგ
გორგასლანის დროს მე-5 ს-ში.

პეტრიაშვილი ალექსი, კახეთის ახნაური, დეკანოზი, რექტორი სკოლისა გვ. 110.
პლატონი, მოსკოვის მიტრაპოლიტი გვ. 121—122 შენიშვ., 124 შენიშვ., გარ-
დაიცვალა 1812 წ.

რაციშვილი გაბრიელ, ბეჟანის ძე, უშკალაბაში იოვანე ბატონიშვილისა გვ. 78.
რილბი, დოქტორი გვ. 155.

როსტომ, მეფე აპაოს შვილი, ყარაბაღელი გვ. 91 ნახე „აპო“.

როსტომ, მეფე ქართლისა გვ. 154, სპარსეთის ორიენტაციის, მეფობდა 1633—
1655 წ.

რტიშჩევი გვ. 131, 132, 136, 152. დ. ბ.

საბუთ, ახალციხის ფაშა გვ. 81 ათაბაგი, სულეიმან ფაშას ძმის-წული.

საგინაშვილი გლახა გვ. 134 კახი ახნაური. ქისტაურის მოურავი. გაგზავნილ იქნა
ციმბირს 1812 წ. კახეთის აჯანყებაში მონაწილეობის გამო. სასჯელი ეპა-
ტივა 1816 წ.

საგინაშვილი რევაზ გვ. 134 კახი ახნაური. გაგზავნილ იქნა ციმბირს 1812 წლ.
კახეთის აჯანყებაში მონაწილეობისათვის. სასჯელი ეპატივა 1816 წ.

სადუხ-ხან შალალი გვ. 68—69 ძე ალი ხანისა, შალალის (მულანში მოხეტიალე
ტომი) მფლობელი, მომწყობი შეთქმულებისა ალა-მამად-ხანის წინააღმ-
დეგ 1797 წ.

სერაპიონ ბერი, მნათე კათალიკოზის ეკლესიისა თბილისში გვ. 110, 110 შენიშვ.
სეიმონოვიჩი, პოლკოვნ. გვ. 104, 106, 107, 131. დ. ბ.

სოზიას ძე პაფნოტი, არქივისკოპ. აფხაზთა ანუ მოქვისა გვ. 116 ქართველი.
გურთხა არქიმანდრიტად 1802 წ. 1804 წ., ვითარცა მკერმეტყველი მო-
ქადაგე. გაგზავნილ იქნა გენ. ტალიზინის მიერ აჯანყებული მთიულეთის
დასამშვიდებლად. რამდენიმე ხნის შემდეგ გადავიდა სამეგრელოში, საი-
დანაც გაიგზავნა დესპანად რუსეთს გრიგოლ დადიანის მიერ. ამის ჯილ-
დოდ მიიღო არქივისკოპოზობა მოქვისა. 1811 წ. გადაჭყვა დადიანის
ქვრივს ნინოს რუსეთში. გარდაიცვ. 1823 წ.

სოლალაშვილი სეიმონ იორამის ძე, გენერ.-ლეიტენ. გვ. 150.

სოლომონ I გვ. 47, 48, 53—56, 58, 59, 67, 99, 100, 148. დ. ბ.

სოლომონ II გვ. 59, 63—65, 67, 72, 76, 80, 81, 82, 85, 86, 91, 99, 100, 103—107,
110, 112, 117, 148, 148 შენიშვ. დ. ბ.

სულგუნაშვილი მიკიტრუმა, მოქალაქე, თბილისის ნაცვალის გიორგი XII-ის დროს.
გვ. 85, 94.

სულეიმან, ახალციხის ფაშა გვ. 81, 86. დ. ბ.

სუბატაშვილი ნინია, პატას ძე გვ. 106 ნავთლულის მოურავი. გაგზავნილ იქნა 1810 წ. პერმს, ვითარცა მონაწილე სოლომონ II-ის გაპარებისა. ეპატივა სასჯელი ორიოდ წლის შემდეგ.

ტალირანი, გვ. 140, 140 შენიშვ., 141 შარლ-მორისი (1754—1838 წ.). საფრანგეთის სახელგანთქმული დიპლომატი, ეპისკოპოსი. 1799 წლიდან მინისტრი და ობერ-კამერჰაპერი ნაპოლეონისა. 1814 წ. ხელი შეუწყო ბურბონების რესტაურაციას. 1815 წლამდე საგარეო საქმეთა მინისტრი და წარმომადგენელი საფრანგეთისა ვენის კონგრესზე, შემდეგ საფრანგეთის ელჩი ლონდონში.

ტალიზინი, გენერალი გვ. 93 მსახურობდა საქართველოში პ. ციციშვილის დროს. მიიღო მონაწილეობა 1804 წლის მთიულეთის აჯანყების ჩაქრობაში.

ტერ-გეურჯა თელაველი, ტერტერა გვ. 161.

ტორმასოვი, ალექსანდრე პეტრეს ძე გვ. 102—108, 110, 113, 114, 122, 123. დ. ბ. ტოტლებენი გვ. 54, 58. დ. ბ.

უსეინ ალი, ხანი ერევნისა გვ. 56. დ. ბ.

უსეინ ყული, ხანი ბაქუსი გვ. 97, 98. დ. ბ.

უსეინ ყული-ხანი, ძმა ბაბა-ხანისა გვ. 70. დ. ბ.

უსეინ ყული-ხანი, ერევნის სარდარი გვ. 113.

უსუფ, სარასკარი აზრუმისა გვ. 98. დ. ბ.

უსუფ ფაშა, ეგვიპტის ვეზირი გვ. 70.

ფათალი შაჰ გვ. 149 ნახე ბაბა-ხანი. დ. ბ.

ფათალი-ხან დარუბანდისა გვ. 57. დ. ბ.

ფალავანდისშვილი გოგია, იმერელი ახნაური, დესეტნიკი გვ. 106.

ფანა-ხან ყარაბაღისა გვ. 49. დ. ბ.

ფანიაური ჯალია გვ. 133 შენიშვნ. ჯალიაშვილი ქიხიყელი, 1812 წლის ამბოხების მონაწილე. ჩამოხრჩობილ იქნა დ. ორბელიანის მიერ.

ფარნაოზ ბატონიშვილი, ძე ირაკლი II-ისა გვ. 75, 77, 82, 85, 91, 93, 94, 96, 99, 160. დ. ბ.

ფირ-ყული-ხან ყაჯარი, სარდალი ბაბა-ხანისა გვ. 90—93 მოქმედობს 1801 წლიდან. მას ჰქონდა ბაბა-ხანისაგან მინდობილი სამხედრო ოპერაციები საქართველოში 1802 წელს რუსების წინააღმდეგ მოწყობილი აჯანყების დროს—იგი უნდა დახმარებოდა ქართველ ბატონიშვილებს.

ფიცხელაური დოსითეოს, არჯვანის ძე გვ. 147, 154 თელავისა და კავკასიის არქივისკოპოზი 1814 წლიდან. დაყენებულ იქნა 1817 წ. და გადასახლებულ მოსკოვს.

ფრანც II. ავსტრიის იმპ. გვ. 96, 141 იოსებ-კარლო (1768—1835 წ.). 1792 წლიდან იმპერატორი სამღეთო რომაულ გერმ. იმპერიისა. 1806 წ. უარი სთქვა გერმანიის გვირგვინზე და მიიღო სახელწოდება—ფრანც I ავსტრიის იმპ. 1815 წლიდან მართვა-გამგეობა თითქმის მთლად მეტერნის მიანდო.

ქარიმ-ხან ხანდი გვ. 52, 53. დ. ბ.

ქეთევან, გიორგი XII-ის პირველი ცოლი გვ. 57—58. დ. ბ.

- ქეთევან დედოფალი, წმინდანი გვ. 73 კახთ დედოფალი, მუხრან-ბატონის ასული, დედა თეიმურაზ I-ისა. წამებულ იქნა სპარსეთში შაჰ აბაზის მიერ 1624 წ. ქეთევან, ცოლი ირაკლი II-ის ძის პირველი ვახტანგისა, გვ. 101 კონსტანტინე მუხრან-ბატონის ასული. გარდაიცვალა 1808 წ. პეტერბურგში.
- ქელეშ ბეგ აფხაზი გვ. 87 ძე ლევან შერვაშიძისა, აფხაზეთის მფლობელი. მოკლულ იქნა 1807 წ.
- ქობულისძე იოვანე, კახთ მდივანი გვ. 78 მოურავი ზემო-ხოდაშენისა. გიორგი XII-ის შვილების ამალის წევრი 1801 წ.
- ქობულისძე ნიკოლოზ, მდივნის ძე, არქიმანდრიტი შუამთისა, მოძღვართ-მოძღვარი გვ. 61.
- ლუკაზ ანუ ლუკა სომეხთა ორქივატერი გვ. 95 სომეხების პატრიარქი ეჩმიადინში. გარდაიცვალა 1799 წ.
- ყაზიბეგიშვილი გაბრიელ გვ. 94 ხევის ბატონი. 1804 წლის მთიულეთის აჯანყების დროს დიდი ერთგულება გამოიჩინა რუსეთის მიმართ.
- ყარაშვილი იოვანე, ექიმი გვ. 78 იოსების ძე. მეფის ოჯახის ექიმბაში. გადასახლდა რუსეთს ბატონიშვილებთან ერთად 1801 წ.
- ყაფლანიშვილი—ორბელიანი მამუკა გვ. 81 ძე დიმიტრი ეშკალაბაშ ორბელიანისა და მისი ცოლის ანა ბატონიშვილისა (ირაკლი II-ის და), მამა იმერთა დედოფლის ანასი.
- ყოდლაშვილი იოსებ, კახი აზნაური გვ. 134 გაგზავნილ იქნა ციმბირს 1812 წ. კახეთის აჯანყებაში მონაწილეობისათვის. სასჯელი ეპატივა 1816 წ.
- ყორჩიბაშიშვილი იოვანე, ნაზირი გვ. 59 კახეთის თავადი ყორჩიბაშიშვილი-რუსიშვილი.
- შამელიქიშვილი გიორგი, მღვდელი გვ. 156.
- შარვაშიძე ანტონი, აფხაზთა თავადი გვ. 116 გრ. დადიანის ქვრივის ნინოს მხლებელი რუსეთში გადასახლებისას 1811 წ.
- შარვაშიძე დიმიტრი, აფხაზთა თავადი გვ. 116 გრ. დადიანის ქვრივის ნინოს მხლებელი რუსეთში გადასახლებისას 1811 წ.
- შარიფ ფაში, სულეიმან ფაშას შვილი გვ. 81, 86, 105. დ. ბ.
- შატბერაშვილი იოვანე, მოურავი კავთის-ხევისა გვ. 135 გაგზავნილ იქნა ციმბირს 1812 წლის კახეთის აჯანყებაში მონაწილეობისათვის. სასჯელი ეპატივა 1816 წ.
- შატბერაშვილი ფილიპე, ძმა იოვანესი, მღვდელი გვ. 135 გაგზავნილ იქნა ციმბირს 1812 წლის კახეთის აჯანყებაში მონაწილეობისათვის. სასჯელი ეპატივა 1816 წ.
- შვარცენბერგი, თავადი, ავსტრიის სარდალი გვ. 122 კარლო-ფილიპე (1771—1820 წ.), 1812 წ. მთავარსარდალი ავსტრიის დამხმარე კორპუსისა რუსეთის წინააღმდეგ; 1813 წ. გენერალისიმუსი მოკავშირეთა ჯარებისა ნაპოლეონის წინააღმდეგ.
- ჩახტაური გიორგი, მღვდელი, შილდელი გვ. 135 გადასახლებულ იქნა ციმბირს 1812 წლის კახეთის აჯანყებაში მონაწილეობისათვის. სასჯელი ეპატივა 1816 წ.

- ჩერქეზისშვილი ბარძიმ გვ. 134 გაგზავნილი ციმბირს 1812 წლის კახეთის აჯანყებაში მონაწილეობისათვის. სასჯელი ეპატივა 1816 წ.
- ჩერქეზისშვილი იოვანე (ანუ ნინია) ნიკოლოზის ძე, მანაეის მოურავი გვ. 134 გაგზავნილ იქნა ციმბირს 1812 წლის კახეთის აჯანყებაში მონაწილეობისათვის. სასჯელი ეპატივა 1816 წ.
- ჩერქეზისშვილი ნინია (იოვანე) ალადალის ძე, კაკაბეთის მოურავი გვ. 134 გაგზავნილ იქნა ციმბირს 1812 წლის კახეთის აჯანყებაში მონაწილეობისათვის. სასჯელი ეპატივა 1820 წ.
- ჩერქეზისშვილი ფირან, აზნაური გვ. 92 მხლებელი იულონ ბატონიშვილისა. მოკლულ იქნა 1805 წ.
- ჩინაგოვი, გენერალი გვ. 122 პაულე ვასილის ძე (1762—1849 წ.), 1807 წ. საზღვაო მინისტრი. 1812 წ. ადმირალი. ნაპოლეონის ბერგენინაზე გადასვლისას ვერ მოახერხა მისი ტყვედ ჩაგდება, რის გამო ბრალდებულ იქნა. 1813 წ. სამუდამოდ წავიდა საზღვარგარეთ.
- ჩიჩუა ლეონ, თავადი გვ. 116 გრ. დადიანის მეუღლის, ნინოს მხლებელი რუსეთში გადასახლებისას 1811 წ.
- ჩოკაშვილი დავით გვ. 134 გაგზავნილ იქნა ციმბირს 1812 წლის კახეთის აჯანყებაში მონაწილეობისათვის. სასჯელი ეპატივა 1820 წ.
- ჩოლაყაშვილი გიორგი, სალთუბუტეცი გვ. 157 ცოლად ჰყავდა ირაკლი II-ის ასული ეკატერინე.
- ჩოლაყაშვილი დიმიტრი გვ. 134 მოურავი ფშავისა და ხევსურეთისა. მიიღო მონაწილეობა 1804 წ. მთიულეთის აჯანყებაში. 1812 წლის კახეთის აჯანყებაში მონაწილეობისათვის გაგზავნილ იქნა ციმბირს, საიდანაც დაბრუნდა 1820 წ. ამნისტის ძალით.
- ჩოლაყაშვილი დურმიშხან, თუშთ მოურავი გვ. 78, 134. დ. ბ.
- ჩოლაყაშვილი იოსებ, თუშთ მოურავის დურმიშხანის ძე გვ. 78, 134 გაგზავნილ იქნა ციმბირს 1812 წლის კახეთის აჯანყებაში მონაწილეობისათვის. სასჯელი ეპატივა 1916 წ.
- ჩოლაყაშვილი იოსებ გვ. 134 მონაწილე 1804 წლის მთიულეთის აჯანყებაში. 1812 წლის კახეთის აჯანყებაში მონაწილეობისათვის გაგზავნილ იქნა ციმბირს. სასჯელი ეპატივა 1816 წ.
- ჩოლაყაშვილი ნიკოლოზ ჯარდანის ძე გვ. 134 მოურავი ლალის-ყურისა, კოლეცკი ასესორი. 1812 წ. კახეთის აჯანყებაში მონაწილეობისათვის გაგზავნილ იქნა ციმბირს. სასჯელი ეპატივა 1816 წ.
- ჩოლაყაშვილი ჯარდან, გვ. 134 ეშკალაბაში, მონაწილე იმ ბკობისა, რომელიც არჩევდა ირაკლი II-ის დროს საკითხს ქართლ-კახეთ-იმერეთის გაერთიანების შესახებ.
- ციციშვილი გიორგი, სარდალი გამოღმა-მხარისა, ვ. ი. მტკვრის მარჯვენა ნაპირისა, სიმპრი გიორგი XI-ისა, მოურავი ფამბაკისა გვ. 70.
- ციციშვილი დავით ზაქარიას ძე გვ. 108 გარის მახრის მარშალი 1810 წ.
- ციციშვილი დავით, ქალაქის მოურავი გვ. 62 სიძე ირაკლი II-ისა—ცოლად ჰყავდა მისი ასული მარიამ. სარდარ-მოურავი.
- ციციშვილი პაულე დიმიტრის ძე, გენერ.-ლეიტენ. გვ. 80, 82—86, 88—91, 93, 94, 97, 98, 146. დ. ბ.

წერეთელი ზურაბ გვ. 93, 104. დ. ბ.

წერეთელი ნიკოლოზ გვ. 53.

წერეთელი პაპუნა გვ. 67. დ. ბ.

წერეთელი ქაიხოსრო, პაპუნას ძე, ზემო-მხრის (იმერეთის) სარდალი გვ. 67, 80, 103, 105 სოლომონ II-ის ერთგული.

კეკეკვაძე ალექსანდრე, გარსევანის ძე, მამუჩაშვილი გვ. 77, 119. დ. ბ.

კეკეკვაძე გარსევან გვ. 71, 76, 77, 79 შენიშვ., 112 შენიშვ., 119 მინისტრო ირაკლი II-ისა რუსეთის კარზე 1783 წ. რწმუნებული ირაკლი II-ისა 1783 წ. ტრაქტატის შეკვრის დროს. ელჩი გიორგი XII-ისა რუსეთში. ყახახის მოურავი. გარდაიც. 1811 წ.

კეკეკვაძე დიმიტრი გვ. 134 გაგზავნილ იქნა ციმბირს 1812 წ. კახეთის აჯანყებაში მონაწილეობისათვის. სასჯელი ეპატივა 1816 წ.

კეკეკვაძე სვიმონ გვ. 134 გაგზავნილ იქნა ციმბირს 1812 წლის კახეთის აჯანყებაში მონაწილეობისათვის. სასჯელი ეპატივა 1816 წ.

ქარუაშვილი პეტრე, ახნაური გვ. 78 ექიმი, გადაჰყვა ბატონიშვილებს რუსეთს 1801 წ.

ქილაძე ვასილ, მათე მღვდლის ძე, ახნაური, მემანდარი (პრისტავი) გვ. 78 მოზლოკელი. იმყოფებოდა ბატონიშვილების ამაღაში 1801 გ.

ხიმშიაშვილი ნიკოლოზ ძე ბარძიმისა, თავადი, ყულუხჩი მარიამ დედოფლისა, გიორგი XII-ის ცოლისა გვ. 84, 85.

ხიმშიაშვილი სელიმ, ახალციხის ფაშა გვ. 86 აკარის მფლობელი. 1802 წ. გარდაადლო ახალციხის ფაშა შარიფი და თვით დაიპყრა ახალციხის საფაშო, მაგრამ 1809 წ. საბოლოოდ დაჰკარგა და დაბრუნდა აკარაში.

ხუდია ბორჩალოელი გვ. 55. დ. ბ.

ხუნძახის ერისთავი მუცალი გვ. 50, 51 იგივე ნურ ალი ბეგ ავარელი. დ. ბ.

ჯავად ხანი განჯისა გვ. 60, 65, 66, 74, 88, 89. დ. ბ.

ჯავახიშვილი ქაიხოსრო გვ. 156 ქართლის თავადი.

ჯანდიერისშვილი გრიგოლ გვ. 134 მონაწილე 1804 წლ. მთიულეთის აჯანყებისა. 1812 წ. გაგზავნილ იქნა ციმბირს კახეთის აჯანყებაში მონაწილეობისათვის. სასჯელი ეპატივა 1820 წ.

ჯანდიერისშვილი დიმიტრი გვ. 134 მონაწილე 1804 წ. მთიულეთის აჯანყებისა. 1812 წ. კახეთის აჯანყებაში მონაწილეობისათვის გაგზავნილ იქნა ციმბირს. სასჯელი ეპატივა 1816 წ.

ჯანდიერისშვილი იოსებ, რუსთველი, კათალიკოზი 1755—1764 წლამდე. გვ. 50, 52.

ჯანდიერისშვილი ნინია გვ. 134 გაგზავნილ იქნა ციმბირს 1812 წლის კახეთის აჯანყებაში მონაწილეობისათვის. სასჯელი ეპატივა 1816 წ.

ჯანდიერისშვილი როსებ, ნასახჩიბაზი გვ. 134 მოურავი ჯიმიისა და ყანდაურასი. გაგზავნილ იქნა ციმბირს 1812 წ. აჯანყებაში მონაწილეობისათვის. სასჯელი ეპატივა 1816 წ.

ჯანდიერისშვილი სვიმონ, როსების ძე გვ. 134 მონაწილე 1804 წ. მთიულეთის აჯანყებისა. 1812 წ. გაგზავნილ იქნა ციმბირს კახეთის აჯანყებაში მონაწილეობისათვის. სასჯელი ეპატივა 1816 წ.

ჯაფარიძე ზაქარია, ბერი გვ. 100.

ჯაფარ-ყული-ხან ხოველი, ბეგლარ-ბეგი განჯისა, დადგენილი პ. ციციშვილის მიერ 1806 წ. გვ. 97.

ჯორაშვილი ნინია—თავბერა, მილახვარი ალექსანდრე-ბატონიშვილისა გვ. 97.

ჯორჯაძე სტეფანე, თავადი, ნინო-წმინდელი ეპისკოპოსი გვ. 119.

ჭრიდერიკ, ვარტენბერგის მემკვიდრე, შემდეგ მეფე გვ. 151, 160 (ავტორი სცდება: ამ დროს ვაჟრტემბერგის მეფის მემკვიდრე იყო ვილჰელმ I, ძე ფრიდრიჰისა, ტახტზე ავიდა 1816 წ. გარდაიცვალა 1864 წ. ცოლად ჰყავდა ალექსანდრე I-ის და ეკატერინე).

ჭრიდერიკ-ვოლცენ III, პრუსიის მეფე გვ. 99, ე. ი. ფრიდრიჰ-ვილჰელმ III (1770—1840 წ.), მეფობს 1797 წლიდან. 1806 წ. ებრძოდა ნაპოლეონს და ტილზიტის ზავის პირობით დაჰკარგა სამფლობელოს ნახევარი. 1812 წ. დაეხმარა რუსეთს ჯარით. ზავის ჩამოგდების შემდეგ 1814 წ. შეუერთდა „საღვთო კავშირს“ რუსეთთან და ავსტრიასთან ერთად.

საძიებელი გეოგრაფიული სახელებისა

- აბარანის მთა გვ. 102 სომხეთში.
ადესა გვ. 158 ქალაქი რუსეთში, შავი ზღვის ნაპირზე.
ადერბეიჯანი გვ. 65, 70, 129 შენიშვ., 130. დ. ბ.¹.
ავსტრია გვ. 140, 141, 143, 159 სახელმწიფო ევროპაში.
ავჭალა გვ. 75. დ. ბ.
აზია გვ. 51. დ. ბ.
აზრუმი გვ. 55, 98, 104 ოსმალეთის ქალაქი მცირე აზიაში.
ალაგაზი გვ. 52, 108 მთა სომხეთში, ლენინაკანის რაიონში.
ალავერდი გვ. 69, 111 ტაძარი კახეთში, ალაზნის მარჯვენა ნაპირზე.
ალაზანი გვ. 47, 59, 73, 132. დ. ბ.
ალგეთი გვ. 49. დ. ბ.
ალდანი გვ. 94 სოფელი ყაზახში.
ანაგა ძველი გვ. 74 სოფ. ქიზიყში.
ანგლია გვ. 131, 143, 148, 155, 159—ინგლისი, სახელმწიფო ევროპაში.
ანწუხი გვ. 120 გუნების ოლქში (დაღისტანი).
არაგვი გვ. 58, 65 შენიშვ., 77, 82, 93, 94. დ. ბ.
არაგვის გზა გვ. 58 გზა, რომელიც შიიმართება საქართველოდან რუსეთისაკენ დარიალის ხეობით.
არაყი (იგივე ერაყი) გვ. 70. დ. ბ.
არეხი გვ. 104, 105, 131, 139. დ. ბ.
არტოხანი გვ. 61 სოფ. კახეთში თურდოს-წყალზე (ალაზნის მარჯვენა შენაკადი).
არფაჩაი გვ. 98. დ. ბ.
ასკარანი გვ. 97. დ. ბ.
ასლან-დუხი გვ. 131 სპარ. აზერბაიჯანში, არეხის გალმა, მარჯვენა ნაპირზე, მდ. დარაუურტის შესართავთან.
ასპინძა გვ. 54. დ. ბ.
ასტრახანი გვ. 51, 57, 68. დ. ბ.
აუსტერლიცი (ტექსტში: აუსტრელი) გვ. 100 ქ. მორავიაში (ჩეხო-სლოვაკია).
ატოცი გვ. 156. დ. ბ.
აფხაზეთი გვ. 139 მხარე ამ.-კავკასიის ჩრდ.-დასავლ. კუთხეში, შავი ზღვის პირას, მთ. ქალაქი სოხუმით.
აღჯაყალა გვ. 59. დ. ბ.
ახალქალაქი გვ. 98, 115. დ. ბ.
ახალციხე გვ. 54, 60, 62, 63, 64, 81, 86, 90, 105—108, 113, 114, 117. დ. ბ.
ახენი გვ. 159 ქ. რეინის პროვინციაში (გერმანია).
ბავარია გვ. 121 ერთ-ერთი სახელმწიფო გერმანიისა (ევროპაში).

¹ ყველგან, სადაც ბაგრატ ბატონიშვილის ისტორიის ინდექსი ხედება და-
ვით ბატონიშვილისას, იქნება მითითება ამ უკანასკნელზე ასოებით: დ. ბ.

ბაიდარი გვ. 49. დ. ბ.

ბაქუ გვ. 97, 98, 139. დ. ბ.

ბალდადი, ბალდადის ციხე გვ. 53, 54 იმერეთში, ხანის-წყალზე (რიონის მარცხენა შენაკადი).

ბელაქანი გვ. 83. დ. ბ.

ბელგოროდი გვ. 85, 112. დ. ბ.

ბერესლავი გვ. 122 ქ. სიღვიძრაში (პრუსია) ბრესლავი.

ბერლინი გვ. 99, 100 ქ. პრუსიაში. გერმანიის დედა-ქალაქი.

ბოროდინის მაზრა გვ. 155 რუსეთში.

ბოროდინო გვ. 126, 127 სოფ. მოსკოვის მახლობლად, რუსეთში.

ბორჩალო გვ. 59, 60. დ. ბ.

ბოხჩა-ადა გვ. 95 ადგილი ოსმალეთში.

ბოჭემია გვ. 121 ჩეხიაში.

ბულაჩაური გვ. 65 შენიშ. დ. ბ.

ბუხარესტი გვ. 158 რუმინიის სატახტო ქ.

გავაზი გვ. 120 სოფ. კახეთში, გაღმა-მხარეს, გავაზის-წყლის ხეობაში (ალაზნის მარცხენა შენაკადი).

განჯა გვ. 47, 49, 60, 65—68, 74, 88, 89, 97, 139. დ. ბ.

გარეჯის მონასტერი გვ. 58. დ. ბ.

გვერდის-ძირი გვ. 56, 146. დ. ბ.

გიორგიევსკი (ტუქსტში: გიორგია) გვ. 157 ქალაქი და ციხე ჩრდილო-კავკასიაში. კავკასიის გუბერნიის მთავარი ქალაქი.

გომბორის მთა გვ. 119. დ. ბ.

გორდის ციხე. გორდი გვ. 80 სამეგრელოში, ცხენის-წყლის მარცხენა ნაპირზე.

გორი გვ. 79, 108, 109. დ. ბ.

გუდამაყარი გვ. 82 საქართვე. მთიანი მხარე გუდამაყრის წყლის ხეობაში (არაგვის მარცხენა შენაკადი).

გურია გვ. 58, 86, 101, 117, 139 საქართველოს ნიწილი სამეგრელოსა, იმერეთსა, აპარასა და შავ ზღვას შორის.

დავით გარეჯის მონასტერი გვ. 58.

დარიელის-გზა გვ. 93, 94 გზა, რომელიც მიიმართება არაგვისა და თერგის ხეობებით მცხეთიდან ქ. კავკავამდე (აწ ქ. ორჯონიკიძე).

დარუბანდი, დარბანდი გვ. 57, 66, 68, 139. დ. ბ.

დალისტანი გვ. 49, 50, 55, 56, 59, 118, 131. დ. ბ.

დევალუ გვ. 107 ადგილი ერევნის მახლობლად, სომხეთში.

დებური გვ. 80 ციხე ლეჩხუმისა, მდ. ცხენის-წყლის ხეობაში, ამ მდინარის მარჯვენა ნაპირზე.

დვინა გვ. 122 შენიშ. მდინარე პოლონეთში (დასავლეთი დვინა), ერთვის ბალტიის ზღვას.

დირბი გვ. 104 სოფ. ქართლში, მდ. დვანის-ფრონზე (მტკვრის მარცხენა შენაკადი).

დნებარი გვ. 122 შენიშ. მდინარე რუსეთში, ერთვის შავ ზღვას.

დრუხდენი გვ. 138, 139. ქალ. საქსონიაში (გერმანია).

დუშეთი გვ. 79, 82, 94. დ. ბ.

- გველიტე გვ. 70 სახელმწიფო აფრიკაში, მდ. ნილოსის ხეობაში.
 ვეროპა გვ. 48, 70, 87, 126, 139, 141, 142 შენიშვ., 150, 153 შენიშვ. 159. დ. ბ.
 ელბა გვ. 142, 147, 149 კუნძული ხმელთა-შუა ზღვაში.
 წმ. ელენეს კუნძული გვ. 159 კუნძული ატლანტიის ოკეანეში.
 ელისაბედპოლი გვ. 89 იგივე განჯა.
 ერევანი გვ. 47, 56, 65, 70, 89—91, 93—95, 97, 101, 102, 107, 108, 114, 131, 139. დ. ბ.
 ერთაწმინდა გვ. 63 სოფ. ქართლში, თემის-წყალზე (მტკვრის მარჯვ. შენაკადი).
 ესტლიანდია (დედანში: ისლანდია) გვ. 157 სახელმწიფო ბალტიის ზღვის პირას.
 ეჩმიაძინი გვ. 55, 90, 95, 96. დ. ბ.
- ვარდის-უბანი გვ. 119 სოფ. კახეთში.
 ვარილატოვსკის დაბა გვ. 115 ირკუტსკის გუბ., ციმბირში.
 ვარონეჟი გვ. 96, 112 ე. ი. ვორონეჟი. დ. ბ.
 ვაქირი გვ. 135 სოფ. კახეთში, ალაზნის მარჯვენა ნაპირზე.
 ვახანი, ვახანის ციხე გვ. 60. დ. ბ.
 ვახანის გზა გვ. 107 გზა მიმავალი ვახანის ციხისაკენ ან მასზე გავლით.
 ველის-ციხე გვ. 132. დ. ბ.
 ვენა გვ. 96 ავსტრიის დედა-ქალაქი.
 ვესტფალია გვ. 121 ე. ი. ვესტფალია—პრუსიის პროვინცია.
 ვეჯინი გვ. 57 სოფ. კახეთში ალაზნის მარჯვენა ნაპირზე.
 ვიახშა გვ. 123 ქალ. რუსეთში.
 ვიბორღის ციხე გვ. 57 ქალაქი და ციხე ფინეთში.
 ვილნა გვ. 121 შენიშვ., 123, 124, 129 ქალ. პოლონეთში.
 ვიურტენბერგი გვ. 151, 160 სახელმწიფო შემავალი გერმანიაში.
 ვისლა გვ. 121 მდინარე პოლონეთში, ერთვის ბალტიის ზღვას.
 ვლადიმირი გვ. 50. დ. ბ.
 ვლადიმირის გუბ. გვ. 127 შენიშვ. რუსეთში.
- ზაგმის-წყალი გვ. 49 მდ. შამშადილში.
 ზეზა გვ. 60 ადგ. ყარაბაღში.
 ზეგანი გვ. 77 სოფ. კახეთში, ჭერამის წყალზე (ალაზნის მარჯვენა შენაკადი).
 ზემო-მხარე გვ. 103 იმერეთში—საწერეთლო.
 ზიარას გზა გვ. 119 გზა სოფ. ზიარზე, იორის მარცხენა ნაპირზე.
 ზორეთი გვ. 63 სოფ. იმერეთში.
- თავრიზი გვ. 84, 90, 101, 107, 130. დ. ბ.
 თალიში გვ. 66, 136, 139 მდებარეობს კასპიის ზღვის დასავლეთ ნაპირზე, მთ. ქალაქი ლენქორანი.
 თაბაქოს ციხე გვ. 80 ციხე ლეჩხუმში.
 თეირანი გვ. 84, 90, 101. დ. ბ.
 თელავი გვ. 49, 67, 69, 73, 79, 119, 120, 135, 154. დ. ბ.
 თიანეთი გვ. 50, 118. დ. ბ.
- თრიალეთი გვ. 93, 113, 115 მთიანი მხარე მტკვარსა და ქციას შუა, კლდე-კარიდან მოყოლებული ბორჯომის ხეობამდე.
 თუშეთი გვ. 120. დ. ბ.

იარაპოლი გვ. 50 ძველი ქალაქი ვლადიმირის გუბ., რუსეთში.

იასა გვ. 158 ქ. რუმინეთში—მოლდავიის სატაბტო ქალაქი.

იედი-ბოლუქი გვ. 59 მტკვრის ნაპირას, თბილისიდან დაახლ. 25 კილომეტრზე. იერუსალიმი გვ. 70, 108 ქალ. პალესტინაში.

იმერეთი გვ. 48, 53—55, 57, 58, 62—64, 67, 76, 80—83, 85, 87, 91—93, 99, 102, 104, 106, 107, 114, 117, 139, 148 შენიშ., 154. დ. ბ.

იორი გვ. 74, 77, 131 შენიშ., 133 შენიშ. დ. ბ.

ირკუტსკი გვ. 115 ქალ. რუსეთში, ციმბირში.

ისპანი გვ. 150, 151 ქ. სპარსეთში.

ისპანია გვ. 143, 152 სახელმწ. ევროპაში.

იტალია გვ. 96 სახელიწიფო ევროპაში

იუნზოვსკის მახრა გვ. 159 რუსეთში, სმოლენსკის გუბ.

კავთის-ხევი გვ. 93, 135 სოფ. ქართლში, მდ. კავთის-ხევეზე (მტკვრის მარჯვ. შენაკადი).

კავკასია ან კავკასიის მთა გვ. 49, 55, 78, 147, 157 მხარე და მთა კასპიისა და შავ ზღვას შუა.

კავკასიის გუბ. გვ. 83 გამოეყო ასტრახანის გუბერნიას 1802 წ., საგუბერნიო ქალაქი გიორგიევსკით, ხუთი მაზრით: 1) გიორგიევსკისა, 2) ყიზლარისა, 3) მოხდოკისა, 4) ალექსანდროვისა და 5) სტავეროპოლისა.

კავკასიის ლინია გვ. 78, 94 საკორდონო ხაზი მდ. ყუბანსა, მალკასა და თერგზე. კაკაბეთი გვ. 134. დ. ბ.

კალუგა გვ. 128 ქალაქი რუსეთში.

კამენეც-პოდოლსკი გვ. 159 პოდოლის გუბ., ეკუთვნოდა 1793 წლამდე პოლონეთს.

კასპიის ზღვა გვ. 68, 136 ზღვა, რომელიც მდებარეობს კავკასიის აღმოსავლეთით. კატეხი გვ. 83 სოფ. ალაზნის აღმოსავლეთით, მდ. ფიფინეთის-წყლის ხეობაში (ალაზნის მარცხენა შენაკადი), ძველს ელისენში, აწ ზაქათალის რაიონში.

კანოვკა გვ. 159 რუსეთში, კამენეც-პოდოლსკის გუბერნიის დაბა.

კახეთი გვ. 47, 50, 51, 55, 57, 61, 68, 69, 73, 77, 79, 82, 110, 114, 117—120, 131—135, 147, 154. დ. ბ.

კენისბერგი გვ. 160 ქალ. აღმ. პარუსიაში (გერმანია).

კოლოვნა გვ. 128 ე. ი. კოლომნა. ქ. რუსეთში, მოსკოვის გუბერნიის სამაზრო ქალაქი.

კორსიკა გვ. 142 კუნძული ხმელთა-შუა ზღვაში.

კორტოხი გვ. 107. დ. ბ.

კრონშტადტი გვ. 152 ქალაქი და ციხე რუსეთში მდ. ნევის შესართავთან ფინეთის ყურეში.

კურლიანდია გვ. 101 მხარე ბალტიის ზღვის ნაპირზე, რიგის ყურეს სამხრეთით.

ლაკბე გვ. 119, 132 მინდორი სილნალთან, ქიზიყში.

ლენქორანი გვ. 135, 136 ქ. თალიშში, კასპიის ზღვის პირას.

ლეიკიჭი გვ. 138 ქ. საქსონიაში (გერმანია).

ლეჩხუმი გვ. 80, 86 დასავლ. საქართველოს ნაწილი. მხარე ცხენის-წყლის ხეობის ზედა ნაწილში, იმერეთის ჩრდილოეთით.

ლიახვი გვ. 56, 76, 146. დ. ბ.

ლიახვი პატარა გვ. 56, 76 მდ. ქართლში, გამოდის ქნოლოს ტბიდან და ერთვის დიდ ლიახვს სოფ შერთულთან.

ლიონი გვ. 147 ქალ. საფრანგეთში.

ლიტიოვის მახრა გვ. 159 რუსეთში, კამენეც-პოდოლსკის გუბ.

ლიფლიანდია გვ. 101 მხარე ბალტიის ზღვის ნაპირას, რიგის ყურეზე.

ლომისა გვ. 93 მთა მთიულეთში, წმ. გიორგის ეკლესიათ.

ლონდონი გვ. 143, 150, 155 ინგლისის დედა-ქალაქი.

ლორე გვ. 60, 79 ციხე სომხითში, მდ. დებედას მარცხენა ნაპირზე.

ლოსიათ-ხევი გვ. 107. დ. ბ.

მადრიდი გვ. 152 ესპანეთის დედა-ქალაქი.

მალაოროსია გვ. 85 მხარე რუსეთში, აწ უკრაინის სსრ.

მალტა გვ. 159 კუნძული ხმელთა-შუა ზღვაში.

მანავი გვ. 131, 133 შენიშ., 134. დ. ბ.

მარტყოფი გვ. 133. დ. ბ.

მალარო გვ. 76. დ. ბ.

მეგრელია გვ. 139. დ. ბ.—ოდიში.

მეწამული ზღვა გვ. 122 შენიშ., ზღვა აზიასა და აფრიკას შუა.

მიტავა გვ. 122 კურლიანდიის მა. ქალაქი.

მოლანაზის ციხე გვ. 53 მდ. ყვირილაზე, საწერეთლოში.

მოზდოკი გვ. 78. ქ. ჩრდილო-კავკასიაში.

მოლდავია გვ. 122, 158 რუმინეთის ერთ-ერთი პროვინცია.

მოსკოვი გვ. 57, 68, 79, 99, 112, 121 შენიშ., 123, 124, 126—130, 135, 137, 138, 141, 154, 155 შენიშ., 158. დ. ბ.

მტკვარი გვ. 54, 55, 59, 92, 94, 160. დ. ბ.

მურის-ციხე გვ. 80 ლეჩხუმში, ცხენის-წყლის სათავეებში.

მუხურის-ციხე გვ. 53, 63, 67, 82, 99 იმერეთში.

მცხეთა გვ. 47, 62, 70, 76, 111. დ. ბ.

მჰადის-ჯვარი გვ. 50. დ. ბ.

ნარიყალა გვ. 88 თბილისის ციხე.

ნაფარეული გვ. 77 სოფ. კახეთში, ალაზნის მარცხენა ნაპირზე.

ნახჭევანი გვ. 72, 73, 102. დ. ბ.

ნევა გვ. 157, 158 მდინარე რუსეთში.

ნერჩინსკის მახრა გვ. 115 რუსეთში, ირკუტსკის გუბ.

ნიახურა გვ. 74. დ. ბ.

ნიენი-ნოვგოროდი გვ. 133 ქ. რუსეთში.

ნოვგოროდი გვ. 156, 157 ქ. რუსეთში.

ნორიო გვ. 120. დ. ბ.

ნუხა გვ. 49 ქ. შაქში, აწ ნუხის რაიონი.

ოდიში გვ. 61, 64, 67, 72, 80, 86, 101, 102, 116, 117. დ. ბ.

ორანიანბაუში (ტექსტში ვარანიანბაუში) გვ. 155 ქ. რუსეთში.

ოსეთი გვ. 106, 117. დ. ბ. (ოსეთი).

პარივი გვ. 87, 129, 130, 140, 141, 142, 143, 147 საფრანგეთის დედა-ქალაქი.

პეტერბურგი გვ. 48, 50, 51, 68, 78, 86, 100, 108, 111, 112 შენიშვ., 116, 118, 120, 121 შენიშვ., 122, 123, 125, 130, 137, 141, 142, 144—146, 148—151, 153—158, 160, 161; დ. ბ.

პერმი გვ. 106, 132 შენიშვ., 133 ქალ. რუსეთში.

პეტერბოფი გვ. 144, 150 ქალ. რუსეთში.

პეტროზავოდსკის ციხე გვ. 120 ქალ. პეტროზავოდსკში (1802 წლ. საგუბერნიო ქალ. ოლონეცის გუბერნიისა რუსეთში).

პეტრეს ციხე გვ. 117 ბორჯომის ხეობაში, მტკვრის მარჯვ. ნაპირზე.

პოლოცკი გვ. 123 ქ. დასავლეთ დვინაზე. გუთუნოდა პოლონეთს.

პოლშა გვ. 121—123, 129, 130, 147, ე. ი. პოლონეთი, სახელმწიფო ევროპაში.

პრუსია გვ. 99, 100, 121, 136, 140, 141, 150, 154, 155 შენიშვ., 159 სახელმწიფო ევროპაში (გერმანია).

პსკოლის გორა (?) გვ. 128 მოსკოვთან.

რაჭა გვ. 54, 60, 63, 100. დ. ბ.

რეინი გვ. 139, 140, 160 უდიდესი მდინარე დას. ევროპაში, ერთვის ჩრდილოეთის ზღვას.

რიაზანი გვ. 154 ქალ. რუსეთში.

რიგა გვ. 122 ლიფლიანდიის მთავარი ქალაქი.

რუსეთი ან როსია გვ. 47, 50—52, 54, 57—62, 68, 70, 71, 75—79, 79 შენიშვ., 80—85, 89, 91, 95, 96, 98, 99, 102, 107, 109, 111, 114 შენიშვ., 115, 120, 121 შენიშვ., 123, 124, 126, 128, 130, 131, 135, 136, 139—141, 143, 149, 150, 151, 159. დ. ბ.

საბერძნეთი გვ. 158 სახელმწიფო ევროპაში.

საგარეჯო გვ. 74. დ. ბ.

საეპანაძეთი გვ. 120 თავად ვაჩნაძეების სამფლობელო კახეთში.

საენდრონიკო გვ. 120 თავად ენდრონიკაშვილების სამფლობელო კახეთში.

სამაჩაბლო გვ. 92, 94, 106. დ. ბ.

სამცხე გვ. 87 შენიშვ. საქართველოს სამხრეთი პროვინცია, აწ ახალციხის რაიონი ქალ. ახალციხით.

სასირეთი გვ. 108 სოფ. ქართლში მტკვრის მარჯვ. ნაპირზე, კავთისხევსა და თემის-წყლის შუა.

საფალავანდიშვილი გვ. 92 თავად ფალავანდიანთ სამფლობელო ხემო-ქართლში.

საფრანგეთი ან ფრანცია გვ. 70, 96, 99, 100, 113, 121, 122 შენიშვ. 126, 128, 139, 140 შენიშვ., 140—143, 147, 159 სახელმწიფო ევროპაში.

საქართველო გვ. 47—49, 53, 57—64, 68, 69, 71—73, 77—84, 89, 91, 95, 96, 104, 110, 111, 114, 118, 130, 131, 132 შენიშვ. 135, 136, 139, 146, 150, 152, 153, 161. დ. ბ.

საქსონია გვ. 121, 138, 159 სახელმწიფო ევროპაში (გერმანია).

სიათას ციხე (ციხე ლიახვისა) გვ. 56 ოსეთში.

სილნალი გვ. 79, 119, 133 შენიშვ. დ. ბ.

სლობოდა გვ. 159 სოფ. რუსეთში, სმოლენსკის გუბ.

სმოლენსკი გვ. 57, 123, 124, 129, 130, 136 ქალ. რუსეთში.

სმოლენსკის გუბ. გვ. 159 რუსეთში.

სომხითი გვ. 79. დ. ბ.

სოლანლული გვ. 65, დ. ბ.

სპარსეთი გვ. 48, 52, 53, 56, 62, 64, 66, 68, 69, 71, 72, 84, 88, 93, 94, 97, 104, 113, 136, 139, 149, 150, 152, 153, 160. დ. ბ.

სტამბოლი გვ. 54, 60, 81, 95, 96. დ. ბ.

სურამი გვ. 92. დ. ბ.

ტამბა გვ. 160 დაბა ვიურტემბერგში (ვეროპა).

ტარუტინი გვ. 129 სოფ. რუსეთში.

ტვერი გვ. 149 ქ. რუსეთში.

ტობოლსკი გვ. 132 შენიშვ. ქალ. რუსეთში—ციმბირში.

ტომსკი გვ. 157 ქ. რუსეთში—ციმბირში.

ტრაპეზონი გვ. 148 ქალ. ოსმალეთში შავი ზღვის ნაპირას, მცირე-აზიაში.

ტფილისი გვ. 47, 50, 55, 58, 61, 62, 65—67, 69, 71, 73, 75, 77, 79—85, 88—91, 93—95, 98, 99, 103—106, 108—110, 113—115, 119, 120, 132, 154, 160, 161. დ. ბ.

ტულა გვ. 96. დ. ბ.

ტულონი გვ. 147 ქალ. საფრანგეთში.

უზულარის-ხევი გვ. 60 ბორჩალოში.

ულევის ეწერი გვ. 92 ნახე დ. ბ. „ულევი“.

ურმია გვ. 90 ტბა და პროვინცია სპარსეთში.

ფანბაკი გვ. 70, 90—93, 107. დ. ბ.

ფილიპოლი გვ. 158 ქალ. მაკედონიაში.

ფოტი (ფოთი) გვ. 64, 86, 103, 104. დ. ბ.

ფრანცია, ნახე საფრანგეთი.

ფშავი გვ. 84, 122 საქართველოს მთიანი მხარე ფშავის არაგვის ხეობაში (ეს მდინარე მომდინარეობს აგრეთვე ხევსურეთზე და იწოდება ხევსურეთის არაგვად—არაგვის მარცხენა შენაკადია).

ქანაჭირი გვ. 101 სოფ. ერენის ჩრდილოეთით.

ქართლი გვ. 48, 49, 51—53, 55—57, 63, 67—69, 71 შენიშვ., 76—79, 81, 83, 87, 91, 94, 102, 106, 107, 111, 113, 114, 116—118, 135, 147, 154, 156, 160. დ. ბ.

ქართლი ზემო გვ. 76 ქართლის დასავლეთი ნაწილი კასპიდან და ქსნიდან კოლბეურის მთამდე, მტკვრის ჩრდილოეთით.

ქიზიყი გვ. 51, 59, 73, 74, 76, 83, 111, 119, 120, 131, 132, 135. დ. ბ.

ქონა-შამახია გვ. 66.

ქსანი გვ. 56, 93, 146. დ. ბ.

ქუთაისი გვ. 53, 54, 59, 67, 85, 87, 92, 99, 106, 107. დ. ბ.

ლალანდია. ნახე ჰოლანდია დ. ბ.

ღები გვ. 60 სოფ. ზემო რაჭაში, მდ. რიონზე.

ლიშპანია—ნახე ისპანია.

ლუდის-ხევი გვ. 93 არაგვის მარჯვ. შენაკ., გამომდინარეობს ლომისის მთიდან.

ყახანი გვ. 128 ქალ. რუსეთში.

ყახახი გვ. 70, 76—78, 94, 132. დ. ბ.

ყაზმინი გვ. 69 ქალ. სპარსეთში.

ყარაბალი გვ. 49, 61, 65, 66, 68, 73, 75—77, 97, 131, 139. დ. ბ.

ყარაია გვ. 57, 59 მტკვრის მარცხენა ნაპირზე, თბილისის ქვევით.

ყარაქილისის ციხე გვ. 90, 91 ციხე ფამბაკში.

ყარალაჯი გვ. 74 ქიზიყის ბოლოს. დ. ბ.

ყვარელის ციხე გვ. 51 სოფ. ყვარელში. დ. ბ.

ყიზლარი გვ. 98. დ. ბ.

ყირიმი გვ. 86, 158 ნახევარ-კუნძული შავ ზღვაზე.

ყორნისი გვ. 85 სოფ. დვანის-ფრონეს შენაკად ყორნისის წყალზე.

ყოჩქილისა გვ. 113.

ყუბა გვ. 139. დ. ბ.

ყულევი (ციხე) გვ. 86, 87 იგივე რედუტ-კალე.

შავი ზღვა გვ. 80, 86, 100 ზღვა კავკასიის დასავლეთით.

შენაბადა გვ. 65 ადგილი თბილისის ახლოს.

შაი-ტახტი გვ. 88 ალბათ შაჰტახტი, ყოფ. ნახჭევნის მაზრაში, ერევნის გუბ.

შამახია გვ. 119. დ. ბ.

შამუთი სოფ. გვ. 155 ბორჯომის მაზრაში, რუსეთში.

შამშადილი ან შამშადინი გვ. 49, 132. დ. ბ.

შილდა გვ. 132.

შირვანი გვ. 119.

ჩალა-უბანი გვ. 132 სოფ. ქიზიყში.

ჩერნიგოვი გვ. 157 ქალ. რუსეთში.

ჩიხორი გვ. 55 სოფ. ზემო იმერეთში, ყვირილას მარჯვ. შენაკადის ჩოლაბურის ხეობაში.

ჩუმლაყი გვ. 119, 120. დ. ბ.

ციბირი ან სიბირი გვ. 106, 132, 157 ნაწილი რუსეთისა ჩრდ. აზიაში.

ცუცხუთის ციხე გვ. 54. დ. ბ.

ძალინა გვ. 92 სოფ. საფლავანდიშვილოში, ფცის-ფრონეზე (მტკვრის მარცხ. შენაკადი).

წალკა გვ. 113. დ. ბ.

წინა-მხარი გვ. 132 ალაზნის მარჯვენა ნაპირი უნდა იყოს.

წყალ-წითელა გვ. 107 მდ. რიონის მარჯვ. შენაკადი.

წყვერის ციხე გვ. 63 იმერეთში, ჩხერიმელას ხეობაში.

პარი გვ. 47, 68, 73, 75, 83. დ. ბ.

პჟევი გვ. 80 ციხე ლეჩხუმში, რიონის მარჯვ. ნაპირზე.

ბაშმი გვ. 119, 154. დ. ბ.

ხევსურეთი გვ. 84, 120, 132 საქართველოს მთიანი მხარე ხევსურეთის არაგვზე
(იხ. ფშავი).

ხეობა გვ. 93, 114, 117. დ. ბ.

ხოი გვ. 70 ქალ. სპარსეთის აზერბაიჯანში.

ხორასანი გვ. 66. დ. ბ.

ხრესილი გვ. 55 სოფ. იმერეთში.

ხურდა-ფირინი გვ. 139.

ხუნძახი გვ. 50, 51, 59, 73. დ. ბ.

ჭამამლუ გვ. 91 სოფ. ბორჩალოში.

ჭერანი გვ. 62, ანუ ერანი. დ. ბ.

ჭოლანდია (ტექსტში „ლოლანდია“) გვ. 121, 148, 151 სახელმწ. ევროპაში.

შეცდომების ბასწორება

გვ.	სტრ.	დაბეჭდილია	უნდა იყოს
12	35	იმერეთსა	იმერთასა
94	15	ვმიიდა	მივიდა
99	27	რ 65	რ 66
132	21	რასთაგან	რუსთაგან
134	12	ჩოვაშვილი	ჩოკაშვილი
149	16	რ'დ	რ'ლ
158	5	რ'დ	რ'ლ